ქრისტიანობა და ეკონომიკა

VII სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული

(გორი – 2013 წლის 30 ივლისი)

კონფერენცია ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 95-ე და
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 35-ე წლისთავს

თბილისი

2013

ქრისტიანობა და ეკონომიკა. VII სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. გორი, 2013.

კრებულში წარმოდგენილია 2013 წლის 30 ივლისს წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზიაში ჩატარებული VII სამეცნიერო კონფერენციის მასალები. მოხსენებებში ასახულია ქრისტიანობისა და ეკონომიკის, რელიგიისა და საქმიანი ურთიერთობების ურთიერთზეგავლენის საკითხები, მათი თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები და კავშირი საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ და სოციალურ რეფორმებთან.

ნაშრომი განკუთვნილია სასულიერო პირების, თეოლოგების, მეცნიერების, ეკონომისტების, ბიზნესმენების, მენეჯერების, უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტებისა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და ყველა დაინტერესებული ადამიანისათვის.

მოხსენების შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქტორები: *პროფესორი რევაზ გოგოხია*
პროფესორი გიორგი შიხაშვილი

ინგლისურენოვანი ტექსტების რედაქტორი: ნანა მაისურაძე

რეცენზენტები: *ასოც. პროფესორი ინეზა გაგნიძე*
ასოც. პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი

Christianity and Economics

Proceedings of the 7th Scientific Conference Papers

Gori – 2013

The Conference was devoted to the 95th anniversary of Tbilisis State University foundation and the 35th anniversary of enthronement of His Holiness and Beatitude, Catholicos Patriarch of Georgia Ilia II

Tbilisi
2013

Christianity and Economics. Proceedings of the 7th Scientific Conference Papers, Gori, 2013

The proceeding includes the papers presented at the seventh scientific conference at St. Giorgi Mtatsmindeli Gori Gymnasium. The papers represent results of Georgian researchers' scientific activities that deal with the dual influence of Christianity and economics, religion and business activities, theoretical-methodological aspects of this interrelationship and its influence on the economic and social reforms going on in Georgia.

The proceeding is intended for clerics, theologians, scientists, professors, economists, businessmen, managers, students of all three educational level (bachelor, master, doctorate) and to other people interested in the issue.

The author is responsible for the content of the paper.

Editors: ***Professor Revaz Gogokhia***
Professor Giorgi Shikhashvili

Editor of English texts: ***Nana Maisuradze***

Reviewers: ***Associate Prof. Ineza Gagnidze***
Associate Prof. Nino Papachashvili

ISBN 978-9941-13-321-3

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში
Printed in Tsu Press

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 225 14 32, 995 (32) 225 27 36
www.press.tsu.edu.ge

ორგანიზატორებისაგან

თეოლოგიურ-ეკონომიკური ხასიათის მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული გზების დასახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საეკლესიო-ღვთისმეტყველურ და საუნივერსიტეტო-სამეცნიერო ხედვათა სინერგიულ ჰარმონიზაციას. შემთხვევითი არ იყო, რომ მეფე დავით აღმაშენებელი გელათის აკადემიის დაარსებისას ოცნებობდა, რომ ის ყოფილიყო ახალი იერუსალიმი და ახალი ათინა, მართლმადიდებლობისა და ჭეშმარიტი აზრის სიმბიოზი. საქართველოში უნივერსიტეტი ყოველთვის იწოდებოდა ცოდნის ტაძრად და ამგვარი სახელდების მიზეზი იყო მისი, არა მხოლოს წმინდა მეცნიერული პროფილი, არამედ, ასევე ერთგულება იმ სულიერი ღირებულებებისა, რასაც საუკუნეების განმავლობაში ამკვიდრებდა ქრისტიანული კულტურა. ასევე ეკლესიაც, საუკუნეების მანძილზე უზრუნველყოფდა ერის სულიერი და მატერიალური (მათ შორის, ეკონომიკური) პოტენციალის სიმტკიცეს.

საქართველოს ჭეშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ბიბლიური და რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გავიაზროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები. საჭიროა ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან ჰარმონიულად შეხამებული ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღორძინება-განვითარება. სწორედ რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთობის თეორიულ და გამოყენებით საკითხებზე იმსჯელეს 2013 წლის 30 ივლისს, VII სამეცნიერო კონფერენციაზე: „ქრისტიანობა და ეკონომიკა – გორი-2013“, რომელიც წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზიაში გაიმართა.

კონფერენცია მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 95-ე და საქართველოს კათოლიკოს-პარტრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 35-ე წლისთავს. სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, საქართველოს საპატრიარქოს სამთავისისა და გორის ეპარქია, თსუ-ის სტუდენტური თვითმართველობა და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის, ქუთაისის უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“-ს პროფესორები, დოქტორები და სტუდენტები, ბოლნისის აკაურთას ტაძრის წინამძღვარი, კონფერენციაზე სულ 25 სამეცნიერო ნაშრომი იქნა წარმოდგენილი.

საკითხის სწორედ ზემოაღნიშნული სახით გააზრების საფუძველზე ნაყოფიერად ვითარდება უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობა, რომლის ფარგლებში თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ინიციატივითა და მონაწილეობით, ბოლო პერიოდში, ქრისტიანობისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირის საკითხებზე შვიდი კონფერენცია გაიმართა:

- **I სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2005“** (თსუ მაღლივი კორპუსი, 2005 წლის 19 აპრილი);
- **II სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – ბოლნისი-2008“** (ბოლნისი, 2008 წლის 13 აპრილი);
- **III სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2008“** (თსუ მაღლივი კორპუსი, 2008 წლის 30 მაისი);
- **IV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008“** (მესტია, 2008 წლის 25-30 ივლისი);
- **V სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თსუ-2010“** (თსუ მაღლივი კორპუსი, 2010 წლის 25 იანვარი);

• **VI სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – საგარეჯო -2012“** (საგარეჯო, მანავი, 2012 წლის 22 ივლისი);

• **VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – გორი – 2013“** (გორი, 2013 წლის 30 ივლისი).

ჩატარებული კონფერენციები და მათზე წარმოდგენილი თემები ნათლად მიუთითებს განსახილველი პრობლემების დიდ აქტუალურობაზე თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის. ანზრახულია ანალოგიური კონფერენციების ციკლის გაგრძელება და მათი გამართვა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდება მეცნიერებისა და რელიგიის, უნივერსიტეტისა და ეკლესიის შემოქმედებითი თანამშრომლობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშვილიშვილო საქმეში.

კრებულში წარმოდგენილია 2013 წლის 30 ივლისს წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზიაში ჩატარებული VII სამეცნიერო კონფერენციის მასალები. მოხსენებებში ასახულია ქართველ მკვლევართა საქმიანობის შედეგები, რომლებშიც განხილულია ქრისტიანობისა და ეკონომიკის, რელიგიისა და საქმიანი ურთიერთობების ურთიერთზეგავლენის საკითხები, მათი თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები და კავშირი საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ და სოციალურ რეფორმებთან.

კონფერენციის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და მისი საორგანიზაციო კომიტეტის წევრები იყვნენ: თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი ეად მ. ლობჟანიძე, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, დოქტორანტი ვალერი არღუთაშვილი. კონფერენციის მიმდინარეობა ფართოდ გაშუქდა საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიით – „ერთსულოვნება“.

გიორგი შიხაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ამავე ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების
ცენტრი „იდეა“-ს დირექტორი

ინეზა გაგნიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

From Organizers

Synergetic harmonization of views of church and university has a special importance for scientific researches of theological-economic nature and for setting up practical solutions. It wasn't just by chance that while establishing the Gelati Academy, David the Builder wanted it to become new Jerusalem and new Athena, symbiosis of orthodox religion and true thought. In Georgia, university has always been called a temple of knowledge. This was not only because of its scientific profile, but also because of devotion to the spiritual values established by the Christian culture during the centuries. On the other hand, for many centuries Georgian church has been maintaining spiritual and material (including economic) strength of the nation.

For true progress of Georgia it's critical to consider development of society in the context of biblical and religious-ethical positions. It's necessary to turn back to Georgian traditional ideology and to regenerate and develop economic activities which are in harmony with Christian economic thinking. Theoretical and applied issues of relationship between religion and economy were the subjects for discussion at the seventh scientific conference "Christianity and Economics – Gori-2013" held at St. Giorgi Mtatsmindeli Gori Gymnasium.

The conference was dedicated to the 95th anniversary of Iv. Javakhishvili Tbilisi State University and 35th anniversary of enthronization of Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia ll. The conference was organized by the Faculty of Economics and Business of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Eparchy of Samtavisi and Gori of the Georgian Orthodox Church, TSU student self-government and Idea, student research and projects center at the Faculty of Economics and Business, TSU.

Scientists, professors and doctors of the following institutions took part in the scientific conference Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgian Technical University, Georgian Academy of Agricultural Sciences, P. Gugushvili Institute of Economics, Kutaisi University, Shota Rustaveli Batumi State University, St. Andrew the First Georgian University of Georgian Patriarchate, Student Research and Project center "Idea" of the Faculty of Economics and Business of TSU. Overall, 25 scientific papers were presented at the conference.

On the base of this approach, cooperation is developing between the University and church. In the frames of this cooperation, seven conferences have been held on the issues of interrelation of Christianity and economics initiated by the faculty of Economics and Business, TSU.

- **1st scientific conference "Christianity and Economics – TSU-2005"** (TSU Maglivi Building, 19 April, 2005);
- **2nd scientific conference "Christianity and Economics – Bolnisi-2005"** (Bolnisi, 13 April, 2008);
- **3rd scientific conference "Christianity and Economics – TSU-2008"** (TSU Building X, 30 May, 2008);
- **4th scientific conference "Christianity and Economics – Mestia-2008"** (Mestia, 25-30 July, 2008);
- **5th scientific conference "Christianity and Economics – TSU-2010"** (TSU Building X, 25 January, 2010);
- **6th scientific conference "Christianity and Economics – Sagarejo - 2012"** (Sagarejo, Manavi, 22 June, 2012);
- **7th scientific conference "Christianity and Economics – Gori - 2013"** (Gori, 30 June, 2013).

These conferences and the papers that were presented clearly show high importance of the discussed problems for economic development of Georgia. It is intended to continue the cycle of conferences on the same issue and to hold it in different regions of the country. This will promote deepening creative collaboration between science and religion, the University and church for social and economic development of Georgia.

The proceeding includes the papers presented at the fifth scientific conference at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business. The papers represent results of Georgian researchers' scien-

tific activities that deal with the dual influence of Christianity and economics, religion and business activities, theoretical-methodological aspects of this interrelationship and its influence on the economic and social reforms going on in Georgia.

Manana Lobjanidze, Doctor of Economics, Head of the Department of Scientific Research and Development of the Faculty of Economics and Business, TSU; Nino Papachashvili, Doctor of Economics, Senior Specialist of Quality Assurance Service of the Faculty of Economics and Business, TSU and Valeri Argutashvili, Assistant Professor, PhD Student at the Faculty of Economics and Business, TSU actively participated in the conference organization process.

Giorgi Shikhashvili,

Ineza Gagnidze

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი „პურთათვის სიუხვის მომნიჭებელი“



პურთათვის სიუხვის მომნიჭებელი ამ ხატს ღირსმა მამამ ამბროსი ოპტინელმა უწოდა. ხატი ასევე გვხვდება სახელწოდებით - „ნაყოფის მომნიჭებელი“.

1890 წელს ბოლოხოვის მონასტრის იღუმენიამ, ილარიამ წმიდა მამას ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სრულიად ახლებურად დაწერილი ხატი გაუგზავნა. ღვთისმშობელი ხატზე ღრუბლებზე მჯდომარეა გამოსახული და ხელებიც კურთხევის ნიშნად აქვს განპყრობილი. ქვემოთ პურის ყანაში ყვავილებსა და ბალახებს შორის ძნები მოჩანს. ღვთისმშობლის გამოსახულება ბოლოხოვის მონასტრის ყოველთა წმიდათა ხატიდანაა გადმოღებული, ხოლო ყანა და პურის ძნები ღირსი ამბროსის ჩანაფიქრით დაიწერა.

როდესაც ხატს სახელად „პურთათვის სიუხვის მომნიჭებელი“ უწოდა, წმიდა მამას სურდა ეჩვენებინა, რომ დედა ღმრთისა ადამიანებს არა მარტო სულიერ ხსნას მიჰმადლებს, არამედ ქვეყნიერ ღვაწლშიც ეხმარება. ღირს მამას ძლიერ უყვარდა ეს ხატი და მის წინაშე ლოცვა უანდერძა თავის სულიერ შვილებსაც, რომლებიც შამორდინოს დედათა სავანეში ცხოვრობდნენ. აქვე გაატარა წმინდანმა ცხოვრების უკანასკნელი წლები.

ხატმა პირველი წყალობა სწორედ შამორდინოს სავანეზე გარდამოავლინა რუსეთის შიმშილობის წელს (1891 წ.) და მონასტრის ველებსა და მთელ გუბერნიას მდიდარი მოსავალი მიჰმადლა.

1892 წელს გვალვისას, ხატის ასლი ვორონეჟის გუბერნიაში გაგზავნეს და როგორც კი მის წინაშე პარაკლისი აღსრულდა, წვიმა წამოვიდა, მინდვრები გაცოცხლდა და მშვენიერი მოსავალიც მოვიდა.

ხატის დღესასწაული 15/28 ოქტომბერს აღესრულება. ევედრებიან უწვიმობის, პურის მოსავლის მიღების საშიშროებისას, შიმშილისაგან სახსნელად.

წყაროები:

http://www.orthodoxy.ge/khatebi/baraqis.htm#sthash.EISL2hWr.dpuf

ლოცვები ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის 54 სასწაულმოქმედი ხატისადმი, დაბეჭდილი ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბ., 2007

სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა)

მისალმება

ეკონომიკური საქმიანობა ამქვეყნიური ცხოვრების საფუძველი და უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. ამ საქმიანობის უფლისათვის სათნოდ წარმართვა უზრუნველყოფს ჩვენთვის მიწიერ სიხარულს და ზეციურ ნეტარებას. ეკონომიკურ საქმიანობაში პირდაპირ თუ ირიბად ჩაბმულია ცალკეული ადამიანი და ნებისმიერი ოჯახი. ეკონომიკის ავკარგიანობაზე არის დამოკიდებული საზოგადოების ყოველი ფენის და მთელი სახელმწიფოს არსებობა.

სოფლის მეურნეობა ეროვნული ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგია. იგი წარმოადგენს ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების უზრუნველმყოფ უმთავრეს საშუალებას. მიწიერი ცხოვრების დროს ადამიანი ირჩევს გზას ზეციურ სასუფეველში მოსახვედრად. ასეთი გარემოება კი მიუთითებს სასოფლო-სამეურნეო შრომის საღვთო წარმომავლობასა და მის განსაკუთრებულ თეოლოგიურ დანიშნულებაზე.

ეკონომიკის, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქრისტიანული საფუძვლები ღვთივდადგენილად არის წარმოდგენილი ბიბლიაში. ბიბლია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის თეორიული საფუძველია, რომლის მიხედვითაც თანდათან განვითარდა ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნება და პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობა.

ჯერ კიდევ ევას შექმნამდე „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2,15). ე. ი. ადამიანი საწყისშივე შექმნილია მიწათმოქმედად – მეურნედ, და ამასთან მას მიეცა შემოქმედების უნარი და თავისუფალი ნება. ადამის და ევას პირველი შვილი კაენი მიწის მუშაკი იყო, ხოლო მეორე შვილი აბელი – მეცხვარე (დაბ. 4,2).

აქედან ნათელია, რომ პირველ ადამიანებს ამქვეყნიური საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად ღმერთმა შრომა დაუწესა. ადამიანმა თავისი თავისუფალი ნება, შემოქმედებითი უნარის საშუალებით უნდა გამოხატოს შრომაში, ხოლო შედეგად მიიღოს თავისი შრომის კეთილი ნაყოფი, რაც ცათა სასუფეველში დამკვიდრების წინაპირობაა. ამასთან, თავად შრომა აუცილებელია როგორც ჩვენი საკუთარი, ასევე სხვა ადამიანების საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

ადამიანს პირველი მოქმედების (შრომის) გამოხატვა ღვთის მიერ დაევალა მიწათმოქმედებაში (მიწის დამუშავებაში), ედემის ბაღში. ხოლო, ცოდვით დაცემის გამო მათი დაწყევლის შემდეგ ისინი განგდებულ იქნენ ედემის ბაღიდან, მაგრამ ბრძანება მაინც არ შეცვლილა – ისინი დარჩნენ კვლავ მიწაზე მშრომელებად და სასჯელის სახით, შრომა ბევრად გაურთულდათ (დაბ. 3,17).

მაგრამ ამასთან, ღვთის კურთხევაც გარდაემატა, რაც გამოიხატა იმით, რომ შრომა წახალისდა მადლმოსილი სიხარულისა და ბედნიერების გრძნობით, რომელიც ნაშრომის (ნაყოფის) ხილვით ეუფლება ადამიანს: „ვხედავ, კაცთათვის სხვა სიკეთე რომ არ ყოფილა, თუ არ იხარა თავის ნაღვაწით, რადგან ესაა მისი წილი ამ მზისქვეშეთში, ვინ დაანახვებს, რა მოხდება შემდგომად მისა?“ (ეკლ. 3,22) და: „თავისი მიწის მუშაკი პურით დანაყრდება, ხოლო ვინც ამაოდ ირჯება, სიღარიბით დანაყრდება“ (იგავ. 28,19).

უფალი აკურთხებს მორწმუნის შრომას, მაგრამ ამასთანავე მოძღვრავს, რომ ადამიანებმა იშრომონ არა დასაღუპავი საკვებისათვის, არამედ საკვებისათვის, რომელიც ადამიანს ღვთის სადიდებლად განაძლიერებს: „ხრწნადი საზრდოსთვის ნუკი ზრუნავთ, არამედ იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ, და რომელსაც მოგცემთ ძე კაცისა; ვინაიდან მამა ღმერთმა აღბეჭდა იგი“ (იოან. 6,27).

მთელი ბიბლიური სწავლება, კერძოდ, მოსეს კანონმდებლობა არის ის კონცეპტუალური საფუძველი (პარადიგმა, კონცეფცია, მოდელი), რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ღვთივსულიერ ჰარმონიულ განვითარებას.

მოსეს რჯულში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია კანონებს მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის შესახებ. მოსეს კანონმდებლობაში მიწა წარმოდგენილია როგორც მფლობელობის

მთავარი საგანი და ღმრთის მმართველობის ობიექტი. მიწის მფლობელობა აქ ემყარება თეოკრატიულ პრინციპს, რომელიც გამორიცხავს სხვა ქვეყნებში გავრცელებულ მიწის ბუნებრივი, თვითნებური მიტაცება-მითვისების პრაქტიკას.

ბიბლიური სწავლებით და, კონკრეტულად, მოსეს კანონმდებლობის მიხედვით, მიწა მხოლოდ ღმერთის საკუთრებაა, რომელიც საუკუნოდ განკარგავს მას საყოველთაო შემოქმედის უფლებით, ვინაიდან: „ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ (დაბ. 1,1), დააფუძნა და დაამყარა მიწა (ქვეყანა), მოათავსა მიწა სივრცეში, დაამტკიცა სვეტნი მიწისა, შექმნა მნათობნი ცისა მიწის (ქვეყნის) გასანათებლად, მიწის მოსარწყავად მდინარეები აღავსო წყლით და მოავლინა წვიმა, ნაყოფიერ ჰყო მიწა (ქვეყანა), შექმნა მიწა საცხოვრებლად, ადამიანს მისცა უფლება მიწაზე – „კურთხეული ხართ უფლის მიერ, ცისა და ქვეყნის შემოქმედის მიერ, ცა – ცად უფლისათვის, ხოლო ქვეყანა მისცა ადამის ძეთ“ (ფს. 113,23-24).

მიწათმოქმედება იყო ადამიანის პირველი საქმიანობა ცოდვით დაცემამდე, ხოლო ცოდვით დაცემის შემდეგ მიწათმოქმედება გართულდა მიწის დაწყევლის გამო. უფალმა უთხრა ადამს: „რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ჭამა აკრძალული მქონდა შენთვის, მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ძეძვი და ეკალი ამოგიცენოს და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო. პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგან ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი“ (დაბ. 3,17-19).

ცოდვით დაცემის გამო ადამიანს მიწაზე ოფლის ღვრა მიესაჯა – „გაუშვა იგი უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან, რომ დაემუშავებინა მიწა, საიდანაც იყო აღებული“ (დაბ. 3,23). ადამიანი იძულებული იყო ეშრომა მიწაზე, თუნდაც იმიტომ, რომ – „თავისი მიწის მუშაკი პურით დანაყრდება, ხოლო ვინც ამაოდ ირჯება, სიღარიბით დანაყრდება“ (იგავ. 28,19).

მართალია, შრომა დამძიმებულია, მაგრამ ის ამასთანავე კურთხეულია და კურთხეულია თავად მიწაზე მშრომელი. მიწათმოქმედების ნაყოფიც ღმრთის მოცემულია. ამიტომ, საზოგადოებამ უნდა შეცვალოს მიწაზე შრომისადმი დღევანდელი, უსულგულო დამოკიდებულება და ბიბლიური, ქრისტიანული სწავლების მიხედვით წარმართოს სოფლის მეურნეობა.

თანამედროვე პირობებში აუცილებელია სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის რადიკალური ჰუმანიზაცია რელიგიური პრინციპების და ზნეობის საფუძველზე, რასაც შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოების ჰარმონიული ღვთივსულიერი განვითარება.

დეკანოზი ბასილი (ახვლედიანი)

პერსონალური ინფორმაციის ხელშეუხებლობა, როგორც ბიზნესის განვითარების ფუნდამენტური პირობა

თანამედროვე საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივი განვითარება როგორც საერო, ასევე საეკლესიო სფეროებში. ეკლესიის და სახელმწიფოს მატერიალური და ფინანსური სიძლიერე უზრუნველყოფს ერის სულიერ და ეკონომიკურ კეთილდღეობას. სათანადო სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური და მმართველობითი ღონისძიებების შედეგად საქართველოს შეუძლია მიაღწიოს ასეთ მიზანს.

სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების უზრუნველმყოფ უმთავრეს საშუალებას. მიწიერი ცხოვრების დროს ადამიანი ირჩევს გზას ზეციურ სასუფეველში მოსახვედრად. ასეთი გარემოება კი მიუთითებს სასოფლო-სამეურნეო შრომის საღვთო წარმომავლობასა და მის განსაკუთრებულ თეოლოგიურ დანიშნულებაზე.

ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის საფუძველია. ამ თვალსაზრისით სოფლის მეურნეობის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭა.

თანამედროვე პირობებში აუცილებელია სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის რადიკალური ჰუმანიზაცია რელიგიური პრინციპებისა და ზნეობის საფუძველზე. საჭიროა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისტორიული ასპექტების სიღრმისეული გააზრება და საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამოცდილების შესწავლა და დანერგვა.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია ზოგადად საეკლესიო ეკონომიკის, კერძოდ, საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას საერო ეკონომიკასთან სინერგიული შეთანაწყობის საფუძველზე.

ჩვენი ეკლესია იბრუნებს ტრადიციულად ძლიერ პოზიციებს როგორც სასულიერო მოღვაწეობის, ასევე ზოგადეკონომიკურ და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სფეროში, რაც საბოლოო ანგარიშით, ხელს შეუწყობს მთელი ქვეყნის სინერგიულ, ღვთივსულიერ განვითარებას.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავებისა და რეალური პრაქტიკული საქმიანობის გზების დასახვისათვის. კარგი იქნება, თუ საერო და საეკლესიო ხელისუფალნი ერთობლივად დაიწყებენ მუშაობას საქართველოს განვითარების სოციალურ-ეკონომიკური დოქტრინის შესაქმნელად, რაც დიდად შეუწყობს ხელს ქვეყნის ტრადიციულ ეკონომიკურ ხედვა-აზროვნებასა და თანამედროვეობასთან შეთანხმებულ სწორ ბიზნეს-დაგეგმარებას.

თეოლოგიური ეკონომიკისა და საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში მეცნიერული კვლევისათვის უმთავრესი წყარო არის ბიბლია, რაც პირდაპირ კავშირშია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო განვითარების ისტორიასთან.[1]

ბიბლია ადამიანის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის თეოლოგიური და თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია, რომლის მიხედვითაც თანდათან განვითარდა ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნება და პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობა.

მნიშვნელოვანი წყაროა, აგრეთვე, "დიდი სჯულის კანონი".[2] მასში ასახულია მთელი სპექტრი ეკონომიკურ-მმართველობითი და სასოფლო-სამეურნეო საკითხებისა, რაც ქრისტიანული მეურნეობრიობის ნორმატიულ ბაზას წარმოადგენს.

---

[1] ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბ., 1989.

[2] დიდი სჯულის კანონი. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987.

ქართველ ავტორთაგან, სულიერებისა და ეკონომიკის დაკავშირების შესახებ პირველი მოსაზრებები წამოაყენა წმ. ილია მართალმა (ჭავჭავაძე,[1] რომლის შემდეგ ამ სფეროს გარკვეული ყურადღება დაუთმო ივ. ჯავახიშვილმა.[2] ანალოგიურ საკითხებს ხშირად იხილავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.[3] ქრისტიანული სასოფლო-სამეურნეო სფეროს კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვის ბ. ლომინაძეს.[4]

განსაკუთრებით აღსანიშნავია XX საუკუნის დასაწყისში რუსი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველისა და მეცნიერის, დეკანოზ სერგი ბულგაკოვის მიერ გაწეული ღვაწლი ამ სფეროში. მისი ნაშრომებიდან გამორჩეული ადგილი უკავია თეოლოგიური ეკონომიკისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ გამოკვლევას – "მეურნეობის ფილოსოფია".[5]

სამეურნეო საქმიანობის ბიბლიურ ასპექტებს დიდი ხანია იკვლევენ დასავლეთის თეოლოგები და სწავლული ეკონომისტები. ამ საქმეში ჩაბმული არიან ცნობილი უნივერსიტეტები და სპეციალიზებული ინსტიტუტები. უცხოეთში ჩამოყალიბდა ისეთი მეცნიერული დისციპლინები, როგორიცაა: თეოლოგიური ეკონომიკა, ქრისტიანული ეკონომიკა, თეოლოგიური სამეურნეო ეთიკა, ქრისტიანული ბიზნესი და სხვა. გამოკვლევების შედეგების პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე საზღვარგარეთ იქმნება სათანადო სამეურნეო-საფინანსო კანონმდებლობა და ვითარდება ზნეობრივი ბიზნესი.

მაგალითად, ზნეობრივი ეკონომიკის ფუნდამენტურ რელიგიურ საკითხებს ეძღვნება თანამედროვე ამერიკელი მეცნიერების მ. სტაქჰაუსის, დ. მაკკანის, შ. როელსის და პ. უილიამსის სქელტანიანი მონოგრაფია – "მორალური ბიზნესი. ეკონომიკური ცხოვრების ეთიკის კლასიკური და თანამედროვე რესურსები".[6]

აღსანიშნავია, აგრეთვე, ს. რაეს და კ. ვონგის ნაშრომი „უმაღლესი პატიოსნება. იუდეურ-ქრისტიანული მიდგომა ბიზნესის ეთიკისადმი".[7] მეტად საინტერესოა ა. რიხის ფუნდამენტური ნაშრომი „სამეურნეო ეთიკა". უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი შესრულდა რუსეთში 1994-2000 წლებში, სახელწოდებით – „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური კონცეფციის საფუძვლები".[8] კონცეფცია მომზადებულია ავტორთა კოლექტივის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ეპისკოპოსები, სამღვდელო პირები და ცნობილი მეცნიერები, მათ შორის – ეკონომისტები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ნაშრომში გადმოცემულია ბიბლიური სწავლების ფუძემდებლური დებულებები ეკლესიურ-სახელწიფოებრივი ურთიერთობების, საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე პრობლემებისს და კონკრეტული ეკონომიკის შესახებ.

აღნიშნულ ნაშრომებში, სხვა მნიშვნელოვან მომენტებთან ერთად, ხაზგასმულია, რომ თანამედროვე პირობებში აუცილებელია ეკონომიკური და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის რადიკალური ჰუმანიზაცია თეოლოგიური პრინციპებისა და ზნეობის საფუძველზე.

თანამედროვე ქართველ მკვლევართა შორის თეოლოგიური ეკონომიკის პრობლემების კვლევას პირველი შეუდგა გ. შიხაშვილი. იგი 1994 წლიდან მუშაობს ქრისტიანული ეკონომიკის საკითხებზე და დღეისათვის ამ სფეროში გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

---

1 ჭავჭავაძე ი. ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ. თხზ., ტ. 4, თბ., 1955. გვ. 192-194.

2 ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წ. I. თხზ. ტ. 4, თბ., 1996.

3 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკურიგანვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი. თბილისი. „გეოკერია", 2004.

4 ლომინაძე ბ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიწათმფლობელობა ძველი დროიდან XX საუკუნემდე (1917 წ.). ქუთაისი, 1997.

5 Булгаков С. Философия хозяйства.М., 1993.

6 Stackhouse M. , McCann D., S. Roels, P. Williams. On Moral Business. Classikal and Contemporary Resources for Ethics in Economic Life. Michigan, 1995.

7 Rae S., Wong. K.Beyond Integrity. A Judeo – Christian Approach to Business Ethics. Michigan, 1996.

8 Основы социальной концепции Русской православной Церкви. М., 2001.

ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს ამ მიმართულებით ი. გაგნიძე. მისი პუბლიკაციების რიცხვი ქრისტიანული ეკონომიკის სფეროში 10-ს აჭარბებს, რომელთაგან აღსანიშნავია „მართლმადიდებლობა და ეკონომიკა“.[1]

ამ სფეროში პუბლიკაციებს აქვეყნებენ მეცნიერ-ეკონომისტები: +გ. თოდუა, ი. მესხია, ე. ხარაიშვილი, ნ. ჩიხლაძე და სხვ.

ამასთან, აუცილებლად მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ ის ავტორები, რომელთა ნაშრომები დიდად ეხმარება მომავალ ეკონომისტებს სწორი აზროვნების ჩამოყალიბებაში და ჩვენც დიდად დაგვეხმარა სადოქტორო ნაშრომის საბოლოო ტექსტის ჩამოყალიბებაში: პ. კოღუაშვილი, რ. ასათიანი, ა. კაკაშვილი, რ. კაკულია, კ. ბუაჩიძე, რ. გოგოხია, ნ. იაშვილი, გ. ბახტაძე, გ. ზიბზიბაძე, თ. კუნჭულია, თ. ლაჭყეპიანი, ი. მენთეშაშვილი, თ. დუდაური, ზ. ჯაბნიძე, გ. ფხაკაძე, ლ. ქელეხსაშვილი, ს. ყამარაული, კ. ციმინტია, მ. ჩავლეიშვილი, ლ. ჯალაბაძე და ა. შ.

ეკონომიკურ საქმიანობაში პირდაპირ თუ ირიბად ჩაბმულია ცალკეული ადამიანი და ნებისმიერი ოჯახი. ეკონომიკის ავკარგიანობაზე არის დამოკიდებული საზოგადოების ყოველი ფენის და მთელი სახელმწიფოს არსებობა. სამეურნეო საკითხებით, ბუნებრივია, დაინტერესებულია ეკლესიაც.

ეკონომიკა არის ერთ-ერთი იმ სფეროთაგანი, სადაც ხდება ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესთა თანხვედრა, მაგრამ მიუხედავად იმისა, მოქმედებენ ისინი ერთობლივად თუ დამოუკიდებლად, მათი მოქმედების ჩარჩოები შეიძლება გამოიხატოს პროფესორ გიორგი შიხაშვილის კონცეპტუალური გამონათქვამით: “მართლმადიდებლური სარწმუნოების მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო მიზანს, ადამიანის ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნა უნდა წარმოადგენდეს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც გამუდმებული სულიერი სრულყოფის მეშვეობით ცათა სასუფეველში ადამიანის შესვლას უზრუნველყოფს”.

ადამიანის ნებისმიერი მოქმედება, იქნება ეს ინტელექტუალური თუ ფიზიკური, არის შრომა. შრომის ხარისხზეა დამოკიდებული ნებისმიერი საქმის წარმატება. ეს არის საფუძველთა საფუძველი. და თუ ეს საფუძველი მყარია (ანუ, მაღალხარისხიანი), მაშინ ნებისმიერი საქმის წარმატება გარანტირებულია.

როდის გამოიღებს დამოძღვრა მაქსიმალურ ნაყოფს? მაშინ, როდესაც დამმოძღვრელი პირადი მაგალითით გვმოძღვრავს. ეს კი ყველასთვის ცნობილი უდრეკი ჭეშმარიტებაა. ამიტომ ღმერთი, რომელიც თავად არის ჭეშმარიტება, უფალი უფლებათა და მოძღვარი მოძღვართა, არის შემოქმედი ცისა და ქვეყანისა, თავის პირველმოქმედებას გამოხატავს შრომაში: “თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა” (დაბ. 1,1), ანუ – იშრომა.

შრომა, ანუ თანამედროვე ტერმინით – ბიზნესი, ყოველთვის არსებობდა თავის კანონებით და ეს კანონები განიცდიდა ეპოქალურ ცვლილებებს. თუმცა, უცვლელი და წმიდათაწმიდა ყოველთვის რჩებოდა ერთი – პესონალური ინფორმაციის გასაიდუმლოება და ხელშეუხებლობა, რომელიც სხვაგვარად - კომერციული საიდუმლოებითაცაა ცნობილი. პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ძალიან მოკლე ხანში შეიტანს ნებისმიერ ზესახელმწიფოშიც კი უმართავ ქაოსს და ქვეყნის ეკონომიკის ნგრევის შედეგად დეფოლტითაც დაემუქრება...

ზღვარი, რომელიც გადის ქვეყნის აღმშენებლობასა და ნგრევას შორის, არის ადამიანის თავისუფლება და პერსონალური ინფორმაციების მიუწვდომლობა, მათ შორის – ბიზნესსექტორში, გარდა ცალკეული მკაცრად დადგენილი შემთხვევისა.

თავისუფლება არის ადამიანისთვის ღვთის მიერ მონიჭებული უმთავრესი და ფუნდამენტური უფლება. მოვიყვანდი აშშ-ს მაგალითს, კერძოდ დამოუკიდებლობის დეკლარაციას, რომელიც სწორედ იმის ხაზგასმით იწყება, რომ შემოქმედმა ყველა ადამიანი თანასწორად შექმნა და მიანიჭა მათ ერთნაირი უფლებები – ისეთი როგორიცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერების უფლება. ადამიანის ძირითადი უფლებები, მათ შორის, მოიცავს – რწმენის თავისუფლებას, სიცოცხლის უფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და ა. შ.

---

[1] გაგნიძე ი. მართლმადიდებლობა და ეკონომიკა. თბ., „უნივერსალი“, 2007.

მინდა ორიოდე სიტყვით განვმარტო, თუ რა იგულისხმება თავისუფლების ხელყოფასა და შეზღუდვაში. პირველ რიგში, რელიგიური რაკურსით, თავისუფლება, ეს არის არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას შორის... სოციუმში, თავისუფლებას შეიძლება ეწოდოს – ზნეობის ფარგლებში კანონმორჩილება. თუ კანონი ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ სწავლებას, რაც ჩემი თავისუფალი რწმენის უფლებაა, მისი მორჩილება თავისუფლების ძირითადი უფლების შეზღუდვაა.

არსებობს უამრავი გარემოება, როდესაც ინდივიდები და ჯგუფები მრწამსის გამო შეუძლებლად თვლიან, ან მორალურად ეწინააღმდეგებიან კანონის ზოგადი მოთხოვნების დაცვას: ზოგიერთები ეწინააღმდეგებიან განსაზღვრული საკვების მიღებას, სხვები – გარკვეული ტანსაცმლის ტარებას, ზოგიერთისათვის სამხედრო სამსახური არღვევს ღრმა რელიგიურ რწმენას და სხვა. ამგვარ პრაქტიკას მრავალ თანამედროვე დემოკრატიებში იყენებს უმრავლესობა. მნიშვნელოვანია, რომ კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს რელიგიასა და რწმენაზე, ისე იყოს ფორმულირებული, რომ გაცნობიერებული იყოს კონსტიტუციური ნორმებისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები. სპეციფიკური საკონონმდებლო გამონაკლისები კი იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული და რეალიზებული, რაც სამართლიანად ჩაითვლება კეთილსინდისიერი მოწინააღმდეგისათვის და იმავდროულად ზედმეტ ტვირთად არ დააწვება მათ, ვისაც არა აქვს ასეთი წინააღმდეგობა.

ნებისმიერი ადამიანისათვის ობიექტური ინტერესი და ფრიად ლეგიტიმური უფლებაა, რომ პერსონალური ინფორმაცია მის შესახებ ცნობილი გახდეს სახელმწიფოსთვის თუ სხვა სუბიექტისთვის მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ეს მისთვის არის სუბიექტურად მისაღები. პერსონალური ინფორმაციების დაცვის უფლება დასავლურ იურისპრუდენციაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძირითად უფლებად განიხილება და შესაბამისად, მის დასაცავად დემოკრატიულ სახელმწიფოებში ქმედითი იურიდიული ზომები მიიღება. მაგ.: რომელიმე კერძო იურიდიული პირის მიერ ცალკეული ადამიანის შესახებ მიღებული ინფორმაციის, მაგ.: პირის ჯანმრთელობის ან ადამიანის სხვადასხვა ფინანსური ტრანზაქციების შესახები ნფორმაციებისა თუ ცნობების შესახებ და ა. შ. სახელმწიფოსთვის გადაცემა დასავლეთის სახელმწიფოებში, გარდა მკაცრად განსაზღვრული გამონაკლისებისა, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ამის შესახებ თავად მისცემს თანხმობას.

დღეს საქართველოში ინტენსიურად ინერგება ელექტრონული პირადობის მოწმობები, რომელსაც უმოკლეს დროში ლოგიკურად მიებმება სხვადასხვა საბანკო გადარიცხვა თუ ადამიანის სხვა სოციალური ელექტრონული აქტივობა.

მოგეხსენებათ, რომ საბანკო გადარიცხვები და საერთოდ – ფულადი ოპერაციები კომერციულ საიდუმლოს მიეკუთვნება. რატომ? სწორედ იმიტომ, რომ მათმა გახმაურებამ შეიძლება ზარალი მიაყენოს მეწარმეს. იგივე შეიძლება ითქვას კერძო პირზეც და უფრო მეტიც: წარმოდგენილი ინფორმაციის სწორი ანალიზი საკმარისად ზუსტ სურათს ხატავს კონკრეტულ პერსონაზე, რაც უკვე არღვევს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას და ზრდის ძირითადი უფლების – როგორიცაა პერსონალური ინფორმაცია – ხელყოფის რისკს. მითუმეტეს დღეს, როდესაც მსოფლიო კიბერ-ტერორიზმის შემოტევებს იგერიებს, რომლის მაგალითიც გვაქვს, როდესაც 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის მხრიდან გატყდა ქართული ოფიციალური ორგანოების საიტები და ინფორმაციები შეიძლება არაკეთილმოსურნეების ხელში აღმოჩენილიყო ან აღმოჩნდა. ამასთან, არასოდეს არ არის გამორიცხული ხელისუფლების სათავეში ისეთი ძალების მოსვლა, რომლებმაც შეიძლება ეს ინფორმაცია საკუთარი ინტერესებისთვის – სხვების წინააღმდეგ გამოიყენონ.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ ძირითად უფლებაზე, რომელიც ელ. პირადობის მოწმობის შემოღებით შეიძლება შეიზღუდოს – ეს არის ადამიანის ღირსების უფლება. ღირსების ძირითადი უფლება განავითარეს გერმანელმა იურისტებმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში და მისი არსი პირდაპირ დაუკავშირეს ქრისტიანულ მოძღვრებას, კერძოდ – ბიბლიურ ჩანაწერს, რომლის თანახმად ადამიანი ღვთის ხატად არის შექმნილი. სწორედ ქრისტიანულ მოძღვრებაზე დაყრდნობით ასაბუთებენ გერმანელი მეცნიერები ადამიანის ღირსების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც განიმარტება როგორც – ადამიანისთვის ღმერთის მიერ მინიჭებული თავისთავადი ღირებულება.

თანამედროვე მსოფლიო იურისპრუდენციაში გავრცელებული მოსაზრებების თანახმად ელ. პირადობის მოწმობების უალტერნატივო დანერგვა ზღუდავს პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითად უფლებას. ეს უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით არის დაცული და იგი, გარდა სხვა ასპექტებისა, ადამიანის ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებასა და მისი პერსონალური ინფორმაციების დაცვას ითვალისწინებს. საქართველოში ელ. პირადობის მოწმობების შემოღების შემდეგ წარმოიშვება საფრთხე ადამიანის პერსონალური ინფორმაციების კერძო სექტორის გავლისა და პერსონალური ინფორმაციების ერთიან საინფორმაციო ბაზაში მუდმივი ბაზირებისა. მოქალაქეები დაცულნი არ არიან მათი შეუზღუდავი კატალოგიზაციისაგან, რაც სერიოზული საფრთხის შემცველ მოვლენად უნდა იქნეს აღქმული. ID ბარათების სისტემა სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას ავტომატური (და არა პერსონალურად მოძიების) რეჟიმით იქმნებოდეს ნებისმიერი მოქალაქის სრულფასოვანი პროფილი, რაც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითად უფლებას.

ზოგადად, ისეთი მნიშვნელოვანი და საზოგადოებისთვის აქტუალური გადაწყვეტილება, როგორიცაა ელექტრონული პირადობის მოწმობების დანერგვა, საზოგადოებასთან აქტიური კონსულტაციებისა და დიალოგების შემდეგ უნდა მიიღებოდეს. იმას რომ ელექტრონული ბარათების უკან რისკები ნაწილობრივ უკვე დგას, არ უარყოფს არავინ, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ეს სისტემა ნაწილობრივ დანერგილია და მნიშვნელოვანი გამოცდილება დაუგროვდათ. მთავარია ამ რისკების შეფასება და შეპირისპირება მოსალოდნელ სიკეთეებთან. უპირველეს ყოვლისა, სასურველია საქართველოში სამართლის საუკეთესო სპეციალისტებს შორის გაიმართოს დებატები ელ. ბარათებთან დაკავშირებით, რათა მოცემული პრობლემების შესახებ შეჯერებული სამართლებრივი პოზიცია ჩამოყალიბდეს.

გარდა ამისა, უნდა შედგეს შედარებით ფართო საზოგადოებრივი განხილვები, რაც მოსახლეობას მისცემს საშუალებას შეიქმნას სრულფასოვანი წარმოდგენა ელ. პირადობის მოწმობების პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებთან დაკავშირებით. საბოლოო გადაწყვეტილება ID ბარათების დანერგვის თაობაზე, სწორედ და აუცილებლად, საზოგადოების პოზიციის შესაბამისად უნდა იქნეს მიღებული. ამას გარდა, მიზანშეწონილია ბარათს არ მიებას, სულ მცირე - კერძო მომსახურებებზე, მაგ.: საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ფუნქცია.

დაბოლოს, საქართველოში დღეს მიმდინარე სულიერი აღორძინების პროცესი, ხალხის (განსაკუთრებით – ახალგაზრდობის) მოქცევა სარწმუნოებისაკენ, ეკლესია-მონასტრების განსაცვიფრებელი მომრავლება, რელიგიური ლიტერატურის და ინფორმაციის ნაკადის საოცარი ზრდა, ჩვენი დროის სასწაული – ყოვლადწმიდა სამების გრანდიოზული ტაძრის აშენება, და რა თქმა უნდა – საქართველოს სულიერ მამად და წინამძღვრად ღვთის კაცის – უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის მოვლინება, ნათლად გვიჩვენებს, რომ ვისმინეთ უფლისა და კვლავ დავადექით მის გზას, რაც ჩვენი გადარჩენის, გამარჯვების და ღვთივსულიერი, ჰარმონიული განვითარების საწინდარს წარმოადგენს. მაგრამ, ეს იმ შემთხვევაში, თუ სულიერი გულგრილობა არ დაგვძალავს და კვლავ არ განვუდგებით უფალს და მის მოძღვრებას.

Archpriest Basil Akhvlediani

Security of Personal Information as a Fundamental Precondition for Business Development

Resume

All-round development of economic activities both in secular and religious spheres is crucially important for Georgia nowadays. Financial strength of the church and the state ensures spiritual and economic well-being of a nation. Georgia can achieve this goal through taking proper legal, organizational, economic and managerial measures.

Evereyone has the right and it's in his/her interest that personal information about him/her be informed to the state or other people only as much as it's acceptable for him/her. Protection of personal information is considered to be one of the fundamental right in the European and American legislation and consequently, to protect such information adequate legal measures are taken in democratic countries.

The decision of introduction of electronic identity cards, which is very important for the society, had to be made after consultations and dialogue with the society. The fact that there are some risks with e-cards is recognized even in the countries where they have considerable experience with this system.

It's very important to evaluate these risks and compare them with the expected benefits. It's desirable that the best law specialists have debates regarding e-ID in order to have the common legal position.

ვალერი არღუთაშვილი

რელიგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში

შიდა ქართლის რეგიონს რელიგიური ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. მხარის ოთხივე მუნიციპალიტეტში (გორი, კასპი, ქარელი, ხაშური) არსებობს არაერთი კულტურულ-ისტორიული და რელიგიური ძეგლი. აქედან გამომდინარე, ტურიზმი შესაძლოა გახდეს რეგიონის გრძელვადიანი განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა.

ბოლო წლების დინამიკით შიდა ქართლის რეგიონში ტურისტებისა და ვიზიტორების ნაკადები საგრძნობლად იზრდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ტურისტული ობიექტების დამთვალიერებელთა დიდი ნაწილი წარმოადგენს ვიზიტორებს და არა ტურისტებს.

შიდა ქართლის რეგიონი მდიდარია რელიგიური ძეგლებით. აქ მრავლადაა ქვით ნაშენი ციხესიმაგრე, კოშკი, ტაძარი. რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია ისტორიული ძეგლებით, რაც იწვევს დიდ ინტერესს რელიგიური ტურიზმით დაინტერესებულ ტურისტებში. შიდა ქართლის რეგიონში არსებული მოქმედი ეკლესია-მონასტრები ქრისტიანული ტრადიციებით მომლოცველთა ინტერესის ობიექტი გახდება.

შიდა ქართლში რელიგიური ტურისტული ობიექტებია: გორიჯვარი; გორის საკათედრო ტაძარი; ატენის სიონი; უფლისციხე; იდლეთის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია; საქადაგიანოს წმინდა დიმიტრის ეკლესია; საღოლაშენის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია; ყინწვისის მონასტერი; ბიეთის მონასტერი; წინარეხი; წვერის წმინდა გიორგის ეკლესია; რკონის კომპლექსი; ძამის ციხე; სურამის ციხე- სიმაგრე; ქვიშხეთის ციხე; წრომის ტაძარი; ურბნისის სიონის ტაძარი;მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი; ქვათახევის წმინდა გიორგის ეკლესია; სამთავისის ტაძარი; ერთაწმინდის ტაძარი; ალის დედაღვთისა; ალის კვირაცხოვლის ეკლესია; ბეღლეთის წმინდა გიორგის ეკლესია; ბიჯნისის წმინდა მარინეს ეკლესია; ბრილის ღვთაების, ღვთისმშობლის, წმინდა გიორგის ეკლესიები; ხცისის წმინდა გიორგის და იოანე ნათლისმეცმლის ეკლესიები; წაბლოვანის წმინდა გიორგის ეკლესია; სამწვერისის ეკლესია; სარკის (სარყის) მონასტერი და სხვ.

შიდა ქართლის რეგიონში რელიგიური ტურიზმის განვითარებას ხელს შეუწყობს ორგანიზებული ტურები. აუცილებელია ჩამოყალიბდეს პილიგრიმული მარშრუტები. შესაძლებელია ტურების ორგანიზება შემდეგი სახით:

- **სამთავისი** (X-XI სს) - სამთავისის ტაძარი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, კასპიდან ჩრდილოეთის მიმართულებით 11 კმ-ის დაშორებით, სოფელ სამთავისის ცენტრში;
- **ერთაწმინდის ტაძარი** (XIII ს-ის I ნახ.) - ერთაწმინდის ტაძარი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, კასპიდან 10 კილომეტრში სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით;
- **მეტეხის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი** (XII-XIII სს) - მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში. ტაძარი XII-XIII საუკუნეებით თარიღდება, თუმცა, გარკვეული ისტორიული ცნობებით, ამ ადგილას ეკლესია გორგასლის ეპოქიდან არსებობს;
- **რკონის კომპლექსი** (VII -XVIII სს) - რკონის კომპლექსი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, მისგან სამხრეთ-დასავლეთით 20 კილომეტრის მოშორებით, მდინარე თეძმის მარცხენა ნაპირზე;
- **ატენის სიონი** (VII ს-ის I ნახევარი) - გორის მუნიციპალიტეტში, გორიდან 12 კმ-ში, სოფელ ატენის ოდნავ მოშორებით, მდინარე ტანის მარცხენა ნაპირას, გზის პირას;
- **უფლისციხე** (ძველი წელთაღრიცხვით VI-IV სს) - უფლისციხის ნაქალაქარი მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, ქ. გორის აღმოსავლეთით 20 კილომეტრზე, მდინარე მტკვარის მარცხენა ნაპირზე;
- **გორიჯვარი** - წმინდა გიორგის სახელობის გორიჯვრის ტაძარი VIII-IX ს-ის ნაგებობა.

რელიგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია რეგიონის SWOT ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს რელიგიური ტურიზმის განვითარების უპირატესობებს, შესაძლებლობებს, ნაკლოვანებებს და საფრთხეებს რეგიონში.

ძლიერი მხარეები – S	სუსტი მხარეები - W
• მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა; • რეგიონის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; • ეროვნული მნიშვნელობის რელიგიური ძეგლების სიმრავლე; • ისტორიული სასულიერო გიმნაზიის არსებობა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს პირვანდელი, ისტორიული სახე; • მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა; • ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციები; • საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.	• კონფლიქტურ ზონასთან სიახლოვე; • არასრულყოფილი ინფრასტრუქტურა (სასტუმროების, კვების ობიექტების თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობა და მომსახურების დაბალი დონე); • ტურისტული მომსახურების არასათანადო დონე; • კვალიფიციური კადრების ნაკლებობა; • რელიგიური ძეგლების ამორტიზაციის მაღალი დონე; • ფინანსური რესურსების და უცხოური ინვესტიციების არასაკმარისი ოდენობა; • ტურისტული ობიექტების მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავების პრობლემები და საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა; • მუნიციპალიტეტების სატრანსპორტო პერიფერიული გზების მოუწესრიგებლობა.
შესაძლებლობები - O	**საფრთხეები - T**
• შიდა ქართლის რეგიონში რელიგიური ტურიზმის განვითარება; • გორის მუნიციპალიტეტის ტურისტული მარშრუტის ცენტრად ჩამოყალიბება, საიდანაც მოხდება ტურისტული მარშრუტების გაშლა ქარელის, კასპის და ხაშურის მიმართულებით; • ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; • ბუნებრივი ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობების პოპულარიზაცია; • შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას და შემოსავლების ზრდას.	• კონფლიქტურ რეგიონთან სიახლოვე; • გარემოს დაბინძურება და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება; • ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დეგრადაცია და დაკარგვა; • ქაოტური მშენებლობები და ისტორიულ-არქიტექტურული სტილის დარღვევა; • დაბალი კვალიფიკაციის კადრების მონაწილეობა ისტორიულ უბნების რეაბილიტაციაში; • ტურიზმის ცალკეული სეგმენტის არათანმიმდევრული, ქაოტური განვითარება.

ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობის მატების განმაპირობებელ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია რეგიონულ დონეზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები, ზოგადად ქვეყანაში კრიმინარული მდგომარეობის დასტაბილურება, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით გატარებული ღონისძიებები.

ტურიზმის ინფრასტრუქტურა - წარმოადგენს განთავსების (სასტუმროები, ოტელები, კემპინგები, საოჯახო-კერძო სასტუმროები და სხვ.) და სატრანსპორტო საშუალებების, საზოგადოებრივი კვების, გართობის, სპორტული, სამკურნალო, რელიგიურ-საკულტო, შემეცნებითი, საქმიანი და სხვა დანიშ-

ნულების ორგანიზაციების, ტუროპერატორული და ტურაგენტურული საქმიანობით დაკავებული და ასევე ტურისტულ-საექსკურსიო და გიდ-თარჯიმნების მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფენ ტურისტების ხარისხიან და ოპერატიულ მომსახურებას.

აღნიშნული მომსახურების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად შიდა ქართლის რეგიონში აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- აშენდეს შესაბამისი სტანდარტების მქონე სასტუმროები და მოხდეს კერძო პირების დაინტერესება საოჯახო სასტუმროების მოსაწყობად;
- აუცილებელია ქალაქში არსებული გასართობი ცენტრებისა და დასვენების ადგილების (პარკების, სკვერების, კინოთეატრების და საკონცერტო დარბაზების) კეთილმოწყობა;
- აუცილებელია საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა;
- აუცილებელია ქალაქის შესასვლელებთან და ცენტრალურ უბნებში განთავსდეს ქალაქისა და მუნიციპალიტეტის რუკები, რომელზეც დატანილი იქნება ყველა ღირშესანიშნავი რელიგიური ტურისტული ობიექტები, მათთან მისასვლელი გზები, კვების ობიექტები, სასტუმროები, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები, სავადმყოფოების, ფოსტის და პოლიციის შენობები და სხვა ადმინისტრაციული ობიექტები;
- ავტოსადგურებზე, რკინიგზის სადგურებსა და მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერების ადგილებზე აუცილებელია განთავსდეს ტურისტებისათვის ქართულ და ინგლისურ ენაზე ტრანსპორტის განრიგისა და მიმართულების მაჩვენებელი დაფები;
- აუცილებელია მუნიციპალიტეტებში არსებულ ტურისტულ ობიექტებამდე მისასვლელი გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა, რაც გულისხმობს გზის საფარის მოწესრიგებას, გარე განათების სისტემის დამონტაჟებას და საგზაო ნიშნების დადგმას.

შიდა ქართლის რეგიონში რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია შემდეგი მომენტების გათვალისწინება იმ მიზნით, რომ გამოსწორდეს არსებული მდგომარეობა:

- უნდა გაუმჯობესდეს კომუნიკაცია და კოორდინცია რეგიონის და ქვეყნის დედაქალაქის ტურისტულ სააგენტოებსა და ობიექტებს შორის, რათა მოხდეს რეგიონის ტურისტული პოტენციალის სრულად ათვისება;
- უნდა ამაღლდეს კოორდინაციის ხარისხი თბილისში მოქმედ ტურისტულ სააგენტოებსა და შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში არსებული ტურისტული ობიექტების წარმომადგენლებს შორის;
- შიდა ქართლის რეგიონში არ ფუნქციონირებს არცერთი ტურისტული სააგენტო, რის გამოც ტურისტთა უმრავლესობის შიდა ქართლში მოგზაურობების კოორდინაციას ახორციელებენ თბილისში მოქმედი ტურისტული სააგენტოები. შედეგად, ვერ ხდება შიდა ქართლში არსებული ტურისტული ობიექტების სრულფასოვნად და ჯეროვნად ათვისება, ტურისტები და ვიზიტორები ძირითადად შემოდიან მხოლოდ ისეთი ტურისტული ობიექტების დასათვალიერებლად როგორიც, მაგალითად, არის სტალინის მუზეუმი ქ. გორში და უფლისციხე. მაშინ, როდესაც რეგიონში ბევრად მეტია რელიგიური ღირებულების მქონე სხვადასხვა ტურისტული ადგილი და ობიექტი;
- მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლის რეგიონში გარკვეულწილად მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, პრობლემას წარმოადგენს უშუალოდ ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობა;
- მოსაგვარებელია ტურისტული ობიექტების დასუფთავების საკითხი, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში როდესაც ტურისტთა და ვიზიტორთა ნაკადები პიკს აღწევს. აუცილებელია ასევე ტურისტულ ობიექტებთან და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე საპირფარეშოების მოწყობა.

ტურიზმის სფეროს ანალიზი აჩვენებს, რომ შიდა ქართლის რეგიონს გააჩნია რელიგიური ტურიზმის განვითარების მაღალი პოტენციალი, თუმცა, ამ მიმართულების განვითარებისათვის საჭიროა მრავალრიცხოვანი პრობლემების დაძლევა. ამას ხელს შეუწყობს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო პრიორიტეტად განსაზღვრულია ტურიზმის აღორძინება, რაც შიდა ქართლის რეგიონს დიდ შესაძლებლობას მისცემს ამ სფეროს განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. მარგველაშვილი. ტურიზმის ეკონომიკა. თბ., 2012;
2. შიდა ქართლის რეგიონალური განვითარების სტრატეგია 2012–2014 წწ.;
3. ანალიტიკური კვლევა გორის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის შესახებ და გორის ტურისტული განვითარების სტრატეგია. გორი 2008;
4. www.shidakartli.gov.ge
5. www.geostat.ge

Valeri Argutashvili

Perspectives of Religious Tourism Development in Shida Kartli Region

Resume

Shida Kartli region has good potential for religious tourism development. In all the four municipalities (Gori, Kaspi, Kareli, Khashuri) of the region there are numerous cultural, historical and religious monuments. Hence, tourism might become an important prerequisite for the long-term development of the region.

The number of tourists and visitors has been significantly increasing in Shida Kartli region in recent years. However, it should be mentioned as well that most of the people, visiting tourist attractions in the region are not tourists, but visitors.

Shida Kartli region is rich in religious monuments. There are a lot of stone castles, towers and churches. There are also many historical monuments in the region, which attract a lot of tourists interested in religious tourism.

Tourism sector analysis shows that Shida Kartli region has high potential for development of religious tourism. However, in order to develop this sector it's essential to overcome numerous problems. The fact, that tourism development is regarded to be a priority for the government will support to achieve this goal.

ეკატერინე ბაბუნაშვილი

კაცობრიობის კეთილდღეობის აქსიომა კაცობრიობის ხსნაშია

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე კაცობრიობა ახალი გამოწვევებისა და მოთხოვნების წინაშე დგას. დღევანდელი ჩვენი ყოფა მრავალი მეტად მტკივნეული პრობლემებისადმი საზოგადოებისაგან სწორი პოზიციის შემუშავებას და მის გონივრულ გადაწყვეტას მოითხოვს.

დღევანდელი მსოფლიოს პრობლემათა შორის იკვეთება ისეთები, რომლებიც საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების კანონზომიერებათა აუცილებელი, თუ შემთხვევითი შედეგია, და პრობლემები, რომლებიც საერთოდ არ არის დამოკიდებული ადამიანის ნება-სურვილსა თუ მის მოქმედებაზე და ბუნების განვითარების კანონზომიერებებში შედის. ადამიანები ამ უკანასკნელის გადაჭრას მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც ბუნების მეცნიერებათა შემდგომი განვითარების წყალობით თუ შეძლებს, რწმენისა და უფლის წყალობით.

სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებულ და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ოფიციალურად მიღებულ ეკონომიკურ თეორიებსა და პრაქტიკულ სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში, თითქმის უგულებელყოფილია უფალი, ქრისტიანული სარწმუნოების პრინციპები და ზნეობრივი ნორმები.

მთელი საზოგადოების მიზანს ამქვეყნიური სიამოვნების (ჰედონიზმი), ბედნიერების (ევდემონიზმი), მატერიალური დოვლათისა და მაქსიმალური ფულადი მოგების ნებისმიერი საშუალებით მიღება წარმოადგენს,[1] და ცხადია, რომ ასეთ საფუძველზე დამყარებული ეკონომიკის ფუნქციონირება განაპირობებს, საბოლოო ანგარიშით, ,,სიმდიდრის" პირდაპირი მნიშვნელობით გაღმერთებას, ცოდვების საყოველთაოდ გაბატონებას და ადამიანთა საბოლოო დეგრადირებას.

არადა, ,,მეცნიერებაც და რელიგიაც" ორი საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას".[2]

თუ დავაკვირდებით თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს და მისგან მიღებულ შედეგებს, არ შეიძლება არ გაჩნდეს საზოგადოებაში დაუკმაყოფილებლობის სინდრომი ,,ეკონომიკის", როგორც მეცნიერების არასრულყოფილი გაგებისადმი, რასაც მივყავართ ამ მოვლენების სიღრმისეულ გაანალიზებამდე და ამ უკანასკნელს კი იმ დასკვნამდე, რომ დღის წესრიგში აუცილებელია დადგეს ქრისტიანული სარწმუნოების და ეკონომიკის ღვთითდადგენილი კავშირურთიერთობების ,,სინერგიული" გზით შესწავლა და გამოყენება.

დღეს, ისე როგორც არასდროს, მსოფლიო მოსახლეობის კეთილდღეობისათვის აუცილებელია შექმნილი სიტუაციის სწორად, დაწვრილებით, სიღრმისეულად და გონებრივად გაანალიზება.

კაცობრიობა (ადამიანი) წარმოადგენს იმ ერთადერთ სუბიექტს, რომელიც სამყაროში სრულყოფილებისთვის არის შექმნილი, რომელიც ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა: ,,აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს"[3] (დაბ. 1, 27-28).

აქედან გამომდინარე, სრულყოფილებისათვის შექმნილი ,,ფენომენის" კეთილდღეობაზე ზრუნვა უდიდეს პასუხისმგებლობას, სიფრთხილეს, გონიერებასა და დიდ სულიერებას მოითხოვს. საზოგადოებისათვის მხოლოდ მატერიალური დოვლათისა და საუკეთესო სოციალური პირობების შექმნა, მათი მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება არ არის საკმარისი დასკვნისთვის, რომ მათი კეთილდღეობა უზრუნველყოფილია.

როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერება ,,ეკონომიკა" ადამიანთა კეთილდღეობისათვის, მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის შეიქმნა, რომლის ძირითადი საზრუნავი ადამიანია. ამიტომ, ეკონომიკის ცალკეული დისციპლინების ძირითადი მიზნები და ამოცანები, დასახული პრიორიტეტები და ქმედითი ღონისძიებები მიმართულია კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემების დასაძლევად.

---

[1] მღვდელი ბასილ ახვლედიანი, გიორგი შიხაშვილი, ნიკოლოზ ბაკაშვილი. ,,მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები". თბ., ,,მერიდიანი", 2009, გვ. 30.

[2] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გიორგი შიხაშვილი. თბ., ,,გეოკერია", 2004, გვ. 4.

[3] ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, თბ 1989, გვ. 13.

ეკონომიკის მიზანია ეკონომიკური ტრიადის გადაჭრით ბოლომდე უზრუნველყოს ადამიანთა კეთილდღეობა, ტრიადისა, რომელიც მოითხოვს – რა? როგორ? და ვისთვის? კითხვებზე, ამომწურავი პასუხის გაცემას. რა? – დამოკიდებულია რესურსების იშვიათობაზე, ანუ იმ უფლისმიერ მინიჭებულ ტალანტებზე, რომელიც თითოეულ სახელმწიფოს გააჩნია თავისი ორიგინალობის დაცვითა და იდენტურობის გამორიცხვით. როგორ? – დამოკიდებულია იმ ტექნოლოგიურ პროცესებზე, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი ჯანსაღი მეთოდების გამოყენების გზით მინიმალური დანახარჯების ფონზე მაქსიმალური მოგების მიღებას. ვისთვის? – ანუ ვინ არის ყოველივე ამის მომხმარებელი, რომლის გემოვნების პრეფერენციებზე ხდება გათვლა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კაცობრიობის კეთილდღეობაზე ზრუნვა, თვით ამ საზოგადოების ნაწილს უწევს, რომელთა პასუხისმგებლობაზეა მთელი სამყაროს მატერიალური ფასეულობების, ღირებულებების, დოვლათის შექმნა. სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება. პაისი ათონელი წერს: „თუ ადამიანი არ ფიქრობს მეორე ადამიანზე, არ გამოდის თავისი „მე“-დან და გამუდმებით თავისი თავის გარშემო ტრიალებს,.... ის იმ ღერძს მიღმაა, რომელზეც ქრისტეა“.[1]

დღეს, როდესაც საზოგადოებამ ცივილიზაციის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია თავისი „ფასდაუდებელი“ რუდუნებით, ისევ აქტუალურ პრობლემად რჩება მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გზით შემცირებულმა დანახარჯებმა და გაზრდილმა მოგებამ კიდევ ახალი კითხვა წარმოქმნა: კერძოდ, გაიზარდა თუ შემცირდა კეთილდღეობა და მასზე ზრუნვის ტენდენციები? ისევ აქტუალურია მისი გადაჭრის გზების ძიებისა და დაძლევის მეთოდების შემუშავება კაცობრიობისათვის, თუ გაპასიურდა?

არ ვიქნებით ზნეობრივად მართალნი, რომ არ აღვნიშნოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დიდ როლსა და მნიშვნელობაზე კაცობრიობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, მისი დონის ამაღლებასა და კეთილდღეობაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი შედეგია მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, გონებრივი, თუ ფიზიკური დატირთვის შემცირება. მაგრამ, მთავარი ის კი არ არის პროცესი რამდენად უმსუბუქებს ტვირთს ადამიანს, არამედ ტვირთის შემსუბუქება რა გავლენას ახდენს მის სულიერებაზე, აზროვნებაზე. ადგილი აქვს ადამიანის მიერ ნათელი გონების რეალიზებას, თუ პირობითი რეფლექსების საშუალებით ახორციელებს ყოველივეს. „ბედნიერია ის კაცი, ვინც ჰპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა! რადგან მისი შეძენა სჯობს ვერცხლის შეძენას და მისი მოსავალი – ხალას ოქროს.“[2] (იგავ. 3, 13,14)

„ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ არა ყოველი უმჯობეს-არს; ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ მე არა ვისსა ჴელმწიფებასა დავემორჩილე. საზრდელი მუცლისათჳის, და მუცელი საზრდელისათჳს; ხოლო ღმერთმან იგიცა და ესეცა განაქარვოს; ხოლო ჴორცნი ესე არა სიძვისათჳს, არამედ უფლისათჳს, და უფალი ჴორცთათჳს.“[3] (1 კორ. 6, 12-13)

არადა, თანამედროვე მსოფლიო „არნახული“ მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიერი რევოლუციით ხასიათდება.

როგორც ვიცით, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსზე სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს გლობალიზაცია და ინტეგრაციული პროცესები, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობების ძირითად მასაზრდოებელს წარმოადგენენ. მათ ფონზე თითქოსდა ცხოვრების პირობები იხვეწება და სრულყოფას განიცდის, მაგრამ რთულდება საერთო ეკონომიკური მდგომარეობა მთელ მსოფლიოში. რთულდება ურთიერთობები როგორც სახელმწიფოებს შორის, ისე პიროვნებებს შორის, შეინიშნება უმართავი ეკონომიკური ელემენტების არსებობა.

გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების ზრდამ ზოგადად და კერძოდ, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში, დააჩქარა არამდგრადი, უმართავი ეკონომიკური პროცესების ზრდა მსოფლიოში. შეინიშნება მსგავსი ეკონომიკური მოდელებით სარგებლობა სხვადასხვა ქვეყნის მიერ, ყოველგვარი ტრადიციული

---

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე, 2011.

[2] ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989, გვ. 566.

[3] უფლისა ჩუნისა იესო ქრისტესი წმინდა სახარება, ტფილისს, კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგეობის სტამბაში, 1879. გვ. 349.

ინტერესების გათვალისწინების გარეშე, რასაც მოჰყვება თითქოსდა გაიდენტურება სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემების მოდელებისა, რაც ამძაფრებს კონკურენციულ ბრძოლას ბაზარზე და იწვევს მონოპოლისტური, თუ ოლიგოპოლისტური ტენდენციებისადმი ლტოლვას. ეს უკანასკნელი კი მთავრდება ქაოსით, ჩრდილოვანი ეკონომიკური ელემენტების მომრავლებით ბაზრის დასაპყრობად, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისებით, რაც მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას.

იმატა სოციალურად დაუცველმა ფენამ, მომრავლდა უმუშევრები, გაიზარდა ადამიანთა მიერ ერთმანეთზე გამიზნული ზეწოლა (ექსპანსია), რის გამოც იმატა ფსიქიურად, ფიზიკურად, მორალურად და სოციალურად შელახულ ადამიანთა რაოდენობამ, რომელთა დაბალანსებაში მხოლოდ ეკონომიკური კანონები და კანონზომიერებები უძლურია. „შურმა მოიცვა ერი უსწავლელი". ამიტომ რაოდენობრივ მხარეს კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა შედეგის მისაღწევად, არამედ ხარისხობრივს ენიჭება უპირატესობა, ამის შესახებ წმინდა წერილიდან ვგებულობთ. „ უთხრა ელიამ ხალხს: მე ერთი დავრჩი უფლის წინასწარმეტყველი, ბაალის წინასწარმეტყველნი კი ოთხასორმოცდაათი კაცია. მოგვცენ ორი კურატი; ერთი მაგათ ამოირჩიონ, შუა გაკვეთონ და შეშაზე შემოდონ, ოღონდ ცეცხლს ნუ შეუნთებენ. მეც გავამზადებ მეორე მოზვერს, შეშაზე შემოვდებ და ცეცხლს არ შევუნთებ... ხმა გაგვეც ბაალ! მაგრამ არც ხმა იყო და არც პასუხი. ხტოდნენ სამსხვერპლოს წინ, რომელიც გამართეს... აიღო ელიამ თორმეტი ლოდი, რამდენი შტოც იყო ძეთაგან იაკობის, რომლის მიმართ იყო უფლის სიტყვა, ისრაელი იქნებაო შენი სახელი... ჩამოედინა წყალი ირგვლივ სამსხვერპლოს და წყლით აივსო თხრილი.[1] (3 მეფ. 18, 22-35)

კაცობრიობას უწევს მგლურ კანონებთან ჭიდილი და ბრძოლა არსებობისათვის, გადარჩენისათვის, რაც არაბუნებრივად ხორციელდება. კაცობრიობა ვერ ან არ იყენებს სამყაროს ისე, რისთვისაც მას მიეცა. ქვეყანა ადამიანს მიეცა, როგორც „საკვები", როგორც სიცოცხლის საშუალება, მაგრამ სიცოცხლე, უპირველესად ღმერთთან ურთიერთობა უნდა იყოს. სამყარო და საკვები მისთვის შეიქმნა, რათა მათი საშუალებით ღმერთთან ჰქონოდა კავშირი ადამიანს. მხოლოდ ღვთის გულისათვის მიღებულ საკვებს შეეძლო ცხოველმყოფელი ყოფილიყო.

ადამის (კაცობრიობის) უსაზღვრო ტრაგედიაა ის, რომ მან საკვები აღიქვა, როგორც „სიცოცხლე თავის თავში", ე.ი. ის ერწმუნა საკვებს, როცა რწმენისა და სასოების ერთადერთი საგანია ღმერთი. „პირ ათქს და არა იტყვიან, თუალ ასხენ და არა ხედვენ. ყურ ასხენ და არა ესმი, ცხვირ ასხენ და არა იყნოსენ" (ფსალმ. 113, 13-15)[2], მათ ავიწყდებათ, რომ სამყაროს შემოქმედი ღმერთია: „უფლისა არის ქვეყნიერება და სავსება მისი, სამყარო და მისი მკვიდრნი" (ფსალმ. 23, 1-2).[3] კაცობრიობის გადარჩენისათვის უფლის მადლით განბრძნობილ ადამიანთა მიერ დაწერილი „ ბიბლია" არის სათავე იმ ძირითადი წყაროსი, რომლიდანაც უნდა იკვებებოდეს ყველა მეცნიერება და მათ შორის ეკონომიკაც, ის, რომ ბიბლია არის წიგნი სამყაროზე და ადამიანზე, კაცობრიობასა და მის მომავალზე, მის საბოლოო ბედიღბალზე, მის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე. „ადამიანი – შესაქმის გვირგვინი" არ არის მხოლოდ ლამაზი სიტყვები.

წმინდა წერილის მთავარი ყურადღება მიმართულია კაცობრიობისაკენ, ღმერთი კრავს კავშირს მასთან, რომელიც ატარებს მის ხატებას და მოწოდებულია მსგავსების მისაღებად (განღმრთობა – თეოზისი) კავშირი ღმერთსა და კაცს შორის, ღმერთსა და ხალხს შორის, ღმერთსა და კაცობრიობას შორის... კავშირი ყოველთვის ორმხრივია.[4]

ფაქტი, რომელიც სამწუხაროდ რეალურია, ნათლად გვეუბნება, რომ ნაწილი კაცობრიობისა არაბუნებრივი წესების გამოყენების საშუალებით ცდილობს მოირგოს სამყაროს მართვა, ანომალიური მეთოდები მოახვიოს საზოგადოებას და ჩაათვლევინოს მათ ისინი, როგორც ბუნებრივი მოვლენები და კანონზომიერებები.

---

1 ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989, გვ. 316-317.

2 ლოცვანი და ფსალმუნნი, გამომცემლობა „გვირგვინი", თბ., 2008, გვ. 168.

3 ლოცვანი და ფსალმუნნი, გამომცემლობა „გვირგვინი", თბ.2008, გვ. 52.

4 ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989, გვ. 5.

სწრაფი ტემპებით განვიტარებადმა ცივილიზაციამ, მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის დაჩქარებამ, ინტერნაციონალიზაციამ, გაძლიერებულმა მიგრაციულმა პროცესებმა, უცხოური კაპიტალის თავისუფალმა მოძრაობამ, გლობალიზაციის ტემპების დაჩქარებამ, ცხადია, უფრო რთული, ძვირი და საშიში გახდა კაცობრიობის კეთილდღეობაზე ზრუნვა და მისი დადებითი შედეგების გამოკვეთა, მისი უსაფრთხოება. მაშ რა ხდება? ეს მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების უსუსურობაა, თუ ზოგადად ეკონომიკის მეცნიერების არასრულყოფილების შედეგი?

დღეს მსოფლიო ერთი საერთო დილემის წინაშე დგას. ეს დილემა ის დიდი ჯვარია, რომელიც მთელ კაცობრიობას აქვს საზიდი, რომ ამ ჯვარს უფალი გვაძლევს და მისი ზიდვა ზოგჯერ გვიმძიმს და ზოგჯერ გვიმსუბუქდება (ადამიანის სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე), თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კაცობრიობა არ მონაწილეობს თავისი ჯვრის შექმნაში, რომლის ვერტიკალი სულიერი კავშირია უფალთან, ხოლო ჰორიზონტალი – სულიერი კავშირი სხვა ადამიანებთან. ამგვარად, კაცობრიობამ უნდა შექმნას ორი სულიერი ძელი, რომელიც გულისხმობს: სწრაფვას ღვთისკენ და სწრაფვას მოყვასისკენ. პავლე მოციქული ამბობს: „ურთიერთ არს სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული ქრესტესი“.[1] უფალი შეგვაგონებს კაცობრიობას, „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტჳრთ-მძიმენი, და მე განგისუფნო თქუფნ. აღიღეთ უღელი ჩემი თქუფნ ზედა, და ისწავეთ ჩემგან: რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა; და ჰპოვოთ განსუფნება სულთა თქუფნთა. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტჳრთი ჩემი სუბუქ არს.“ (მათ. 11, 28-30)[2]

„გლობალიზაცია არის გარდაუვალი მოვლენა და უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო გახდა გლობალური, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიდმა ქვეყნებმა უნდა შთანთქონ მცირე ქვეყნები“.[3]

ზოგს ჰგონია, თითქოს მცირე ერების სულიერი, თუ ეროვნული ფასეულობანი ქმნის კონფლიქტს და დაპირისპირებას, რაც შესაძლოა მტრობასა და შუღლში გადაიზარდოს. სინამდვილეში ეს სულაც არ არის ასე. ეს ფასეულობანი, მათი მრავალფეროვნება, პირიქით, ამდიდრებს მსოფლიოს, გამორიცხავს კონფლიქტს და დაპირისპირებას, თუმცა, ამავე დროს საჭიროა ჩამოყალიბდეს საკაცობრიო ღირებულებათა ზნეობრივი ღერძი, რომელიც ხელს შეუწყობს ცივილიზაციათა შორის დიალოგს. მთავარი ის არის, რომ თანამედროვე პროცესების მიმდინარეობაში კარგად უნდა გავიაზროთ სად არის სუბიექტი და სად არის ობიექტი. ობიექტი ძალიან ხშირად ერებია და სუბიექტი ცდილობს თავისი იდეები მოახვიოს თავს იმ ობიექტს და ამოიღოს ის ეროვნულ-ზნეობრივი, სულიერი მონაპოვარი, ფასეულობანი, რაც ძალიან საშიშია ჩვენთვის. უნდა ვიცოდეთ, რა არის მისაღები და რა არა, რა არის ფსევდოკულტურა და რა ჭეშმარიტი ღირებულება.

ამიტომ, არასწორი ხედვა და აღქმის დეფიციტი იწვევს განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ სახელმწიფოებში ცხოვრების არასტაბილური ტემპების შენარჩუნების გამოთანაბრებას. ეკონომიკური ურთიერთობების უმეტეს წილს ბაზარი არეგულირებს მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის საფუძველზე, რომლის ფონზე იკვეთება განვითარებული (ძლიერი), განვითარებადი (საშუალო) და ნაკლებად განვითარებული (სუსტი) ქვეყნები, ამ უკანასკნელის ექსპანსიის ხარჯზე ხდება ძლიერი სახელმწიფოების მონოპოლისტური პოზიციების შენარჩუნება მსოფლიო ბაზარზე. არადა, ესეც არასწორი მიდგომაა, რადგან წმინდა წერილი გვასწავლის, რომ ძლიერი უნდა ემსახურებოდეს სუსტს: „ხოლო თქუფნ არა ეგრე იყუნეთ; არამედ უდიდესი იგი თქუფნ შორის იყავნ მრწემ, და წინა-მძღუარი იგი, ვითარცა მსახური. ვინ არს უფროსი, რომელი ინაჯით ჰზის, ანუ რომელი ჰმსახურებს? ანუ არა რომელი იგი ინაჯით ჰზის? ხოლო მე ვარ შორის თქუფნსა, ვითარცა მსახური.“(ლუკ. 22, 26,27)[4].

---

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის საკვირაო ქადაგება, 27 მარტი, 2011.

[2] უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი წმინდა სახარება, ტფილისს, კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგეობის სტამბაში, 1879. გვ. 20.

[3] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გიორგი შიხაშვილი. თბ., „გეოკერია“, 2004, გვ. 55.

[4] უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი წმინდა სახარება, ტფილისს, კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგეობის სტამბაში, 1879. გვ. 159.

„უკეთუ მე დაგბანენ ფერჴნი, უფალმან და მოძღუარმან, და თქუჳნცა თანა-გაძს ურთიერთარს დაბანად ფერჴთა.... არა არს მონა უფროს უფლისა თჳსისა, არცა მოციქული უფროს მომავლინებელისა თჳსისა. ესე თუ ჰსცნათ, ნეტარ ხართ, უკეთუ ჰყოფდეთ ამას.“ (იოან. 13, 14,16,17)[1]

„ღარიბს ნუ წაართმევ, რადგან ღარიბია იგი, ბეჩავს კარიბჭესთან ნუ დაჩაგრავ. რადგან უფალი გამოესარჩლება მათ და მის მძარცველთა სულს გაძარცვავს.(იგავ. 22, 22-23)[2].

დღევანდელ მსოფლიოში მთელი ეკონომიკური მეთოდების გამოყენება არსებითად ხდება მხოლოდ ერთი შედეგის მისაღწევად: მიიღონ მოგება, შექმნან დოვლათი, მაგრამ როგორ და რა პარამეტრებით, ამას მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ავიწყდებათ, რომ „შენია უფალო მეფობა, ყველაზე აღმატებული ხარ მთავრად. სიმდიდრე და დიდება შენგან მოდის, შენ განაგებ ყოველივეს, შენს ხელშია ძალა და ძლიერება, შენს ხელშია ყოველივეს განდიდება და განმტკიცება. (1 ნეშტ. 29,11-12).[3]

„სიბრძნეც დაიფარავს კაცს და ფულიც დაიფარავს, მაგრამ სიბრძნე უპირატესია; მის მფლობელს აცოცხლებს“ (ეკლ.7,12)[4].

ადამიანი გამუდმებით ბედნიერებისა და სიამის ძიებაშია, მაგრამ მყარ და მუდმივ ბედნიერებასა და სიამეს ვერ პოვებს, თუმცა ეძებს დაჟინებითა და შეუპოვრად. იგი სულ უფრო და უფრო იძენს მეტ ცოდნას, იუმჯობესებს ცხოვრების პირობებს, მაგრამ იქნება კი ჟამი, როცა ადამიანი მეტი განვითარების წყალობით ბოლოსდაბოლოს მოიპოვებს ბედნიერებას დედამიწაზე? თუ კი გადავხედავთ კაცობრიობის განვითარების ისტორიას, ვნახავთ, რომ ეს იმედი ფუჭია. რატომ? იმიტომ, რომ იმ დროს, როცა მეცნიერება, ხელოვნება, კანონმდებლობა და სხვანი თავიანთი განვითარებისა და სრულყოფის უმაღლეს ხარისხს აღწევდა, იმავე დროს ადამიანის ბუნებაში არსებული ბოროტება თავის მხრივ ვითარდებოდა მისთვის ჩვეული ძალითა და თავს იჩენდა კაცობრიობის ზნეობრივ დაცემაში.

ჩვენ თითქმის ვერ ვასწრებთ თვალი ვადევნოთ მეცნიერთა წარმატებებს, სხვადასხვაგვარ აღმოჩენებს ადამიანური ყოფის ყველა დარგში და არ ვიცით, რაღა დაგვრჩენია კიდევ ადამიანის სიცოცხლეშივე შესამსუბუქებელი და კეთილდღეობის შესაქმნელი, მაგრამ არის კი დედამიწაზე ამჟამად იმაზე უფრო მეტი ბედნიერება, ვიდრე უწინ? იკლო სიღარიბემ? ავადმყოფობამ? გახდა კი ცხოვრება იაფი? ადვილი? უფრო სასიხარულო? გაქრა კი ადამიანთა მწუხარება? ამპარტავნობის, სიხარბის, ფუფუნების, სიზარმაცის, გარყვნის, დამონების განვითარებას დიდი ასპარეზი შეექმნა. მაშ სად ვეძებოთ ბედნიერება? სიმშვიდე? სად არის მისი საწყისი?[5] წმინდა წერილი გვპასუხობს „მის თანა ცხოვრება იყო, და ცხოვრება იგი იყო ნათელ კაცთა.“ (იოან. 1,4).[6]

დღევანდელმა ცივილიზებულმა, ინდუსტრიულმა გონებამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ბეთლემის გამოქვაბულში შობილმა ჭეშმარიტებამ, ხორცშესხმულმა ღმერთმა ჩვენმა იესო ქრისტემ, პირველმა მოჰფინა ნათელი მეცნიერების წინსვლას. [7]

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მოგვცა არნახული ძალაუფლება ბუნების ასათვისებლად, მაგრამ ეს ძალაუფლება უნდა იყოს გამოყენებული ადამიანის არა სულიერი დაუძლურების, არამედ მისი კეთილდღეობისა და სულიერების ამაღლებისთვის, ამ სიტყვების გლობალური გაგებით.

მეცნიერებისა და ტექნის მიღწევების გონივრული გამოყენება სამყაროს აყვავების საწინდარია და იმავდროულად ამ მიღწევების უარყოფითი მიმართულებებით განვითარებამ შეიძლება სიცოცხლის ნიშანწყალიც კი არ დატოვოს ჩვენს პლანეტაზე.

---

[1] უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი წმინდა სახარება, ტფილისს, კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგეობის სტამბაში, 1879. გვ. 200.

[2] ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989, გვ. 579-580.

[3] ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989, გვ. 374.

[4] ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989, გვ. 591.

[5] საქართველოს ეროვნული აკადემია, გელათის სასულიერო აკადემია(სამეცნიერო კონფერენციის მასალები),თბილისი 2006. გვ. 62-63.

[6] უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი წმინდა სახარება, ტფილისს, კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგეობის სტამბაში, 1879, გვ.168.

[7] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გიორგი შიხაშვილი. თბ., „გეოკერია“, 2004.

„ღმერთსა, რომელმან შეჰქმნა სოფელი და ყოველი, რა არს მას შინა: ესე ცისა და ქუჱყანისა არს უფალი, არა ჴელითქმნილთა ტაძართა შინა დამკჳდრებულ-არს, არცა კაცობრივთა ჴელითა მიერ იმსახურების, ვითარმცა მოქენე ვისსამე იყო, რამეთუ იგი თავადი მოჰსცემს ყოველთა ცხოვრებასა, და სულსა ყოვლით-კერძო. და შეჰქმნა ერთისგან სისხლისა ყოველნი ნათესავნი კაცთანი, დამკჳდრებად ყოველსავე ზედა პირსა ქუჱყანისასა განაჩინნა, დაწესებულნი ჟამნი და საზღურის-დადებანი დამკჳდრებისა მათისანი. მოძიებად ღმრთისა, და უკეთუმცა ვინ ეძიებდა, ჰპოვამცა იგი; და რამეთუ არცა შორ არს კაცად-კაცადისაგან ჩუჱნისა: რამეთუ მის მიერ ცხოველ-ვართ, და ვიქცევით, და ვართ, ვითარცა იგი ვინმე თქუჱნგანნი სიტყჳს-მოქმედნი იტყჳან: რომლისა იგი ნათესავცა ვართო.[1] (საქმე 17, 24-28)

ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ამისთვის კი, როგორც წმინდა ილია მართალი გვმოძღვრავს, ჭეშმარიტი მკვლევარი, ვითარცა განმკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ეს რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვის ცხოვრებას და ვერც აზრს გაუგებს. ამიტომ ჩვენც უნდა ვიკითხოთ: რა დრო არის ახლა? ისტორიის რომელ პერიოდში გვიწევს ცხოვრება? როგორია მეგაეკონომიკური ორიენტაციის მთავარი პრიორიტეტები, მსოფლიო ეკონომიკური აზროვნების განმსაზღვრელი ღირებულებები?

„ძველი ქრონოგრაფები (მემატიანეები) ისტორიას ყოფდნენ რამდენიმე პერიოდად — ადამიანის ასაკის შესაბამისად:

პირველი პერიოდი: ადამიდან ნოემდე — ეს არის ყრმობა კაცობრიობისა,

მეორე პერიოდი: ნოედან აბრაამამდე — ბავშვობა კაცობრიობისა,

მესამე პერიოდი: აბრაამიდან მოსემდე — სიჭაბუკე კაცობრიობისა,

მეოთხე პერიოდი: მოსედან ქრისტემდე — სივაჟკაცის ანუ მოწიფულობის ხანა კაცობრიობისა.

მეხუთე პერიოდი: ქრისტესშობიდან მოყოლებული — სიბერე კაცობრიობისა.“[2]

დღეს კი, როგორც პოლიტოლოგები აღნიშნავენ, 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში დატრიალებულმა ტრაგედიამ მსოფლიოს აუწყა კაცობრიობის ისტორიაში ახალი, უპრეცედენტო პოსტმოდერნის ეპოქის დაწყება, რაც მოითხოვს სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის საუკუნეობით არსებულ ურთიერთობების ძირეულ გადასინჯვას. თითქოს პარადოქსულია, მაგრამ რაც უფრო ძლიერია ეკონომიკური, თუ სამხედრო თვალსაზრისით სახელმწიფო, მით უფრო დიდ საფრთხეს უქმნის მას საერთაშორისო ტერორიზმი, რომლის თავდასხმის ობიექტი შეიძლება გახდეს ატომური ელექტროსადგურები, ქიმიური ქარხნები, გასაიდუმლოებული ლაბორატორიები და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები.

სწორედ ამ გლობალური საერთო საფრთხის და მსოფლიო მასშტაბის საერთაშორისო თანამშრომლობის თვალთახედვით უნდა გადაისინჯოს ყველა პრობლემა, რომელიც ხელს უშლის სახელმწიფოთა თანამშრომლობასა და ხალხების კეთილდღეობას, განვითარების სტაბილურობას. ეს მსოფლიოში შექმნილი ახალი რეალობის ერთადერთი გონივრული ალტერნატივაა. გეოპოლიტიკური კუთხით, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა ეფუძნება მეტოქეობას არა ერ-სახელმწიფოებს, არამედ ერ იმპერიებს შორის. სწორედ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ჩვენი ცხოვრებისა, რომელსაც ზეთანამედროვე ეწოდოს, პერიოდს, სადაც დეგრადირებული კაცობრიობის ნაწილი ცდილობს მოირგოს სამყარო არასწორი, არაბუნებრივი მეთოდების გამოყენების ფონზე და გვთავაზობს ბუნებრივ ფორმატში.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე მივდივართ ერთ დასკვნამდე, რომელიც გვაძლევს საშუალებას გავაკეთოდ გონივრულად გააზრებული მიკსი, რომ:

1. ყველა ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორების საშუალებით. აუცილებელია სინერგიული სოციალური ეკონომიკის განვითარება;

---

[1] უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი წმინდა სახარება, ტფილისს, კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგეობის სტამბაში, 1879, გვ. 257-258.

[2] არქიმანდრიტი რაფაელი, ქრისტეშობა. იხ.: არქიმანდრიტ რაფაელის ქადაგებები, სტატიები და საუბრები. თარგმნა მაია ნიკოლაძემ. გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“ N 052(264), 8.01-15.01, 2004, გვ.15.

2. არ არის საკმარისი და სრულყოფილი შექმნილი პრობლემის სიბრტყისეული აღქმა, სადაც ათვლის სისტემა საკოორდინატო სიბრტყის ღერძების გადაკვეთის წერტილია, თუ არ იქნა ამ პრობლემის სივრცისეულ ჭრილში განხილვა, სადაც უზენაესი უფალია, ხოლო ათვლის წერტილი კი სჯული;

3. არ არის მართებული სიმდიდრისა და მოგების კერპისეული გაგება, როგორც კაცობრიობის მოთხოვნათა დაკმაყოფილების ძირითადი საშუალება, თუ არ იქნა გააზრებული მთავარი, რომ „კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შნოსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; ეს ყველაფერი ღვთის წყალობაა.“ (ეკლ. 5,18)[1];

4. არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ ქრისტიანული სარწმუნოება განიკითხავს სიმდიდრეს და მდიდარ ადამიანს, ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგი ნივთიერი დოვლათისა და ფულის შექმნა-დაგროვებაში გამოიხატება და იქამდე დიდი სჯულის კანონშია ნათქვამი: „სიმართლით შეძენილი და სიკეთეში დახარჯული სიმდიდრე არ უნდა დავამციროთ“.[2] და არა ისე, როგორც ეს დღეს ხდება: „უცხოური ქვეყნისთვის დახმარება დღეს ის ფულია, რომელსაც მდიდარი ქვეყნის ღარიბები იხდიან და ღარიბი ქვეყნის მდიდრები იღებენ (ევან ეზარი)“[3];

5. არ არის საკმარისი აღიარება იმისა, რომ სწორად ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ თეორიებსა და ფაქტორებს შეუძლიათ განაპირობონ კაცობრიობის არსებობის „პურის შექმნა“, თუ არ იქნა მხედველობაში მიღებული, რომ „არა მოსე მოგცა თქუენ პური ზეცით, არამედ მამამან ჩემმან მოგცა თქუენ პური ჭეშმარიტი ზეცით“ (იოან. 6, 32)[4]; „წერილ არს, რამეთუ არა პურითა ხოლო ჰსცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყჳთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა.“ (მათ. 4, 4)[5];

6. მარტო აღიარება იმისა, რომ აუცილებელია თეოლოგიურ-ეკონომიკური პრინციპების შემუშავებაც – არ არის საკმარისი ამ პრობლემის სრულყოფილი გადაჭრისათვის, თუ არ იქნა გათვალისწინებული კაცობრიობის მმართველობის რომელ პერიოდამდე მივყავართ ამ პრობლემის ვექტორს. რა არის ამის გამოსასწორებლად საჭირო და რატომ? ამიტომ მივდივართ იმ მსჯელობამდე, რომ ძირფესვიან შესწავლას, გაანალიზებას და იმდროინდელი გარკვეული გამოცდილებებისა თუ შეხედულებების დანერგვას მოითხოვს დღევანდელი შექმნილი სიტუაცია. მხედველობაში გვაქვს მსაჯულთა მმართველობის პერიოდი, რათა დავანახოთ ახლანდელ და მომავალ თაობებს, რომ კაცობრიობის ძირითად პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ძალას და სიძლიერეს მტკიცე რელიგიური გრძნობა, შიში, სიყვარული უფლისა და კრძალვა მისდამი შეადგენს, რომელიც განაპირობებდა თეოკრატიული პერიოდის იდეალური მართველობის პერიოდად აღიარებას კაცობრიობის ისტორიაში.

დაბოლოს, რა რაოდენობის რეფორმები, თეორიები, კონცეფციები, მტკიცებულებები, არგუმენტები, პრაქტიკული მაგალითები არ უნდა განვიხილოთ – უდავოა, რომ კაცობრიობის კეთილდღეობაზე ზრუნვის აქსიომა კაცობრიობის ზნეობრივ ცხოვრებაში, ე.ი. ცოდვისაგან ხსნაშია.

---

[1] ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, თბ 1989, გვ. 590.

[2] დიდი სჯულის კანონი. ღანგრის კრების კანონები. მუხ. 21.

[3] მსოფლიო ეკონომიკა, შოთა ვეშაპიძე, ეკა ლეკაშვილი, ამბროსი გრიშიკაშვილი, ნანა ასლამაზიშვილი, თბ.2008, გვ. 649.

[4] უფლისა ჩუ ნისა იესო ქრისტესი წმინდა სახარება, ტფილისს, კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგეობის სტამბაში, 1879, გვ. 181.

[5] უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი წმინდა სახარება, ტფილისს, კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგეობის სტამბაში, 1879, გვ.5.

Ekaterine Babunashvili

The Axiom of Human Well-being is in Deliverance of Humanity

Resume

On the boundaries of XX- XXI century, mankind is facing new challenges and requirements. Today's life calls for making up right position and reasonable solutions for many burning problems by society, which includes the following:

1. It's impossible to solve all these problems only with the help of economic factors. The development of synergistic economy is essential.
2. It's not enough to consider problems in a flat-way, where the starting-point is crossing point of axes of coordinate plane, but to consider the above mentioned problems in a spatial view where Supreme is the God and the starting-point is Law.
3. It's not right to make wealth and profit an idol as a main way of meeting needs of mankind, if we don't take into account the most important fact that is the following:"God gives a man property and wealth and ability to use it, get his share and enjoy his working; all these are God's favour (Ecclesiasticus.5,1)
4. We shouldn't assume that Christianity dooms wealth and rich man. The result of a man's trades is reflected in accumulating of material wealth and money, and it is said even in Testament Law: "We mustn't humiliate wealth, which is gained by a right way and which is spent on good things."But nowadays "The help for foreign countries is money paid by the poor of rich countries and received by the rich of poor countries." It's not enough to admit, that properly formed economic theories and factors can provide "creation of bread" for existence of mankind. We should consider the fact that "It wasn't Moses who gave you bread, but God (John 6,32)
5. "There is a letter which reads that salvation isn't due to bread, but due to all those words uttered by God" (Matthew 4,4)
6. It's not enough as well to admit that making up theological-economic principles is essential to solve this problem thoroughly, if we don't take into account the period of governance where this problem vector goes to. What is necessary to correct it and why? That's why, we come to the conclusion that current situation requires thorough study, analyzing and implementing of certain experience and views of that period. We mean the period of Judge Governance in order to let our recent and future generation, that main political, economic, social power of mankind is solid religious feeling, fear, love and reverence to God, which on the other hand provided the recognition of theocratic period as an ideal governance period in the history of mankind.
7. And lastly, after reviewing so many reforms, theories, concepts, evidences, arguments, practical examples we come to an evident conclusion that axiom of caring about well-being of mankind is moral life of mankind, i.e. saving from sin.

ინეზა გაგნიძე

განათლებისა და რწმენის ურთიერთკავშირის სინერგიული ეფექტის შესახებ

თანამედროვე მსოფლიოში ინტელექტუალური საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარი ტრადიციულ ბაზრებზე ხუთჯერ უფრო სწრაფად იზრდება[1]. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია განათლების სფეროს მართვა-ფუნქციონირების ეფექტიანობაზე ზრუნვა.

საზოგადოდ, განათლება არის ცოდნის, უნარის, დახელოვნების, აზროვნების კულტურის, ხასიათის, და სხვა თვისებების სწავლებისა და განვითარების პროცესი ლეგალურ სასწავლო დაწესებულებებში. სასწავლო აქტივობა გულისხმობს ცოდნის წარმოებასა და განაწილებას, რომელიც ტარდება რეგულარულად სასწავლო ინსტიტუტებში, დაწესებულებებში ან სხვაგან. აქცენტი ასეთ დაწესებულებებში გაკეთებულია ოფიციალურად მიღებულ საგანმანათლებლო სისტემაზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებითი სასწავლო პროცესები მიმდინარეობს სხვა ინსტიტუტებშიც, როგორიცაა ეკლესიები, სამხედრო დაწესებულებები, სამოქალაქო ორგანიზაციები, კლუბები, ბიზნეს-ფირმები და სხვა.

მოკლედ განვიხილოთ განათლების სისტემაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის არგუმენტები და სახელმწიფოს საგანმანათლებლო ფუნქციები.

განათლებაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის არგუმენტებია:

- გარე ეფექტების არსებობა;
- სახელმწიფოს მიერ უმცირესობის უფლებების დაცვა;
- განათლების როლის ზრდა დემოკრატიის განვითარებაში;
- სასტარტო შესაძლებლობათა თანასწორობის უზრუნველყოფა;
- „საერთო ღირებულებების“ დადგენის აუცილებლობა;
- განათლების ეფექტის განსაზღვრა ეკონომიკურ ზრდაზე.

სახელმწიფოს საგანმანათლებლო ფუნქციებია:

- განათლების გამოწვევებისა და მიზნების განხორციელება;
- საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა სხვადასხვა დონეზე;
- განსაზღვრულ ასაკამდე სავალდებულო განათლების მიღების უზრუნველყოფა;
- სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შექმნა;
- სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების შექმნა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება[2].

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ სახელმწიფოს მხრიდან განათლების სისტემაში ჩარევის ერთ-ერთი არგუმენტია „საზოგადოებაში „საერთო ღირებულებების“ დადგენის აუცილებლობა“, რაც, ჩვენი აზრით, იმას გულისხმობს, რომ განათლების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მსოფლიო ღირებულებებისა და კონკრეტული ქვეყნის ქცევის სტანდარტების გათავისება ახალგაზრდებში, რაც საბოლოოდ უნდა აისახებოდეს მათ ქცევაზე.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის 3000 წლიანი ისტორიის მეორე ნახევარზე მეტი მთლიანად განისაზღვრა მართლმადიდებლური ცხოვრების წესითა და მისთვის უკიდურეს აღმოსავლეთში მყარი პლაცდარმის ფუნქციის აღსრულებით, რა როლიც ჩვეულებრივ საველე ბრძოლაშიც კი ურთულესი შესასრულებელია და ამიტომ დიდი ქარტეხილებითაც აღინიშნა. თუ ამ პრობლემას ენისა და კულტურული ტრადიციების თვითმყოფადობის შენარჩუნება-დაცვისა და თაობებისათვის გადაცემის პრიზმაში განვიხილავთ, სურათი გაცილებით მუქ ფერებში წარმოგვიდგება.

---

[1] გელაშვილი ს., განათლებიდან მიღებული სარგებელი და მისი სტატისტიკური გაზომვის მეთოდები“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ. №2, 2012, გვ. 65-80.

[2] მაღლაკელიძე შ., სახელმწიფოს როლი განათლებაში, http://videochannel.iliauni.edu.ge

მართლმადიდებლური სარწმუნოება შეისისხლხორცა ქართველმა ერმა არა მარტო თავისი ცხოვრების სტილში, არამედ აზროვნებაშიც და ასახა მსოფლიო მნიშვნელობის მქონე პოეზიისა და მწერლობის, უნიკალური ხალხური ფოლკლორის ნიმუშებში.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში მრავალი რეფორმა გატარდა. მათ საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასება მოყვა, ვინაიდან ხშირად ურთიერობებში ისეთ ნორმების დანერგვას ვცდილობდით, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ ურთიერთობის წესებს, მაგალითად, უფროსებისადმი დამოკიდებულება, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ქცევა და სხვა, რაც უფრო მეტად ფსევდოკულტურის გავლენაა.

იმის ასახსნელად, თუ როგორ განათლებას ვთვლით მისაღებად, გვსურს ვისარგებლოთ წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვებით: „განათლება მარტო მაშინ არის კარგი და მხოლოდ იმისთანა განათლება არის კარგი, რომელიც აღამაღლებს და გააკეთილებს კაცსა ყოვლის მხრით, და არა მხოლოდ ერთსა, თუ გინდ უმაღლესსა, მისსა ბუნების მხარესა. თვითონ სწავლა არის ორპიროვანი იარაღი; შეიძლება კაცმა მოიხმაროს ის კეთილ საქმეზეც და ბოროტზედაც, სასარგებლოდ და საზარალოდ თავისა თვისისა და სხვათა. საქმე უმაღლესია სიტყვაზე, ცხოვრება უძვირფასესია სწავლაზე.

სწავლამ, განათლებამ უნდა გააუმჯობესოს ყოველნი საქმენნი ჩვენნი, მთელი ჩვენი ცხოვრება. რა სასარგებლოა, როდესაც კაცის გონება სავსეა მრავალგვარი ცოდნითა, ხოლო მისი საქმე და ცხოვრება სრულებით არ განსხვავდება უსწავლელ კაცთა საქმისა და ცხოვრებისაგან“[1]. ვფიქრობთ, ამ სიტყვებშია მოცემული ის მოდელი, რაც განათლების სისტემამ კარგად უნდა გაითავისოს საქართველოში.

გელათის აკადემიის დაარსებისას დიდი მეფე დავით აღმაშენებელი ოცნებობდა, რომ აკადემია ყოფილიყო ახალი იერუსალიმი და ახალი ათენი. ეს ორმხრივი კეთილგონივრული დამოკიდებულება რელიგიასა და საღ აზრს შორის დღესაც დევიზია ქართული ეკლესიისათვის. „ორიათასწლოვანი ისტორია ჩვენი ქვეყნისა ნათლად მოწმობს, რომ ჩვენი კულტურა, არქიტექტურა, მწერლობა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე იყო დაფუძნებული. ქრისტიანობა იყო ის მთავარი ძალა, რომელზეც შენდებოდა ჩვენი სულიერი შენობა. ამასთან ერთად, მინდა ვთქვა, რომ საქართველოში ქრისტიანობა და ქრისტიანული რწმენა მუდამ იყო დაკავშირებული ცოდნასა და მეცნიერებასთან. ჩვენი ისტორიიდან კარგად ვიცით, რომ ყოველი მონასტერი, ყოველი სულიერი სავანე არა მარტო სულიერი მოღვაწეობის ადგილი, არამედ დიდი მეცნიერული ცენტრიც იყო“[2].

აღნიშნულის საუკეთესო დადასტურებაა, ალავერდის მონასტრის მარნის მაგალითი. ამ მარანში „კასრებში დაყენებულმა 3 წლიანმა საფერავმა და ქვევრში დაყენებულმა ტრადიციულმა კახური ტიპის ღვინომ უმაღლესი ჯილდოები დაიმსახურეს. ჟურნალ – „დეკანტერი“-ს მიერ ლონდონში ჩატარებულ 2012 წლის კონკურსზე წარმოდგენილი იყო 11000-მდე ღვინის ნიმუში. ქართული ღვინის მაღალი პრესტიჟის აღიარება გახლავთ ალავერდის მონასტრის მარნის „საფერავი“-ს ღვინის მიერ მოპოვებული რეგიონალური დიდი ოქროს მედალი – „გრან-პრი“. ხოლო ამავე კონკურსზე ქვევრის კახური ტიპის ღვინომ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კახური ტიპის ღვინო მსოფლიოსათვის უცნობია, ბრინჯაოს მედლის მოპოვება მეტად საპატიოა“[3]. ამ მარანში გაწეული საქმიანობა, მსოფლიო ღვინის მწარმოებელთა პირველი ათეულის წევრმა, დონატო ლანატიმ შეაფასა, როგორც „ზეენოლოგია“. ეს კი, ჩვენი აზრით, მიღწეულია იმის გამო, რომ აქ განათლებასა და რელიგიას შორის დაპირისპირება არ არის და ქცევის მოტივი განისაზღვრება საღვთო სჯულით. ნებისმიერ მორწმუნე ადამიანს გათავისებული აქვს, „რომელმან იცოდის კეთილისა საქმე და არა ქმნეს, ცოდვა არს მისა (იაკ. 4;17) და „ყოველსავე რასაცა იქმოდით, გულითად იქმოდეთ, ვითარცა უფლისასა და ნუ ვითარცა კაცთასა“ (კოლ. 3; 24).

---

[1] ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა – ტ. I, თბ., 1990.

[2] რწმენა და ცოდნა, პატრიარქი განათლებისა და მეცნიერების შესახებ, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ISBN 978-9941-404-32-0, www.logos.org.ge, გვ.75.

[3] ღლონტი თ., ქართული ქვევრის ტრადიციული ღვინის დიდი საერთაშორისო აღიარება, http://www.since1011.com/ka/publications/88-qvevris-saertashoriso-agiareba.html

ის, რომ განათლება (ცოდნა, მეცნიერება) და რწმენა ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, და პირიქით, აძლიერებს ერთურთს, აღნიშნულია მსოფლიოში ცნობილი მოაზროვნეების სიტყვებში. ი. ვ. გოეთე წერდა: „როგორადაც არ უნდა მოინდომოს ადამიანმა, ბუნება და მასში მიმდინარე პროცესები გონებაზე უნაშთოდ არ იყოფა, ანუ ყველგან და ყველაფერში რჩება ადგილი ირაციონალურისათვის, რწმენისათვის“[1]. მ. ებნერ-ეშენბახი ფიქრობდა, რომ: „მთელი ცოდნა იწყება ეჭვით და მთავრდება რწმენით“[2]. ა. აინშტაინი წერდა: „მეცნიერება რელიგიის გარეშე ხეიბარია, ხოლო რელიგია მეცნიერების გარეშე - ბრმა“[3]. ცნობილი მკვლევარი მ. პლანკი წერდა: „მეცნიერება და რელიგია სინამდვილეში არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ ნებისმიერი მოაზროვნე კაცისათვის ისინი აუცილებელია ერთმანეთის შესავსებად და გასაღრმავებლად“[4]. დიდი მეცნიერი ა. ამპერი ახალბედებს ასწავლიდა: „უფრთხილდი მარტო მეცნიერების შესწავლას. ისწავლე, გამოიკვლიე ქვეყნიერი; ეს ვალია მეცნიერის კაცისა; გარნა ხილულ ქვეყანას განიცდიდე ერთის თვალით, მეორე კი დაუცხრომელად მიაპყარ საუკუნო ნათელს. ერთის ხელით გამოიკვლიე ბუნება, მეორით კი, როგორც ბავშვს მამის კალთა, გეპყრას ბოლო ღვთის სამოსელისა“[5].

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II წერს: „ზოგჯერ ამბობენ: მეცნიერება და რწმენა ერთმანეთს ეწინააღმდეგებაო. არ არის სწორი. განა შეიძლება ისინი დაუპირისპირდნენ ურთიერთს, როდესაც ჩვენი ყოფის სულ სხვადასხვა სფეროებს მოიცავენ: რწმენა – სულიერს, მეცნიერება – მატერიალურს? ისინი ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ და აუცილებელნი არიან პიროვნებისა და საზოგადოების ნორმალური განვითარებისა და არსებობისათვის“[6].

„ყოველი სიბრძნე უფლის შიშია და ყოველ სიბრძნეში კანონის აღსრულებაა... ჭკუანაკლი, მაგრამ ღვთის მოშიში სჯობს დიდად გაბრძნობილს, მაგრამ სჯულის დამრღვევს“ – გვასწავლის სიბრძნე ზირაქისა (19;20,24). თავისი გონიერებით ცნობილი მეფე სოლომონი კი მიუთითებდა, რომ „უფლის შიში სიბრძნის სათავეა, სიწმინდეთა ცოდნა კი გონიერება“ (იგავ. 9;10).

მსჯელობის გაგრძელება გვსურს ძველი და ახალი აღთქმის მიხედვით. ბიბლიაში წერია, რომ „გველი ყველაზე ცბიერი იყო ველურ ცხოველთა შორის, რომლებიც უფალმა გააჩინა“ (დაბ.3;1)[7] (ასევე სხვა თარგმანში მოცემულია, „ხოლო გველი იყო უგონიერესი ყველა მხეცს შორის ქვეყანაზე, რომლებიც შექმნა უფალმა“[8]). გველმა იცოდა, თუ რა მოყვებოდა აკრძალული ხილის მიღებას (ე.ი. ძველ აღთქმაში ცბიერება, გონიერება იზომებოდა ცოდნის და ინფორმირებულობის შესაბამისად) და ღვთის შიშის გარეშე არსებულმა ასეთმა ცოდნამ, შეაცდინა ედემის მკვიდრნი და ღვთის წყევლის ტვირთით დააკარგვინა მათ უფლის სამყოფელი. დაიწყევლა ადამიც („მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. პიროფლიანი ჭამდე პურს...“ დაბ 3;17-19), ევაც („სატანჯველს გაგიმრავლებ ...“ დაბ. 3;16) და გველიც („მუცლით იხოხდე და მტვერი ჭამო მთელი სიცოცხლე...“ დაბ. 3;14). ხაზგასასმელია, რომ უფლისგან დაიწყევლა არა მარტო შემცდენელი (გველი), არამედ მისი დამჯერნიც, რომლებმაც უგულებელყვეს უფლის დარიგება.

შემდგომ, ახალ აღთქმაში გველი ასოცირდება სიბრძნესთან (საგულისხმოა, რომ გველი აღმოსავლეთშიც სიბრძნის სიმბოლოდაა მიჩნეული). სასურველია გავიხსენოთ, რომ ძველ აღთქმაში მოსეს მიერ გველის უდაბნოში ამაღლების ფაქტი მოხსენიებულია ახალ აღთქმაშიც, რაც ძველი და ახალი აღთქმის დამაკავშირებელი ერთ-ერთი ხიდია. იოანეს სახარებაში წერია, „ვითარცა-იგი მოსე აღამაღლა გუელი უდაბნოს, ეგრეთ ჯერ არს ამაღლებაი ძისა კაცისაი“ (იოანე 3;14).

---

[1] რწმენა და ცოდნა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 31.
[2] კუპრავა ვ., სიბრძნის საუნჯე, ნაკადული, თბ., 1987, გვ. 490.
[3] www.goodreads.com/author/quotes/9810.Albert_Einstein
[4] რწმენა და ცოდნა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 25.
[5] ღირსი მამა ალექსი (შუშანია) – თბ. 1999, გვ. 185.
[6] კალანდაძე გ., საქართველოს დიდება, ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, თბ., 2009, გვ. 67-68.
[7] ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989, გვ. 14.
[8] ძველი აღთქმა (ახალი თარგმანი თანამედროვე ქართულ ენაზე, ხელმ: პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი), http://www.patriarchate.ge/?action=sagvto_cerili

ბოროტების სიმბოლოდან გველის სიბრძნის სიმბოლოდ მეტამორფოზას საუკეთესოდ ხსნის ბერი ეფრემ ფილოთეველი „და როგორც ყოველი, გველისაგან დაკბენილი, ძელზე ჩამოკიდებული რვალის გველის შეხედვისას იკურნებოდა, ასევე ქრისტიანიც, რომელსაც სწამს ქრისტესი, ისწრაფვის უფლის ცხოველსმყოფელი იარებისკენ, იღებს მის ხორცს და სვამს ყოვლადწმიდა სისხლს, ცოდვის – სულიერი გველის – ნაკბენისგან იკურნება. ამ ყოვლადწმიდა საზრდოს მიღებით მას ეძლევა სიცოცხლე, რომ განახლდეს და ახალ ქმნილებად იქცეს“[1]. ამგვარად, უფლის შიშის გარეშე ბოროტებადქცეული ცოდნა უფლის რწმენით სუფთავდება და მისგან კურთხეული ხდება ახალ სიმაღლეებზე ასასვლელად, კერძოდ, **„აჰა მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა: იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი (მთ.10;16). და რაჟამს მიგცნენ თქუენ, ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რამეთუ მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, რასა-იგი იტყოდით. რამეთუ არა თქუენ იყვნეთ მეტყველნი, არამედ სული მამისა თქუენისაი, რომელი იტყოდის თქუენ შორის (მთ.10; 19-20).** ანალოგიური აზრია მოცემული წმიდა წერილებშიც, კერძოდ, „მიხარის უკუე თქუენთვის და მნებავს თქუენი, რაითა ბრძენ იყვნეთ კეთილისთვის და უმანკო – ბოროტისთვის“ (რომ.16,19), ასევე, „რამეთუ სიწრფოებითა და ჭეშმარიტებითა ღმრთისაითა და არა სიბრძნითა ხორციელითა, არამედ მადლითა ღმრთისაითა ვიქცეოდეთ სოფელსა შინა“ (II კორ.1;12).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რწმენისა და განათლების (ცოდნის, მეცნიერების) ერთიანობაში ყველა საიდუმლოს გასაღები ძევს, **„საიდუმლოსა მას ღმრთისასა და მამისასა და ქრისტესსა, რომელსა შინა არიან ყოველნი საუნჯენი სიბრძნისანი და მეცნიერებისანი დაფარულნი“** (კოლ. 2;2,3), ამიტომ, წმ. მოციქული იაკობი წერს: „ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის, აჩვენენ კეთილად სვლისაგან საქმენი თვისნი“ (იაკ. 3.13).

ვფიქრობთ, სწორედ აღნიშნულის გამო, წერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომ: „თავისი ფუნქციის სწორად შეფასებას და შესრულებას ინტელიგენცია შეძლებს მხოლოდ მაშინ, თუ თავის ცოდნას რწმენას დაუკავშირებს. ოდენ ამ შემთხვევაში მიაღწევს ის დიდ და სასურველ შედეგებს... საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, თუნდაც მატერიალური პოტენციალის აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყოს. მეცნიერების და მის წარმომადგენელთა სულიერება იქნება სათავე ჩვენი ქვეყნის განახლებისა“[2].

Ineza Gagnidze

About Synergistic Effect of the Relationship between Education and Beliefs

Resume

The paper discusses the arguments of necessity for the intervention of the state in the education system and the educational functions of the state. One of the arguments of the state’s in the education system is "the necessity to establish “the general value " in the society”. Therefore, we believe that the norms introduced as a result of reforms to the educational system of the country must not be contrary to the established rules and customs for centuries in Georgia that were determined by the influence of Christian religion. That means generation of harmonic dependence between knowledge and faith in individual. This view is supported by the work of thinkers: Goethe, Planck, Einstein and others' statements. There are also the opinions of Saint Ilia the Righteous (Ilia Chavchavadze), Saint Gabriel Bishop (Kikodze) and Catholic-Patriarch of all Georgia Ilia II. Based on the Old and New Testaments, the issue of transformation of the snake from the symbol of evil to the symbol of wisdom is explained.

[1]ბერი ეფრემ ფილოთეველი, მამობრივი დარიგებანი, წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე ჩაკიდული თხემები, თბილისი, 2012, გვ. 379.

[2]კალანდაძე გ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 68-69.

ირინა გოგორიშვილი

მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის იდეა

საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობა საქართველოს მოქალაქეებისთვის უზენაეს ნაციონალურ იდეას უნდა წარმოადგენდეს. მხოლოდ ამ საზღვრებში თანხვდება ერთმანეთს ეროვნული და ნაციონალური ინტერესები. მათი თანხვედრის ჩარჩოებს საზღვრავს სახელმწიფო. ამ საკითხის განხილვა ჯერჯერობით რთულია, რადგან საქართველოში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ერებისა თუ ეროვნებათა წარმომადგენლები თავს „უმცირესობათა" წარმომადგენლებად თვლიან. დღეს ასე საკითხის დაყენებას და მის ყოველმხრივ განხილვას ყოველთვის პოლიტიკური ხასიათი ეძლევა. საინტერესოა საკითხის დაყენებისა და მასზე მსჯელობის წინაპირობები.

ტერმინი – „უმცირესობა", მისი სურვილები, უფლებები, აღიარებული ან არააღიარებული დემოკრატიული ფასეულობები პოლიტიკური შინაარსის მქონეა. სინამდვილეში მათ არაფერი არ აკავშირებთ იმ ადამიანების პრობლემებთან რომლებიც „უმცირესობად" ინათლებიან. რატომ ვფიქრობთ ასე? ამასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ, როდის და სად დაიწყო ამ ტერმინის გამოყენება. ჩვენი ვარაუდით, ეს შორეულ პრეისტორიულ წარსულში მოხდა, რადგან ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფები მაშინაც არსებობდა, როდესაც ადამიანებმა ტერმინების პოლიტიკური, ეკონომიკური, ინტერესები, კონფესიები, ეკლესიები და ა.შ. არსებობა არ იცოდნენ.

უძველესი დროიდან ადამიანები საკუთარი სურვილების რეალიზაციისთვის ჯერ ინდივიდუალურად ეპაექრებოდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი, განვითარების პროცესებში მათ მიახვედრა ინტუიციამ ჯგუფებში გაერთიანების უპირატესობა. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ჯგუფური ინტერესების გამაერთიანებელი, უფრო მაღალი განსაზოგადოების დონის მქონე ინტერესების, აღმოცენება. განსაზოგადოების მაღალი დონის ინტერესების გაჩენის საფუძველს წარმოადგენდა გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საერთო სურვილები. როგორც წესი, საერთო სურვილად ცხადდებოდა მოცემულ გეოგრაფიულად განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრები, მკაფიოდ გამოხატულ ინტერესთა ძლიერი ჯგუფის წევრი და პრივილეგიების მოსურნე ადამიანების ეკონომიკური და სხვა მიზნები.

ისტორიული განვითარების პროცესში ცვლილებას განიცდის არა ზოგადად ინტერესთა ჯგუფები, არამედ მათი მიზნების კატალოგი და ამ მიზანთა მიღწევის ინსტრუმენტები (ფორმები). სამწუხაროდ, სხვადასხვა კონფესიის ეკლესიების მმართველი ელიტისა და სახელმწიფოთა სათავეში მდგომი პრივილეგიების მქონე ინტერესთა ჯგუფები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. ამის საფუძველზეც გაჩნდა მათ შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობათა დაკანონებული დამოკიდებულება, რომელიც ცნობილია, როგორც: ცეზაროპაპიზმი, პაპიცეზარიზმი და კონკორდატი. როგორც ვხედავთ, ჩვენმა ქვეყანამ (არა შემთხვევით) კონკორდატი აირჩია. ეკონომიკური თვალსაზრისითა და წინაპირობებით საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის სწორი გზის შესახებ წარმოდგენა. ამ გზაზე ბევრი რისკი და ქიმერაა. მათ შორის არსებულ ლაბირინთებში რომ გავიაროთ და საბოლოოდ არ დავმარცხდეთ (რომ არაფერი ვთქვათ განადგურებაზე), აუცილებელია გავერკვიოთ შემდეგ საკითხებში:

- რა არის სამოქალაქო საზოგადოების მთავარი ფასეულობა?;
- სად, როგორ და ვის მიერ შენდებოდა სამოქალაქო საზოგადოება;
- რა წინაპირობების ცოდნაა საჭირო სამოქალაქო საზოგადოების ასაშენებლად;
- როგორია ხელისუფლების როლი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში;
- როგორია სხვადასხვა კონფესიის ინტერესები და როლი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში.

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის გზაზე კონფესიათა ინტერესები ყოველთვის ხელისუფლების ინტერესებს არ ემთხვევა. სწორედ ამიტომ ჩნდება კონფლიქტური სიტუა-

ციები, რომლებშიც მიუხედავად აღიარებული „მაგიური კვადრატის“, „შვიდკუთხედისა“ თუ სხვა უზენაესი მიზნების არსებობისა, უპირატესობა პერიოდსა და წინაპირობებს უნდა მივცეთ.

მხოლოდ ამ საფუძველზე უნდა ჩამოვაყალიბოთ ქართული სახელმწიფოს მშენებლობა, როგორც უზენაესი მიზანი. სახელმწიფოს მშენებლობის იდეა და მის საფუძველზე წარმოქმნილი მიზანთა კატალოგი გარკვეულ ღირებულებათა სისტემას ეფუძნება. განვითარების საწყის სტადიაზე იგი ჩვეულებრივ ბუნდოვანია და არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი. განვითარებულ სამოქალაქო საზოგადოებას კი არაბუნდოვანი, გამოკვეთილი ღირებულებათა სისტემა გააჩნია. ამდენად, იგი ბევრად განსხვავდება სახელმწიფოს მშენებლობის საწყის ეტაპზე მყოფი საზოგადოების მიერ აღიარებული ღირებულებათა სისტემისგან. ეს კვლევა ზოგადად რთული საქმეა, რადგან განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი სოციუმები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ ღირებულებათა სისტემას აღიარებენ. ამავე დროს, თვით ერთ რომელიმე სოციუმში შემავალ იმ ფენებს შორისაც, რომლებიც ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებს წარმოქმნიან, არის შესამჩნევი სხვაობა. იგი (ეს სხვაობა) ობიექტურ წინააღმდეგობას წარმოქმნის და შესაბამისად როგორც განვითარებას, ასევე, შესაძლებელია უკანსვლასაც უწყობდეს ხელს (თუ მისი დროულად შერბილება არ მოხდა).

სახელმწიფოს მშენებლობის იდეა, როგორც მთავარი ღირებულება, პროპაგანდასა და საზოგადოების თითოეულ წევრამდე დაყვანას მოითხოვს. მთელი რიგი პრობლემა (მექრთამეობა, კორუფცია, ნარკოტრაფიკი, ტრეფიკინგი, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის გარკვეული დანაშაულები და სხვა დარღვევები), რაც განვითარების პროცესებში ჩნდება, ყველა სოციუმში ყოველთვის მაშინ მწვავდება, როდესაც სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის იდეები სახელმწიფოს მშენებლობის იდეით არ არის განმტკიცებული (შეკავშირებული).

სად, როგორ და ვის მიერ შენდება სამოქალაქო საზოგადოება? ამას კითხვებს პასუხი რომ გავცეთ, შეძლებისდაგვარად უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან თითოეული კითხვის აღმოცენების არეალი. სად ხორციელდება სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა? რასაკვირველია იმ სამართლებრივ–იურიდიულ სივრცეში, რომელიც სახელმწიფოს მშენებლობის იდეის რეალიზაციის საფუძველზე ყალიბდება. საქართველოში სოციუმის აქტივობის სამართლებრივ-იურიდიულ სივრცით დაფარვის სიდიდე (მაქსიმალური, მინიმალური ან საშუალო) სახელმწიფოს მშენებლობის იდეის გავრცელებითა და რეალიზაციით ისაზღვრება. როგორ ხორციელდება, ანუ, რა ინსტრუმენტების გამოყენების საფუძველზე მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას არავინ გააპროტესტებს დემოკრატიული ნორმებისა და მეთოდების გამოყენების მართებულობას, მაგრამ განა ვინმეს აქვს აბსოლუტურად სწორი წარმოდგენა დემოკრატიულ პრინციპებზე? სადმე მიმდინარეობს მსჯელობა ამ პრინციპებზე მათი მოქმედების პოზიტიურ და ნეგატიურ შედეგებზე?.

ცხადია, რომ თუ აღნიშნული პროცესები საზოგადოებაში ფართო განხილვის საგანი არ გახდება მანამდე სოციუმის წევრთა ლანძღვა და გაკიცხვა, თუ რატომ არ არიან ისინი დემოკრატიულნი, საფუძველს მოკლებულია. ვინ აშენებს სამოქალაქო საზოგადოებას – უმრავლესობა თუ უმცირესობა? რასაკვირველია მთელი საზოგადოება, რომლის წევრები თავს გარკვეულ ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებს მიაკუთვნებენ. როგორც ვხედავთ, პრობლემა სწორედ ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების კულტურულ-ეკონომიკური, ანუ სახელმწიფოს მშენებლობის იდეით მათი დატვირთვის დონით განისაზღვრება. შეეხება სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის წინაპირობებს, მათ შორის სამი ძირითადი შემადგენელია: მენტალური, კულტურული და ეკონომიკური. ეს ის შემადგენლებია, რომლებიც ნაციონალურ იდეას (ანუ სახელმწიფოს მშენებლობის უზენაეს იდეას) განსაზღვრავს. ჩვენს ინტერესს მენტალური შემადგენლის გამოკვლევა წარმოადგენს. იგი, როგორც წესი, აღმსარებლობით განისაზღვრება. ამავე დროს სოციუმის მენტალობაზე, მის ცნობიერებაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს განათლება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. სამივე საშუალება, მათზე ზემოქმედი ფაქტორების (დამაჩქარებელი ან შემაფერხებელი) ჩათვლით, სოციუმის აქტივობას ახასიათებს, მას ასტიმულირებს ან ზღუდავს.

ხელისუფლებას სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში დიდი როლი აქვს, რადგან იგია ყოველთვის პასუხისმგებელი ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტთა არჩევასა და მათი გამოყენების შედეგებზე. დემოკრატიის პრინციპებზე სახელმწიფოს აშენების იდეა არ გულისხმობს ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებასა და მის შემადგენლობაში მყოფ, მკაფიოდ შემოსაზღვრულ, ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებზე ზემოქმედებას. უფრო მეტიც, დემოკრატიული საზოგადოების წესრიგის პოლიტიკის შუალედურ მიზანს პერმანენტულად ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებს შორის და არა უმრავლესობასა და უმცირესობას შორის (რადგან უმცირესობაცა და უმრავლესობაც მოქალაქეებისგან შედგება რომელნიც კონსტიტუციურად თანასწორუფლებიანნი არიან) წონასწორული ბალანსის აღდგენა წარმოადგენს.

ამავე დროს ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ხელისუფლება „პედაგოგი“ არ არის და მის ფუნქციას სულაც არ წარმოადგენს სოციუმის აღზრდა. პირიქით, სოციუმის აღზრდის მცდელობა იმ მეთოდებით, რომლებიც მთელ მსოფლიოში გამოიყენება (იგულისხმება დასაჩუქრებისა და დასჯის, წართმევის მეთოდები) შესაძლებელია მოკლევადიან პერიოდში გვაძლევდეს პოზიტიურ ეფექტებს, გრძელვადიან პერიოდში კი მძიმე ნეგატიური შედეგებით ხასიათდება. ამ პრობლემასთან დაკავშირებით მაგალითები მსოფლიოსა და საქართველოს უახლეს ისტორიაში უხვად მოიპოვება (ეგვიპტეში მიმდინარე პროცესები ამაზე მეტყველებს).

მიზეზი, თუ რატომ არის შეუძლებელი ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების „აღზრდა“, ძალიან მარტივია. დემოკრატიის პრინციპებზე სახელმწიფოს მშენებლობის აუცილებელი პირობაა თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. სოციუმის მიერ არჩეულ ხელისუფლებას გარკვეული დროის განმავლობაში სახელმწიფოს მართვაზე ნდობის მანდატი გადაეცემა. ამავე დროს ეს სულაც არ ნიშნავს საზოგადოების თანხმობას შეასრულოს, ხელისუფლების ბრძანებები აუცილებლად და უპირობოდ საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემის ცვლილებებთან დაკავშირებით (მით უმეტეს, თუ ამ მოთხოვნებისა და ბრძანებების მიღმა მცირერიცხოვანი ჯგუფების ეკონომიკური ინტერესები დგას). უფრო მეტიც, არჩევნებში გამარჯვების შედეგად სწორედ ხელისუფლება უნდა იღებდეს საზოგადოებაში გაბატონებულ ღირებულებათა სისტემის დაცვისა და განვითარებისთვის ხელშეწყობის უზრუნველყოფას. როგორც ვხედავთ, სოციუმისთვის „გაკვეთილების“ ჩატარება და „საშინაო დავალებების“ შესრულების მოთხოვნა ხელისუფლების უფლებამოსილება არ არის.

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მშენებლობის ხანგრძლივ პროცესში აუცილებლად მიმდინარეობს საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემის ცვლილება და ამ პროცესში ხელისუფლებაც მონაწილეობს. ხელისუფლება უფლებამოსილია არა საბაზრო და ადმინისტრაციული (დირექტიული) ბერკეტების გამოყენებით, არამედ მხოლოდ დემოკრატიული მეთოდებით ჩამოაყალიბოს საზოგადოების აქტივობისათვის სასურველი გარემო. ასეთ გარემოში არა მარტო ეკონომიკურად დაინტერესებული მცირერიცხოვანი ჯგუფების მიერ, არამედ მთელი საზოგადოების უდიდესი ნაწილის თანხმობით მოხდება ღირებულებათა სისტემის ევოლუციური ცვლილებები (ანუ სოციუმი თვითონ იცვლის ღირებულებებს).

დემოკრატიული პროცესების საფუძველზე ხელისუფლების გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს არა მარტო არასამთავრობო ორგანიზაციების, არამედ ძირითადად ქვეყნის მოქალაქეთა ნების გამოხატულებას (პლებისციტი, რეფერენდუმი და სხვა). დემოკრატიული პრინციპების მოქმედების პირობებში ხელისუფლების ხელში საზოგადოებაზე ზემომქმედი ინსტრუმენტების არც თუ დიდი არსენალია თავმოყრილი. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ ინსტრუმენტებს ფლობენ: სახელმწიფოს საზღვრებში ოფიციალურად მოქმედი კონფესიები, მასობრივი იფორმაციის საშუალებები, სამეცნიერო–საგანმანათლებლო დაწესებულებები და საზოგადოების მიერ აღიარებული ავტორიტეტები (განათლებული ადამიანები). ასეთი ავტორიტეტები ყველა ჩვენს მიერ ნახსენებ საზოგადოებრივ ინსტიტუტებში არიან თუმცა მათი გამოყენება (სახელმწიფოს და არა ხელისუფლების ინტერესებში) სოციუმის აღზრდის მიმართულებით არ მიმდინარეობს. სამაგიეროდ მათ ხშირად ეკონომიკურ ინტერესთა მცირერიცხოვანი ჯგუფების პოლიტიკის გასატარებლად იყენებენ.

ამასთან, მკითხველის ყურადღებას გავამახვილებ მეტად რთულ საკითხზე – კონფესიათა ეკონომიკურ ინტერესებზე.

უნდა ვაღიაროთ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის იდეა საზოგადოებაში მყოფ ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებს არაპირდაპირი გზით ხელისუფლების ხელთ არსებული ბერკეტების ფლობის სურვილს თანდათანობით დაუკარგავს. ეს პროცესი დაიწყება მაშინ, როდესაც ხელისუფლების ინსტიტუტები უარს იტყვიან მოსყიდვის, ურჩთა დასჯის (ამ შემთხვევაში დამნაშავეთა დასჯა არ იგულისხმება) მეთოდებსა და სოციუმზე მბრძანებლურ ზემოქმედებაზე. ეს პროცესი, მართალია დიდი ხარვეზებით და ძალზე ნელა, მაგრამ მაინც უკვე დაიწყო. იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი სამშობლოს ინტერესებში წარმატებით განხორციელდება. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების ინტერესი გადაინაცვლებს საზოგადოებაზე ზემოქმედების მქონე ისტიტუტების შემადგენლობაში მოქმედ სუბიექტებზე.

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია „სამშობლოსა“ და „სახელმწიფოს“ ცნებათა ურთიერთდამოკიდებულებას დავუკვირდეთ. ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობა სახელმწიფოს სამშობლოს დამცავ ორგანიზაციად და საზღვრად აღიქვამს. ნაციონალური იდეა სამშობლოს აღქმასთან და გაცნობიერებასთან ერთად იბადება, მაგრამ მხოლოდ სახელმწიფოს დაარსების შემთხვევაში პოვებს გაფართოებისა და განვითარების შესაძლებლობას.

სამოქალაქო საზოგადოების წევრი ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან აღმსარებლობით, კულტურით, სამეწარმეო უნარითა და სხვა მრავალი მახასიათებლით, მაგრამ სამშობლოს ისინი მოცემული სახელმწიფოს საზღვრებში უნდა აღიარებდნენ. როდესაც გარკვეული სუბიექტური ან ობიექტური მიზეზების გამო ეს კავშირი დარღვეულია, მაშინ ადამიანთა ჯგუფები თავიანთი ისტორიული სამშობლოს ან სულაც უცხო ქვეყნის ნაციონალური (სახელმწიფო) ინტერესების რეალიზაციისთვის იწყებენ საქმიანობას. ამ პროცესს მათთვის არა მარტო სახელმწიფო ინტერესებთან კონფლიქტი მოსდევს, არამედ იმ მოქალაქეთა ჯგუფებთანაც, რომლებიც სამშობლოს მოცემული სახელმწიფოს საზღვრებში აღიქვამენ. აღნიშნულ შემთხვევებში ყალიბდება ვითარება, რომელიც სახელმწიფოს ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა ნაციონალური თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან აქტივობას „ცეცხლზე ნავთის დასხმად“ აქცევს.

ასეთი კონფლიქტების ლიკვიდაცია ურთულესი პრობლემაა და ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, იგი კიდევ უფრო ღრმავდება. ისმება ლოგიკური კითხვა: ვინ არის (რომელი ინსტიტუტები) პასუხისმგებელი ასეთი კონფლიქტების გაჩენაზე, ან ვის ხელეწიფება მისი ლიკვიდაცია? ამ კითხვაზე პასუხი რთული არ არის, როგორც წესი, ობიექტურ მიზეზებს აყალიბებს გარკვეული ხელისუფლების მხრიდან გატარებული მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა, სუბიექტურ მიზეზებს კი ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების მხრიდან კონფლიქტის გამომწვევი პროვოკაციული აქტივობა.

საინტერესოა, ვინ ფლობს წარმოქმნილი წინააღმდეგობების განეიტრალების ან ლიკვიდაციის შესაძლებლობას? ისევ გავიმეორებთ, რომ ჩვენი ღრმა რწმენით, ასეთ ინსტრუმენტებს ფლობენ: სახელმწიფოს საზღვრებში ოფიციალურად მოქმედი კონფესიები, მასობრივი იფორმაციის საშუალებები, სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებები და საზოგადოების მიერ აღიარებული ავტორიტეტები (განათლებული ადამიანები). ამავე დროს თუ კარგად გავაანალიზებთ ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბებულ სიტუაციას შევამჩნევთ, რომ საზოგადოებაზე ზემოქმედების ყველაზე მრავალრიცხოვან და ეფექტურ ინსტრუმენტებს სხვადასხვა კონფესიები ფლობენ.

თუ დავკონკრეტდებით, ამ მხრივ, ცხადია, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული პოზიცია და როლი აქვს. განსაკუთრებული პოზიცია განსაზღვრულია კონკორდატის შეთანხმებით.[1] ამ შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მართალია, სახელმწიფო რელიგიად არ არის გამოცხადებული (ცეზაროპაპიზმი არ ჩამოყალიბდა), მაგრამ მისი განსა-

[1] ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია: ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები. „ფავორიტი პრინტში“. თბილისი 2013. გვ. 15–20.

კუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში ჩვენი კონსტიტუციით აღიარებულია. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი ვითარცა მთავარეპისკოპოსი და ვაზირი, სასულიერო და საერო ხელისუფლების შემაერთებელი იყო. ამიტომაც მწიგნობართუხუცესს ეკითხებოდა ყველა საქმე ეკლესიებისა და მონასტრების, სამღვდელოებისა და მოწესეთა შესახებ“.[1]

დღეს ისევე როგორც XII საუკუნეში, ქართული რენესანსის პერიოდში, ჩვენი სამშობლოს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მთავარი სიმძიმე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა (როგორც განსაკუთრებული როლის მქონე კონფესიის) და სამეცნიერო–საგანმანათლებლო სფეროს კომპეტენციას წარმოადგენს. ამ ორი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინსტიტუტის საქმიანობას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობა უნდა აძლიერებდეს (რაც ხშირად მასმედიას მასზე ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების ზემოქმედების გამო კარგად არ აქვს გაცნობიერებული). აღნიშნულ ინსტიტუტებზე ზემოქმედებას სახელმწიფოს სახელისუფლებო შტოები მხოლოდ ნაციონალური ინტერესების რეალიზაციის მიზნით უნდა ახდენდნენ.

სახარება გვასწავლის – „მიეცით კეისრისა კეისარს და ღვთისა – ღმერთს“ (მარ. 12,17). ცხადია, ჩვენ არ შეგვწევს ძალა „კეისრისა კეისარს“ სრულყოფილი ინტერპრეტაცია მივცეთ, მაგრამ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმარტება ამ სიტყვებისა, საკუთრების საკითხებში უნდა ვეძიოთ.

რწმენასთან ერთად საკუთრება აძლიერებს ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისთვის მოღვაწე საზოგადოებრივი ინსტიტუტების საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით მართალია გაუმართლებლად ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკუთრების დაბრუნების მიზნით მისი ეკონომიკური ინტერესების განსაზღვრა, დაფუძნება და გაფართოება. ადვილი მისახვედრია, რომ ამ პროცესს თან მრავალი არასასურველი პრეცენდენტი და რისკი ახლავს. მაგალითად, კერძო ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების მიერ სკუთარი ინტერესებით მართლმადიდებელი ეკლესიის ეკონომიკური ინტერესების ჩანაცვლების აგრესიული მცდელობები.

განვიხილოთ რისკები, რომლებიც ამ პროცესთან დაკავშირებით უკვე მოქმედებს და მათი იგნორირება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, არა მარტო სხვადასხვა კონფესიისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვისაც.

აღნიშნულ რისკებს შორის მნიშვნელოვანია, კერძო ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების მიერ შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფების მობილიზების გზით, მოქალაქეთა რელიგიურ გრძნობებსა და მენტალიტეტზე ზემოქმედება (სწორედ ამ პროცესთან არის დაკავშირებული რომელიმე რეგიონის მოქალაქეთა აღმსარებლობის მიხედვით „მცირერიცხოვან“ და „მრავალრიცხოვან“ ჯგუფებად გამოცხადებისა და დაყოფის უპასუხისმგებლო მცდელობა).

საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკის კურსიდან ცხადია, რომ რაც უფრო მცირერიცხოვანია კერძო ეკონომიკურ ინტერესთა „ლობისტური“ ჯგუფი (რომელიც საკუთარი კერძო ინტერესების რეალიზაციისთვისა და პრივილეგიების მიღების მიზნით განსხვავებული აღმსარებლობის მოქალაქეებს მათი მენტალიტეტის საფუძველზე უპირისპირებს ერთმანეთს), მით უფრო ეფექტურია მისი მოქმედება.

სრულიად საწინააღმდეგო ეფექტთან გვაქვს საქმე მრავალრიცხოვანი ჯგუფის ფორმირებასთან დაკავშირებით. ამდენად, თუ შევეცდებით რისკის დაზღვევას, მცირერიცხოვან ჯგუფს არასდროს მრავალრიცხოვანი ჯგუფი არ უნდა დავუპირისპიროთ. განსხვავებული აღმსარებლობის მოქალაქეთა მენტალიტეტით მანიპულირების მოსურნეთა გამოაშკარავებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვადასხვა კონფესიების მსახურთა აგრეთვე მცირერიცხოვანი კარგად ორგანიზებული ლობისტური ჯგუფების გამოვლენა და მათთან კონსტრუქციული დიალოგი (რომელიც მიზნად ისახავს რელიგიურ ნიადაგზე წინააღმდეგობათა ხელოვნური გაღრმავებისა და გააქტიურების საფუძველზე წარმოქმნილი გრძელვადიანი დამანგრეველი შედეგების გაცნობიერებასა და მათ პროვოცირებაში მონაწილე აღმსარებელთა კონფესიებისთვის კონფლიქტზე სრულ პასუხისმგებლობის მინიჭებას).

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1982. გვ. 276.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგადად ნებისმიერი ხელოვნურად, თუ გარკვეულ წინააღმდეგობათა არსებობის საფუძველზე, წარმოქმნილი კონფლიქტების რისკების დაზღვევის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს: რეგიონის მოქალაქეთა და კონფესიების მსახურთა განათლების დონის ამაღლება, დაპირისპირებულ მხარეთა რეალური მოტივაციის განხილვა და მათი პასუხისმგებ-ლობის საკითხის დაყენება. დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ პრობლემების მოგვარება და სხვადასხვა კონფესიის წიაღში თავმოყრილ უპასუხისმგებლო მანიპულატორთა განეიტრალება გაცილებით დაჩქარდე-ბა რელიგიის კანონის მიღებით.

Irina Gogorishvili

Orthodox Church and the Idea of Construction of the Georgian State

Resume

The article presents the role of confessions and in particular Orthodox Church in formation of a civil society in Georgia. The Georgian Orthodox Church plays special role in formation of the Georgian nation and the state. Therefore, the constitutional agreement between the state and the church (concordat) imposes special responsibility on the state concerning return of the property and other rights for Georgian Orthodox Church. The article analyses the risks and contradictions, which arise in the process of constructions of a civil society. It especially concerns those groups of economic interests which by instigation use religious feelings of people of others faith against Georgian Orthodox Church and the state interests. The scientific work considers the connection between national idea, process of a structure of the state and a civil society in Georgia. Some possibilities of overcoming the risks accompanying these processes are suggested.

ნოდარ ბრძელიშვილი

რელიგიური ტურიზმი, როგორც მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის ფაქტორი

საქართველოს თვითგამორკვევა რეგიონულ ურთიერთობათა სისტემაში, მისი ეკონომიკური პოტენციალის გამოვლენა და განვითარება, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს.

ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს სრულფასოვანი ინტეგრირება რეგიონულ ეკონომიკაში და ამით ქვეყნის პოტენციალის ზრდა და შეუქცევადი განვითარება, დიდწილად დამოკიდებულია სრულფასოვანი და მაღალი ხარისხის ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაზე.

დღეს, მსოფლიოს ინტეგრაციული განვითარებას საფუძვლად ყველა ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთქმედება უძევს. სამწუხაროდ, საქართველოს თავისი კულტურული პოტენციალი, საუკეთესო ბუნებრივი პირობები, ძალზედ უმნიშვნელოდ აქვს გამოყენებული ტურისტული ინდუსტრიის განსავითარებლად. ამის ერთ-ერთ მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, ქვეყნის შიგა კონფლიქტები და რეგიონული პოლიტიკური დაძაბულობა იყო, რამაც კვანძის ტრაგიკულად გაჭრამდე მიგვიყვანა.

სწორედ შექმნილი მდგომარეობის გამო, დღეს სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია ასაყვანი, რეგიონული ტურისტული ურთიერთობების განვითარება, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ტურიზმის ერთ-ერთ სახეობას – რელიგიურ ტურიზმს უნდა მიენიჭოს. მართლაც, თუ გადავხედავთ ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებს და დღემდე დაპირისპირებულ ქვეყანას – რუსეთს, ადვილი დასანახია (თუმცა, მძიმე აღსაქმელი), რომ დაპირისპირებები სწორედ ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ ერებს შორის მოხდა, რისი უმნიშვნელოვანესი მიზეზი რელიგიური ფაქტორის, მისი გამაერთიანებელი როლის არ გამოყენება იყო სახელმწიფოს მიერ. ინტეგრაციულ პროცესებში რელიგიური ტურიზმის წინ წამოწევას კი შეეძლო და დღემდე შეუძლია უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოს. შედეგად კი მივიღებთ განახლებულ ურთიერთობებს და გამოცოცხლებულ ეკონომიკას.

დღესდღეობით რელიგიური ტურიზმი, ტურისტულ საქმიანობაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიურად განვითარებადი მიმართულებაა. სწორედ რელიგიური ტურიზმის მიმართ მძლავრი ინტერესი ხდის მას სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორად.

მსოფლიო მოსახლეობის გადაადგილებაში მნიშვნელოვანი ადგილი „წმინდა ადგილებში“ სალოცავად წასვლას, ანუ რელიგიურ ტურიზმს უჭირავს. რელიგიური ტურიზმი, ტურიზმის ყველაზედ ძველ ფორმას წარმოადგენს, რომელიც მაშინ ჩაისახა, როდესაც მსოფლიოში შეიქმნა რელიგიის სხვადასხვა მიმდინარეობა. მომლოცველობითი ტურები რელიგიურ-შემეცნებით და კულტურულ-ისტორიულებისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს არა მხოლოდ შემეცნებით მიზნებს, არამედ ისტორიულად ჩამოყალიბებული სალოცავი რიტუალების ჩატარებას (სარწმუნოების მიხედვით), რომელიც სრულიად განსხვავდება გასართობი, გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი და ტურიზმის სხვა სახეობებიდან. მომლოცველობის საერთო საფუძველს რწმენა წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ლოცვა ან ამა თუ იმ რიტუალის ჩატარება ყოველთვის ეხმიანება რომელიმე ღვთაებასთან დაკავშირებულ ადგილს, ბუნებრივ ან ადამიანის მიერ შექმნილ საკულტო ნაგებობას (ეკლესიები, ტაძრები, მეჩეთები, სინაგოგები, სამლოცველო სახლები, ხატები, „წმინდანთა“ ნაწილები), რომელთა მიზანს წარმოადგენს ადამიანთა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და რელიგიური ცნობიერების გამოცოცხლება[1].

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემებით, ტურიზმის შედარებით ყველაზე უფრო პერსპექტიული მიმართულებებს შორის პირველი ადგილი სწორედ რელიგიურ (მომლოცველობით) ტურიზმს უჭირავს. ექსპერტები რელიგიურ ტურიზმს აფასებენ როგორც XXI საუკუნის ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებას. ასეთი ტენდენცია დაკავშირებულია თანამედროვე ადამიანის გაზრდილ მოთხოვნილებებთან – უფრო ღრმად გაეცნონ მსოფლიო რელიგიებს, გაიღრმაონ ცოდნა ცალკეული ქვეყნების და რეგიონების რელიგიური ცხოვრების შესახებ, აგრეთვე სურვილით, მიიღონ სულიერი სიმდიდრე

[1] ბირჟაკოვი მ., ტურიზმის თეორია (ქართული თარგმანი მ. მეტრეველისა). გამ. შპს. „ფოტონი“. თბილისი, 2004. გვ. 2-10.

ასეთი მოგზაურობიდან. დღეს რელიგიური მისწრაფებებით მოგზაურობის გეოგრაფია ფართოვდება გაცილებით სწრაფად, ვიდრე ტურიზმის სხვა მიმართულებები.

რელიგიურ ტურიზმს გააჩნია ორი ძირითადი სახესხვაობა – მომლოცველობითი ტურიზმი და ექსკურსიული ტურიზმი რელიგიური თემატიკით. მომლოცველობა, რომელიც ქვეყნის გარეთ, ძირითადად საპატრიარქოს ტურიზმის დეპარტამენტის მიერ, ხოლო ქვეყნის შიგნით ადგილობრივ ეკლესიათა ძალისხმევით და მრევლის მონაწილეობით ხორციელდება, გარკვეულწილად ტურისტული ინდუსტრიის საგნად ვერ განიხილება, რადგან კომერციული ინტერესი აქ პირდაპირ არაა წარმოდგენილი, თუმცა, მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ითამაშოს კონფლიქტების ჩაცხრომაში, რასაც უკვე ვწერდით წიგნში „აფხაზეთი – ქრისტიანობა და ეკონომიკა“.

ზოგადად, ტურისტული პოტენციალი შეიცავს ორ ძირითად მიმართულებას - პირობებს და რესურსებს. რელიგიური ტურიზმის მიმართ შეიძლება ითქვას, რომ პირობები – ეს შესაძლებლობები და წანამძღვრებია ამ სახეობის ტურიზმის კეთილსასურველად გასავითარებლად. შეიძლება ჩამოვთვალოთ შემდეგი პირობები – ბუნება, ისტორია, მოსახლეობა, კულტურა, ეკონომიკა, პოლიტიკა. როდესაც კონფლიქტურ რეგიონებზე ვმსჯელობთ, აქ რა თქმა უნდა, უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორი სწორედ დაძაბული პოლიტიკური ფონის არსებობაა. ამ ფონის შენელება-განეიტრალება (პირველი ნაბიჯების გადადგმა) ჩვენ სწორედ საპატრიარქოს ეგიდით განხორციელებულ მომლოცველთა ორგანიზებული ტურებით გვესახება.

რელიგიური თემატიკის ექსკურსიული ტურიზმით კი, ჩვენი აზრით, უპირველესად უნდა იყოს დაკავებული სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. ახალგაზრდული ტურიზმი კონფლიქტურ რეგიონებში კი შეიძლება გახდეს შემდეგი ნაბიჯი ურთიერთობების დათბობაში. საპილოტე პროგრამა შეიძლება განხორციელდეს გალისა და ოჩამჩირის შერეულ ქართულ-აფხაზურ სოფლებში, სადაც ამასთან, ქრისტიანული კულტურის ძეგლები, ისტორიული თუ ბუნებრივი ღირსშესანიშნაობანი არსებობს. აქცენტი პირველ ეტაპზე უნდა გაკეთდეს ახალგაზრდულ ტურიზმზე, რადგან მათ ომის ქარცეცხლი უშუალოდ არ შეხებიათ. აქაც, საქართველოს საპატრიარქოს უშუალო ჩართულობით განსახორციელებელი ეს პროექტიც ორმხრივი ნდობის პირობებში, იმედია დაიწყება და წარმატებულიც აღმოჩნდება.[1]

დღევანდელ ეტაპზე, ტურიზმი სახელმწიფოს მიერ პროტექციონისტულ პოლიტიკას მოითხოვს, ეს შეიძლება გამოიხატოს იგივე სპორტისა და ახალგაზრდული სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობაში რუსეთისა და დსთ-ს სხვა ქვეყნების ანალოგიურ უწყებებთან, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების სახით. როდესაც, საუბარია რუსეთთან ეკონომიკური კავშირების აღდგენის აუცილებლობაზე, რაც ქართული ეკონომიკის სტაგნაციიდან გამოსასვლელად უმნიშვნელოვანესი პირობაა, გათვლა გრძელვადიანი ურთიერთობების აღდგენისაკენ და არა მიმდინარე ეტაპზე „ახლა ასე ვცადოთ“ პრინციპზე უნდა იყოს მიმართული. დსთ-ს სივრცეზე დავიწყებული საქართველოს წარმოჩენა, ახალგაზრდულ ტურიზმში პროტექციონისტული პოლიტიკის შედეგად უნდა გავხადოთ შესაძლებელი, ამან შეიძლება მიმდინარე ეტაპზე ფინანსური რესურსების ხარჯი გამოიწვიოს, თუმცა არცთუ გრძელვადიან პერსპექტივაში, ყოველივე ათმაგ ეფექტს, უპირველესად კი სწორედ ტურისტთა რიცხვის განუწყვეტელ ზრდას მოიტანს, მიმდინარე კეთილსასურველი ეფექტებით.

რელიგიური ტურიზმი, იკავებს რა საკუთარ ნიშას ტურისტული წინადადებების სპექტრში, მჭიდროდ და განუყრელადაა დაკავშირებული, ტურიზმის სხვა სახეობებთან. საქართველოში ეკლესია-მონასტრები ყველა რეგიონშია, რელიგიური ტურიზმის განვითარება კი რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს, აგროტურიზმს კი ერთ-ერთ პრიორიტეტულ ტურისტულ სახეობად გადააქცევს. მიმზიდველობა, ხალხი, პროდუქტი – ეს არის აგროტურიზმის ძირითადი კომპონენტები. აგროტურიზმის წარმატებით განვითარება პარტნიორულ ურთიერთობაზეა დამყარებული, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი მდგრადი განვითარებისათვის.

---

[1] გრძელიშვილი ნ., „აფხაზეთი – ქრისტიანობდა და ეკონომიკა”. თბ. 2011, გვ.115-116.

დღევანდელ პირობებში, როდესაც ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი სოფლიდან მიგრაციის შეჩერება და ხალხის ადგილზე დასაქმება უნდა იყოს, მსგავსი პროექტების განხორციელებას თავადაც უნდა უწყობდეს ხელს. საჭიროა ამა თუ იმ სოფლის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და გარკვეული ინვესტიციების განხორციელება კომუნიკაციების მოსაწესრიგებლად. ასევე მიზანშეწონილი იქნება, საკუთრივ სოფლის მცხოვრებთათვის გრძელვადიანი კრედიტების გაცემა, საკუთარი სახლისა და მეურნეობის სათანადო დონეზე მოსაწყობად, კერძო სასტუმროების ასაშენებლად. ამისათვის კი საჭიროა ინვესტიციები[1]. ინვესტიციების მოზიდვის რეალური გასაღები – ამა თუ იმ რეგიონის პოლიტიკური კლიმატის თავისებურებებშია, კერძოდ, ჯანსაღ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში, საკუთრების მკაფიოდ ჩამოყალიბებულ უფლებებში და ეფექტიანად ფუნქციონირებად ფინანსურ და საბანკო სექტორებში. რეგიონულმა ინტეგრაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოცულობის ზრდას, თუ იგი არსებითად ამაღლებს პოლიტიკისადმი ნდობას და აფართოებს ბაზრებს, მაგრამ ეს პროცესი შეთანწყობილ უნდა იქნეს ადეკვატურ ზოგადპოლიტიკურ კურსთან.[2]

კვლავ მსოფლიო სტატისტიკას თუ დავუბრუნდებით, მსოფლიო ტურიზმმა ბოლო 30 წლის განმავლობაში მიაღწია განსაკუთრებულ წარმატებებს - საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 4 ჯერ, ხოლო სავალუტო შემოსავლები კი თითქმის 25-ჯერ. რელიგიური ტურიზმის მსოფლიო ბაზარი შეადგენს დაახლოებით 18 მლრდ დოლარს წელიწადში (დაახლოებით 2%-ია ტურიზმის შემოსავლებიდან).

2011 წელს ტურიზმის წილმა მსოფლიო მთლიან შიგა პროდუქტში 9% შეადგინა, რაც 6 ტრლნ დოლარს აღემატება. აღნიშნულ სექტორში 255 მლნ-ზე მეტი ადამიანი მუშაობს, რაც მსოფლიო მასშტაბით დასაქმების 8.7 %-ს შეადგენს. მოსალოდნელია, რომ ტურიზმის ინდუსტრიის ზრდა გაგრძელდება საშუალოდ 4%- იანი წლიური მატების ტემპით და უახლოეს წლებში მშპ-ის 10%-ს, ანუ დაახლოებით 10 ტრლნ დოლარს გაუტოლდება. მთლიან საერთაშორისო მოგზაურთა შორის საქართველოს სტუმართა წილი 2007 წლიდან 2012 წლამდე 0.12%-დან 0.29-მდე გაიზარდა.[3]



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ტურიზმი ხასიათდება მაღალი მულტიპლიკატორული ეფექტით, რაც გულისხმობს იმას, რომ უშუალოდ ტურიზმში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი, მომიჯნავე დარგებში ქმნის სამ ახალ სამუშაო ადგილს, როგორიცაა: ტრანსპორტი, მომსახურება, ვაჭრობა და სხვა. ტურიზმის შემოსავლების ერთი ერთეულით ზრდა, მომიჯნავე დარგებში შემოსავლების ორი ერთეულით ზრდას იწვევს.

---

1 მაგ. ლიტვაში სოფლის ტურიზმის განსავითარებლად სახელმწიფოსა და ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების მიერ 2007-2012 წლებისათვის გამოყოფილი იქნა 82 მლნ ევრო.

2 ბარათაშვილი ე., თაკალნძე ლ., გრძელიშვილი ნ. ბიზნესის ადმინისტრირება და კონკურენტუნარიანობა, თბ., 2010. გვ. 216-218.

3 საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მიმოხილვა. 2012. გვ 1-2.

ტურიზმს ერთი უნიკალური თვისებაც აქვს, რომელიც არც ერთ სხვა დარგს არ გააჩნია – მას შეუძლია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრება. ტურიზმის განვითარება გარკვეულწილად სტიმულატორის (კატალიზატორის) როლს ასრულებს ქვეყანაში უამრავი სხვა დარგის განვითარებისათვის. ის კავშირშია მრავალ მომიჯნავე და არამომიჯნავე დარგის განვითარებასთან.[1]

საქართველოში რელიგიურ ტურიზმს თავისებურ მომხიბვლელობას მატებს ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში სხვადასხვა რელიგიური კონფენსიების არაერთი სალოცავია.

დღევანდელ დღეს 90% ობიექტებისა მსოფლიოში, რომელიც წარმოადგენს ინტერესს ტურისტებისათვის, ასე თუ ისე დაკავშირებულია რელიგიასთან, თუმცა მათმა გარკვეულმა ნაწილმა დაკარგა მისი თავდაპირველი მნიშვნელობა. საქართველოში ასეთი ობიექტების რიცხვი აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს, გათვალისწინებით ქრისტიანობის გავრცელების მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა. ამიტომაც აუცილებელია რელიგიური ტურიზმის მაქსიმალური პოტენციალის გამოვლენა, ზომების მიღება მისი განვითარების ოპტიმიზაციისათვის და მომავლისთვის მისი როლის პროგნოზირება.

საქართველოში 12 000-ზე მეტი ისტორიული და კულტურული მონუმენტია, რომელთაგან 4 შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში: 1. მცხეთა – საქართველოს უძველესი დედაქალაქი; 2. ბაგრატის ტაძარი (XI ს.); 3. გელათის მონასტერი ქუთაისში (XI ს.); 4. სოფელი უშგული სვანეთში, რომელიც ითვლება ევროპის ყველაზე მაღლა მდებარე დასახლებად (2300 მ.)



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო. 2010 წლის ცხრა თვის მონაცემები.

როგორც მოცემული გრაფიკებიდან ჩანს რელიგიური ტურიზმი მზარდი ტენდენციით ხასიათდება და დარწმუნებულნი ვართ, რომ რელიგიური ტურიზმი სულ უფრო მეტ საერთაშორისო ტურისტს მოიზიდავს და კიდევ უფრო დიდ სეგმენტს დაიკავებს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში, ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში.

საქართველოსათვის ტურიზმის ინდუსტრიის არანაკლებ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საშინაო ტურიზმი, რომელიც შემდეგი მახასიათებლებით ხასიათდება:

- საშინაო ტურისტები ფულს ხარჯავენ არა უცხო, არამედ საკუთარი ქვეყანაში, რის გამოც არ ხდება ფულის გადინება, რაც, საბოლოოდ, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას;
- საშინაო ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის იმ რეგიონების განვითარებაში, რომელთაც არ გააჩნიათ საწარმოო რესურსები და საშუალებები, რადგან იძლევა შემოსავლების გადანაწილების საშუალებას რეგიონებს შორის;
- საშინაო ტურიზმის განვითარება შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს რეგიონში არსებულ, ტურიზმის სფეროსთან პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებული ფირმებისათვის;

---

[1] დევაძე ა., გრძელიშვილი ნ. ტურიზმი საქართველოში – არსებული მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები, თბ., 2012. გვ. 149.

საშინაო ტურისტებს ხშირად იმავე ტურისტულ პროდუქტზე აქვთ მოთხოვნა, რაზეც საერთაშორისო ტურისტებს და იმ ინფრასტრუქტურასა და ობიექტებს იყენებენ, რომლებიც განკუთვნილია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ამიტომ ამ ობიექტების საშინაო ტურისტებით დატვირთვა უნდა აკონტროლონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც რომ, შიდა ტურიზმში ძირითადად ახალგაზრდები არიან ჩართულნი და ისინი საექსკურსიო-შემეცნებით და რეკრეაციულ ტურიზმთან ერთად ეკლესია-მონასტრების მონახულებით არიან დაინტერესებულნი, მაშინ დავინახავთ რომ ქვეყნის შიდა რელიგიური ტურიზმი არა მხოლოდ ტურიზმის ერთ-ერთი სახეობაა, არამედ მას გაცილებით სიღრმისეული დატვირთვა აქვს, იგი ხელს უწობს ახალგაზრდების პატრიოტული და მართმადიდებლური სულით აღზრდას. ეს კი ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია დღევანდელი საქართველოს სინამდვილეში.

რელიგიური ტურიზმის პოტენციალის განხილვა აფხაზეთის მაგალითზე

დღეისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე ქრისტიანული ხუროთმოძღვრების დაახლოებით 80 ნაგებობაა აღრიცხული[1]. ისინი საქართველოსთან კულტურულ-ისტორიული ერთობის სიმბოლოებს წარმოადგენენ. გუდაუთის რაიონში რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის, აქ არსებული მრავალრიცხოვანი ძეგლების არსებობის გათვალისწინებით, დიდი შესაძლებლობები არსებობს. ტურისტებისათვის უპირველესად დიდი ინტერესის გამომხატველი აუცილებლად იქნება (და ყოველთვის იყო), სოხუმიდან 22 კმ-ში მდებარე უნიკალური კურორტი ახალი ათონი.

ახალ ათონში კონცენტრირებულია დიდი რაოდენობის ღირსშესანიშნაობები ისტორიული და წმინდა ადგილები. **წმ. პანტელეიმონის ტაძარი**. ტაძარი 1875 წელს ივერიის მთაზე, საბერძნეთიდან ათონის წმინდა მთაზე მდებარე, ივერთა მონასტრიდან წამოსულმა რუსმა ბერებმა დაარსეს. სამონასტრო მოღვაწეობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1879 წლის 8 დეკემბერს იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ "ახალ-ათონის მონასტრის წესდების" დამტკიცების შემდეგ. სამონასტრო კომპლექსის ცენტრში აღმართული წმ. პანტელეიმონის ტაძარი, ახალბიზანტიურ სტილში აგებული ხუთგუმბათოვანი ტაძარია, ცენტრალური გუმბათის სიმაღლე 40 მეტრია. ტაძრის სიგრძე 53,3 მეტრია, სიგანე 33,7. ტაძარში ერთდროულად შეიძლება დაჰყოს 3000 ადამიანმა. სამონასტრო კომპლექსი აფხაზეთის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, თუმცა რელიგიური ცხოვრების კუთხით ტაძრის გარშემო არცთუ სასიამოვნო ვითარებაა შექმნილი, მღვდელმსახურთა შორის ადგილი აქვს დაპირისპირებას.[2]

ახალი ათონის მონასტრებს შორის აუცილებლად უნდა აღინიშნოს X საუკუნეში სიმონ კანანელის დაკრძალვის ადგილას აგებული დიდებული ტაძარი, ასევე სალოცავი-მღვიმე მდინარე ფსირცხასთან მდებარე ქვაბულში, სადაც გადმოცემით სიმონ კანანელი დასახლდა და დაიწყო ქრისტეს სიტყვის ქადაგება. სოფელ ლიხნში მდებარეობს, X საუკუნეში ნაგები **ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი**. იგი ჯვარ-გუმბათოვანი, სამაფსიდიანი ნაგებობაა. შენობა გამოირჩევა ფორმების სიმკაცრით და ამავდროს პროპორციების სისუფთავითა და ჰარმონიით, რაც ხუროთმოძღვართა დიდ ოსტატობაზე მეტყველებს.

ლიხნის ტაძრის კედლებზე გამოსახულია წმინდანთა მრავალრიცხოვანი ფრესკული გამოსახულებები, რომელთა დიდ ნაწილს ახლავს გამოსახულების განმარტებითი წარწერები. დაახლოებით 17-მდე წარწერა შესრულებულია ასომთავრული ანბანით.

გუდაუთის რაიონში მდებარე სხვა ქრისტიანული კულტურის ძეგლებიდან, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს ტურისტულ მარშრუტთა სიაში შეყვანილი, უნდა აღინიშნოს სოფელ ანუხვის XI საუკუნის ეკლესია, რომლის წარწერებიც შესრულებულია ქართული ასომთავრული ანბანით. ასევე, სო-

---

1 ახალაძე ლ., თანამედროვე აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები. expertclub.ge

2 მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორის დიაკვან ანდრეი კურაევის თქმით, დღეს ათონის მონასტერში არც მორჩილნი არიან და არც ბერები. არის რაღაც გაურკვეველი უცოლო მამაკაცების საერთო საცხოვრებელი. რადგან არის ტურისტული კომპლექსი, არ არსებობს საერთო წესები, არც ყოველდღიური მსახურება. არ არის მორჩილებაც. იქ საერთოდ მონასტრის ნასახიც არ არის.

ფელ პრომორსკოესთან ახლოს, მდინარე წკუარას ხეობაში მდებარე VIII-IX საუკუნის ტაძარი. ამ ტაძარში აღმოჩენილი იყო დასავლეთ საქართველოში ყველაზე უძველესი ასომთავრული წარწერების ნიმუშები. დღეისათვის ამ უნიკალური ტაძარის ნაშთებიც კი მიუხედავია; ამავე ეპოქის ხუროთმოძღვრების ნიმუშია მიუსერას ტაძარი; ცალკე აღნიშვნის ღირსია სოფელ ბზიფში მდებარე IX-X საუკუნის კომპლექსი, რომელშიც შედის ციხე და ტაძარი, იგი გალავნითაა შემოზღუდული. მიუხედავად იმისა რომ ტაძარს გუმბათი აღარ შემორჩა მნახველებზე მაინც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ქმნის.

გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდაში მდებარეობს **ღვთისმშობლის ტაძარი**, რომლის ფორმები ბიზანტიური არქიტექტურული სტილითაა შექმნილი. ტაძარი 1737 წელს თურქებმა გადაწვეს. ღვთისმსახურება თითქმის საუკუნენახევრის შემდეგ – 1871 წელს იქნა აღდგენილი.

სოხუმის რაიონის ტურისტული მარშრუტები გვერდს ვერ აუვლის აქ მდებარე ძველ რელიგიურ ცენტრებსა და ბრწყინვალე არქიტექტორული სტილით ნაგებ ქრისტიანული კულტურის ძეგლებს.

კომანის მონასტერი. კომანი აფხაზეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. იგი სოხუმიდან 12 კილომეტრში მდებარეობს. აქ აღმართულია XI-XII საუკუნეების ცნობილი მონასტერი. აქ აწამეს წმინდა მოწამე ვასილისკო. აქ მიაბარა სული უფალს გადასახლებაში მყოფმა კონსტანტინეპოლის დიდმა მღვდელმთავარმა წმინდა იოანე ოქროპირმა. ტაძარში ინახება ქვის სარკოფაგი რომელშიც იგი პირველად იყო დამარხული, 30 წლის შემდეგ იგი გადასვენებულ იქნა კონსტანტინეპოლში. აქ მიუვალ მთებში მესამედ გადამალეს პატიოსანი თავი იოანე ნათლისმცემლისა. კომანი წმინდა ადგილია. ყოველთვის დიდი იყო მომლოცველთა ნაკადი.

ოჩამჩირის რაიონში, გარდა დიდებული მოქვის ტაძრისა, აღსანიშნავია ილორის ეკლესია. ოჩამჩირიდან სამიოდე კილომეტრში მდებარეობს სოფელი ილორი, სადაც აღმართულია **ილორის წმინდა გიორგის ეკლესია,** რომელიც იყო დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი. მასში არასდროს წყდებოდა მომლოცველთა ნაკადები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. დღესდღეობით XI საუკუნეში აგებული ტაძარი "რეკონსტრუქტუირებულია" – იგი თეთრადაა შეღებილი როგორც შიგნიდან ისე გარედან, დაკარგული აქვს პირვანდელი სახე. ქართული ლაპიდარული წარწერები აღარ იკითხება.

ისტორიული წყაროების თანახმად ბედიის სამონასტრო კომპლექსი, დაარსებულია X საუკუნის ბოლოს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III ბაგრატიონის მიერ. ბაგრატ III მისივე ანდერძით ბედიის მონასტერშია დაკრძალული. ტაძარზე და საეკლესიო ნივთებზე შემორჩენილია ქართულ ასომთავრულზე შესრულებული წარწერები. დავით აღმაშენებელმა საქართველოს და ქართული ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოდ ბედიის არქიეპისკოპოს სვიმეონს მიანიჭა ბედიელ-ალავერდელის წოდება. **იმედია, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, ბედიის მონასტერს კვლავ აქცევს ქართველთა და აფხაზთა ერთიანობის სიმბოლოდ**.

გალის რაიონი. ისტორიული სამურზაყანო, რომელიც ისტორიის მანძილზე ხშირად წარმოადგენდა ოდიში-სადადიანოს შემადგენელ ნაწილს, საკმაოდ მდიდარია ქრისტიანული კულტურის ძეგლებით, რომლებიც შეიძლება შეტანილ იქნას ტურისტულ მარშრუტთა სიაში.

სოფელი გუდავა და გუდავის ეკლესია. სოფელი გუდავა უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს. მკვლევართა ვარაუდით, ბერძნულ და ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული ციხესიმაგრე ზიგანისი დღევანდელი გუდავა უნდა იყოს. VI-X საუკუნეებში ლაზიკის ოთხი საეპისკოპოსო კათედრიდან ერთ-ერთი სწორედ გუდავაში იყო. აფხაზთა და ქართველთა მეფემ ბაგრატ III (X-ს). გააუქმა გუდავის საეპისკოპოსო, როგორც ბერძნული საეკლესიო პოლიტიკის საყრდენი საქართველოში და ბედიის საეპისკოპოსო დაარსა.

დღეისათვის გუდავის ტერიტორიაზე მხოლოდ ბაპტისტერიუმია არქეოლოგიურად დადასტურებული, რომლის მიდამოებშიც გამოვლენილია მდიდარი არქეოლოგიური მასალა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ბაპტისტერიუმი შესაძლოა IV-V საუკუნეებით დათარიღდეს.

წარჩეს ეკლესია. გალიდან 17 კმ მანძილზე, მდინარეების ოქუმისა და წარჩეს ხეობებში მდებარეობს სოფელი წარჩე. იგი ჯერ კიდევ ფლავიუს არიანეს ყავს მოხსენიებული როგორც ქალაქი "ტარშენ". მხარეთმცოდნე ნ.შონიას გადმოცემით წარჩეში 23 ისტორიული ძეგლია, მათ შორის XIII-XIV საუკუნის

ხუროთმოძღვრული კომპლექსი „მაფაშ ოხუამე“ – მეფის ეკლესია. კომპლექსში შედის ორი ეკლესია, გალავანი და კარიბჭის ნაშთი. წარჩეს ეკლესიები XVII საუკუნეში განუახლებია სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს.

რელიგიური ტურისტებისათვის ეგზოტიკური თვალსაზრისით შეიძლება მიმზიდველი იყოს აფხაზთა წარმართული სალოცავების დათვალიერება და „წმინდა ადგილებში“ ტრადიციული რიტუალებისათვის თვალყურის მიდევნება.

აფხაზეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ შეიძლება ფართო გავრცელება ჰპოვოს ეთნიკურმა ტურიზმმა. ეთნიკური ტურიზმი მიზნად ისახავს დაბადების ადგილის, ოჯახის ძველი ან წინაპართა საცხოვრებელი ადგილის მონახულებას. ტურიზმის ეს სახეობა ნოსტალგიურის სახელს ატარებს (nostalgie tour). ამ სახეობის ტურიზმს პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვთ იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც სხვა ქვეყნებში დიდი დიასპორები ჰყავთ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზთა ტრაგედიის „მუჰაჯირობის“ შემდეგ, აფხაზებს საკმაოდ დიდი დიასპორა გაუჩნდათ თურქეთსა და ზოგიერთ სხვა ახლო აღმოსავლეთის ქვეყანაში.

ასევე, საჭიროა და მიგვაჩნია, რომ აფხაზეთის ხელისუფლებამ ცივილური იერის, გახსნილობის და გადაწყვეტილებებში დამოუკიდებლობის წარმოსაჩენად, უპირველესად ქართველ ლტოლვილებს, მათ საბოლოო დაბრუნებამდე, საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობითა და უშუალო მონაწილეობით, საეკლესიო დღესასწაულებისას, წინაპართა საფლავების და დაბადების ადგილების მონახულების საშუალება ოფიციალურად უნდა მისცეს.

აფხაზეთში არ არის მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიური ცენტრები, შესაბამისად უშუალოდ მომლოცველთა ნაკადი მრავალრიცხოვანი ვერ იქნება, თუმცა, რელიგიურ ტურიზმს საექსკურსიო-შემეცნებითი კუთხით, ადგილობრივი მრავალრიცხოვანი ტაძრებისა და სალოცავების გათვალისწინებით, გარკვეულ პირობებში საკმაო პოტენციალი გააჩნია.

თუკი პოტენციალსა და პერსპექტივებზე ვისაუბრებთ, აფხაზეთში რელიგიურ ტურიზმს გასაქანი, შეიძლება მხოლოდ დანარჩენ საქართველოსთან საზღვრების გახსნის შემდეგ მიეცეს, რადგან წარმოუდგენელიც კია, ოდესმე ამ მიმართულებით, ქართველთა ინტერესი საერთო ისტორიის ძეგლთა მიმართ, სხვა ქვეყნების მოსახლეობის ინტერესმა გადაწონოს.

როცა ტურიზმის განვითარების პირობებზე ვმსჯელობთ, ერთ-ერთი აუცილებელი პირობა პოლიტიკური სტაბილურობაა. განდგომილი რეგიონების და რუსეთთან (ტურისტების მოზიდვის მხრივ ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე ქვეყანა) დაძაბული ურთიერთობების ფონზე, ურთულესია საქართველოს, ქვეყნის გარეთ სტაბილური ქვეყნის იმიჯი შეექმნას, ქვეყნის შიგნით კი ეკონომიკურ სტაბილურობას მივაღწიოთ. ამიტომაც ჩავთვალეთ, რომ რელიგიური ტურიზმი საქართველოსთვის დიდად მეტი შინაარსის შემცველია, ვიდრე ამას სპეციალური ლიტერატურიდან განმარტებები გვეუბნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., თაკალნძე ლ., გრძელიშვილი ნ. ბიზნესის ადმინისტრირება და კონკურენტუნარიანობა. თბ., 2010;
2. ბარათაშვილი ე,. გრძელიშვილი ნ,. გალახვარიძე ნ,. ნადარეიშვილი ნ. რეგიონული ეკონომიკა. თბ. 2010;
3. ბირჟაკოვი მ. ტურიზმის თეორია (ქართული თარგმანი მ. მეტრეველისა). გამ. შპს „ფოტონი”, თბ., 2004;
4. ბუბულაშვილი ე. საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები. გამ. “ახალი ივრონი”. თბ., 2007;
5. გრძელიშვილი ნ. აფხაზეთი – ქრისტიანობა და ეკონომიკა. თბ., 2011;
6. დევაძე ა., გრძელიშვილი ნ. ტურიზმი საქართველოში – არსებული მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები. თბ., 2012;
7. მეტრეველი მ. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები. თბ., 2008;
8. სოხაძე ა., ლომთაძე მ. ტურიზმის ეკონომიკა, ქუთაისი, 2010;
9. www.ambioni.ge
10. http://www.madli.org
11. http://orthodoxy.wanex.net
12. http://www.orthodox.ge
13. http://www.kvirike.ge

Nodar Grdzelishvili

Religious Tourism - as factor for Georgia's integration into the World and Regional Economy

Resume

This work notes that in modern conditions, tourism has become the world's most powerful economic development tool, which is a major influence on the political, economic, social and cultural ties.

It is said that the current religious tourism, in a tourist activities, is one of the most actively developing directions. Religious tourism has a strong interest in social and political stability, that makes it an important factor. The World Tourism Organization (UNWTO) estimates, that tourism is the most promising directions, but in the first place, religious (General) tourism occupies. Experts assess religious tourism as the most promising direction for 21st century.

This work discusses the development of religious tourism in Georgia. The different types of religious tourism, which can be between Georgia and Russia, and between Georgian and Abkhazian people and become the basis for cooperation.

Tourism development requires investment, investment real key is, one of the region's political climate characteristics, in particular, a healthy macroeconomic policies, well-defined property rights and the efficient functioning of the financial and banking sectors. Regional integration can contribute to an increase in the volume of investments, if it substantially enhances policy credibility and expand markets, but this process should facilitate adequate general policy.

This work notes that the development of tourism in Georgia – is one of an essential factors for regional stability. And that is why, Religious Tourism substitute for much more content than the interpretation of the literature tells us.

ეკატერინე გულუა

ადამიანის პოტენციალის მართვის საფუძვლები ბიბლიაში

საზოგადოების განვითარების ისტორიამ ადამიანის როლის, მნიშვნელობის აღქმის თვალსაზრისით მრავალგვარი თვისებრივი ცვლილება განიცადა. ათეულობით ან ხშირად ასეულობით წლებიც კი იყო საჭირო შეცვლილიყო ადამიანისადმი დამოკიდებულება. ისტორია იცნობს ადამიანისადმი მრავალი სახეობის მიდგომას: ადამიანი როგორც გაყიდვის ობიექტი – საქონელი, ადამიანი როგორც საშუალება, ადამიანი, როგორც იარაღი, ადამიანი, როგორც მანქანა, ადამიანი, როგორც რესურსი, ადამიანი როგორც კაპიტალი, ადამიანი როგორც მართვის ობიექტი, ადამიანი, როგორც მმართველი სუბიექტი.

სოციუმში დამკვიდრებული მიდგომები განსაზღვრავს ადამიანის ფასეულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე თავად საზოგადოების განვითარების დონეს. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ადამიანისადმი დამოკიდებულება იცვლება ჰუმანურობისკენ, ზემოქმედების ფორმები კი – ფიზიკურიდან – მორალურისკენ, პირდაპირიდან - ირიბისკენ.

თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმების სირთულე ადასტურებს, რომ ადამიანი ყველაზე ფასეული და ძნელად სამართავი კაპიტალია (ადამიანური კაპიტალის თეორია). ვინაიდან, ადამიანების უნარები, მისი შესაძლებლობები შეუცნობელია, ასპარეზი უნდა მიეცეს ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელთაც შეუძლიათ ბიძგი მისცენ სხვა ადამიანების განვითარებას. ამ მიდგომას ასაბუთებენ ლიდერობის თეორიებით. ყველაზე განსაკუთრებული ადგილი რომელიც ადამიანმა ადამიანს უბოძა ეს არის ადამიანი – ლიდერი – სხვა ადამიანების წარმმართველი. პარალელურად ვითარდება ცოდნის მენეჯმენტის, ადამიანის განვითარების მენეჯმენტის, ტალანტ–მენეჯმენტის თეორიები და ბოლო დროს ასპარეზზე შემოდის ადამიანის პოტენციალის მართვის თეორიები. არსებული თეორიებიდან ყველაზე ჰუმანური დღეისათვის არის ადამიანური პოტენციალის მართვის თეორია, რომელიც გულისხმობს, რომ ადამინისადმი დამოკიდებულების შერჩევისას სწორ ორიენტირს მოგვცემს გავითვალისწინოთ მისი არსებული და სამომავლო შესაძლებლობები. მსგავსი თეორიების მორალურ–ეთიკურ მისიად დადგენილია, რომ ხელი უნდა შეუწყონ ადამიანის მიერ საკუთარი და სხვათა არსებული და პოტენციური უნარების განვითარებას.

ადამიანური პოტენციალის მართვის თეორიები ჯერ კიდევ განვითარების საწყის სტადიაზეა. შესწავლის ობიექტის – ადამიანის პოტენციალის – შეფასების სირთულე, რა თქმა უნდა, კვლევის და მისი შედეგების შეფასების და დასკვნების გაზომვის შესაძლებლობებს ზღუდავს. აქ ორიენტირი აღებულია ადამიანური პოტენციალის გამოვლენისთვის საჭირო გარემოს ფორმირებაზე და მის მართვაზე. გაცილებით რთულია ადამიანის პოტენციალის გაზომვა, რაც ეკონომიკური და ბიზნესის (და არა მარტო) მეცნიერების ფარგლებს მიღმაა.

ქრისტიანული ქვეყნების საზოგადოებრივ მეცნიერებებში აქტუალურია ბიბლიური მიდგომების შესწავლა მეცნიერულ პრობლემასთან, კვლევის ობიექტთან, ჰიპოთეზასთან, კვლევის საშუალებებთან, ან დასკვნებთან დაკავშირებით.

კვლევის ობიექტი ნაშრომში ასახულია ორი მიმართულებით: ბიბლიური დამოკიდებულება ადამიანის პოტენციალისადმი და ადამიანის დამოკიდებულება ბიბლიისადმი.

თუ რა ადგილი აქვს ადამიანს ბიბლიური თვალთახედვით სამყაროში, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, რომ ამაზე პასუხი ბიბლიაშია. ადამიანი ბიბლიურად ღვთის ხატებისაებრ შეიქმნა **„და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ. და მთავრობდეს თევზთა ზღვისასა და მფრინველთა ცისათა და პირუტყუთა და მხეცთა ყოვლისა ქუეყანისა ყოველთა ქუეწარმავალთა მავალთა ქუეყანასა ზედა. და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თვისად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი“ (დაბადება 1:26,27).**

რა პოტენციალი აქვს ადამიანს? ძველი აღთქმიდან გავიხსენოთ თავისუფალი ადამიანების არჩევანი ჯერ კიდევ სამოთხეში, ან სამოთხიდან განდევნის შემდეგ, ან კაენის და აბელის მდგომარეობა. ჯერ კი-

დევ კაენის მიერ აბელის მოკვდინებისას გადაწყდა, რომ ადამიანისთვის, მის გადასარჩენად, სიკეთისკენ მოსაქცევად უფალი განკაცდებოდა, მათთვის სისხლს გაიღებდა: „ **...და დამთხეველისა სისხლსა კაცისასა ნაცვლად სისხლისა მისისა დაითხიოს, რამეთუ ხატად ღმრთისა შევქმენ კაცი**" (**დაბადება 9:6**). ღმერთმა ადამიანს სამფლობელოდ ქვეყანა მისცა: „ **...ხოლო თქუენ აღორძნდით და განმრავლდით და განავსეთ ქუეყანა და ეუფლენით მას**" (**დაბადება 9:7**).

ადამიანს მიეცა ყოველგვარი უნარი: „**ყოველივე ძალ-მიც განმაძლიერებელისა ჩემისა ქრისტეს მიერ**" (**ფილიპელთა 4:13**); "ყოველივეს შეძლების" პირობა უფლის რწმენა და მასთან მიახლების სურვილია სიყვარულში, ლოცვაში და სხვა სათნოებებში გამოხატული: „ **...უკუეთუ გაქუნდეს სარწმუ-ნოებაი, ვითარცა მარცვალი მდოგვისაი, ჰრქუათ მთასა ამას: მიიცუალე ამიერ იქი, და მიიცვალოს, და არარაი შეუძლებელ იყოს თქუენ მიერ**" (**მათე 17:20**); მსგავსი: „ **...რქუათ თუ მთასა ამას: აღიფხუერ ამიერ და შთავარდი ზღუასა! იყოს ეგრე. და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნ-ოებით, გეყოს თქუენ**" (**მათე 21:21,22**); „**ამენ, ამენ გეტყვი თქუენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, საქმესა, რომელსა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროისიღა ამისა ქმნეს...**" (**იოვანე 14:12**).

ქრისტიანული მრწამსისთვის მნიშვნელოვანია, ერთსულოვნება, სარწმუნოების „**ერთობით აღიარება**", რაც იძლევა სასწაულებრივ ძალას, თვით ღმერთთან მყოფობის უნარს: „ **...უკუეთუ ორნი თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოვლისათვისვე საქმისა, რომელიცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა ჩემისა ზეცათაისა. რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა**" (**მათე 18: 19,20**).

ნამდვილი რწმენით მიიღწევა არა მხოლოდ სულიერი საუნჯე, არამედ მატერიალურიც: „**ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისათვის რაი სჭამოთ და რაი სუათ; ნუცა ხორცთა თქუენთათვის, რაი შეიმოსოთ...**" (**მათე 6:25**); „**გარნა ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ**" (**ლუკა 12:31**); „**ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოვოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს; და რომელი ეძიებდეს, პოვოს; და რომელი ირეკდეს, განეღოს. ანუ ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძე თვისი პურსა, ნუ ქვა მისცესა მას? გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუ გუელი მისცეს მას? უკუეთუ თქუენ, უკეთურთა, იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ უფროისღა მამამან თქუენმან ზეცათამან მოსცეს კეთილი, რომელნი სთხოვდენ მას!**" (**მათე 7:7-11**).

ბიბლიურად უფლისგან ადამიანს მიეცემა ნიჭები: „**ხოლო თვითოეულსა ჩუენსა მოცემულ არს გამოცხადებაი იგი სულისაი უმჯობესისათვის. რომელსამე სულისა მისგან მიცემულ არს სიტყუაი სიბრძნისაი, ხოლო სხუასა სიტყუაი მეცნიერებისაი მითვე სულითა. და სხუასა სარწმუნოება მისვე სულისაგან, რომელსამე მადლი კურნებათაი მისგანვე სულისა, რომელისამე შეწევნანი ძალთანი, რომელსამე წინაისწარმეტყუელებაი, რომელსამე განკითხვაი სულთაი, და სხუასა თესლად-თესლადი ენათაი, და სხუასა თარგმანებაი ენათაი**" (**1 კორინთელთა 12:7-10**). თუმცა ეს დამოკიდებულია მადლზე. ნიჭი მხოლოდ მადლით ეძლევა ადამიანს: „**ხოლო გუაქუს ჩუენ ნიჭები მადლისა მისებრ მოცემულისა ჩუენდა თვითო სახედ, გინა თუ წინასწარმეტყველებაი საზომისაებრ სარწმუნოებისა**" (**რომაელთა 12:6**). ადამიანის მიერ ნიჭის განვითარებით კი ახალი შესაძლებლობები იხსნება: „**ხოლო ჰბაძევდით მადლთა ამათ უფროისთა, და მერმე აღმატებული გზად გიჩუენო თქუენ**" (**1 კორინთელთა 12:31**).

ადამიანს ამავე დროს აქვს ყოველი მადლის მიღების პოტენციალი: „**რაითა თქუენ არარაით ნაკლულევან იყვნეთ არცა ერთითა მადლითა და მოელოდით გამოჩინებასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა**" (**1 კორინთელთა 1:7**), „**რაითა ღმერთმან, და მამამან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტემან, ღმერთმან დიდებისამან, მოგცეს თქუენ სული სიბრძნისაი და გამოცხადებისაი მეცნიერებითა მისითა. და განანათლნეს თუალნი გულისა თქუენისანი, რაითა იცოდით თქუენ, რაი-იგი არს სასოება ჩინებისა მისისაი, და რაი-იგი არს სიმდიდრე დიდებისა მკვიდრობისა მისისაი წმიდათა შორის**" (**ეფესელთა 1:17-18**).

მართლმადიდებლური სწავლება გულისხმობს ეკლესიური ცხოვრების აუცილებლობას, მის გარეშე ჭეშმარიტი სარწმუნოება არ არსებობს და არც უფლის მადლის მიღების შესაძლებლობა: „**და ყოველივე დაამორჩილა ქუეშე ფერხთა მისთა და იგი მოსცა მთავრობად ზეშთა ყოველთა ეკლესიასა, რომელი-იგი**

არს გუამი მისი, აღსავსებაი იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“ (ეფესელთა 1:22-23). ეს არის სახარებისეული პასუხი იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ფიქრობენ მადლის მიღებას, უფლისგან, ეკლესიის წიაღს მიღმა.

მადლმოსილი ადამიანების შეცნობა, მადლის გამოვლინებით შეიცნობა: “**რომელი ერიდებოდის სიტყუასა ფიცხელსა წარმოღებად, იგი გონიერ არს და სულგრძელ კაცი ბრძენ“ (იგავნი 17:27); “კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გულისა თვისისა გამოიღის კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გულისა თვისისა გამოიღის ბოროტი; რამეთუ ნამეტნავისაგან გულისა იტყვინ პირნი მისი” (ლუკა 6:450**.

ვისაც მდიდრად აქვს მიეცემა და მიემატება, ხოლო მცირეს მქონეს ისიც წაერთმევა რაც აქვს. ეს საოცარი ჭეშმარიტებაა და ამავე დროს სამართალიანი, რადგან მადლზეა თქმული. ვინც მადლის მოპოვებისთვის იღწვის, ყოველი მადლი ღვთის მიერ ნაბოძვარი გაუმრავლდება, ხოლო ვინც არასაკმარისისად ზრუნავს მის შენარჩუნებაზე ისიც წაერთმევა რაც აქვს: **„რამეთუ ყოველსა რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს და რომელ-ღა იგი აქუნდეს მო-ვე-ეღოს მისგან” (მათე 25:29; ლუკა 19:26)**.

ადამიანური პოტენციალის განსაზღვრა, მისი შესაძლებლობების დადგენა რთულია, აქ შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა: **„ლოდი, რომელ შეურაცხყვეს მაშენებელთა ესე იქმნა თავკიდეთა” (მათე 21:42)** – ესაა პოტენციალის შეფასების მნიშვნელოვანი თეზა ბიბლიაში. ამავე დროს მიუთითებს, რომ ყოველი ადამიანი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რადგან შესაძლებელია სწორედ ის გახდეს საყრდენი.

სწორ არჩევანს, უფლის სიყვარულს, ეკლესიის წიაღში მყოფობას მოაქვს ღვთიური სისავსე ადამიანისთვის და ღვთის წყალობა. **„ამის ჯერისათვის მოვიდრეკ მუხლთა ჩემთა მამისა მიმართ, რომლისაგან ყოველნი ნათესავნი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა სახელ-დებულ არიან, რაითა მოგცეს თქუენ სიმდიდრისაებრ დიდებისა მისისა, ძალითა განმტკიცებად სულისა მიერ მისისა შინაგანსა კაცსა დამკვიდრებად ქრისტე სარწმუნოებითა გულთა შინა თქუენთა, სიყუარულითა დამტკიცებულნი და დაფუძნებულნი, რაითა შეუძლოთ წარწევნად ყოველთა თანა წმიდათა, რაი-იგი არს სივრცე და სიგრძე, სიმაღლე და სიღრმე, ცნობად გარდარეული იგი მეცნიერებისა სიყუარული ქრისტესი, რაითა აღივსნეთ თქუენ ყოვლითა სავსებითა ღმრთისაითა. ხოლო რომელი-იგი შემძლებელ არს უფროის ყოვლისა ყოფად უმეტეს, რომელსა-იგი ვითხოვთ გინა თუ ვსცნობთ ძალისა მისებრ შეწევნისა ჩუენ შორის, მისა დიდებაი ეკლესიასა შინა ქრისტე იესუის მიერ ყოველთა ნათესავთა მიმართ საუკუნეთა უკუნისამდე“. ამინ. (ეფესელთა 3:14-21)**.

უფლის სიყვარული, სარწმუნოება გამოიხატება მოყვასის სიყვარულში, თავმდაბლობაში: **„ ...ვის უნდეს თქუენგანსა პირველ ყოფაი, იყოს იგი ყოველთა მრწემ და ყოველთა მსახურ” (მარკოზი 9:35); „ხოლო უდიდესი თქუენი იყავნ თქუენდა მსახურ. ხოლო რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი ამაღლდეს” (მათე 23:11-12)**. ნათელია ჭეშმარიტება, თუმცა ამ გზაზე სვლა არ არის მარტივი: “**შევედით იწროისაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზაი, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენან მას ზედა“ (მათე 7:13)**.

ბიბლიამ ადამიანს აღმატებული ადგილი განუსაზღვრა. ქრისტიანული რწმენით ადამიანს შეუძლია განღმრთობა – “**იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს” (მათე 5:48)**.

რაც შეეხება იმას, თუ როგორი შეიძლება იყოს ადამიანის დამოკიდებულება ბიბლიისადმი, ესეც ადამიანის ბუნებით განისაზღვრება და ამაზე პასუხიც არსებობს ბიბლიაში, რადგან ბიბლია ადამიანური ცხოვრების ყველა ასპექტის მომცველია, მასში ადამიანური ცხოვრების და ურთიერთობების ყველა სახეობაა ასახული.

ადამიანის აზროვნების წარმმართველი შესაძლებელია იყოს რაციონალური, ლოგიკური აზროვნება და/ან ირაციონალური, ემოციური აზროვნება. პიროვნების დამოკიდებულება მატერიალური და არამატერია-ლური სამყაროსადმი მისი აზროვნების ტიპითაა განპირობებული. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ არსებობს მოვლენისადმი დამოკიდებულების ორი ძირითადი სახესხვაობა: რაციონალური, რომელიც ეფუძნება უპირატესად ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს დატვირთვას და ემოციური, შემოქმდებითი –

ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს აქტივობიდან გამომდინარე. რაციონალურად მოაზროვნეებს უჭირთ დაინახონ ის, რასაც ვერ ხედავენ და ვერ ეხებიან, მაშინ როცა, ემოციური, შემოქმედებითი წარმოსახვის ადამიანებისთვის ეს ნაკლებად პრობლემატურია. რა თქმა უნდა, აზროვნების ეს ორი ფორმა არ გულისხმობს ავტომატურად მის სისწორეს ან სიმცდარეს.

შესაბამისად, ადამიანების დამოკიდებულება ბიბლიისადმი ორგვარია: პირველი, რწმენისეული დამოკიდებულება – ბიბლია არის აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომელიც დასაბუთებას არ საჭიროებს (ეს მიდგომა უპირატესია მართლმადიდებლობაში); მეორე, განსჯითი დამოკიდებულება – ბიბლიას განიხილავს, როგორც განსჯას დაქვემდებარებულს, აზროვნების ნიმუშს, ფილოსოფიურ თხზულებას, რომელიც რიგ (ირაციონალურ) შემთხვევაში უნდა დასაბუთდეს (კათოლიკური ეკლესია მიიჩნევს, რომ ბიბლია ჭეშმარიტებაა, თუმცა, მისი დასაბუთების აუცილებლობას არ კრძალავს). ეს ორი თვალთახედვა ბიბლიისადმი პრინციპულად განსხვავებულია და გამომდინარეობს ადამიანის აზროვნების ტიპოლოგიიდან.

მართლმადიდებლობა მორწმუნეს ავალდებულებს ბიბლია აღიაროს უზენაეს კანონად, აბსოლუტურ ჭეშმარიტებად, ღვთის სიტყვად: "**წმიდა წერილით ღმერთი გვესაუბრება**" **(ნეტარი ავგუსტინე); "ცანი და ქუეყანაი წარხდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არასადა წარხდენ" (მარკოზი 13:31) „უადვილეს არს ცისა და ქუეყანისა წარსლვაი ვიდრეღა სჯულისა ერთი რქა დავრდომად" (ლუკა 16:17); „ამენ გეტყვი თქუენ: ვიდრემდე წარხდეს ცაი და ქუეყანაი, იოტაი ერთი გინა რქაი ერთი არა წარხდეს სჯულისაგან და წინასწარმეტყუელთა, ვიდრემდის ყოველივე იქმნეს. უკუეთუ ვინმე დაჰხსნეს ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთაი და ასწავოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა; ხოლო რომელმან ყოს და ასწავოს, ამას დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა" (მათე 5:18-19)**. უკლებლივ ყველა დოგმისადმი მორჩილება ვალდებულებაა ადამიანისა, რომელიც თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს. რწმენისეული დამოკიდებულება სახარებისადმი არ არის თავსებადი კრიტიკასთან. აქ მხოლოდ ღვთის ნების ძიება და აღსრულებაა.

როცა ადამიანს აქვს ბიბლიისადმი დამოკიდებულება, როგორც ფილოსოფიური თხზულებისადმი, რა თქმა უნდა, ის არ შეიზღუდავს თავს მისი კრიტიკული ანალიზისგან, შესაბამისად „მცირედმორწმუნე" ბიბლიას განიხილავს, როგორც ადამიანის მიერ დაწერილ ფილოსოფიურ თხზულებას, რომლის გათვალისწინება, რიგ შემთხვევაში, შესაძლებელია.

ადამიანის ამ ორი სახეობის დამოკიდებულება რწმენისადმი, რა თქმა უნდა, ასახულია ბიბლიაში. ქრისტიანობის ისტორია მრავლად იცნობს გმირებს, რომლებიც სხვადასხვა გზით მივიდნენ აღმსარებლობამდე. ცნობილია ადამიანები, რომლებიც ბავშვობიდან, ან თუნდაც დაბადებიდან გამოირჩეოდნენ რწმენით და ასევე ისინიც, რომლებიც მეცნიერებამ, ჭეშმარიტების ძიებამ მიიყვანა აღმსარებლობამდე, ღვთის აღიარებამდე.

წმინდა თომა მოციქულის აზროვნების სქემა რაციონალურია. მან ვერ დაიჯერა მკვდრეთით აღდგომა უფლისა. მართალია, ის მომსწრე იყო წმინდა ლაზარეს მკვდრეთით აღდგომის, მაგრამ ლაზარე აღდგა მატერიალურ სამყაროში. ქრისტეს აღდგომა კი არის აღმატებული საოცრება, რისი დაჯერებაც ძნელი აღმოჩნდა მისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს მრავალი მოწაფე უყვებოდა მას ქრისტეს აღდგომის და გამოცხადებების შესახებ – "**უკუეთუ არა ვიხილო ხელთა მისთა სახე იგი სამსჭუალთაი და დავსხნე თითნი ჩემნი ადგილსა მას სამსჭუალთასა და დავსდვა ხელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს" (იოანე 20:25)**. მან მხოლოდ ხილვის შემდეგ შეძლო დაჯერება და ეს გამოხატა სიტყვებით: "**უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!" (იოანე 20:28)**. საინტრესოა თავად უფლის დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი – **„მოყვენ თითნი შენნი და იხილენ ხელნი ჩემნი და მოიღე ხელი შენი და დამდევ გუერდსა ჩემსა და ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ" (იოანე 20:27)** – და შედეგის შეფასება: **„რამეთუ მიხილე და გრწამს; ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე" (იოანე 20:29)**.

აქ უდავოდ ჩანს უპირატესობა იმ რწმენისა, რომელიც არსებობს თავისთავად, განუსჯელად, მაგრამ ამავე დროს გულწრფელად – **„იმითაა ქრისტიანობა ძვირფასი და სათაყვანო, რომ იგი მარტო გონებით არაა შესასრულებელი... იგი ცხოვრების, მოქმედების მოძღვრებაა და აუცილებლად მის ყალიბზე უნდა ჩამოესხას ჩვენი ცხოვრება – ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე)**.

Ekaterine Gulua

Biblical Basics of Human Potential Management

Resume

Human potential management is the modern trend in human management theories. It is important to define attitudes of bible to this issue. It is recognized, that the attitude to human role and its importance is changing historically, with the development of society. Human was perceived as merchandise, tool, means, machine, resource, capital, manageable object and the best place, which is determined for the human is the role of manager, leader and governor. These attitudes have been changed from inhumanity to humanity, from physical influence to moral influence, from direct to indirect and these determine the level and values of the society.

The research object is discussed in two directions in this thesis: biblical attitudes to human potential and human attitudes to the bible.

According to the Bible human has the best place – the human can become as the God: "Be perfect, therefore, as your heavenly Father is perfect". /Matthew 5:48/. As for the human attitudes to the bible, it depends on the type of human thought, can be rational and/or creative, emotional.

ნაზირა კაკულია

გადასახადებისადმი დამოკიდებულება ქრისტიანულ რელიგიაში

„არსებობს წიგნი, რომლის ყოველი სიტყვა გამარჯვებულია, ახსნილია, ნაქადაგებია მთელ მსოფლიოში; შედარებულია, შეჯერებულია ცხოვრების ყოველგვარ შესაძლებელ შემთხვევასთან და მსოფლიო მოვლენებთან; რომლის ნებისმიერი ფრაზა იციან ყველგან. ეს წიგნი სახარებაა... მისი მარადიული ხიბლი იმდენად დიდია, რომ თუ ყოველდღიურობით გადაღლილნი, მოწყინებით შეპყრობილნი შემთხვევით გადავშლით, თავს ვერ დავაღწევთ მის ტკბილ გავლენას“.

ალექსანდრ პუშკინი

ქრისტიანობის არსის განმარტებისას ბევრი ამბობს, რომ ის ფილოსოფიაა ან ისეთივე რელიგია, როგორსაც ანტიკურობიდან ვიცნობთ. ცხადია, ქრისტიანობას ფილოსოფიას ვერ ვუწოდებთ მისი დღევანდელი გაგებით. ფილოსოფია აზრთა სისტემაა, რასაც ხშირად სიცოცხლესთან კავშირი არა აქვს. ძირითადი განსხვავება ქრისტიანობასა და ფილოსოფიას შორის ის არის, რომ ფილოსოფია ადამიანური აზროვნებაა, ქრისტიანობა კი – ღმერთის გაცხადება: ის ადამიანის აღმოჩენა კი არ არის, არამედ თავად ღმერთის პოვნაა ადამიანში. ქრისტიანობის ჭეშმარიტების შეცნობა ადამიანური ლოგიკით შეუძლებელია. იქ, სადაც დაუძლურდა ადამიანური სიტყვა, მოვიდა ღმერთკაცებრივი სიტყვა, უფრო სწორად ღმერთკაცი ქრისტე, სიტყვა ღმრთისა. ღმერთის ამგვარი აღმოჩენა თანამედროვე ეპოქის ფილოსოფიური ტერმინოლოგიით განმტკიცდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, შევნიშნავთ, რომ ქრისტიანობა ფილოსოფია არ არის. ღმერთკაცებრივი სიტყვის მხოლოდ შესამოსელია ფილოსოფიიდან ამოღებული.

წმ. იოანე ოქროპირი ისაიას (ისაია 3.1-2) წინასწარმეტყველების განმარტებაში წერს, რომ მოაზროვნედ (გამგებად) ითვლება ის ადამიანი, ვინც მომავალს ჭვრეტს თავისი მაღალი გონიერებით და გამოცდილებით. თუმცა ერთია მოაზროვნეობა, მეორე კი – წინასწარმეტყველება: ეს უკანასკნელი სული წმინდის მადლით ლაპარაკობს და თავის მხრიდან არაფერს ამატებს, პირველი კი საფუძვლად უკვე მომხდარ მოვლენას იღებს და საკუთარი გონიერებით შეუძლია მომავალი განჭვრიტოს, როგორც ამას ჭეშმარიტად გონიერი ადამიანი აკეთებს. ამ ორ მოვლენას შორის დიდი განსხვავებაა, ისევე როგორც განსხვავებულია ადამიანური გონება და ღვთიური მადლი.

ქრისტიანობა ყველა თეორიასა და განმარტებაზე მაღლა დგას, ამიტომაც ვერ ჩაიკეტება ტერმინ „რელიგიაში“, სხვა სარწმუნოებათა მსგავსად. ღმერთი „მიუწვდომელი შენ“ არ არის, ის ცოცხალი არსებაა და ორგანულად ურთიერთობს ადამიანთან. გარდა ამისა, ქრისტიანობას პრობლემები მომავალში არ გადააქვს, არც ზეციურ სასუფეველში განსვენებას ელოდება. ქრისტიანობაში მომავალი აწმყოშია და ღმერთის მეუფება ამქვეყნიურ ცხოვრებაში წყდება. უფლის მეუფება, წმინდა მამათა ნააზრევით, სამპიროვანი ღმერთის მადლია, უქმნელი სინათლის თეორიაა. ჩვენ, მართლმადიდებლები, ისტორიისა და ჟამის აღსასრულს არ ველოდებით, არამედ ქრისტესმიერი სიცოცხლით მივისწრაფვით დასასრულისკენ, ასე განვიცდით იმას, რაც უნდა მოხდეს უფლის მეორედ მოსვლის შემდეგ, სვიმონ ახალი ღმრთისმეტყველი ამბობს, რომ იგი, ვინც იხილა უქმნელი ნათელი და შეუერთდა ღმერთს, კი არ ელოდება უფლის მეორედ მოსვლას, არამედ ამქვეყნიურ ცხოვრებაშივე განიცდის მასთან სიახლოვეს, ასე რომ, ქრისტიანულ სწავლებაში დროის სწორხაზოვანი აღქმა არ ხდება, დრო წრიულია ან ჯვრის ფორმის. ე.ი. მარადიულობაში ვარსებობთ, ამიტომ წარსული, აწმყო და მომავალი ურყევ მთლიანობად ერთიანდება. მართლმადიდებლობას „საეროს“ ვერ ვუწოდებთ სწორედაც, რადგან მის წიაღში პრობლემები მომავალში არ გადაიდება. მართლმადიდებლობა სიცოცხლის მომნიჭებელია, ადამიანის ბიოლოგიურ არსებობას სახეს უცვლის, განწმენდს და ცვლის საზოგადოებებს. იქ, სადაც მართლმადიდებლობას სწორად ემსახურებიან, გაიაზრებენ და სულიწმინდის მადლით ემსახურებიან, სუფევს ღმერთისა და ადამიანის, ზეციერთა და მიწიერთა, ცოცხალთა და შესვენებულთა შორის კავშირი, ამ კავშირით და ურთიერთობით წყდება სწორედ ჩვენს ცხოვრებაში გაჩენილი ყველა პრობლემა.

ახალ ისტორიაში, განსაკუთრებით ე.წ. განმანათლებლობის ეპოქიდან მოყოლებული, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები და ფილოსოფიური აზრი განიხილებოდა და დღემდე განიხილება არა მარტო როგორც აუცილებელი, არამედ როგორც ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია უჩვენოს ადამიანს მისი ცხოვრების ნამდვილი აზრი და შინაარსი. ამისაგან განსხვავებით, რელიგია, უკეთეს შემთხვევაში განიხილება, როგორც მარტოოდენ ლამაზი ტრადიცია, რომელიც ნაწილობრივ უწყობს ხელს საზოგადოების რაღაც ნაწილში გარკვეული მორალური ატმოსფეროს შენარჩუნებას. მაგრამ როგორც მსოფლმხედველობა, ის აღიქმება ანტიმეცნიერულად, ცხოვრებისეული პრობლემებისაგან მოწყვეტილად, რომელსაც ადამიანი გადაჰყავს უაზრო ოცნებების ილუზორულ სამყაროში. რელიგიისადმი ასეთ დამოკიდებულებას და მის დაპირისპირებას მეცნიერებისა და ფილოსოფიისადმი თან სდევს შორს მიმავალი ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და პრაქტიკული შედეგები, რომლებიც უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენენ ადამიანზე. სანამ ასეთი დამოკიდებულება არ შეიცვლება, ზედმეტია ლაპარაკი როგორც სულიერად ერთიან, მდგრად საზოგადოებაზე, ასევე ჭეშმარიტად ჰუმანურ მიღწევებსა და მთლიან მსოფლმხედველობაზე, რომელიც დამაჯერებლად გასცემს პასუხს ადამიანური ცნობიერების მეტად საჭირბოროტო კითხვას: „რისთვის ვცხოვრობ და რისთვის ვიღვწი?“

მეცნიერებას არ ძალუძს დაასაბუთოს საბოლოო მიზანი, თუნდაც იმიტომ, რომ სიკეთის პრობლემა მსოფლმხედველობრივი პრობლემაა. მეცნიერული ცოდნა კი (თუნდაც მთლიანად აღებული) არ წარმოადგენს მსოფლმხედველობას, რადგან ის შეისწავლის მხოლოდ ბუნებრივ მოვლენებს და სამყაროსეულ კანონზომიერებებს და არა ყოფიერებას მთლიანობაში. მეცნიერებას არ აინტერესებს მსოფლმხედველობრივი საკითხები, რაც რელიგიისა და ფილოსოფიის სფეროა (ამიტომ ყოველთვის მოიპოვებდნენ სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე მეცნიერნი, რომელთაგან ერთნი იყვნენ ღვთის მორწმუნენი, მეორენი - ათეისტნი, მესამენი - აგნოსტიკოსნი). ეს იმაზე მეტყველებს, რომ თვით ტერმინი „მეცნიერული მსოფლმხედველობა“ ფრიად პირობითია, ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ მეცნიერება და ე.წ. „მეცნიერული მსოფლმხედველობა“ სულაც არ არიან იგივეობრივი ცნებები.

რელიგია, კერძოდ, ქრისტიანული (ვგულისხმობთ მართლმადიდებლობას) პრინციპულად განსხვავდება როგორც მეცნიერებისაგან, ასევე ფილოსოფიისაგან, რადგან მისი შემეცნების ობიექტი მატერიალური სამყარო კი არაა, არამედ სულიერი, ხოლო შემეცნების მეთოდი სულიერია და არა რაციონალური. ქრისტიანული რელიგია სიკეთის ცნებაზე მსჯელობისას აპელირებს უშუალოდ გამოცხადებაზე (მისი სანდოობის საკითხი ცალკე განხილვის თემაა), ღვთის შემეცნების საეკლესიო-ისტორიულ გამოცდილებაზე. ეს გამოცდილება ეფუძნება არა ადამიანის ხუთ გრძნობაზე დამყარებულ შეგრძნებებს (თუნდაც მძლავრი ხელსაწყოების მეშვეობით აღქმულს) და ადამიანურ ლოგიკას („რაციოს“), არამედ ადამიანთა შინაგან რელიგიურ განცდებს, ღვთის ჭეშმარიტება ქრისტიანობაში მოწმდება ეკლესიის კოლექტიური გამოცდილებით, რომელიც, თავის მხრივ, ემყარება წმიდა წერილში გამოცხადებულ ჭეშმარიტებებს.

ქრისტიანობა აკმაყოფილებს ადამიანის უმთავრეს მოთხოვნილებას - იძლევა კონკრეტულ და ამომწურავ პასუხს ადამიანის ცხოვრების არსისა და მიზნის შესახებ. ესაა პიროვნების მარადიული მყოფობა ღმერთთან. ამასთან ერთად, მითითებული მიზნის მიღწევა არ უგულებელყოფს ადამიანის არანაირ რეალურ მოთხოვნილებას და ამ ცხოვრების ჭეშმარიტ ღირებულებებს. ამას კარგად წარმოაჩენს ბლეზ პასკალის ცნობილი მოსაზრება: ღმერთი თუნდაც არ არსებობდეს, ადამიანი ქრისტიანული ცხოვრებით არაფერს აგებს დედამიწაზე, ხოლო თუ ღმერთი არსებობს, მაშინ იგი განუზომლად დიდ საზღაურს მიიღებს ღვთისაგან. შესაბამისად, არასახარებისეული ცხოვრებით ადამიანი არაფერს იგებს ამქვეყნად, მაგრამ თუ ღმერთი არსებობს, ის კარგავს ყველა იმ მარადიულ სიკეთეს, რომელსაც მიიღებდა საზღაურად ღვთივსათნო ცხოვრების შემთხვევაში.

წმინდა ფორმალური მიდგომით, ქრისტიანობა აკმაყოფილებს ყველა იმ ძირითად მოთხოვნას, რომლებიც წაეყენება ნებისმიერ მეცნიერულ თეორიას. ის, პირველ რიგში, გვთავაზობს ფაქტებს, რომ-ლებიც ამტკიცებს მის ჭეშმარიტებას, ხოლო შემდეგ - გვიჩვენებს რეალურ გზას თავის მტკიცებულე-ბათა შესამოწმებლად. ამით ის პრინციპულად და არსებითად განსხვავდება ყველა ათეისტური

მსოფლმხედველობისა და აზროვნების სისტემისაგან, რომლებიც ადამიანისაგან მოითხოვს რწმენას და მხოლოდ რწმენას იმისას, რომ არ არსებობს ღმერთი და სული, რამეთუ არ გააჩნიათ და არც შეიძლება გააჩნდეთ სათანადო ფაქტები, რომლითაც შეძლებდნენ ღვთის არარსებობის დასაბუთებას. მით უფრო, მათ არ შეუძლიათ პასუხი გასცენ კითხვაზე: „რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ დარწმუნდეს ღვთის არარსებობაში?“

მაქს პლანკი წერდა, რომ საითაც არ უნდა გავიხედოთ, რა საგანსაც არ უნდა დავაკვირდეთ, ვერსად ვიპოვით წინააღმდეგობას მეცნიერებასა და რელიგიას შორის. პირიქით, ჩვენ აშკარად დავინახავთ მათ შორის სრულ ჰარმონიას – რელიგიაც და მეცნიერებაც ეძებს ჭეშმარიტებას და მიდის ღვთის აღიარებამდე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური კატეგორიების სრულყოფილად გააზრება შეუძლებელია რელიგიური კუთხით მათი შემეცნების გარეშე.

გადასახადების ეფექტიანობასა და სამართლიანობასთან დაკავშირებული საკითხები დღემდე მეცნიერ-ეკონომისტთა დავის საგანია და შეიძლება ითქვას, რომ გადაუჭრელ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. ვფიქრობთ, ამ საკითხის არსის სრულად წარმოჩინების მიზნით უმნიშვნელოვანესია ის განმარტებები, რომლებიც მოცემულია სახარებაში, კერძოდ, ის ეპიზოდი, როდესაც მაცხოვარი თავად განმარტავს ხარკის გადახდის აუცილებლობას.

„აწ მარქუ ჩუენ: რა გნებავს შენ? ჯერ არსა მიცემა ხარკისა კეისრისა, თუ არა?“. გვეკუთვნის ჩვენ, ღვთის ხალხს გადასახადის გადახდა? ვიხდით რა ამ გადასახადს, ხომ არ ვიქცევით ჩვენ, ღვთის ხალხი, წარმართებად, ხომ არ შეურაცხვყოფთ ამით საკუთარ სინდისს? „შეხედე, - შენიშნავს წმ. ოქროპირი, - როგორ მზაკვრულად მოქმედებენ ისინი. არ ამბობენ, გვითხარი ჩვენ, რომელი უმჯობესია, რა უფრო უკეთესია, რომელია ახლოს სჯულთან, არამედ - „რა გნებავს შენ“, ანუ შენ როგორ მიგაჩნია? - მხოლოდ ამის გაგონება სწადდათ მათ, რათა მაშინვე ემხილებინათ და გადაეცათ უმაღლესი ხელისუფლებისთვის, როგორც მოწინააღმდეგე დასასჯელად. ამას აღნიშნავს მახარებელი მარკოზიც (12,14), რომელიც უფრო ცხადად გამოაჩენს იმათ უტიფრობასა და მზაკვრულ განზრახვას, რომ სურდათ დაღუპვა, ისინი ასე ეკითხებიან მაცხოვარს: მივცეთ თუ არა გადასახადი კეისარს? აი, ასე გააფთრებულები იტანჯებოდნენ მისი დაღუპვის სურვილით, თუმცა გარეგნულად ისე აჩვენებდნენ თავს, თითქოს სურდათ მისი გულის მოგება“. მაგრამ ის, ვისი გამოჭერაც სურდათ, ხედავს არა მარტო კითხვას, არამედ მათ გულებსაც და განზრახვასაც. იგი ხედავს, რომ „მათი ბოროტება უკვე მომწიფდა და ცხადად გამოჩნდა“. ამიტომაც „რაც შეიძლება ღრმად კვეთს მათ ჭრილობას, ხსნის მათ ფარულ ზრახვებს, ყველას წინაშე აჩენს, როგორი განზრახვით მივიდნენ ისინი მასთან, და ამგვარად მათში თავიდანვე შეაქვს დაბნეულობა. გულის-ხმა-ჰყო იესო უკეთურებაი მათი და ჰრქუა, - საყვედურით: რასა გამომცდით მე, ორგულნო! მხოლოდ ერთი მრისხანე სიტყვით: „ორგულნო“ უფალი მაშინვე აცხადებს მათ ზრახვებს, ამხელს ბოროტებას და აიძულებს დადუმებას. შემდეგ, რომ აიძულოს ისინი თავად, რათა განაჩენი გამოუტანონ თავიანთ თავს და აღიარონ, რომ უნდა გადაუხადონ ხარკი კეისარს, იგი ამბობს: მიჩუენეთ დრაჰკანი იგი ხარკისა.

ფარისევლები ძნელად თუ ატარებდნენ თან მათთვის საძულველ რომაულ ფულს, ეროდიანელებს კი, რა თქმა უნდა, ექნებოდათ იგი. და კიდეც რომ ჰქონებოდათ ხელზე, საკმარისი იყო სტოადან ოდნავ გამოსვლა და იქ ადვილად შეიძლებოდა მისი მიღება. ხოლო მათ მოართუეს მას დრაჰკანი, რომლის ერთ მხარესაც გამოსახული იყო კეისარი ტიბერიუსი, მეორე მხარეს კი - მისი ტიტული. უფალმა აიღო მონეტა, დახედა გამოსახულებასა და წარწერას და დაუბრუნა რა უკან ჰრქუა მას იესო: ვისი არს ხატი ანუ ზედა წერილი? მოსაუბრეებმა არ იცოდნენ კითხვა საითკენ მიმართავდა საუბარს, ამიტომ ჰრქუეს მას: კეისრისა. მაშინ უფალმა გახსნა მათი მზაკვრული კითხვა, სრულიად მარტივად: ჰრქუა მათ იესო: მიეცით კეისრისა კეისარსა, და ღმრთისა ღმერთსა. მათ იკითხეს: დასაშვებია თუ არა ხარკის მიცემა? - მან შეუსწორა მათ და უთხრა: მიეცით, მიეცით უკან. ხარკის გადახდა არ ნიშნავს საკუთარი ნებაყოფლობით უბოძო სხვას, არამედ საჭიროს გაცემაა; ეს არის კანონიერი მოვალეობა, აუცილებლობა; თქვენივე რაბინები აკი ასწავლიან: „ვისიცაა ფული, სამეფოც მისია“... „ხოლო რათა მათ არ ეთქვათ: შენ ჩვენ გვაყენებ ხალხის მორჩილებაში, ამიტომ დასძენს: „და ღმრთისა ღმერთსა“. რადგან ხალხისთ-

ვისაც უკეთესია აუცილებელის მიცემა, ასევე ღვთისათვისაც, - რაც მასთან დამოკიდებულებისას გვევალება. ამიტომაც ამბობს პავლე მოციქული: „მიჰსცემდით უკვე ყოველთა თანანადებსა: სახარკოსა - ხარკი, საზუერესა - ზუერი, საშინელსა - შიში, პატივსა - პატივი“ (რომ. 13,7).

კეისრისათვის განკუთვნილი არ ეწინააღმდეგება ღვთის კუთვნილს; კეისარი ითხოვს თავისას, როცა ითხოვს ხარკს და არ კრძალავს ღვთისას, არ ეღობება ღვთის მცნებათა შესრულებას. „მოკლედ, - შენიშნავს წმ. ოქროპირი, - როცა შენ გესმის: „მიეცით კეისრისა კეისარსა“, ამაში იგულისხმე მხოლოდ ის, რაც ოდნავადაც არ ვნებს ღვთისმოსაობას, რადგან ყველაფერი ღვთისმოსაობის საწინააღმდეგო არ არის უკვე ხარკი კეისრისა, არამედ ხარკი ეშმაკისა“.

მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობამ რენესანსიდან დაწყებული თანამედროვე გლობალიზაციით დამთავრებული, განვითარების ყველა ეტაპი გაიარა, შემოსავლების დაფარვისა და გადასახადების არგადახდის პრობლემები მაინც გადაუჭრელია. სახელმწიფოს მიერ ფისკალური პოლიტიკის წარმატებით განხორციელების საფუძველი გადასახადების აკრების ეფექტიანი სისტემაა, რომელიც, თავის მხრივ, უნდა ემყარებოდეს სახარებისეულ სწავლებას. ვფიქრობთ, აღნიშნული პრობლემის გადაჭრა მაცხოვრისეული სიბრძნის – „კეისარს კეისრისა“, სათანადოდ გაცნობიერებაში მდგომარეობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, მიტროპოლიტი იეროთეოს ვლახოსი, საეკლესიო ბიბლიოთეკა, ტ. IX, გამომცემლობა „ახალი ივერიონი“. თბ., 2008;
2. ჭელიძე ე. მართლმადიდებელი ეკლესია და ეროვნულობა, ჟურნ. „გული გონიერი“, №1 (4), 2012;
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი. 1992;
4. Марчукова С. М. Наука и религия в культуре Ренессанса, М., 2012;
5. Чичерин Б. Н. Наука и религия, Москва, 2012.

Nazira Kakulia

Relation to taxes in Christian religion

Resume

In this article to analyzed problem connected the taxation of the Evangelical point of view.

Efficiency and justice of the taxation till today remains a controversial question in among economists of scientists. We think that this question very brightly is shown in an episode where Jesus defines need of the taxation. In our opinion for carrying out in the state of successful fiscal policy, system the taxation the doctrine has to lean on evangelical - to render render unto Caesar the things that are Caesar's.

პაატა კოღუაშვილი
ნიკო ჩიხლაძე

აგროპროდუქცია, როგორც ძღვენი, საზრდელი და გადასახადი წმინდა წერილში

აგრარული სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირება ყოველთვის იყო კაცობრიობის ფიზიკური და მატერიალური არსებობის საფუძველი. ამის დასტურია წმინდა წერილში აღწერილი საქმიანობები და პროფესიები: მიწათმოქმედი, „მიწის მუშაკი" (კაენი, ელისე), მეცხვარე, მეჯოგე (აბელი, იაბალი, იაკობი, ლაბანი, იოსები, იუდა, ბენიამენი, სვიმეონი, ამოსი, მოსე), მონადირე (ესავი), მევენახე (ნოე), მებადური (იაკობი, იოანე, ანდრია, სიმონ-პეტრე და სხვა მოციქულნი).

ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში წარმოება შეუძლებელია მიწის და ბუნებრივი რესურსების (ხეტყე, წყალი, ჰაერი, სახნავ-სათესი სავარგულები, მადნები, წიაღისეული, და სხვ.) გარეშე: „უფლისა არს ქუეყანა და სავსება მისი, სოფელი და ყოველნი დამკვიდრებულნი მას შინა. რამეთუ მან თავადმან ზღუათა ზედა დააფუძნა იგი და მდინარეთა ზედა განჰმზადა იგი" (ფსალმ. 23:1-2).

ეკონომიკის უმთავრესი პრობლემა რესურსების შეზღუდულობაა. თავდაპირველად, რესურსების შეზღუდულობის პრობლემა უფლის მცნების დარღვევას უკავშირდება: ადამს და ევას არაფერი აკლდა, სანამ ღვთის მცნება არ დაარღვიეს, რის შედეგადაც როგორც თვითონ, ისე მათი შტამომავალნიც ხრწნილებასა და სიკვდილს დაექვემდებარნენ, რესურსები კი იქცა შეზღუდულად (იშვიათად). სარჩო-საბადებლის გარდაუვალად ოფლითა და შრომით მოპოვების საკითხი წარმოჩენილია ძველი აღთქმის დასაწყისშივე: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა ვიდრე მიქცევადმდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქმენ, რამეთუ მიწა ხარ და მიწად-ცა მიიქცე" (დაბ. 3:19).

ამდენად, შრომის და სამეწარმეო საქმიანობის უფლება, აუცილებლობა და თუნდაც სტიმული, ფიზიკურად გადარჩენილიყო, დაფიქრებულიყო, დაცემული წამომდგარიყო, ადამიანმა ღმერთის დაწყევლის შემდეგ მოიპოვა. რესურსების შეზღუდულობა საფუძველია სურვილებისა და ვნებებისადმი წინააღდგომისა. წარღვნის შემდეგ უფალმა მინიმუმამდე შეზღუდა რესურსი, თუმცა ახალ თაობას კვლავ მისცა ღვთისკენ მოქცევის შანსი.[1]

ქრისტიანული და ძველაღთქმისეული წარმოდგენებით, ღმერთისა და ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა ძღვენისა და წყალობის ერთგვარი „გაცვლაა". მთავარი საჩუქარი, რომელიც ღმერთისაგან ადამიანს ებოძა, არის სიცოცხლე და თვით ღმერთს მიმსგავსებული შესაძლებლობები და ტალანტები (ანუ, „შექმნა თავის მსგავსად და ხატად"), ბუნება და ბუნებრივი რესურსები, ასევე, რაც მთავარია, სულიერი ნიჭი. ქრისტიანები უდიდეს წყალობად მივიჩნევთ უფლის განკაცებას, მის ამქვეყნიურ ცხოვრებას, წამებას და ჯვარცმას ადამიანთა გამოხსნისათვის. ამის საპასუხოდ, ადამიანი ცდილობს უფლის მცნებათა შესრულებას, მეტი დროის და საკუთარი შრომის ნაყოფის ნაწილის მიძღვნას უფლისათვის.

ძღვენი უფლისადმი უნდა იყოს განსაკუთრებული სიყვარულის, შინაგანი მდგომარეობის, მომავლის რწმენის და სიხარულის გამოხატულება. დაბადების მეოთხე თავი მოგვითხრობს პირველი ადამიანის დაბადებისა და პირველი მსხვერპლშეწირვის შესახებ. აბელი – მწყემსია, ხოლო კაენი მიწათმოქმედი. მათი ძღვენიც უფლისადმი სწორედ აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქციაა – საუკეთესო ცხვარი – აბელისაგან, რომელიც, წრფელი გულით მიძღვნილი, უფალმა შეიწირა და მიწის ნაყოფი კაენისაგან, რომელიც უფალმა არ შეიწირა („შეიჭუვინ პირი შენი, არცა მართლიად შემოწირე").

აღნიშნული ეპიზოდის შესახებ წმ. იოანე ოქროპირი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, რომ ცხვარი მოხსენიებულია, როგორც ძღვენი, ხოლო მიწის ნაყოფნი, როგორც მსხვერპლი: „ამით წმინდა წერილი გვასწავლის, რომ უფალი ეძებს არა პირუტყვთა და მიწის ნაყოფთა, არამედ მხოლოდ სულიერ

[1] ჩიხლაძე ნ., მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები. ქუთაისის უნივერსიტეტი, 2013. გვ. 45.

მდგომარეობას. ამიტომ ერთი მათგანი ძღვენის სახითაა მიღებული, ხოლო მეორე უარყოფილია მსხვერპლით“.[1]

დაბადებაში მოხსენიებულია მართალი ნოეს მიერ სპეციალური ადგილის – საკურთხევლის მოწყობა უფლისათვის მსხვერპლის შესაწირად: „და აღუშენა ნოე საკურთხეველი ღმერთსა და მოიღო ყოველთაგან საცხოვართა წმიდათა და ყოველთაგან მფრინველთა წმიდათა და შეწირნა იგინი ყოვლად ნაყოფებად საკურთხეველსა ზედა“ (დაბ. 8:20). წარღვნის შემდეგ, კიდობნიდან გამოსულმა ნოემ საუკეთესო ცხოველთა შეწირვით, მადლიერება გამოხატა უფლისადმი კაცობრიობის გადარჩენისა და ძველი ცოდვების მიტევებისათვის. საკურთხეველი აუგო უფალს აბრაამმაც (დაბ. 12:7-8).

ვაზი ებრაელი ხალხის სიმბოლური გამოხატულებაა: „რამეთუ ვენახი უფლისა ცაბაოთისი ისრაილისა არს და კაცი იუდასაი – ახალნერგი შეყვარებული” (ეს. 5:7). წმინდა პროდუქტებია პური, ღვინო და ზეთი: „და მიუგო უფალმან და ჰრქუა ერსა თვისსა: აჰა, მე გამოვავლენ თქუენდა იფქლსა, და ღვინოსა და ზეთსა და განსძღეთ მათგან და არა მიგცნე თქუენ არღარა მერმე საყუედრერლად წარმართთა შორის” (იოვ. 2:19). ბიბლიის მეტაფორული აზროვნებით, ყოველი მშვენიერი და ამაღლებული გაიგივებულია ღვინოსთან, ხოლო ყოველი დამდაბლებული და ცოდვილი – ძმართან. ძველ ისრაელში ღვინოს მეტაფორულად „ყურძნის სისხლს“ უწოდებდნენ.

ზოგადად, ძველი აღქმის კანონის მიხედვით, ნებისმიერმა ადამიანმა ყოველწლიურად თავისი წლიური შემოსავლის მეათედი ღმერთს უნდა შესწიროს. ამის მოქმედნი კურთხეულ არიან ღვთისაგან და უფალი ყველაფერში უმართავს ხელს. ძველებრაულ სახელმწიფოში მეათედის ინსტიტუტის დაფუძნება და საერთოდ, საეკლესიო გადასახადის შემოღება რეგულარულ ღვთისმსახურებას დაუკავშირდა.

პირველად მეათედი მოიხსენიება დაბადებაში. როდესაც აბრაამმა გამოიხსნა სოდომის ტყვეები და დავლა მოიპოვა, გზაზე მას გამოეგება მეფე მელქისედეკი, რომელმაც პური და ღვინო მიაგება და აკურთხა: „კურთხეულ არს აბრაამ ღმრთისა მიერ მაღლისა, რომელმან შექმნა ცა და ქუეყანა, და კურთხეულ არს ღმერთი მაღალი, რომელმან მოგცნა მტერნი შენნი ქუეშე ხელთა შენთა“. თავის მხრივ, აბრაამმა მას დავლის მეათედი ნაწილი მიართვა: „და მისცა მას აბრაამ ათეული ყოველთაგან“ (დაბ. 14:20). ამით აბრაამმა სათავე დაუდო საეკლესიო გადასახადს, რომელიც მოგვიანებით მოსემ დააკანონა. შეიძლება გავიზიაროთ აზრი იმის შესახებ, რომ მელქისედეკისადმი გადახდილი მეათედი იყო წინამორბედი სახელმწიფო გადასახადისა, რამდენადაც მისი მიმღები იყო არა მხოლოდ სასულიერო პირი, არამედ მეფეც.[2]

იაკობი მორჩილად უძღვნის ღმერთს მისგან ბოძებულის მეათედს: „და ლოდი ესე, რომელ აღვდგი ძეგლად, იყოს სახლად ღმრთისა ჩემისა, და ყოვლისაგანი, რაოდენი-რა მომცეს მე, ათეული მივსცე მას“ (დაბ. 28:22).

მოსე საკუთარ ხალხს ამცნობს ღმერთის მოთხოვნებს, რომელთაგან ძირითადია ღმერთისათვის თავის დროზე შესაწირავის შეწირვა: „ყოველივე ათეული თესლისაგან ქუეყანისა ნაყოფითგან ხისათ წმიდა იყოს უფლისა ღმრთისა... ყოველივე ათეული ზროხათა და ცხოვართა და ყოველივე, რაოდენი განვიდეს რიცხუსა მას კუერთხსა ქუეშე, ათეული იგი იყოს წმიდა უფლისა“ (ლევ. 27:30,32). „ეტყოდა მოსე ყოველსა მას კრებულსა ძეთა ისრაელისათა და თქუა: ესე სიტყუა არს, რომელი გიბრძანა უფალმან და თქუა: მოიღეთ თქუენ თავისა თქუენისა შესაწირავად უფლისა. ყოველმან, რომელმან დაიჯეროს გულითა, მოიღოს ნაყოფად პირველად უფლისა ოქრო, ვეცხლი და რვალი“ (გამოსლ. 35:4-5). როცა საკმარისზე მეტმა ძღვენმა მოიყარა თავი, ღვთის განგებით, მოსემ შეწყვიტა ძღვენის შეკრება.[3]

---

[1] Иоанн Златоуст. Беседы на книгу бытия http://www.magister.msk.ru/library/babilon/greek/zlatoust/zlato073.htm.

[2] Лукин С., Дар, пожертвование, налог: христианское нормативное учение и исторические формы. Журн. «Христианское чтение». Санкт-Петербургская православная духовная академия. 2011, #4. ст. 6-7.

[3] ჩიხლაძე ნ., გადასახადებისა და დაბეგვრის მართლმადიდებლური საწყისები. ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, თბ., №12, 2009. http://b-k.ge/templates/Jordan/pdf/biznesi%20noemb-2009.pdf

მოგვიანებით, სოლომონმა მშვენიერი ტაძრის აგების შემდეგ, მსხვერპლი შესწირა უფალს (უფლის მიერ მსხვერპლის მიღება და აღიარება უზენაესის მიერ, ზეციდან წამოსული ცეცხლით მსხვერპლის დაწვით დასტურდებოდა, რაც უდიდესი წყალობა იყო): შეწირული ხარების რიცხოვნობამ 22000, ხოლო ცხვრებისამ 120000 შეადგინა.

ბუნებრივია, ღმერთს ძღვენი და სიმდიდრე, მით უმეტეს ასეთი ოდენობით, არ ესაჭიროებოდა, მაგრამ ეს ქმედება ხელს უწყობდა საზოგადოების რწმენის განმტკიცებას, უფლის ძლიერების შემეცნებას, მადლიერებას უფლისადმი, ღვთისმოშიშებას და რელიგიურ აღზრდასაც. ზოგიერთ შემთხვევაში „საგადასახადო წესრიგთან" დაკავშირებულ ასეთ ქმედებას მოიხსენიებენ როგორც საგადამხდელო კულტურის ფორმირებას.

ნიშანდობლივია, რომ გადასახადით იბეგრება სოფლის მეურნეობის პროდუქცია (პირუტყვი, მარცვლეული, ხილი, ღვინო, ზეთი) და არა სხვა სახეობის საქმიანობა (მაგ., მშენებლების, მხატვრების, მჭედლების, თერძების საქმიანობა). ნატურით გადახდილი მეათედის გამოსყიდვისათვის, ანუ მისი ფულადი ეკვივალენტით შეცვლისათვის, დამატებით საჭირო იყო მეხუთედის (20%) გადახდა (გამოსყიდვა), რაც ბუნებრივია გადამხდელისათვის გამოსყიდვის ანტისტიმულს წარმოშობდა: „უკუეთუ ხსნით იხსნეს კაცმან ათეული თვისი, მეხუთე იგი შესძინოს მას ზედა, და იყოს იგი მისა" (ლევ. 27:31).

ვფიქრობთ, ერთი მხრივ, ჩადებული იყო ტერიტორიული დაშორების პრობლემის გადაწყვეტა, ხოლო მეორე მხრივ, შრომის ნაყოფის, გამომუშავებული რეალური პროდუქტის ნაწილის მიძღვნა ღმერთისათვის და არა ფულის გადაცემა (მატერიალური დოვლათის, რეალური ეროვნული პროდუქტის მატების, ეკონომიკური ზრდის წახალისება). როგორც ირკვევა, ამ მიმართებით ეფექტიანად იქნა გამოყენებული გადასახადების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია – მასტიმულირებელი ფუნქცია.

შვიდწლიანი ციკლში მეათედი ბოლო ორი წელი მიემართებოდა ლევიტელთათვის, ქვრივ-ობლებისავის, მწირთა და უპოვართათვის. ამდენად, მეათედში ერთგვარი მიზნობრიობის ელემენტებიც იყო ჩადებული სოციალური უზრუნველყოფის ასპექტების გათვალისწინებით: 5 წელი უფლისათვის, ხოლო 2 წელი სოციალურად დაუცველი კატეგორიისათვის.

საზოგადოდ, გადასახადები, რომელსაც უფლის კურთხეული მეფეები აწესებენ, უფლის ჩაგონებითაა. ამიტომ, მათი შეცვლა, გადამხდელზე ტვირთის გასაზრდელად, თითქმის არასდროს არის მთავარი მიზნის – შემოსავლების გაზრდის მომტანი. მეტიც, მას სახელმწიფოთა ნგრევა-დანაწევრებაც შეიძლება მოჰყვეს. ამის ნათელი მაგალითია ისრაელის სამეფოს ორად გაყოფის საბაბი – სოლომონის მიერ დაწესებული გადასახადების შეცვლა. ამით ისრაელიანები ფაქტობრივად უფალს შეეწინააღმდეგნენ და დაისაჯნენ კიდეც. სოლომონის მემკვიდრემ – რობოამმა, რომელიც არ იყო ღვთის ჭეშმარიტი მადიდებელი, ყურად არ იღო უხუცესთა რჩევა და გაზარდა საგადასახადო ტვირთი, რამაც ებრაელთა ათი ტომი მის მორჩილებას ჩამოაშორა და ცალკე სამეფო ჩამოაყალიბეს. მეორე მხრივ, იყო პერიოდები როცა მეათედის გადახდა შესუსტდა (ეს კი რწმენის შესუსტებას მოასწავებდა), რაც აღნიშნულია კიდეც ძველი აღთქმის წიგნებში (იხ. ეზეკ., ნეემ., მალაქ.).

ახალი აღთქმის ეპოქაში მეათედმა ტრანსფორმაცია განიცადა. როცა მთიდან ჩამოსულმა უფალმა განკურნა კეთროვანი, დაავალა მას: „ეჩვენე მღვდელს და შესწირე ძღვენი, რაც ბრძანა მოსემ მათდა დასამოწმებლად" (მათ. 8:4). ეს დავალება რწმენის განმტკიცებას და სჯულის პირუთვნელ დაცვას ემსახურებოდა.

წმინდა მოციქული პავლე არ განსაზღვრავს კონკრეტულ თანხას ან შემოსავლის ნაწილს, რომელიც ქრისტიანებს ეკლესიის საჭიროებებისათვის უნდა გადაეხადათ, მაგრამ შემდეგ დებულებას გვთავაზობს: „ყოველ ორშაბათს თითოეულმა თქვენგანმა გადადოს თავისთან ან გადაინახოს წარმატებისამებრ, რათა ჩემი მოსვლისას არ იწყებოდეს შეგროვება" (I კორ. 16:2). სასურველი იყო კორინთელებს წინასწარ განესაზღვრათ, თუ რამდენის შეწირვა შეეძლოთ და ამისათვის რეგულარულად დაეზოგათ გარკვეული თანხა: „ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე მეთხოვა ძმებისათვის, რომ წინასწარ მოსულიყვნენ თქვენთან და გაემზადებინათ თქვენი, უკვე აღთქმული ძღვენი, რათა მზად იყოს როგორც ძღვენი და არა როგორც ანგარება" (II კორ. 9:5).

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა და კანონმორჩილების მოწოდება მოციქულთა ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. პავლე მოციქული რომაელთა მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში აღნიშნავს: „მიეცით ყველას რაც ეკუთვნის: ვისაც ხარკი – ხარკი, ვისაც ბაჟი – ბაჟი, ვისაც შიში – შიში, ვისაც პატივი, - პატივი“ (რომ. 13:7). მოციქულებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ამგვარი ელემენტარული წესრიგის გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებდა.

საგულისხმოა ერთი საკითხიც: ახალი აღთქმისეული მიდგომა უფლისათვის, ეკლესიისათვის განკუთვნილი მსხვერპლისათვის, მისი ოდენობისათვის არის მკაცრად ნებაყოფლობითი! ნებისმიერმა ქრისტიანმა თვითონ უნდა განსაზღვროს, რამდენი გადაიხადოს: რწმენის, სიმდიდრის, სინდისისა და შემოსავლების მიხედვით: „თითოეულმა როგორც გულით აირჩია, არც შეწუხებით, არც ძალდატანებით. ვინაიდან სიხარულით გამცემი უყვარს ღმერთს“ (II კორ. 9:7). საგულისხმოა, რომ მოციქული ამ შემოსავლების მობილიზებას თანასწორობის უმთავრეს პრინციპს უკავშირებს: „რადგან არა იმისთვის, რომ სხვებს შვება ჰქონდეთ და თქვენ გაჭირვება, არამედ თანასწორობისათვის“ (II კორ. 8:13). ღირს ვიფიქროთ, რომ ამგვარი თანასწორობა გულისხმობს ფინანსური რესურსების სამართლიან განაწილებასა და გადანაწილებას, საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის მცდელობას უპოვართათვის და სხვა სოციალური გარანტიების დამკვიდრებას.

შედარებით უფრო გვიანდელ წერილში წმ. პავლე კიდევ უფრო ლიბერალური ხდება „საუფლო გადასახადის“ მიმართ და პირველი რიგის ამოცანად ახლობლებზე ზრუნვას მიიჩნევს: “ხოლო ვინც არ ზრუნავს თავის ახლობლებზე, უფრო მეტად კი თავის სახლეულებზე, იგი განუდგა რწმენას და ურწმუნოზე უარესია” (I ტიმ. 5:8). ამდენად წმ. პავლე არ იყო მომხრე ეკლესიის გაწეული შენატანების სტიმულირებისა იმ მასშტაბებით, რომელიც ამ პრინციპს დაარღვევდა. ბიბლიაში არსად ჩანს სხვა მოციქულების მიერ მეათედის აკრების მცდელობა თავიანთი მოღვაწეობის ან ღვთისმსახურების საფასურად: „უთხრა პეტრემ: „ვერცხლი და ოქრო არა მაქვს, ხოლო რაც მაქვს, იმას გაძლევ: იესო ქრისტე ნაზარეველის სახელით იარე!“ (საქ. 3:6). თუმცა პავლე მოციქული კმაყოფილია, რომ „მიიღო კეთილსურნელება, საამებელი მსხვერპლი, ღვთისათვის მოსაწონი“ (ფილ. 4:18), მაგრამ მისთვის ამოსავალი პრინციპია დღედაღამ შრომის მიუხედავად ზედმეტ ტვირთად არავის დააწვეს და „ისე ვქადაგებდეთ თქვენს შორის სახარებას“ (თეს. 2:9).

იდენტური აზრია გატარებული მათეს სახარებაშიც: იმდენად მეორეხარისხოვანია ძღვენის შეწირვა მოყვასის სიყვარულთან, აღმსარებლობასთან, მიტევებასთან მიმართებით, რომ თვით უფალი გვმოძღვრავს: „თუ მიიტან შენს ძღვენს სამსხვერპლოზე და იქ გაგახსენდება, რომ შენს ძმას რაიმე აქვს შენს წინააღმდეგ, მიატოვე იქ შენი ძღვენი სამსხვერპლოსთან და წადი შენს ძმას შეურიგდი; შემდეგ მოდი და შესწირე შენი ძღვენი“ (მათ. 5:23-24). ერთი მხრივ, ზვარაკის შეწირვა, გამომხატველია უფლის მორჩილებისა და სიმდაბლისა. თუმცა, სისხლიანი მსხვერპლშეწირვა კი არ არის ღვთივსათნო საქმე, არამედ ლოცვა, ზიარება, უფალთან თანამყოფობა. ამას თვით დავით მეფსალმუნე გვაუწყებს: „მსხვერპლი ღვთისა არს სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული“ (ფსალ. 50).

წმინდა წერილის ეს ადგილები კიდევ უფრო გვარწმუნებენ, რომ უფლის მიმდევართათვის მისაღებია ჩუქება, გადაცემა, ადამიანის გულისხმიერებიდან გამომდინარე, ეკლესიისათვის მატერიალური ფასეულობის შეწირვა და არა მეათედის აკრება. ამას ადასტურებს თუნდაც ქვრივის მიერ მოკრძალებული თანხის, ორი ლეპტის[1] (კონდრატი) ჩადება საგანძურში, რომელმაც „ყველა ჩამგდებზე მეტი ჩადო, ყველაფერი, რაც კი რამ გააჩნდა მთელი თავისი სარჩო საბადებელი“ (მარ. 12:43-44).

ამდენად, ახალიაღთქმისეული ეკლესიისათვის მეათედმა დაკარგა აუცილებლობის და საყოველთაობის ფორმა. მეათედის გაფეტიშებამ მწიგნობრები და ფარისევლები იქამდე მიიყვანა, რომ მათ მეორეხარისხოვნად ჩათვალეს ყოველივე, რაც მთავარია რჯულში – მოყვასი, სარწმუნოება და წყალობა. მოციქულთა პერიოდში ეკლესიისადმი შეწირვა ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს, რომლის ზომას, ფორმას, მოცულობას და პერიოდულობას თვით მორწმუნე განსაზღვრავს. შედეგად, ყალიბდება სამი

[1] სპილენძის საცვლელი მონეტა, ძალზე წვრილი ფული (სპილენძის 1 დრაქმა=96 ლეპტა).

ძირითადი პრინციპი: შეწირვა ნებაყოფლობით, შეწირვა შესაძლებლობების მიხედვით და გადანაწილება საჭიროებათა შესაბამისად.

ბიბლიის სიბრძნე გვასწავლის, რომ კვების წესი და ხასიათი განაპირობებს ადამიანის არა მხოლოდ ჯანმრთელობას, არამედ მის სულიერ მდგომარეობასაც. კვებასთან დაკავშირებული აღკვეთები და შეზღუდვები ყოფითი ტრადიციებისა და რელიგიური მსოფლმხედველობის უდიდესი მოვლენაა.

ჩვენ პურსა და ღვინოსთან ერთად ვჭამთ და ვსვამთ „ღვთის სიტყვას", ვეზიარებით ქრისტეს ხორცსა და სისხლს. ამ საკვებშია სიცოცხლე. მართალია, ქრისტიანობამ ცეცხლს მისცა ვაზისა და ღვინის წარმართულ ღვთაებათა კულტები, მაგრამ „სიცოცხლის ხედ" გაცნობიერებული ვაზი ქრისტეს სიმბოლოდ აქცია. ქრისტე ამბობს: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი, და მამა ჩემი მოქმედი არს... მე ვარ ვენახი და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თვინიერ ჩემსა არარაი ძალ-გიც ყოფად არცა ერთი" (იოან. 15:1,5).

ქართველი კაცი ღვინის დაყენებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. ზედაშეა მევენახის სინდისი, ღვინით ინათლებოდა მისი შთამომავლობა. თაობიდან თაობას გადაეცემოდა ღვინის დაყენების ქართული წესები. პურ-ღვინოს ნაკვალევს თუ გავყვებით, საქართველოს აღმოვაჩენთ. პურ-ღვინის ქვეყანამ სიღრმისეულად გაიგო პურითა და ღვინით ქრისტიანული ზიარების საიდუმლო. მეღვინეობისა და ქართულ სუფრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქრისტიანობა არ წაურთმევია. ქრისტე არ გმობდა მიწიერ ცხოვრებას, აკურთხებდა მას. იესო მონაწილეოდა საქორწინო ნადიმებში.[1]

მარხვა ქრისტიანისათვის არის მონაწილეობა თვით ქრისტეს მარხვაში, რითაც უფალმა გაათავისუფლა ადამიანი საკვებზე, მატერიასა და სამყაროზე სრული დამოკიდებულებისაგან. მარხვის საიდუმლოს მიხედვით, საკვების, რითაც ჩვენ ვსაზრდოობთ და სიცოცხლეს, რომელსაც ეს საკვები გვინარჩუნებს, იძლევა მხოლოდ ღმერთი. მარხვა არ არის მხოლოდ საკვების აკრძალვა, მას თან უნდა ახლდეს საკუთარი თავის ღვთიურ რეალობაში გაცნობიერებისა და განმტკიცების ცდა, ანუ სულიერი ძალისხმევა.

საქართველოს მთიელი მოსახლეობა მარხვაში ჭამდა ნივრის ხინკალს, მოხარშულ ლობიოს, თევზს, ველურად მზარდ ფხალეულს და მწვანილს. სვანეთში, სულიწმინდის მოფენის შემდეგ, ორშაბათიდან შაბათამდე, იკრძალებოდა რძე და რძის პროდუქტები. იანვარში, ახალი მთვარის შემდეგ, იწყებოდა აკრძალვა ხორცზე, თებერვლიდან-ყველზე. ხორცი იკრძალებოდა ხორცის შაბათიდან აღდგომამდე. ხორცის შაბათიდან ერთი კვირა დაშვებული იყო ერბო. მთიულეთში, დიდმარხვის პერიოდში, ყოველ შაბათ საღამომდე ყველანაირ საჭმელს კრძალავდნენ, ასევე იქცეოდნენ გუდამაყარში, ქიზიყსა და სვანეთში სამშაბათსა და პარასკევს.

ქრისტიანობა იქცა ქართული ზნე-ხასიათის საყრდენ ღერძად, რომლის ირგვლივ ბრუნავს ჩვენი ეროვნული ცნობიერება. ქრისტიანობას სასიკეთოდ შეერწყა უძველესი ქართული ტრადიციები და წარმართულ ჩვეულებათა ის ფასეულობები, რომლებიც ეროვნულ ინტერესებს გამოხატავდა. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ყველაზე კონსერვატიული ტრადიციის – კვების გაკეთილშობილებაში. პურ-ღვინით გამასპინძლების უძველესი წესი ქართულ ხასიათში შესისხლხორცებულია, ქართველი დაულოცავად ღვინოს არ შესვამს. ქართული სუფრა – მოყვასისადმი სიყვარული, პურ-ღვინისა და ჭეშმარიტების თანამოზიარობა, გაცემა და გამასპინძლება, ჭირისა და ლხინის თანამოზიარობა – ქართული ხასიათის გამოვლენის უძველესი ქრისტესმიერი წესია და ასე იქნება ყოველთვის.

---

[1] კოღუაშვილი პ., ქრისტე ვენახია. V სამეცნიერო კონფერენციის "ქრისტიანობა და ეკონომიკა" შრომათა კრებული. თსუ, 2010 წლის 25 იანვარი. „უნივერსალი", თბ., 2010. გვ. 82.

Paata Koguashvili
Niko Chikhladze

Agricultural Products as Gifts, Food and Taxes in Holly Letter

Resume

Efficient functioning of the agricultural sector has always been the foundation of mankind's physical and material existence. It is proved even by the activities and professions which are described in the Holy Scripture. Any sector of the economy is impossible without the land and natural resources. The right of labor and entrepreneurship, even the necessity and the stimulus for it, the right to physical survival, contemplation – man has gained after God cursing.

According to The Christian and the Old Testament idea, a relation between God and human is exchange of a variety of gifts and blessings. The main gift that God gave to the people, is the life and God like abilities and talents, nature and natural resources, also, the most importantly, spiritual talents. We, Christians consider as the greatest favor of Lord God's embody, His life, God's torture and crucifixion for the salvation of human beings. In response, people are trying to fulfill God's commandments, to dedicate more time and Fetal of their labor to the Lord. God's gift should be an expression of special love, internal condition, faith of future and joy.

During the period of Apostles donating to the church has a voluntary character. The size, shape, volume and frequency are defined by believers. As a result, comprises three main principles: a voluntary donating, donating by capabilities and distribution in accordance with the needs.

მანანა ლობჭანიძე

რელიგია და ახალგაზრდობა: კომუნიკაციის ახალი ფორმების ძიებაში

რელიგია, როგორც სოციალური ფენომენი, თავისთავად ობიექტურ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ისევე როგორც სხვა სოციალური ინსტიტუციები, საზოგადოების ერთ-ერთ სოციალურ ჯგუფზე – ახალგაზრდობაზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს. რელიგია საზოგადოებისათვითვის არა ცალკე მდგომი ინსტიტუციაა, არამედ რელიგია უნდა განვიხილოთ, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი, რომლისგანაც იზოლირებული არავინაა და მათ შორის არც ახალგაზრდობა.

შეცდომა იქნებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობებს მხოლოდ რწმენის პრიზმიდან რომ ვუყურებდეთ. მათი ზემოქმედება თანამედროვე საზოგადოებრივ პროცესებზე ძალზედ მნიშვნელოვანია.

თანამედროვე საზოგადოებაში ინდივიდის ქცევას მისი ინფორმირებულობა განსაზღვრავს. ამის გათვალისწინებით, სოციალური ინტერგრაციის ფორმების გამოყენებით ცდილობენ მათზე დამოკიდებული გახადონ საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რაც სრულიად მიუღებელია ქრისტიანული რელიგიისათვის.

ამრიგად, რელიგიური ფაქტორით ახალგაზრდების, როგორც სოციალური სუბიექტის ჩართვამ, შეიძლება როგორც დადებითი (მაგ. მისიონერები), ასევე უარყოფითი (მაგ. ისლამი, ფუნდამენტალისტები) გავლენა იქონიოს როგორც მთლიანად საზოგადოებაზე, ასევე ახალგაზრდებზე.

ეკლესია როგორც სოციალური ინსტიტუცია წარმოადგენს ისტორიულ ჩამოყალიბებულ სისტემას საზოგადოების და მათ შორის ახალგაზრდების სწორი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვისათვის, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებისათვის, მყარი და ტრადიციული ოჯახისათვის, რაც ერის სიმყარის გარანტიაა.

თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში ეკლესიას არა მხოლოდ რელიგიური რიტუალების შენარჩუნებისა და გადაცემის ფუნქცია აქვს, არამედ სოციალური ინსტიტუტის სტატუსიც გააჩნია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯანსაღი ახალგაზრდობის ფორმირებაში, ხელს უწყობს ჭეშმარიტი ფასეულობების დამკვიდრებას.

სახელმწიფოს კეთილდღეობა არსებითად დამოკიდებულია მაღალი პასუხისმგებლობის მქონე განათლებულ ადამიანებზე, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ საკუთარი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობა ქვეყნისათვის.

ნებისმიერი ერის წარმატებული მომავალი დამოკიდებულია განათლების სისტემის სწორ მოწყობასა და ფუნქციონირების მაღალ ხარისხზე. იმ ქვეყნებში, სადაც განათლების სისტემა ეფექტიანია, შესაბამისად ჯანსაღია სახელმწიფოს ყველა წამყვანი ინსტიტუტი.

ევროკავშირის ქვეყნები აქტიურად მუშაობენ იმაზე, რომ შეიქმნას უმაღლესი განათლების ერთიანი სივრცე, რაც ხელს ხელშეუწყობს სახელმწიფოებს შორის აკადემიურ თანამშრომლობას.

ბოლონიის პროცესში ჩართვამ დაამტკიცა, რომ ეს არის ეფექტიანი გზა საერთაშორისო კონსენსუსის მისაღწევად, მაგრამ იმავდროულად პოზიტიურად იყენებს საგანმანათლებლო ტრადიციების მდიდარ მრავალფეროვნებას, სხვადასხვა დარგობრივი სფეროს სპეციფიკურ გამოცდილებასა და ცოდნას. სწორედ ამის დასტურია საქართველოს საგანმათლებლო სივრცეში ისეთი ახალი უმაღლესი სასწავლებლების გაჩენა, როგორიცაა:

1. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, რომელიც სასწავლო პროგარამების მრავალფეროვნებით გამოირჩევა: ფილოლოგია, ისტორია, საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონული პროცესები, ფსიქოლოგია, სოციალური მუშაობა, ინფორმატიკა, მათემატიკა, გამოყენებითი ეკოლოგია, ფიზიკა, მენეჯმენტი, ფინანსები, ეკონომიკა, ტურიზმის ბიზნესი, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სომხურენოვანთათვის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აფხაზურენოვანთათვის.

2. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი: სასწავლო პროგრამები – ფარმაცია და ტრადიციული მედიცინა, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია.
3. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი (ხულო): სასწავლო პროგრამები – ისტორია, ფილოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, განათლება, სამართალმცოდნეობა, საჯარო მმართველობა, აგრარული მეცნიერებები, ბიზნესის ადმინისტრირება, ჟურნალისტიკა, ჯანდაცვის ბაკალავრი-საექთნო საქმე.
4. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია: სასწავლო პროგრამები – თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ქრისტიანული ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა, ხატწერის საბაკალავრო პროგრამა, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის საბაკალავრო პროგრამა.
5. წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია: სასწავლო პროგრამები – თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, - ქრისტიანული ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა.
6. მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგამანათლებლო დაწესებულება – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი: სასწავლო პროგრამები – საეკლესიო მუსიკისა და საეკლესიო მუსიკათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა.
7. მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგამანათლებლო დაწესებულება- საქართველოს – სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია: სასწავლო პროგრამები – თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა.
8. მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგამანათლებლო დაწესებულება - ყვარლის წმინდა აბიბო ნეკრესელის სახელობის სასულიერო სემინარია - ეკოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა.

მართმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი და მიზანია: მდიდარი ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება. რწმენისა და ცოდნის სინთეზზე, განათლების უწყვეტობასა და მემკვიდრეობითობაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და მეცნიერული საქმიანობა, რომელიც ემსახურება საზოგადოების ორიენტაციას ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) და უმაღლეს საკაცობრიო ღირებულებებზე. სასწავლო უნივერსიტეტები შექმნილია სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის, რომელიც ემსახურება მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას.

განათლება და საგანმანათლებლო თანამშრომლობა გადამწყვეტი ფაქტორია სტაბილური, მშვიდობიანი და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერებისათვის, განსაკუთრებით იმ სიტუაციის ფონზე, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში შეიქმნა.

ახალგაზრდობა ქვეყნის შრომითი რესურსების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული რესურსია. ახალგაზრდობის წილი მოსახლეობაში შესამჩნევად ცვლის არა მხოლოდ მის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, არამედ შრომითი პოტენციალის პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობას.

ახალგაზრდების დასაქმების ნებისმიერი ასპექტით შესწავლისას, აუცილებელია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლებების ურთიერთკავშირით განხილვა, განათლების და პროფესიული მომზადების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის გათვალისწინება.

სასულიერო განათლება საქართველოში IV საუკუნიდან მკვიდრდება. ეკლესია-მონასტრები მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერებსაც წარმოადგენდა. შუა საუკუნეებში განსაკუთრებით განთქმული იყო ტაო-კლარჯეთის, გელათის, იყალთოს, გრემისა და შიომღვიმის საგანმანათლებლო კერები. ძნელბედობისა და ეკონომიკური გაჭირვების მიუხედავად, XIX საუკუნის დასაწყისამდე არსებობდა თბილისისა და თელავის სასულიერო სასწავლებლები.

1817 წელს თბილისში გაიხსნა რუსული სასულიერო სემინარია, რომელმაც იარსება 1917 წლამდე.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, კათოლიკოს-პატრიარქების კირიონ II-ისა და ლეონიდეს დროს, სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდა სასულიერო სემინარიის დაარსებისათვის, მაგრამ 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ახალი აგრესიისა და ოკუპაციის პირობებში, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია კანონგარეშე ორგანიზაციად გამოცხადდა, სასულიერო სასწავლებლის გახსნაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

მხოლოდ 1963 წლის 14 ოქტომბერს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით მცხეთაში გაიხსნა სამოძღვრო კურსები, რომელიც 1965 წელს სასულიერო სემინარიად გადაკეთდა.

1988 წელს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია. აკადემიაში ჩაირიცხა 14 სტუდენტი. მცხეთიდან მას შეუერთდა სასულიერო სემინარია 30 სტუდენტით.

1993 წლიდან სასულიერო აკადემიასთან გაიხსნა საღვთისმეტყველო ინსტიტუტი ქრისტიანული ანთროპოლოგიისა და ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტებით.

ევროპის ზოგიერთი ქვეყნისაგან განსხვავებით ჩვენში არ არსებობს 800 ან 700 წლის უნივერსიტეტი. მაგრამ საქართველოში უმაღლესი განათლების ისტორია IV საუკუნიდან იწყება; აქედან მოყოლებული სხვადასხვა დროს, როგორც კი ამისათვის ოდნავ მაინც ხელსაყრელი დრო დგებოდა, ჩვენს მიწა-წყალზე თუ მის ფარგლებს გარეთ უმაღლესი განათლების რამდენიმე მძლავრი ქართული კერა იქმნებოდა. დავით აღმაშენებლის ხანგრძლივი, დაუცხრომელი მოღვაწეობა, უწინარეს ყოვლისა, თურქ-სელჯუკთაგან აოხრებული ქვეყნის ჭრილობების მოშუშებისაკენ იყო მიმართული.

სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად, რაც „დიდმა თურქობამ“ თავს დაატეხა ჩვენს ქვეყანას, მომთაბარეებმა „დაუწვეს....უდაბნონი კლარჯეთისანი“, რომლებიც იმდროინდელ საქართველოს განათლების კერებს წარმოადგენენ. მართალია, საქართველოს „სინაი“-ის ანუ კლარჯეთის “ათორმეტ“ სავანეს და საერთოდ ქართული კულტურის კერებს ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ XI საუკუნის პირველ მეოთხედში, ბიზანტიის კეისრის ბასილ I ბულგართმმუსვრელის შემოსევის და ქართველთა და ბერძენთა შორის გაჩაღებული დიდი ომიანობის შედეგად ძველი ბრწყინვალება მოაკლდათ, მაგრამ მათი ძირფესვიანად განადგურება და გადაწვა თურქ-სელჯუკთა „დამსახურებაა“. დავით IV-ის აღმშენებლობით საქმიანობაში ერთ-ერთ საპატიო ადგილზე დგას სწორედ გადაბუგულ ქვეყანაში დროებით ჩამკვდარი საგანმანათლებლო საქმიანობის განახლება.

როდესაც სელჯუკები წინანდებურად უკვე პარპაშს ვეღარ ბედავდნენ საქართველოს მიწა-წყალზე, და გარდა ამისა, თითქმის ასი წლის განზე დგომის შემდეგ 1105 წელს ერწუხის ბრძოლით დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ შემოუერთა ჰერეთ-კახეთი ერთიან საქართველოს, მან, მისი ისტორიკოსის სიტყვით, ინება „აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა რომელიცა გამოირჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლოსა... რომელი ზეშთა ჰმატს შუენიერებასა ყოველთასა“.

ლაპარაკია გელათის ღვთისმშობლის მონასტრის „აღშენებაზე“, რომელიც 1106 წელს დაწყებულა. ამ მონასტერთან, როგორც ეს დღეს დადგენილია, არსებობდა მძლავრი სასწავლო და სამეცნიერო კერა, აკადემიის ტიპის უმაღლესი სასწავლებელი, სადაც დავით აღმაშენებლმა თავი მოუყარა საქართველოსა თუ მის გარეთ მოღვაწე გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს: „მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანასა კიდეთა სადათაცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა... მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა“.

ღვთისმშობლის მონასტერთან აკადემიის დაფუძნება მომხდარა 1106-1110 წლებს შორის. სწორედ ამ წლებში დაემკვიდრა საქართველოში მეორედ ჩამოსული დიდი ქართველი მეცნიერი იოანე პეტრიწი, მრავალგზის დევნილი, ამჯერად დავითის „წყალობისა“ და „თანადგომისა“ მოიმედე.

გელათის მონასტერთან აკადემია რომ დაარსდა, ამაში საკვირველი არაფერია; შუა საუკუნეებში აკადემიები სწორედ სამონასტრო სისტემაში შედიოდნენ. გელათის აკადემიაში, მისი დაარსების პირველ წლებშივე, იოანე პეტრიწის გარდა, მოღვაწეობდა ასევე დიდი მეცნიერი არსენ იყალთოელი. იმდროინდელ უძლიერეს, ზოგჯერ განსხვავებულ მსოფლმხედველობათა მქონე (აღიარებულია, მაგალითად, რომ ორი დიდი ფიგურა ამ ეპოქისა იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი ერთიმეორის იდეური მოწინააღმდეგეები იყვნენ) ქართველ მეცნიერთა დამკვიდრებამ გელათში განსაზღვრა აკადემიის სამეცნიერო მოღვაწეობის ფართო მასშტაბები.

გელათის აკადემია წარმოადგენდა არა მარტო სამეცნიერო, არამედ სასწავლო კერასაც, უმაღლეს სასწავლებელს; პროფ. ს. ყაუხჩიშვილის თანახმად, გელათის აკადემიაში „დისციპლინათა სწავლება აგებული უნდა ყოფილიყო ცნობილ სისტემაზე ტრივიუმ-ქუადრივიუმ, ე.ი. ისწავლებოდა შვიდი დისციპლინა: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია“, რადგან ბიზანტიის ბევრ უმაღლეს სკოლაშიც სწორედ სწავლების ასეთი სისტემა არსებობდა.[1]

დიდია რელიგიური ინსტიტუციების, როგორც საკუთრივ რელიგიური, ასევე ეკონომიკური, პოლიტიკური და საგანმანათლებლო ფუნქციები, რომლის რეალიზება ხდება, როგორც მთლიანად საზოგადოების, ასევე ცალკეული ჯგუფების და მათ შორის ახალგაზდების დონეზე.

რელიგიაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია კომუნიკაცია ახალგაზრდებისათვის გასაგებ ენაზე. გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალგაზრდული აუდიტორიის (მსმენელების) სპეციფიკა. გარდა ამისა, ახალგაზრდებთან საუბრისას უნდა გესმოდეს მათი პრობლემები. მათთან ურთიერთობის, კომუნიკაციის ფორმები უნდა პასუხობდეს აღნიშნული სოციალური ჯგუფის მოთხოვნებს, რომლებიც გამოირჩევიან როგორც მრავალრიცხოვნებით, ასევე, სოციალური აქტივობით.

სწორედ ახალგაზრდების ასეთი დახასიათება აძლევს სწორ ორიენტაციას ეკლესიას მათთან კომუნიკაციის, ურთერთობის აქტიური ფორმების შერჩევაში, როგორიცაა: მართლმადიდებლური ახალგაზრდული გაერთიანებები, ახალგაზრდების ჩართვა ეკლესია-მონასტრების აღდგენით სარესტავრაციო სამუშაოებში, მხატვრული რეწვის სახელოსნოების შექმნა. სწორედ ასეთი ფორმები შეიძლება იყოს პასუხი გლობალიზაციის პირობებში, თანამედროვე საზოგადოების პრობლემებზე.

Manana Lobzhanidze

Religion and Youth: Searching for New Forms of Communication

Resume

Religion as the social phenomenon represents the objective factor, which like other social institutions impacts the certain group of a society - the youth. Religion is not the institution staying aside a society but we should review religion as a part of the public life and no one may be separated from it, including young population.

The church as the social institution represents historically shaped up system for inculcation of the right living order of a society and the young people as well, that is very important for a society, the firm and traditional family which is a guarantee for consolidation of a nation. In a total civilized community the church has the function of not only the rites retention and transfer but it possess the statute of a social institute, which performs the significant role in formation of youth, promotes creation of true values.

The state welfare depends upon educated people with high responsibility who are aware of importance of their own professional activities for the state future.

[1] აბდალაძე ა. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1989. მასალა ადაპტირებულია თამარ სარიშვილის მიერ სპეციალურად საიტისთვის www.dzeglebi.ge

Successful future of any nation depends upon right arrangement and functioning of education system with high profile. In the states where an education system is efficient, correspondingly all leading institutes of the state are healthy and effective..

The role and the goal of Orthodox Theological Higher Educational Entity: retention and development of rich national traditions. Educational and scientific activities based on synthesis of belief and knowledge, uninterrupted education and heritage which serves the society orientation towards Christian (orthodox) and high values of mankind.

მერაბ მიქელაშვილი

სამეურნეო საქმიანობის პრინციპები ძველი აღთქმის მიხედვით

ადამიანი თავისი ისტორიის ყველა პერიოდში ძალიან აქტიურად მონაწილეობს ცხოვრების იმ სფეროში, რომელსაც ეკონომიკა ჰქვია. მასში იგულისხმება მატერიალური, ინფორმაციული და „სულიერი“ რესუსების წარმოების, გაცვლის, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესთა ერთობლიობა. გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ ეკონომიკური კეთილდღეობა ორი წყაროსგან მომდინარეობს. პირველი წარმოადგენს შემოქმედის მიერ შექმნილ სამყაროს, ბუნებას, როდესაც ადამიანი მოიპოვებს შემოქმედის მიერ გულუხვად ბოძებულ საოცარ სიმდიდრეს. მეორე – ადამიანის შრომა, მისი ფიზიკური, გონებრივი და სულიერი ძალისხმევა. სწორედ ეს წარმოადგენს რეალური ეკონომიკის საფუძველს.

მას შემდეგ, რაც ადამიანის ცოდვით დაცემის შემდეგ ღმერთმა მას დაუდგინა: „პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული“ (დაბ. 3,19)[1], ადამიანი მოწოდებულია შრომისთვის. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ადამიანის ეკონომიკურ-სამეურნეო ცხოვრება მისთვის უდიდეს მნიშვნელობას იძენს. სამეურნეო საქმიანობა უზრუნველყოფს ადამიანთა მატერიალურ ცხოვრებას, ამიტომ ეკონომიკა ადამიანისთვის გარდაუვალი აუცილებლობაა. ეკონომიკური სფეროს იგნორირება და საკუთარი თავის მიჩნევა მხოლოდ „სულიერ“ არსებად, ნამდვილად არაგონივრულია, ამიტომ აუცილებელია სამეურნეო საქმიანობის გააზრება ქრისტიანული ღირებულებების საფუძველზე.

ბუნებრივია, ვიხილავთ რა წმინდა წერილის ეკონომიკურ კატეგორიებს, უნდა ავარჩიოთ გარკვეული შეხედულებები და ჩამოვაყალიბოთ მათი შეფასების კრიტერიუმები. ადამიანის ცხოვრების არსი ღმერთთან მიახლოება და გადარჩენაა. ამიტომ, ადამიანის ნებისმიერ სამეურნეო აქტიობას უნდა შევხედოთ მისი სულიერი გადარჩენის პრიზმით.

„ვისაც არ უყვარს, მან ვერ შეიცნო ღმერთი, იმიტომ, რომ ღმერთი სიყვარულია“ (1 იოან. 4,8). ეს ნიშნავს, რომ ღმერთთან დაახლოება შესაძლებელია მხოლოდ სიყვარულით: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით, – აი, უპირველესი მცნება. და მეორე, ამისი მსგავსი: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი, არ არსებობს ამათზე დიადი მცნება“ (მარკ. 12, 30-31).

ადამიანის გადარჩენა ღმერთისა და მოყვასის სიყვარულშია. უნდა ითქვას, რომ სამეურნეო-ეკონომიკური სფერო – ეს, პირველ რიგში, მოყვასის სიყვარულზე აგებული ურთიერთობა უნდა იყოს. იგი წარმოადგენს მეორე მცნების შესრულების უზარმაზარ ველს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ეკონომიკური საქმიანობის შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს ის, რამდენად ასახავს მოყვასის სიყვარულის გამოვლინებას. თუ გავაანალიზებთ ამ პრინციპებს, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე „ეკონომიკსებს“, ადვილად დავინახავთ, რომ ისინი ეფუძნებიან პრინციპს, რომლის მიხედვითაც ადამიანი ყოველთვის ცდილობს თავისი შემოსავლებისა და მოგების მაქსიმიზაციას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანი ეკონომიკურ სფეროში წარმოადგენს ეგოისტურ არსებას, რომელიც ორიენტირებულია საკუთარ კეთილდღეობაზე. ქრისტიანული სიყვარულის კანონი კი მოგვიწოდებს საპირისპიროსკენ: „სიყვარული ...არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას...“ (1 კორ. 13,4,5).

ქრისტიანული ეთიკის თვალსაზრისით, საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი პრინციპი, რომელიც გულისხმობს ეგოისტურ სწრაფვას მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ, წარმოადგენს არა ბუნების კანონს, არამედ ზნედაცემული ადამიანის შედეგს – ცოდვას. ეს წინააღმდეგობა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ქრისტიანული ცნობიერება სამეურნეო საქმიანობას აღიქვამს არა მისი ეფექტურობის, არამედ ზნეობრივი კუთხით. ქრისტიანული მორალი და შესაბამისად, ქრისტიანული საზოგადოების ეკონომიკა უნდა განსხვავდებოდეს იმ საზოგადოებების ეკონომიკისგან, რომლებიც ხელმძღვანელობენ სხვა რელიგიური პრინციპებით.

---

[1] აქ და ყველგან ციტირებულია წიგნიდან: ბიბლია. თბილისი, 2013.

ძველ აღთქმაში მრავლადაა შრომის, საკუთრების, სიმდიდრის, სიღარიბის და მათთან დაკავშირებული საკითხები. ძველი აღთქმის დროინდელი ადამიანების სამეურნეო ცხოვრება შეიძლება განვიხილოთ ქრისტიანული ეკონომიკური ცხოვრების საფუძვლად. ამიტომ მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ყურადღება მივაქციოთ ძველი აღთქმის დროინდელ სამეურნეო საქმიანობის ნორმების მაღალ ზნეობრივ შინაარსს.

დაბადების პირველი თავები აღწერს, როგორ შექმნა ღმერთმა ადამიანი. ამასთან, ადამიანი ცხოვრობდა ედემში, სადაც მას არ ჰქონდა კვების პრობლემა, მაგრამ ღმერთმა არ დატოვა ადამი უქმად: „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2,15). ამ ფრაგმენტის არსია ის, რომ ყოველივეს მფლობელი არის ღმერთი, ადამიანი კი ვალდებულია, „დაამუშაოს და დაიცვას“ მიწა. თეზისი იმის შესახებ, რომ ყველაფერი ეკუთვნის ღმერთს, წითელ ზოლად გასდევს წმინდა წერილს და ძველი აღთქმის საფუძველს წარმოადგენს.

ადამიანი სულიერად დაეცა და ამან განსაზღვრა კაცობრიობის შემდგომი ისტორია, მათ შორის ცვლილებებიც სამეურნეო სფეროში. ღმერთი ეუბნება ადამს: „რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ჭამა აკრძალული მქონდა შენთვის, მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო. პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული“ (დაბ. 3, 17-19). ედემისეული შრომა წაერთვა ადამიანს და სამაგიეროდ დაუდგინდა შრომა-ტანჯვა, შრომა-სიმძიმე; ეს წყევლა დღემდე ამძიმებს ადამის მოდგმას, მაგრამ, მეორეს მხრივ, სწორედ შრომა აძლევს საზოგადოებას არსებობისა და განვითარების საშუალებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ედემში ცხოვრებისას ჩვენ ვერ ვხვდებით კერძო საკუთრების ვერანაირ კვალს. პირველ ადამიანებს სამოსიც კი არ ჰქონდათ. ზოგიერთი თეოლოგი ყურადღებას ამახვილებს ღმერთის შემდეგ მიმართვაზე: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს“ (დაბ. 1,28) და ხაზს უსვამენ სიტყვა „დაეუფლე“-ს, თვლიან რა, რომ ეს არის კერძო საკუთრების კურთხევა.

ჩვენი აზრით, ეს აზრი საფუძველს მოკლებულია, რადგან იმ დროს დედამიწაზე იყო ორი ადამიანი – ადამი და ევა. და თუ საუბარია კერძო საკუთრებაზე, მაშინ ღმერთს მათ შორის უნდა გაენაწილებინა საკუთრება. სხვა საქმეა სიტუაცია დაცემის შემდეგ, როცა „აეხილათ თვალი ორივეს და მიხვდნენ, რომ შიშველნი იყვნენ, გადააკერეს ლეღვის ფოთლები და არდაგები გაიკეთეს“ (დაბ. 3,7). ეს აქტი შეიძლება მიჩნეული იქნეს, როგორც პირველი, კერძო საკუთრებისადმი მიმართული აქტი; პირველი ცოლ-ქმრის შვილები კაენი და აბელი მიუტანენ ღმერთს იმას, რაც შექმნეს საკუთარი შრომის შედეგად – აბელი, რომელიც იყო მწყემსი, მიართმევს და შესწირავს ღმერთს ცხვარს, ხოლო კაენი, როგორც მიწათმოქმედი, მიართმევს მას, მიწის ნაყოფს.

ისტორიაში ვხედავთ, რომ უძველესი ადამიანები ცხოვრობენ დიდ ოჯახურ კლანებად (მაგალითად, აბრაამის ოჯახი, რომელშიც 300 მონა ცხოვრობდა), სადაც საკუთრება ფორმალურად კლანის მეთაურს ეკუთვნოდა, ფაქტობრივად კი ნაწილდებოდა ყველა წევრზე, ყოველგვარი „საბაზრო ურთიერთობების გარეშე. ადამიანის დაცემამ გახსნა გზა კერძო საკუთრებისკენ, მაგრამ მასთან მისასვლელი მანძილი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. კერძო საკუთრების მეტ-ნაკლებად განვითრებული ფორმა ჩამოყალიბდა ეგვიპტიდან გამოსვლის მომენტისთვის.

სინას მთაზე მოსე ღმერთისგან იღებს სჯულის ფიცარს, რომელზეც ეწერა ათი მცნება. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მომენტი მთელი კაცობრიობის ისტორიაში. ღმერთი იძლევა კანონებს, რომლითაც უნდა ეცხოვრა დაცემულ კაცობრიობას, რომ მოემზადებინათ მხსნელის მოსვლა. სინას მთის „კანონმდებლობამ“ ხელი შეუწყო სამეურნეო საქმიანობის ახალ ტიპს. ფაქტობრივად, ათივე მცნებას (გამ. 20,2-21) აქვს შეხება სამეურნეო საქმიანობასთან. პირველი სამი („მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი“, „არ გაიკეთო კერპები“, „არ დაიფიცო ფუჭად უფლის, შენი ღვთის სახელი“) ადგენს ღმერთის უზენაესობას ყველაფერში, მათ შორის სამეურნეო საქმიანობაშიც. მეოთხე („გახსოვდეს შაბათი დღე, ექვსი დღე იმუშავე და აკეთე შენი საქმეები“) რეგლამენტირებას უკეთებს შრომისა და დასვენების რეჟიმს. მეხუთე

და მეშვიდე („პატივი ეცი მამას და დედას“, „არ იმრუშო“) იცავს ოჯახის, როგორც სამეურნეო საქმიანობის სუბიექტის ურყეობას. მეექვსე („არა კლა“) ამკვიდრებს ცხოვრების უზენაეს ღირებულებებს; მეცხრე („არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ“) სიმართლის პრინციპია. მერვე და მეათე („არ იქურდო“, „არ ინდომო სხვისი“) იცავს საკუთრებას.

შემდეგ ათი მცნება აყალიბებს გადარჩენის მთავარ პრინციპებს – ღმერთისა და მოყვასის სიყვარულს. ეს მცნებები წამყვან როლს თამაშობენ ახალი აღთქმის სამეურნეო ურთიერთობებში. ძველ აღთქმაში კი, მოყვასის სიყვარულის მცნება ფორმულირებულია ნაწილობრივ, უარმყოფელი მცნებების („არა კლა“, „არ ინდომო“) საშუალებით.

დაბოლოს, ათი მცნება ამყარებს კერძო საკუთრების უფლებას: „არ იქურდო“, „არ ინდომო შენი თვისტომის სახლი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არც არაფერი მისი ქონებიდან“. მაგრამ აქედან არ შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ კერძო საკუთრების უფლება დაწყებულია ღმერთის მიერ სამარადჟამოდ. ახალი აღთქმის საკუთრებითი მცნებები განსხვავებულია. მცნება „არ იქურდო“ უნივერსალურია და ეხება როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ქონებას.

რა თქმა უნდა, ძველი აღთქმის მთელი ეკონომიკა ემყარება კერძო საკუთრებას, მაგრამ კერძო საკუთრება არ ითვლება წმინდათაწმინდად და ეს თვალსაჩინო ხდება სამეურნეო საქმიანობის ნორმების უფრო დეტალური ანალიზის დროს.

ათი მცნების გარდა, ჩვენ ვხვდებით ძველი აღთქმის ტექსტებში მთელ რიგ მაღალზნეობრივ სამეურნეო ნორმებს, კერძოდ:

„შაბათის წელი“. ყოველ მეშვიდე წელს კანონი უფლებას იძლევა, არ დათესო და არ მიიღო მოსავალი: „ექვს წელიწადს თესავდე შენს ყანას, ექვს წელიწადს სხლავდე შენს ვენახს და იღებდე მოსავალს. მეშვიდე წელს კი საუქმო შაბათია მიწისათვის, უფლის შაბათი. ყანა არ დათესო და ვენახი არ გასხლა“ (ლევ. 25, 3-4). რაც კი თავისით ამოვა მიწაზე, უნდა მიეცეს ღარიბებსა და ცხოველებს: „ჩაფანტული მარცვლიდან ამოსული არ მომკა და გაუსხლავი ვაზიდან ყურძენი არ მოკრიფო. უქმი წელიწადი იყოს მიწისთვის. მიწის უქმობის დროს გქონდეთ საჭმელად შენ და შენს ყმას, შენს ყმაქალს, ქირისკაცს და მდგმურს, რომელიც შენთან დგას“ (ლევ. 25, 5-7).

ამის გარდა, კანონი ითვალისწინებდა, რომ ყოველი მეშვიდე წლის ბოლოს უქმდებოდა ყველა ვალი: „ყოველი მეშვიდე წლის თავზე გამოცხადდეს პატიება. აპატიოს ყოველმა მევალემ, ვისაც რამე უსესხებია თავისი მოყვასისთვის“ (რჯლ. 15, 1-2), ამასთან განსაკუთრებით აღნიშნულია, რომ არავის არა აქვს უფლება უარი თქვას ვალის დაბრუნებაზე (რჯლ. 15,9). საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ ვალის პატიება ეხებოდა მხოლოდ ებრაელს: „უცხოელს მოსთხოვე, მაგრამ აპატიე შენს მოძმეს, თუ შენი ვალი ექნა“ (რჯლ. 15,3).

დაბოლოს, თანამოძმე მონებს ათავისუფლებდნენ მე-7 წელს (ლევ. 25, 39-55. გამ. 21,2; 26,27,32). ამასთან, ათავისუფლებდნენ მონის ცოლსაც. თუ მონას ცოლს ბატონი მისცემდა და იგი შვილებს გააჩენდა, მაშინ ქალი ბავშვებთან ერთად ბატონთან უნდა დარჩენილიყო. ამ ყველაფერს კი ადამიანთმოყვარეობის სარჩულით ხსნიდნენ: მეშვიდე წელს მონა არ თესდა საკუთარ მინდორში და შესაბამისად, არ შეეძლო ოჯახის გამოკვება.

საიუბილეო წელი, ძველი აღთქმის ტექსტის მიხედვით, ეს 50-ე წელია: „ზეიმი იყოს თქვენთვის ორმოცდამეათე წელი. არ თესოთ და არ მკათ ჩაფანტული მარცვლიდან ამოსული, არ მოკრიფოთ გაუსხლავი ვაზიდან“ (ლევ. 25,11). აქედან გამომდინარე, ორი წელი ზედიზედ მიწა არ უნდა დამუშავებულიყო, რაც აჩენს ვერსიას იმის თაობაზე, რომ საიუბილეო წელი 49-ე წელი შეიძლება ყოფილიყო. საიუბილეო წლის არსი კარგად ჩანს სიტყვებში: „ამ ზეიმის წელს დაუბრუნდეს კაცი თავის სამკვიდრებელს“ (ლევ. 25,13). ძველი აღთქმა უშვებს მიწის გაყიდვას. ამასთან, საიუბილეო წელს ყოველი გაყიდული მიწა უნდა დაბრუნებოდა მის გამყიდველს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას არ ექნებოდა გამოსასყიდი თანხა. ეს წესი ერთგვარად ყიდვა-გაყიდვის ოპერაციას აქცევდა გრძელვადიან იჯარად. ამასთან, ხაზგასმითაა აღნიშნული: „მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან“ (ლევ. 25,23).

ანალოგიური წესი მოქმედებდა სოფლის სახლებზე, რომელთაც გალავანი არ ჰქონდა და ამიტომ მიწის ნაკვეთებად ითვლებოდა; რაც შეეხება მათ სამკვიდრებელ ქალაქის სახლებს, ის რჩებოდა მყიდველების მუდმივ საკუთრებაში. აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ამ კანონების საოცარი ზნეობრივი სიმაღლე და ეფექტურობა. მათი საშუალებით არა მარტო მონობის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლებოდა, არამედ, ფაქტობრივად, ეკონომიკური ექსპლოატაცია გამოირიცხებოდა, რაც ხელს უშლიდა მდიდრებისა და ღარიბების მკვეთრ დიფერენციაციას. არსობრივად ეს არის იმდროინდელ საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის საფუძველი, ფაქტობრივად კი ნიშნავს სოციალურ დონეზე მოყვასის სიყვარულის მცნების დაფიქსირებას. ჩვენი აზრით, აშკარაა მოსეს კანონების ზნეობრივი უპირატესობა თანამედროვე მსოფლიოს ფორმალურად ქრისტიანულ კანონმდებლობასთან შედარებით.

დაქირავებულთა შრომის უზრუნველყოფა. ე.წ. „შაბათის“ კანონი უზრუნველყოფდა დასვენებას. ანაზღაურება მომუშავეებისთვის უნდა გადაეხადათ დაუყოვნებლივ: „თავის დროზე გადაუხადე გასამრჯელო და ნუ დაუცდი მზის ჩასვლას, რადგან ღარიბია იგი და შენი იმედი აქვს“ (რჯლ. 25,15). ამ უკანასკნელი ნორმიდან გამომდინარეობს ისიც, რომ მზის ჩასვლის შემდეგ შრომის მოთხოვნა აკრძალული იყო.

კანონები ქურდობისა და გირაოს შესახებ. თუ ქურდს დაიჭერდნენ, ნაქურდალთან ერთად, მას ნაქურდალის ღირებულების ორმაგი თანხის გადახდით სჯიდნენ. „თუ ხელზე ცოცხლად უპოვნიან ნაქურდალს, ხარი იქნება, ვირი თუ ცხვარი, ორმაგად უნდა ზღოს“ (გამ. 22,3). თუ ქურდს გადახდის საშუალება არა აქვს, მაშინ კანონის მიხედვით იგი ან თავად უნდა წავიდეს მონად, ან თავისი შვილები გაუშვას მონებად.

საგნების გირაოდ აღება დასაშვები იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საფრთხეს არ უქმნიდა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას: „თუ შენი თვისტომისგან ტანსაცმელს დაიგირავებ, მზის ჩასვლამდე დაუბრუნე, რადგან იგი მისი ერთადერთი საფარველია, მისი ხორცის შესამოსელია“ (გამ. 22, 25-26) „არავინ დაიგირაოს ხელსაფქვავი ან დოლაბი, რადგან სიცოცხლის დამგირავებელი იქნება იგი“ (რჯლ. 24,6).

სამეურნეო ზარალი. კანონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქონებრივ და სამეურნეო დავებს. ამ საკითხების მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ მის შესახებ ღმერთი ათი მცნების გამოცხადების შემდეგ საუბრობს: „თუ კაცი ვინმე თავს ახდის ორმოს ან თუ ამოიღებს ორმოს და არ გადახურავს და შიგ ხარი ან ვირი ჩავარდება, ორმოს პატრონმა ვერცხლით უნდა აუნაზღაუროს საქონლის პატრონს; მკვდარი პირუტყვი კი მას დარჩება. თუ ვინმეს ხარი მეზობლის ხარს ურქენს და მოკლავს, გაყიდონ ცოცხალი ხარი და მისი ფასი თანასწორად გაინაწილონ, მოკლულიც თანასწორად გაინაწილონ“. თუ ხარი ადრეც მორქენალი იყო და პატრონს დაბმული არ ჰყავდა, ხარის წილ ხარი უნდა უზღოს; მკვდარი კი მას დარჩეს (გამ. 21, 33-36). ამ შემთხვევაში კარგად ჩანს, რომ კანონი იცავს სამართლიანობას.

მევახშეობა მთლიანად აკრძალული იყო თანამოძმეებთან მიმართებაში: „არ მისცე სარგებელი შენს მოძმეს, არც ვერცხლი, არც საჭმელი და არც რაიმე ნივთი, რაც სარგებელში შეიძლება გაიცეს. უცხოელს მიეცი სარგებელში, შენ მოძმეს კი ნუ მისცემ სარგებელში, რომ გაკურთხოს უფალმა“ (რჯლ. 23, 19-20). ამასთან, უცხოელისთვის ებრაელს უნდა გადაეხადა ძირითადი თანხა და სარგებელიც: „ბევრ ხალხს ექნება შენი ვალი, შენ კი არ ისესხებ; ბევრ ხალხზე იბატონებ, შენზე კი არავინ იბატონებს (რჯლ. 15,6). აქ ხაზგასმულია პროცენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკონომიკურ ურთიერთობაში. დღესაც კაპიტალი მნიშვნელოვანწილად იქმნება საპროცენტო მექანიზმების მეშვეობით.

ვაჭრობა. კანონი უშვებდა ვაჭრობას, ამასთან, ითხოვდა სამართლიანი ფორმის დაწესებას. ამასთან, კანონი კრძალავდა ტყუილს ყიდვა-გაყიდვის დროს: „ნუ იცრუებთ, ნურც სასამართლოზე, ნურც ზომაწონაში და ნურც საწყაოში, სწორი სასწორი, სწორი საწონები, სწორი ეფა, სწორი პინი[1] უნდა გქონდეთ“ (ლევ. 19, 35-36).

[1] ეფა და პინი – საზომი ერთეულები, რომლებიც შესაბამისად 52,48 ლ და 8,5 ლ შეადგენდა.

ქველმოქმედება. კანონები იმის გარდა, რომ კრძალავდა უხეშ ექსპლოატაციას და არაკონ-ტროლირებადი ქონების დაგროვებას, შეიცავდა წესს ქველმოქმედების თაობაზე და მოითხოვდა ღარი-ბებისა და უპოვართა მიმართ ადამიანურ მიდგომას: „თუ იქნა თქვენში ღარიბი ერთი თქვენი მოძმეთაგანი თქვენს ერთ-ერთ ქალაქში, იმ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი, გულს ნუ გაიქვავებ და ხელმოჭერილი ნუ იქნები შენი ღარიბი მოძმის მიმართ, არამედ ხელგაშლილი იყავი და ასესხე მისი გასაჭირის კვალობაზე, რაც უჭირს. ფრთხილად იყავი, გულში არ შეგეპაროს უგვანი ფიქრი, არ თქვა: ახლოვდება მეშვიდე წელი, პატიების წელი. აითვალისწუნებ შენს ღარიბ მოძმეს და არაფერს მისცემ. უფალთან გიჩივლებს და ცოდვა დაგედება. მიეცი და ნუ ინაღვლებს შენი გული მიცემისას, რადგან ამისთვის გაკურთხებს უფალი, შენი ღმერთი, ყველა შენს საქმეში და ნაამაგარში. რადგან არ დაილევა ღარიბი ამ ქვეყანაზე; ამიტომაც გიბრძანებ, ხელგაშლილი იყო შენი მოძმის მიმართ, შენი ღატაკისა და ღარიბის მიმართ შენს ქვეყანაში“ (რჯლ. 15, 7-11).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქველმოქმედებაზე უარის თქმას კანონი განიხილავს როგორც ცოდვას და აღნიშნავს, რომ „ქველმოქმედების დროს არ უნდა ინაღვლოს გულმა“. ეს კი უკვე გარკვეული ზნეობ-რივი ნორმის გამოხატულებაა მოყვასის სიყვარულთან მიმართებით.

მთელი ძველი აღთქმის პერიოდის განმავლობაში წინასწარმეტყველნი ქადაგებენ სიკეთის ქმნას: „თუ შენი მტერი მშიერია, პური აჭამე, თუ სწყურია, წყალი ასვი“ (იგავ. 25,21); „რომ მშიერს გაუყო შენი პური და უსახლკარო ღარიბ-ღატაკნი სახლში შეიყვანო, რომ შემოსო შიშველნი, როცა დაინახავ და შენს სისხლსა და ხორცს არ დაემალო“ (ეს. 58,7); „რადგან თქვენი სიკეთე მახარებს და არა მსხვერპლი“ (ოს. 6,6); „ქვრივს, ობოლს, ხიზანს, ღარიბ-ღატაკს ნუ დაჩაგრავთ; ბოროტს ნუ იზრახავთ თქვენს გულში ერთმანეთისთვის (ზაქ. 7,10).

მთლიანობაში ვაანალიზებთ რა სინას კანონმდებლობის სამეურნეო ნორმებს, მის თავისებურებად მიგვაჩნია:

❖ კანონები, რომლებიც არეგულირებს სამეურნეო საქმიანობას, არა აქვს ისტორიული წარსული და არ შექმნილა წინარე სოციალური პრაქტიკით და ეკონომიკური რეალიებით;

❖ ღმერთი ეუბნება ისრაელის ხალხს, რომ თუ ისინი შეასრულებენ ამ კანონებს, მაშინ მათ გარანტირებული აქვთ სამეურნეო წარმატებები და კეთილდღეობა: „თუ ივლით ჩემს წესზე და დაიცავთ ჩემს მცნებებს და შეასრულებთ მათ, თავის დროზე მოგცემთ წვიმას და მიწაც მოგცემთ თავის მოსავალს, მინდვრის ხეები მოგცემენ თავიანთ ნაყოფს. ლეწვა თესვაზე ადრე დაგიდგებათ, რთველი თესვაზე ადრე, ძღომაზე შეჭამთ თქვენს პურს, თქვენს ქვეყანაში მშვიდად იცხოვრებთ“ (ლევ. 26, 3-5), წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი მკაცრად დაისჯება ღმერთის მიერ: „გავტეხავ თქვენი სიჯიუტის ძალას, რკინად ვაქცევ თქვენს ხარს, სპილენძად – თქვენს მიწას... არ მოგცემთ მიწა თავის მოსავალს და ქვეყნის ხეები – თავის ნაყოფებს, მეც გამოვალ თქვენს წინააღმდეგ რისხვით და შვიდგზის დაგსჯით თქვენი ცოდვებისთვის“ (ლევ. 26, 19-29).

ამგვარად, შეიძლება იმის მტკიცება, რომ მოსეს კანონებს შემოაქვს სამეურნეო თეოკრატიის პრინციპები, რომელიც გულისხმობს ღმერთისადმი დამორჩილებას ყოველდღიურ სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობაში.

სიმდიდრე და სიღარიბე ძველ აღთქმაში. მოსეს კანონი, უდებს რა კერძო საკუთრებას საფუძვლად სამეურნეო საქმიანობას, უშვებს სიმდიდრესა და სიღარიბეს, თუმცა ცდილობს მათ შორის ანტაგონიზმის შემცირებას. სიმდიდრისა და სიღარიბის შეფასებაში იკვეთება ორი ტენდენცია.

სიმდიდრე არის ღმერთის კეთილი ნების ნიშანი. ამ აზრს ძველი აღთქმის ტექსტებში მრავალჯერ ვხვდებით.

ეკლესიასტე ამბობს: „ფულის მოყვარული ფულით ვერ გაძღება და არც სიმდიდრის მოყვარული თავის შემოსავლით“ (ეკლ. 5,9) და იქვე ამატებს: „კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შნოსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; ეს ყველაფერი ღვთის წყალობაა (ეკლ. 5,18). სოლომონი ბრძანებს: „ბრძენკაცთა გვირგვინი მათი დოვლათია, უგუნურთა სიბრიყვე კი სიბრიყვეა“ (იგავ. 14,24). წინასწარმეტყველი სამუელი გვასწავლის: „უფალი აღატაკებს და

ამდიდრებს, დაამდაბლებს და აღამაღლებს (1 მეფ. 2,7), რადგან სიმდიდრეს იძლევა მხოლოდ ღმერთი. იგი ხშირად განიხილება, როგორც დადებითი ღირებულება: „თვინიერების და უფლის შიშის საზღაური სიმდიდრე, დიდება და სიცოცხლეა“ (იგავ. 22,4). ანიჭებს რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას შრომას, ძველი აღთქმა ხშირად ხედავს სიღარიბის მიზეზს სიზარმაცეში: „ღარიბ-ღატაკის ხოდაბუნში უხვი საზრდოა, მაგრამ ზოგჯერ უსამართლობით იღუპება“ (იგავ. 13,23). „ზარმაცს სიცივეში ხვნა ეზარება, რთვლობას კი მოიკითხავს, მაგრამ არაფერი ექნება“ (იგავ. 20,4). მაგრამ ძველ აღთქმაში არის ტენდენცია – არ უნდა გამოეკიდო სიმდიდრეს და არ უნდა გქონდეს მისი იმედი: „გამდიდრებაზე ნუ იზრუნებ, თავიდან მოიშორე ფიქრი“ (იგავ. 23,4). „ფულის მოყვარული ფულით ვერ გაძღება, და არც სიმდიდრის მოყვარული თავის შემოსავლით, ესეც ამაოებაა“ (ეკლ. 5,9). „არავის არგებს სიმდიდრე რისხვის დღეს, სიმართლე კი იხსნის სიკვდილისაგან“ (იგავ. 11,4). „უფლის მოშიშებით მცირეს ქონა უმჯობესია, ვიდრე დიდძალი განძი მოუსვენრობაში“ (იგავ. 15,16). „რჩეული სახელი დიდძალ ქონებაზე უკეთესია, კეთილი მადლი კი – ვერცხლზე და ოქროზე“ (იგავ. 22,1). „სიცრუე და ტყუილი მაშორე, ნურც სიღარიბეს მომცემ და ნურც სიმდიდრეს, საარსებო პურით მასაზრდოვე“ (იგავ. 30,8).

უმჯობესია, ღმერთის იმედი გქონდეს, ვიდრე სიმდიდრისა – ეს არის დასკვნა, რომელიც ხშირად გვხვდება ძველ აღთქმაში.

მეათედი. მიწის ნაყოფისა და პირუტყვის მეათედი ნაწილი იყო მისატანი: „იქ მიიტანეთ თქვენი აღსავლენი მსხვერპლი და საკლავი, თქვენი მეათედი, თქვენი ხელის ძღვენი. თქვენი აღთქმული, თქვენი შესაწირავი, საქონლისა და ცხვრის პირველმოგებული“ (რჯლ. 12,6). ასეთი მეათედი ითვლებოდა როგორც მიწის რენტა მღვდელმსახურების სასარგებლოდ. ამასთან, არსებობდა დესეტინის კიდევ ერთი სახე, რომელსაც იხდიდნენ ქვემოქმედებისათვის და იყენებდნენ ლევიანელების და ღარიბებისათვის. მიწის ნაყოფის მეათედის გამოსყიდვა შეიძლებოდა, მისი ფასისა და კიდევ ფასის მეხუთედის გადახდის შემთხვევაში.

მთლიანობაში, კანონები ლევიანის მატერიალური უზრუნველყოფის ნაწილში, ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა მათ მატერიალურ დამოკიდებულებას და, მეორე მხრივ, არ აძლევდა მათ გამდიდრების საშუალებას.

მოსეს კანონები დღევანდელი გადასახედიდან სოციალურად ორიენტირებული იყო. ამ კანონების ჯეროვნად შესრულებას უნდა უზრუნველეყო სოციალურად სამართლიანი საზოგადოების ფორმირება. ეს კანონები შეიცავდა საკმაოდ მაღალ ზნეობრივ ნორმებს, მათ შორის ეკონომიკურ ურთიერთობებშიც. მაგრამ ამ კანონების დაცვა ხშირ შემთხვევაში არ ხდებოდა.

კანონები, „მეშვიდე წლისა“ და „საიუბილეო წლის“ შესახებ, თითქმის არასდროს არ სრულდებოდა. წინასწარმეტყველთა წიგნები სავსეა კანონის დარღვევის ფაქტებით. ამოს წინასწარმეტყველი, რომელმაც განჭვრიტა ისრაელის სამეფოს დაცემა, ბრძანებს: „ისმინეთ ეს ღარიბ-ღატაკთა მშთანთქმელნო და ქვეყნის ბეჩავთა დამღუპველნო, რომ ამბობთ: როდის გავა ახალმთვარობა, რომ გავყიდოთ პური და შაბათი, რომ გავაღოთ ბეღლები, შევამციროთ ეფა, გავზარდოთ შეკელი და ვიტყუოთ მრუდე სასწორითო. ვიყიდოთ ვერცხლით ბეჩავნი და წვრილი ხამლით – ღარიბ-ღატაკნი, პურის განაცხრილი კი გავყიდოთო“ (ამოს. 8,4-6). ესაია წინასწარმეტყველი განრისხებული ამბობს: „უფალი მსჯავრს სდებს თავის ერის უხუცესებს და თავკაცებს. თქვენ გააჩანაგეთ ვენახი, ღარიბ-ღატაკთაგან წართმეულით აგივსიათ სახლები. რატომ თელავთ ჩემ ერს და აჭირვებთ ღარიბ-ღატაკთ?“ (ეს. 3, 14-15); „ვაი, თქვენ, სახლების სახლებზე მიმდგმელნო და ყანების ყანებზე მიმჯრელნო, რომ ადგილი აღარსად დარჩა და თქვენს გარდა აღარავინ ცხოვრობს დედამიწაზე“ (ეს. 5,8).

ესაია წინასწარმეტყველის დროს „საიუბილეო წლის“ კანონის მიუხედავად, მიწები ხშირად იყიდებოდა განუსაზღვრელი ვადით. უმაღლეს ეკონომიკურ ძლიერებას ებრაელთა სახელმწიფომ მიაღწია მეფე სოლომონის (ძვ. წ. აღ. 970-931 წ.წ.) დროს. „ექვსას სამოცდაექვსი ქანქარი შემოსდიოდა სოლომონს ყოველწლიურად“ (3 მეფ. 10,14). ეს იმდენად მნიშვნელოვანი შემოსავალი იყო, რომ „სოლომონის ყველა სასმისი ოქროსი იყო, ყველა ჭურჭელი ლიბანის მაღნარის სახლში რჩეული ოქროსი იყო; ვერცხლი და სპილენძი არაფრად მიაჩნდათ სოლომონის დროს“ (3 მეფ. 10,21). სოლომონს სულ შვიდი წელი

დასჭირდა გრანდიოზული ტაძრის ასაშენებლად. საინტერესოა, რომ სწორედ სოლომონის მეფობის დროს ვხვდებით ცნობილ „მხეცის რიცხვს“ – ექვსას სამოცდაექვსს, რომელიც ძველი აღთქმის მიხედვით, წარმოადგენს სიმდიდრის სიმბოლოს. აპოკალიფსისი გვაფრთხილებს, რომ ის, ვინც მიიღებს „მხეცის“ ნიშანს, განსაკუთრებით ეწამება „გოგირდითა და ცეცხლით“. რაც ახლოვდებოდა ბაბილონის ტყვეობა, მით უფრო მრისხანე ხდებოდა წინასწარმეტყველებებიც. სოფონია წინასწარმეტყველი გვამცნობს, რომ „გადაშენდება ყველა მოვაჭრე, ამოწყდება ყველა ვერცხლისმტვირთველი“ (სოფ. 1,11).

ამგვარად, რჩეულმა ერმა სამეურნეო თეოკრატია ფაქტობრივად დაკარგა და ეს, პირველ რიგში, იყო შედეგი პოლიტიკური თეოკრატიის დაკარგვისა და მონარქისტული მმართველობის შემოღებისა. ტყვეობიდან თავის დახსნის შემდეგ იყო მცდელობები სინას კანონმდებლობის აღდგენისა, მაგრამ მთლიანობაში ეს არ მოხერხდა. ნეემია წინასწარმეტყველი გვამცნობს: „ჩვენი ვაჟები და ასულები მონებად უნდა მივცეთ, ზოგიერთი ჩვენი ასულთაგანი კი უკვე დამონებულია. ძალა აღარა გვაქვს ხელებში. ჩვენი ყანები და ვენახები სხვებს ეკუთვნის“ (ნეემ. 5,5). მოსეს კანონის ჰუმანური არსი შემდგომშიც მრავალჯერ ირღვეოდა. სწორედ ამიტომ ეუბნება იესო ფარისევლებს: „ვაი, თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომლებიც იხდით მეათედს პიტნისას, კამისას და კვლიავისას, და დაგიტევებიათ ის, რაც უმთავრესია სჯულში: სამართალი, წყალობა და რწმენა“ (მათ. 23,23).

Merab Mikelashvili

The Principles of Economic Activity according to Old Testament

Resume

In the Old Testament, there are given moral sides of economic activities and involvement of the God in agricultural activities. The norms of the Old Testament do not represent the Christian ideals; they are for fallen and peculiar characters, to suppress pride and therefore save mankind. Moses' norms of agricultural law are on perfectly high morals comparing to contemporary norms of economic activities. There are examined the issues about labor, property, wealth, poverty; the touch of ten commandments with agricultural activities, securing the labor forces of the hired ones, issues of mortgage and agricultural loss, usury, trade and acres.

ბაბულია (დოდო) მღებრიშვილი

ვაზი, საქართველოს ეკონომიკა და ქრისტიანული კულტურა

მევენახეობა-მეღვინეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და დღესაც ასრულებს ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მას ფესვები საქართველოს უძველეს წარსულში აქვს გადგმული, რასაც ადასტურებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები. ვაზმა თავისი განსაკუთრებული ადგილი ქართველი ხალხის უძველესი წინაპრების (ხეთების და სუბარების) ცხოვრებაში უკვე ნეოლითის ხანის დასასრულს დაიკავა. „თბილისის სამხრეთით შულავერის სამარხში ნაპოვნია ყურძნის წიპწები, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე V ათასწლეულით თარიღდება და რომელიც აქ უძველესი „მოშინაურებული“ ვაზის (vitis vinifera vinifera) მოყვანის მოწმობად შეიძლება ჩაითვალოს[1].

ვაზი და მისი ნაყოფისგან დამზადებული ღვინო ქრისტეშობამდეც იყო ცნობილი. ძველ აღქმაში ისააკი თავის შვილს შემდეგი სიტყვებით ლოცავს: „მოგცეს ღმერთმა ცვარი ცისა, სინოყივრე მიწისა, უხვი ხორბალი და ღვინო“ (დაბ. 27,28).

ვაზს ქართველი კაცი ყოველთვის დიდი სიყვარულით უვლიდა, გამოჰყავდა ვაზის ახალი ჯიშები, სრულყოფდა ღვინის წარმოების ტექნოლოგიას და შედეგიც სათანადო მიიღო - საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოდ ჩამოყალიბდა.

დღეისთვის ცნობილია ქართული ვაზის 450-ზე მეტი ჯიში. მათი შექმნა მხოლოდ პერსპექტიულად მოაზროვნე მევენახესა და მეღვინეს შეეძლო. მხოლოდ მომავალზე ორიენტირებული აზროვნებით არის შესაძლებელი მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება და რისკისგან თავის დაცვა. როგორც ჩანს, ქართველ მევენახესა და მეღვინეს ეს ფაქტორი კარგად ჰქონდათ გააზრებული. საუკუნეების განმავლობაში, საქმის მიმართ თავიანთი დამოკიდებულებით, ქართველმა მევენახეებმა და მეღვინეებმა მენეჯერების საუკეთესო თვისებები გამოავლინეს. მათ, მართალია, რისკ-მენეჯმენტზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, მაგრამ თავიანთ საქმიანობას რისკ-მენეჯმენტის პრინციპებზე დაყრდნობით წარმართავდნენ. ვაზის ახალ ჯიშებს ისინი ბუნებრივი პირობების არახელსაყრელი მიმართულებით შეცვლის შემთხვევაში თავის დასაზღვევად და მოსალოდნელი ზარალის თავიდან ასაცილებლად ჰქმნიდნენ.

ვაზის ახალი ჯიშების შექმნა არა მარტო მენეჯერულ, არამედ მარკეტინგულ მიდგომასაც ეფუძნებოდა. მომხმარებელთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით შეიქმნა სხვადასხვა დანიშნულებით გამოსაყენებელი ვაზის ჯიშები: საღვინე, სუფრის, საჩამიჩე, სამურაბე, საბადაგე-საჩურჩხელე. ქართველი მევენახისა და მეღვინის საქმის მიმართ მენეჯერული და მარკეტინგული დამოკიდებულების შედეგად ვაზის როლი ქვეყნის ეკონომიკაში თანდათანობით ამაღლდა. ყურძნის და მისგან მიღებული პროდუქტების გამოყენების სფერო გაფართოვდა: პურის ნაკლებობის, შიმშილის პირობებში ყურძენი ხალხის საკვებად გამოიყენებოდა; მისგან ამზადებდნენ და დღესაც ამზადებენ ჩამიჩს, მურაბას, წვენებს, თათარას ან ფელამუშს და ჩურჩხელას; ყურძნის ღვინო ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს. ის გასაყიდად ქვეყნის საზღვრებს გარეთაც გადიოდა. XII საუკუნეში ღვინო სომხეთში, მიდიაში, სპარსეთის ქალაქ ისპაჰანშიც კი გაჰქონდათ[2].

კარგად იცოდნენ რა ვაზისა და მისი ნაყოფის მნიშვნელობა ქართველი ერის ცხოვრებაში, ქართველი ხალხის მტრებს იერიში სწორედ ვაზზე, ქართულ მევენახეობაზე მიჰქონდათ. სწორედ ქვეყნის ეკონომიკურად დაუძლურების მიზნით გაიკაფა და განადგურდა ვენახები საქართველოში თემურ-ლენგის (XVI საუკუნე) და შაჰ-აბასის (XVII საუკუნე) შემოსევების დროს. საქართველოს ეკონომიკურ დასუსტებას ისახავდა მიზნად ქართული ღვინის ემბარგოც რუსეთში სულ ცოტა ხნის წინ.

ქართველი მევენახისა და მეღვინის წვლილი მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში, საქართველოს რუსეთთან შეერთებით, თანდათანობით მიიჩქმალა. ამ ფაქტის წინააღმდეგ გაილაშქრა წმ.

---

[1] http://vinehistory.com/29htm

[2] ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი 5. თბილისი, 1986, გვ. 606.

ილია მართალმა თავისი ნაშრომით - „ღვინის ქართულად დაყენება“, რომელსაც, სამწუხაროდ, ცარიზმის ბატონობის პერიოდში საქართველოსთვის დადებითი შედეგი არ მოჰყვა. მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა საბჭოთა წლებშიც. პირიქით, „გეგმის გამოდევნებამ“ ქართული ღვინის წარმოება ლამის კატასტროფამდე მიიყვანა. ღვინის გრანდიოზული ფალსიფიკაცია სახელმწიფო დონეზე მიმდინარეობდა[1].

ქართული ვაზისა და ღვინის პრესტიჟის აღსადგენად, ქართული ვაზის ჯიშებისა და ღვინის წარმოების ქართული ტექნოლოგიის გადასარჩენად, ხელსაყრელი პირობები საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ შეიქმნა. განვლილი 20 წლის მანძილზე ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაო ჩატარდა, რაც არ არის საკმარისი და ყურძნის წარმოების განვითარების ამსახველი მაჩვენებლების დინამიკითაც დასტურდება.

ცხრილი 1

ყურძნის წარმოების დინამიკა საქართველოში 2007-2011 წლებში[2]

წლები	წარმოების მოცულობა ათასი ტონა	ცვლილება 2007 წელთან შედარებით	
		%-ად	+ -
2007	227.3	100	-
2008	175.8	77.3	- 51.5
2009	150.1	66.0	- 77.2
2010	120.7	53.1	- 106.6
2011	159.6	70.2	- 67.7

როგორც ჩანს, 2007 წელთან შედარებით 2011 წელს ყურძნის წარმოების მოცულობა საქართველოში 67.7 ათასი ტონით შემცირდა და 2007 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 70.2% შეადგინა. საანალიზო პერიოდში ქვეყნისთვის ყველაზე არახელსაყრელი მდგომარეობა ყურძნის წარმოებაში 2010 წელს იყო. ამ წელს ყურძნის წარმოების მოცულობამ 2007 წლის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 53.1% შეადგინა.

საქართველოში მზა სახით საკვებად წარმოებული ყურძნის მხოლოდ მცირე ნაწილს მოიხმარენ, მისი დიდი ნაწილი კი ღვინის დასამზადებლად გამოიყენება. ასე, მაგალითად, 2007 წელს ყურძნის წარმოების მთლიან მოცულობაში სასურსათო მოხმარებამ შეადგინა 160 ათასი ტონა, საიდანაც ღვინის საწარმოებლად გამოიყენეს 145 ათასი ტონა. ხოლო მზა სახით საკვებად 15 ათასი ტონა. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი დანარჩენ წლებშიც. როგორც ღვინის, ისე მზა სახით საკვებად ყურძნის გამოყენების მაჩვენებლები საქართველოში ყველაზე დაბალი 2010 წელს იყო. ამ წელს ყურძნის სასურსათო მოხმარებამ შეადგინა 138 ათასი ტონა, საიდანაც მზა სახით საკვებად გამოიყენეს 9 ათასი ტონა, ღვინის დასამზადებლად კი 129 ათასი ტონა. ყურძნის წარმოებისა და გამოყენების ფაქტობრივი მაჩვენებლები ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგში არსებულ კრიზისზე მეტყველებს. ეს ხდება მაშინ, როცა საქართველოში 50-ზე მეტი ღვინის კომპანია ფუნქციონირებს (ალავერდის მონასტრის მარანი, ასკანელი ძმები, ბაგრატიონი, ბადაგონი, ბიოღვინო, თელიანი ველი, ტყუპების ძველი მარანი, ქიმერიონი, შუმი, ხარება, ხოხბის ცრემლები და ა.შ.).

მევენახეობა ასრულებდა და მომავალშიც უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის ეკონომიკაში. ამ მიზნის მისაღწევად აქცენტი უნდა გაკეთდეს ეკოლოგიურად სუფთა ღვინოების წარმოებასა და მათ შესახებ ინფორმაციის მიზნობრივი ბაზრებისთვის დროულად მიწოდებაზე.

ღვინო შედის იმ ათ უმსხვილეს სასაქონლო პოზიციაში, რომლითაც საქართველო წარმოდგენილია მსოფლიო ბაზარზე. ბოლო წლებში ყურძნის ნატურალური ღვინოები თითქმის სტაბილურად ინარჩუნებს თავის წილს ექსპორტის მთლიან მოცულობაში, რაც კარგად ჩანს ცხრილიდან (2).

---

1 http://www.file.ge/?/?p=238756

2 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაცია – საქართველოს სოფლის მეურნეობა, თბ., 2012.

ღვინის წარმოებისა და რეალიზაციის გაზრდის პოტენციალი ქვეყანაში არსებობს. მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ ვენახების ფართობების გაზრდა, არამედ აგრარული მარკეტინგის განვითარებაც. აგრარულმა მარკეტინგმა მთელ მსოფლიოში უნდა გაავრცელოს ინფორმაცია ქართული ღვინის ღირსებების შესახებ. ბუნებრივია, აღნიშნული ადვილად გადასაჭრელი ამოცანა არ არის, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ განხორციელებადია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საუკუნეების განმავლობაში გავრცელებული ვაზის ჯიშების აღდგენა-გაშენებისა და მაღალი ხარისხის ღვინოების წარმოების საფუძველზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ არსებობს ღვინის წარმოების ქართული („კახური") წესი, რაც უდიდესი მემკვიდრეობაა თანამედროვე ქართული მეღვინეობისთვის.

ცხრილი 2

საქართველოს ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტის დინამიკა 2007-2011 წლებში[1]

წლები	**ღვინის ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი)**	**ღვინის წილი ქვეყნის ექსპორტის მთლიან მოცულობაში (%)**
2007	29197	2,4
2008	36863	2.5
2009	31997	2.8
2010	41138	2.5
2011	54103	2.5

ვაზის მნიშვნელოვან როლს საქართველოს ეკონომიკაში ის გარემოებაც განაპირობებს, რომ ის ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების თანამგზავრია. სავარაუდოდ, ქართველთა ვაზის რტოსგან გაკეთებული ჯვრით გაქრისტიანება, ქრისტეშობამდე პერიოდში ქართველი კაცისა და ვაზის ურთიერთობამ განაპირობა. ალბათ, შემთხვევით არ მომხდარა, რომ ღვთისმშობელმა წმიდა ნინო ვაზის რტოსგან გაკეთებული ჯვრით გამოაგზავნა საქართველოში ქრისტიანობის გასავრცელებლად. ქრისტიანული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ წმიდა ნინოს ხილვა ჰქონდა. მას ყოვლადწმიდა ქალწული გამოეცხადა და უთხრა: „აჰა, წარგზავნი ჩემ წილხვდომილ ჩრდილოეთის ქვეყანაში, საქართველოში. წადი სიმხნით და უშიშრად და მის მკვიდრთ ჭეშმარიტება უქადაგე." შეძრწუნებულმა წმიდანმა არ მიიჩნია თავისი თავი ამის ღირსად. მაშინ ღვთისმშობელმა მოჭრა იქვე ამოსული ვაზის რტო, რომლისგანაც ჯვარი შექმნა, მისცა და უთხრა: „ამით დაძლევ ეშმაკის ყველა მანქანებას და წარმართავ ქადაგებას, ხოლო მე შეგეწევი და არ დაგტოვებ". ჩვენების შემდეგ წმიდა ნინომ იხილა, რომ ხელში ვაზის ჯვარი ეპყრა. შეძრწუნებულმა ადიდა უფალი და ღვთისმშობელი[2].

ჯვარი ვაზისა, რომლითაც გაქრისტიანდნენ ქართველები, უდიდესი სიწმიდეა. ის დიდხანს იმყოფებოდა საქართველოს საზღვრებს გარეთ. ქართველთა დასაცავად უფალმა ჯვარი ვაზისა საქართველოში დააბრუნა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს ხელით. დღეს ის სიონის საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული ქვეყნებიდან ვაზის კულტი მხოლოდ საქართველოშია. ეს არც არის გასაკვირი. ვაზი ღვთივკურთხეული მცენარეა, რომლის მეშვეობითაც ქართველი ხალხი ჭეშმარიტ სარწმუნოებას ეზიარა. ქართველი ხალხი ვალდებულია დაიცვას ვაზი, რომლის რტოდან გაკეთებული ჯვრითაც ის გაქრისტიანდა. უფლის წყალობით, ვაზი დიდ წვლილს შეიტანს სოფლის გაძლიერებაში, რასაც, ცხადია, დიდი შრომაც დასჭირდება. დღეს ეს შესაძლებელია. ამ მიმართულებით ნაბიჯი გადადგმულია. სახელმწიფომ, ეკლესიამ, მთელმა ქართველმა ხალხმა არ უნდა დაიგვიანოს და გამოიყენოს ვაზის შესაძლებლობები ქვეყნის ეკონომიკის გასაძლიერებლად.

---

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაციები-საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულები 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში.

[2] წმიდა ნინოს ცხოვრების ვრცელი ვერსია და დაუჯდომელი საგალობელი. მართმადიდებლური სერია: „ნათელი ქრისტესი", №1. თბილისი, 2011, გვ. 6.

ვაზი და ქართველი კაცი ყოველთვის ახლოს იყო ერთმანეთთან ეს კავშირი კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველმა ხალხმა შექმნა ღვთისმშობლის საგალობელი, რომელშიც ღვთისმშობელი ვენახს შეადარა. „შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული“ - ნათქვამია საგალობელში. ღვთისმშობლის ვაზისთვის შედარება მის მიმართ ქართველი კაცის დიდი სიყვარულის მაჩვენებელია. დემეტრე I-ის მიერ შექმნილმა საგალობელმა საქართველოს თამარ მეფის ხანა მოუტანა.

სულ უახლოეს წარსულში საქართველოში შეიქმნა ღვთისმშობლის ხატი- „შენ ხარ ვენახი“. რწმენა გვქონდეს, რომ ღვთისმშობლის ხატი – „შენ ხარ ვენახი“ საგალობლის მსგავსად, საქართველოს გაბრწყინების წინამორბედი გახდება[1].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მღებრიშვილი ბ. ვაზი და ქართული ცივილიზაცია. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2011, №6, გვ. 75-82;
2. მღებრიშვილი ბ. მენეჯერული და მარკეტინგული მიდგომის ელემენტები ქართული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2009, №1, გვ. 134-138;
3. მღებრიშვილი ბ. საეკლესიო ბიზნესის განვითარების მორალური საფუძვლები. სამეცნიერო კონფერენციის, - ქრისტიანობა და ეკონომიკა, - მოხსენებათა კრებული. თბილისი, 2010, გვ. 109-115;
4. მღებრიშვილი ბ. ქრისტიანობა და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება საქართველოში. სამეცნიერო კონფერენციის, - ქრისტიანობა და ეკონომიკა, - მოხსენებათა კრებული. თბილისი, 2009, გვ. 87-89;
5. წმიდა ნინოს ცხოვრების ვრცელი ვერსია და დაუჯდომელი საგალობელი. მართმადიდებლური სერია: „ნათელი ქრისტესი“, №1. თბილისი, 2011;
6. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი 5. თბილისი, 1986;
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაციები;
8. http://vinehistory.com/29htm
9. http://www.file.ge/?/?p=238756
10. http://www.amboini.ge/sen-xar-venaxi

Babulia (Dodo) Mgebrishvili

Vine, Georgian Economy and Christian Culture

Resume

The article discusses the role of vine in the development of Georgian economy and its ties with the Georgian Christian culture. The author of the article considers the vine as an indivisible part of Georgian civilization. The development of vine culture, creation of more than 450 its Georgian types is related in the article with long-term thinking of Georgian vine-grower, carrying out activity by the managerial and marketing approach. The gradual increase of the role of vine in the development of the country's economy is explained by the managerial and marketing thinking of Georgian vine-grower and wine-maker starting from ancient time to date.

In the article specific consideration is given to the existing crisis and those upheavals in the field of Georgian vine-growing and wine-making taken place in recent period; there are expressed views on the production of ecologically pure wines and the necessity of the development of agrarian marketing, restoration and cultivation of existing vine types in various regions of Georgia.

An important role of vine in the development of Georgian economy, in the opinion of the author, is explained by its close ties with the spiritual life of Georgian people: Georgian man embraced the Christian faith with the cross made by the vine twig; grateful Georgian people created the church song on the Blessed Virgin and compared the Virgin with the vineyard; the icon of the Virgin – "You are a vineyard" was created recently. To the author's belief, sacred vine will make a great contribution to the development of Georgian economy by the Lord's help.

[1] http://www.amboini.ge/sen-xar-venaxi

იზა ნათელაური

ვაზის ჯვარი და ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის წარმოება: ტრადიციები, პრობლემები, პერსპექტივები

ქართველებისთვის, სარწმუნოება და ვაზი ყოველთვის იყო წმინდათაწმინდა. მხოლოდ საქართველოშია ცნობილი ვაზის ჯვრის კულტი. მოციქულთა სწორმა წმინდა ნინომ, იცოდა რა ქართველების დამოკიდებულება ვაზისა და ღვინისადმი, საკუთარი თმით შეკრული ვაზის ჯვრით იქადაგა ქრისტეს სჯული საქართველოში, ქრისტეს ნათელით გააბრწყინა სამეფო კარი და ქართველობა, მოახდინა განკურნების უამრავი სასწაული და აღესრულა მირიან მეფესთან გამომშვიდობების შემდეგ. წმინდანმა მეფე დალოცა. ამ ლოცვით გვინდა მოგმართოთ ყველას: ქალბატონებო და ბატონებო! „ღმერთმა წყალობა მოგივლინოთ, თქვენი მფარველი იყოს ქრისტეს ჯვარი და არ მოგკლებოდეთ დედა ღვთისას მეოხება. ამინ“.

რაც შეეხება ყურძენსა და ღვინოს - სამოთხის სითხედ წოდებულს, მოსალხენსა და მკურნალს, ყურძნის ნატურალური ღვინო, ყურძნის ტკბილის დულილის ან დურდოს სრული ან ნაწილობრივი ალკოჰოლური დულილის შედეგად მიღებული პროდუქტია. სხვა სიტყვებით, ყურძნის ნატურალური ღვინო, ჭაჭაზე ან მის გარეშე, ახალი ან დამჭკნარი ყურძნის წვენის ალკოჰოლური დულილის შედეგად მიღებული სასმელია[1].

ღვინის სამშობლო საქართველოა. ქვევრის ღვინო - გამორჩეული არომატის, სინაზის, ჰარმონიულობის, ხავერდოვნების, ტანინების, საგემოვნო თვისებების და ზემოქმედების ღვთაებრივი თაიგულით,- ქართულია; მას საქართველოს მიწის, ჰაერის, კლიმატისა და ყურძნის სურნელი ამკობს,

საყოველთაოდ აღიარებულია ქვევრში დადულებული და დავარგებული ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის მრავალსაუკუნოვანი ასაკი, მისი კვებითი, სამკურნალო და დიეტური ღირებულებები: ა) ქვევრის ღვინო მდიდარია ტანინით, არ ხდება მისი ქიმიური დამუშავება და იგი ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმში ქოლესტერინის დაშლას[2]; ბ) ქვევრის ღვინოში არსებული ამინომჟავა მიჩნეულია ცენტრალური ნერვული სისტემის ნეირომედიატორად[3]; გ) სუფრის თეთრი მშრალი ღვინო რეკომენდებულია დიაბეტით დაავადებული იმ პაციენტებისთვის, რომლებსაც ლიპიდური ცვლის ტრიგლიცერიდები ნორმის ფარგლებში აქვთ[4]; დ) წითელი ღვინო, ალკოჰოლის ამოწვის შემდეგ, სასარგებლოა პატარა ბავშვებისთვისაც. ჩვენი წინაპრები, ალკოჰოლის ამოწვის მიზნით, წითელ ღვინოში ცხელ ნახშირს აგდებდნენ და შემდეგ ასმევდნენ მას ბავშვებს[5] და ა.შ.

სახეობათა მრავალფეროვნებით გამორჩეული, ქართული ყურძნის ნატურალური ღვინო ჩვენი ყოფისა და კულტურის ნაწილია. მისი თაიგულის ფორმირებაში დომინირებს ორი ფაქტორი: 1) ქვევრში ღვინის დადულება-დავარგების ტრადიცია[6] და 2) ქართული ყურძნის უნიკალური ჯიშები: ჩიტისთვალა, კახური მწვანე, ქისი, რქაწითელი, საფერავი, ხიხვი (კახეთი); თავკვერი, ჩინური, გორულა, გორული მწვანე, შავკაპიტო, ასურეთული (ქართლი); ალექსანდროული, წულუკიძის თეთრა, მუჯურეთული, უსახელოური (რაჭა-ლეჩხუმი); ჩეჭიფეში, ჩერგვალი, ოჯალეში ჰანეში (სამეგრელო); ციცქა, ცოლიკოური, თეთრი კაპისტონი, ძელშავი, კრახუნა, ოცხანური საფერე (იმერეთი); ალადასტური, ჩხავერი, ჯანი, კმური თეთრი სხილთუბანი (გურია); ბროლა, კლარჯული, მტევანდიდი, საწურავი, ხოფათური (აჭარა); ამლახუ, ავასირხვა, კაჭიჭი(აფხაზეთი)[7].

---

[1] ინტერნეტსაიტი - http://winemaking.ge

[2] ინტერნეტსაიტი - „ღვინის სამკურნალო თვისებები“, http://www.cellar.ge, http://aversi.ge

[3] ინტერნეტსაიტი - „ღვინის სამკურნალო თვისებები“, http://www.cellar.ge, http://aversi.ge

[4] ინტერნეტსაიტი - „ღვინის სამკურნალო თვისებები“, http://www.cellar.ge, http://aversi.ge

[5] ინტერნეტსაიტი - „ღვინის სამკურნალო თვისებები“, http://www.cellar.ge, http://aversi.ge

[6] ღლონტი თ., ღლონტი ზ., ქვევრის ღვინის გამორჩეულობა (რითი სჯობს ქვევრის ღვინო არაქვევრისას), თბ., 2013.

[7] ჩვენი ღირსებანი, წიგნი პირველი, თბ., 2011, გვ.101-141, http://www.myvideo.ge

საქართველოში ღვინო იწარმოება[1]

ა)კუპაჟური (იწარმოება რამდენიმე ჯიშის ყურძნის ნარევიდან) და ჯიშობრივი (იწარმოება ერთი ჯიშის ყურძნიდან); კუპაჟური ღვინოებია: კახეთის ქვევრის ტრადიციული ღვინო (მის წარმოებაში გამოიყენება რქაწითელი, მწვანე კახური, ქისი, ხიხვი და საფერავი), წინანდალი, გურჯაანი და ვაზისუბანი (მათ წარმოებაში გამოიყენება რქაწითელი და მწვანე კახური), კარდენახი (ეს ღვინო იწარმოება რქაწითელით, ხიხვით და მწვანე ქართულით), კახეთი (მის წარმოებაში გამოიყენება რქაწითელი, მწვანე კახური, ქისი და ხიხვი), კოტეხი (იგი იწარმოება რქაწითელის, მწვანე კახურისა და საფერავის ნარევით), ნაფარეული (იწარმოება რქაწითელისა და საფერავის ნარევით), თელიანი (იწარმოება კაბერნე სოვინიონისა და საფერავის ნარევით), ცქრიალა ღვინო და ატენური (მათ წარმოებაში გამოიყენება ჩინური და გორული მწვანე), სვირი (იწარმოება ციცქას, ცოლიკოურისა და კრახუნას ნარევით), ხვანჭკარა (იწარმოება ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ნარევით). ჯიშობრივი ღვინოებია: რქაწითელი (ყურძნის ჯიში - რქაწითელი), მწვანე (მწვანე კახური), ქისი (ქისი), ხიხვი (ხიხვი), საფერავი (საფერავი), ხაშმი (საფერავი), მანავი (მწვანე კახური), ტიბაანი (რქაწითელი), მუკუზანი (საფერავი), ქინძმარაული, ახაშენი და ყვარელი (საფერავი,), ჩინური (ჩინური), გორული მწვანე (გორული მწვანე), თავკვერი (თავკვერი), ციცქა (ციცქა), ცოლიკოური (ცოლიკოური), კრახუნა (კრახუნა), ოცხანური საფერე (ოცხანური საფერე), ცქრიალა ღვინო (ციცქა), თეთრა (რაჭული თეთრა), ცოლიკოური (ცოლიკოური), ალექსანდროული (ალექსანდროული), უსახელოური (უსახელოური), ოჯალეში (ორბელური ოჯალეში), ტვიში (ცოლიკოური), ოჯალეში (ოჯალეში) და ჩხავერი (ჩხავერი).

ბ) ორდინარული (დაუძველებელი წყნარი ღვინო. ღვინო არის წყნარი, თუ ის შეიცავს ნახშირორჟანგს), სამარკო (დაძველებული და მაღალხარისხიანი წყნარი ღვინო) და საკოლექციო (მაღალი ხარისხის წყნარი ღვინო, რომელსაც კასრებში დაძველების გარდა ბოთლებშიც აძველებენ 2-3 წლიდან განუსაზღვრელ დრომდე). ღვინის დაძველება ხდება მუხის კასრებში, ქვევრებში, და სხვ. ჭურჭელში; ქვევრში ღვინის დაყენება (დადუღება და დავარგება) და დაძველება ქართული მეთოდია. იგი 8000 წლის ისტორიას ითვლის და აღიარებულია იუნესკოს მიერ.

გ) მშრალი, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი, პორტვეინი (მასში სპირტის შემცველობა 20%-ზე მეტია და მაგარ ღვინოს უწოდებენ) და სადესერტო (ალკოჰოლის, ტანინების, მჟავიანობისა და შაქრიანობის გათვალისწინებით; სპირტის შემცველობის მიხედვით ალკოჰოლური სასმელები იყოფა მაგარ, ძლიერ, საშუალო და სუსტ სასმელებად; მაგარი ალკოჰოლური სასმელია 66-96%-იანი სუფთა სპირტი; ძლიერ ალკოჰოლურ სასმელებში სპირტი 31-65%-ია, მათ მიეკუთვნება - ტეკილა, ჭაჭა, რომი, სამაგონი, კონიაკი, ჯინი, ვისკი, ბალზამი და სხვ.; საშუალო ალკოჰოლურ სასმელებში სპირტი 9-30%-ია. მათ მიეკუთვნება - ლიქიორი, ღვინო და სხვ.; დაბალ ალკოჰოლურ სასმელებში სპირტი 1,5-8%-ია. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ლუდი, კუმისი, იაგუარი და სხვ. მშრალ ღვინოში შაქარი შეადგენს 0,3%-ს, სპირტი 9%-ს. ეს ღვინოები არის მჟავე, არატკბილი. მასში შაქარი დადუღებულია სრულად; ნახევრად მშრალ ღვინოებში სპირტი 9-13%-ია, შაქარი 0,5-3%; ნახევრად ტკბილ ღვინოებში სპირტი 9-12%-ია, შაქარი 3-8%; ტკბილ ღვინოებში შაქარი 8%-ზე მეტია. [ვიკიპედია - ალკოჰოლური სასმელები]); სუფრის მშრალი სამარკო ღინოებია: წინანდალი, გურჯაანი, ნაფარეული, ბახტრიონი, მანავი, ვაზისუბანი, ციცქა, ცოლიკოური, რქაწითელი, ტიბაანი, თელავი, სვირი, სამება, თელიანი, ყვარელი, მუკუზანი; სუფრის მშრალი ორდინალური ღვინოებია: ჰერეთი, გარეჯი, გელათი, კახეთი, დიმი, ბოდბე, შუამთა, საფერავი; ნახევრად მშრალი ღვინოებია: აგუნა, საჩინო, მთაწმინდა, ანაკოფია, თბილისური, ფიროსმანი, ბარაკონი; ნახევრადტკბილი ღვინოებია: ახმეტა, ტვიში, თეთრა, ჩხავერი, სავანე, ფსოუ, ალაზნის ველი, ხვანჭკარა, ოჯალეში, ქინძმარაული, ახაშენი, თავკვერი, უსახელოური, აფსნი, ლისნი, ალადასტური; პორტვეინია: კარდანახი, ანაგა, სიღნაღი, ივერია, კოლხეთი, ტარიბანი, ლელო, მარაბდა; სადესერტო ღვინოებია: საამო, ხიხვი, სალხინო, აფხაზეთის თაიგული.

---

[1] ხარბედია მ. ქართული ღვინის გზამკვლევი. თბილისი, გამომცემლობა შპს „მედია ჰაუსი დეკომი“, 2013; ი, ნათელაური. ყურძნის ნატურალური ღვინის საექსპორტო წარმოება საქართველოში: რეტროსპექტივა და პერსპექტივა. ჟურნ. „ეკონომისტი“, 2013, №3; http:// ucnauri.com

დ) ცქრიალა, შუშხუნა და არომატიზებული (ცქრიალაა ღვინო, რომელიც მზადდება 12 თვიანი დაძველებით, მაღალი ხარისხის საშამპანურე ჯიშის ყურძნიდან, მაგალითად, ციცქადან; შუშხუნაა ღვინო, რომელიც ნახშირორჟანგის გაზის ბუშტუკებს შეიცავს. ეს გაზი დადუღების თანა პროდუქტს წარმოადგენს; არომატიზირებულია შემაგრილებელი ღვინო, რომელშიც დამატებულია არომატული ნივთიერებები, ბალახები, ხილი, ყვავილები და სხვ.);

ე) თეთრი, წითელი და ვარდისფერი (ღვინის ფერს განსაზღვრავს ყურძნის მარცვლის კანი, წიპწები და კლერტი. თეთრი ღვინოები მზადდება ვაზის თეთრყურძნიანი ჯიშების ნაყოფიდან: რქაწითელი, კახური მწვანე, ხიხვი, ქისი, კახური მცვივანი, ჩინური, გორული მწვანე, ცოლიკოური, ციცქა, კრახუნა, რაჭული თეთრა, საკმიელა, ავასირხვა. წითელი ღვინოები მზადდება ვაზის წითელყურძნიანი ჯიშების ნაყოფიდან: საფერავი, თავკვერი, შავკაპიტო, ოცხანური, საფერე, ალექსანდროული, მუჯურეთული, უსახელოური, ძელშავი, ორბელური, ოჯალეში, ჩხავერი. ვარდისფერი ღვინოები მზადდება თეთრი და წითელი ჯიშების ყურძნის ნარევიდან)

ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შემოვიფარგლეთ, საქართველოში ღვინის წარმოების სამი პერიოდით: საბჭოთა კავშირის შექმნამდე პერიოდით, საბჭოთა პერიოდით და პოსტსაბჭოთა პერიოდით.

ქართული ღვინის წარმოება, საბჭოთა პერიოდამდე ჯიშური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ღვინის ქართული მეთოდით წარმოებას. ეს ტენდენცია შენარჩუნებულ იქნა გასული საუკუნის 40-იან წლებამდე. ამ პერიოდში იწარმოვა 60-მდე დასახელების ღვინო, მ.შ. 12 ტრადიციული მეთოდით. სამტრესტის შექმნის შემდეგ განხორციელდა ღვინის ჯიშობრივი უნიფიკაცია, შეიცვალა მისი ხარისხობრივი და თვისობრივი მახასიათებლები. წინა პლანზე წამოიწია რაოდენობრივმა მაჩვენებლებმა. წარმოებიდან გაქრა ღვინის მრავალი სახეობა, შეიცვალა ნუმერაცია. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დასაბამი მიეცა ქართული ღვინის ისტორიაში ახალ პერიოდს[1].

- გაჩნდა ღვინის ახალი კომპანიები. ღვინის მწარმოებელი კომპანიების რიცხვი ჩვენს ქვეყანაში ამჟამად 74-ია. მათი უმეტესი ნაწილი განლაგებულია კახეთში,- 35 კომპანია და თბილისში,- 27 კომპანია. დანარჩენი 12 კომპანიიდან, ოთხი მდებარეობს ქართლში, ოთხი იმერეთში და თითო-თითო აჭარაში, გურიაში, რაჭაში და სამეგრელოში. კახეთის რეგიონში ღვინის მწარმოებელ ძირითად რაიონებს წარმოადგენენ თელავი, გურჯაანი, ახმეტა და ყვარელი. გარდა ამ რაიონებისა, კახეთის ტერიტორიაზე, ღვინოს აწარმოებენ აგრეთვე სიღნაღიც და საგარეჯოც;

- გაიზარდა ჯიშობრივი და კუპაჟური ღვინოების რიცხვი. 2013 წლის მონაცემებით, ღვინის მწარმოებელი კომპანიების მიერ, კახეთის რეგიონში იწარმოვა - ქართული ქვევრის ტრადიციული, რქაწითელი, მწვანე, ქისი, ხიხვი, საფერავი, ხაშმი, წინანდალი, გურჯაანი, ვაზისუბანი, მანავი, კარდენახი, ტიბაანი, კახეთი, კოტეხი, ნაფარეული, მუკუზანი, თელიანი, ქინძმარაული, ახაშენი და ყვარელი; ქართლში - ჩინური, გორული მწვანე, თავკვერი, ცქრიალა ღვინო და ატენური; იმერეთში - ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა, ოცხანური საფერე, სვირი და ცქრიალა ღვინო, რაჭა-ლეჩხუმში - თეთრა, ცოლიკოური, ალექსანდროული, უსახელოური, ხვანჭკარა და ტვიში, სამეგრელოში - ოჯალეში;

- ქართულმა ღვინომ ღირსეულად გაუძლო რუსულ ემბარგოს. წარმატებით შეაღწია მსოფლიოს რამდენიმე ახალი ქვეყნის ბაზარზე.

ქართული მეღვინეობის განვითარებაში არსებობს რეალური რეზერვები, განსაკუთრებით რესურსებით უზრუნველყოფის თვსლსაზრისით. კერძოდ, ცნობილი ფაქტია, რომ მიწების პრივატიზაციას პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისში თან მოჰყვა ვენახების აჩეხვა და ვაზის ჩანაცვლება პარკოსანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით (ხორბალი, ქერი, სიმინდი და სხვ.). ვაზის ნაწილი გაანადგურა ჭრაქმა და ნაცარმა. სირთულეები წარმოიშვა მიწის დამუშავებისა და ვაზის მოვლის საშუალებების დეფიციტთან დაკავშირებითაც. ვენახების ფართობი შემცირდა სამჯერ. მათი ახლად განაშენიანება, ეს ერთი უმნიშვნელოვანესი რეზერვია. მეორეა არსებული ვენახების მეჩხერიანობის შემცირება[2], განსაკუთრებით ოზურგეთის, ჩოხატაურის, კასპის, ხაშურისა და ონის რაიონებში. მოთხოვნის ზრდის

[1] ხარბედია მ. ქართული ღვინის გზამკვლევი. თბილისი, გამომცემლობა „მედია ჰოუსი დეკომი“, 2013, გვ. 266-267.

[2] ერქომაიშვილი გ. მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებები საქართველოში. თბ., თსუ გამომცემლობა, 2004, გვ. 185-199.

კვალობაზე ამოქმედდება დანაკარგების შემცირებასთან და მოსავლიანობის ზრდასთან დაკავშირებული სხვა რეზერვებიც.

ცალკე განსჯის საგანია ეკონომიკურ განგარიშებათა მეთოდიკა. ამჯერად ეს საკითხი ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება.

როცა ვმსჯელობთ ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის წარმოება-მოხმარებაზე, გვერდს ვერ ავუვლით ექსპორტის სფეროში არსებულ სერიოზულ პრობლემებს, რომელთაგანაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი[1]:

ა. ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის ***არაცნობადობა***. ქართული ყურძნის ნატურალირი ღვინოები წლების მანძილზე, ორიენტირებული იყო ძირითადად რუსეთის ბაზარზე. 2006 წლის ემბარგოს შემდეგ იგი იძულებით გადანაცვლდა უცხოეთის სხვა ქვეყნების ბაზრებზე, რამაც შექმნა არაცნობადობის პრობლემა;

ბ. ***ფასები.*** ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის ფასები მაღალია. სპეციალისტები ფასების ზრდის მიზეზად ასახელებენ ტრანსპორტირების გაზრდილ ფასებს. მხედველობაშია მისაღები ყურძნის შესყიდვისა და რეალიზაციის ფასთასხვაობაც, შესყიდვის ფასების სასარგებლოდ.

გ. ***ბრენდი.*** მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით საქართველოს, როგორც ნებისმიერ სხვა პატარა ქვეყანას, მეღვინეობის განვითარებაში დაეხმარება ბრენდის პრობლემის მოგვარება. ქვეყანას სჭირდება ბრენდი, რომელიც ასიცირებული იქნება საქართველოსთან. ქართველი მეღვინეების ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: პრობლემა მოგვარდება თუკი მას მხარს დაუჭერს ყველა მეწარმე მევენახეობა-მაღვინეობის სფეროში. წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემის მოგვარება შეუძლებელი იქნება;

დ. ***რესურსები.*** ვაზის ტრადიციული ჯიშების გაშენება მეღვინეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საქართველოში.

ე. ***ფალსიფიკაცია.*** ფალსიფიკაცია გადაუჭრელი პრობლემა იყო საბჭოთა პერიოდის საქართველოში. ამჟამად იგი გაუკონტროლებელია გლეხური ღვინოების წარმოებაში, რომელიც ძირითადად მოიხმარება ქვეყნის შიგნით. ფალსიფიკაცია არ უნდა გახდეს ღვინის უვნებლობის ნორმების დარღვევის მიზეზი;

ვ. ***ხარისხი.*** ღვინის ხარისხი პირველ რიგში დამოკიდებულია ყურძნის ხარისხზე: დასრულებული სიმწიფე, შაქრიანობა, ტანინები, მჟავიანობა და ა.შ. ცნობილი ფაქტია, რომ ვენახებში ჯერ ვაზის და შემდეგ მოსავლის გადასარჩენად გამოიყენება სხვადასხვა სახის შხამქიმიკატები. საფრთხე ექმნება პროდუქციის უვნებლობას. შხამქიმიკატები მნიშვნელოვნად ცვლის ღვინის საგემოვნო ფასეულობას და დიდ ზიანს აყენებს მის პოპულარიზაციას.

თ. ***ფორს-მაჟორი.*** მევენახეობა-მეღვინეობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს კლიმატი (მზიანი ამინდი, წვიმა, ქარი, სეტყვა). კახეთში გაზაფხულზე და შემოდგომაზე ხშირია სტიქიით გამოწვეული ზარალი. ფორს-მაჟორულ სიტუაციაში აუცილებელი ხდება მოსავლის ადრეული აღება. ყურძნის დაზიანების ხარისხი არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს ფორს-მაჟორულ სიტუაციაში აქტიურად ერევა სახელმწიფო. სტრუქტურები. აუცილებელი ხდება ფინანსური დახმარების გაწევა.

რაც შეეხება მომავალს, პერსპექტივაში ჩვენი აზრით ანგარიშგასაწევია შემდეგი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: ქართველები, როგორც წესი, ბევრ ღვინოს მოვიხმართ, ლხინში, ჭირსა (300-400 კაციან სუფრებზე) და ყოველდღიურ ცხოვრებაში. ყურძნის ნატურალური ღვინის ძირითადი მახასიათებლები: ალკოჰოლი, მჟავიანობა, შაქრიანობა და ტანინები, დიფერენცირებულია საქართველოს სხვადსხვა რეგიონში წარმოებულ სხვადასხვა ღვინოში. მათთან არის ჰარმონიზებული ადგილობრივი სამზარეულოები (კერძები). ქართული ტრადიციის მიხედვით, ღვინო მიირთმევა კერძებთან ერთად. ღვინისა და კერძების საუკეთესო წყვილებია[2]:

- ქართული ცქრიალა ღვინოები - ორაგული, ხიზილალა, ჩინური სამზარეულო (სუში), მსუბუქი დესერტი. არ უხდება წიწაკიანი კერძები, ნიორი და შოკოლადი;

---

[1] რა უნდა ვიცოდეთ საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის ექსპორტისათვის. თბ., ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო, 2012.

[2] ხარბედია მ. ქართული ღვინის გზამკვლევი. თბილისი, გამომცემლობა შპს „მედია ჰაუსი დეკომი“, 2013.

- რქაწითელი - მარტივი სადილები, ყველი, კარტოფილიანი კერძები და სალათები, ხორციანი წვნიანი, მწვანე ლობიო, ხაჭაპური და ღვეზელები;

- წინანდალი - ქათამი, სალათები, მშრალი ყველები, კიბორჩხალა და ზღვის პროდუქტები, მოხარშული თევზი, ინდაური და ქათმის თეთრი ხორცი;

- მუხაში დავარგებული რქაწითელი - ლორი, სუნელებში დამზადებული კალმახი, საქონლის ტვინი, შემწვარი ქათამი და ინდაური;

- მწვანე, ხიხვი, ქისი - ზღვის პროდუქტები, მსუბუქი სალათები, თხის ყველი, ორთქლზე მოხარშული თევზი. ნიგვზიანი მწვანე ლობიო;

- ჩინური და გორული მწვანე - მწვანე სალათები, მოხარშული თეთრი ხორცი და თევზეული;

- ცოლიკოური - მჭადი და ყველი, ფხალი და პრასი, ტყემალში ჩაწყობილი დედალი, ბადრიჯანი, ხაჭაპური;

- კრახუნა - ჩაქაფული, შამფურზე შემწვარი ქათამი, მოხარშული ენა, თეთრი ღვინის სანელებიანი წიწილი,

- რაჭული თეთრა - ფხლოვანები, ხაჭაპური, სოკო, ბაჟეში ჩაწყობილი ქათამი;

- კახური ქვევრის ღვინო (ტანინებიანი) - აღმოსავლურ-ქართული სამზარეულო. ცხიმიანი, მსუყე საჭმელები, ნივრიანი, სუნელებიანი, მწარე კერძები, გუდის ყველი, დამბალი ხაჭო, ხაშლამა, შილა, ჩაქაფული, შამფურზე შემწვარი კალმახი და ქათამი, ბოზბაში, ტოლმა, ხბოს ბეჭი და საცივი;

- ტვიში - ხილი, ხილის სალათები, ნუში, ბისკვიტები, მსუბუქი ნამცხვრები, პასკა, მოხარშული სიმინდი, გოგრა, ჩაცივებული ნესვი, კორკოტი;

- აისვაინი, გვიანი მოსავლის თეთრი ღვინო - დესერტი, ხალვა, რახათ ლუხუმი, კარამელიანი ნაყინი, ხილის სალათები;

- ვარდისფერი ღვინოები (ჩაციებული) - ყველები, სოკო, ხაჭაპური, პიცა, სალათები, ლორი, ძეხვეული, ხილი, ძვირფასი ყველები;

- საფერავი - მწვადი, ყაურმა, ძვირფასი მაგარი ყველები, ყოველდღიური კერძები;

- თელიანი - საქონლის სტეიკი, ხბოს მწვადი და მოხარშული ენა;

- ქართლური წითელი ღვინოები - შემწვარი კურდღელი საწებელში, ხბოს ჩაშუშული, სოკო, რაჭული კერძები,- ლორი, ბატის შაშხი, ლობიანი, ამოლესილი და ნიგვზიანი ლობიო;

- ოჯალეში - მეგრული კერძები: შემწვარი ციკანი, კუჭმაჭი, კუპატი, შემწვარი გოჭი;

- ქინძმარაული (ტანინებიანი ღვინო) - წითელი ხილი და წითელი ხილის ნამცხვრები, კარგად დაძველებული გუდის ყველი.

- ხვანჭკარა და უსახელოური - ლობიანი, ლორიანი ამოლესილი ლობიო, წითელი ხილის, მსუბუქი ნამცხვრები, ფელამუში, ჩურჩხელა, ქიშმიში, ჩირები, შემწვარი გოგრა.

სუფრასთან ჯერ მიდის თეთრი ღვინო, მას ენაცვლება ვარდისფერი ღვინო და ბოლოს მიდის წითელი (მაგარი) ღვინო. მშრალი ღვინო ყოველთვის წინ უსწრებს ნახევრადმშრალ, ნახევრადტკბილ და ტკბილ ღვინოებს. სადილის საუკეთესო დამაგვირგვინებელია მაგარი სასმელები - კონიაკი, მაღალი ხარისხის ჭაჭა და სხვადასხვა ნაყენები.

ნათქვამისა და იმ ანგარიშგასაწევი გარემოების გათვალისწინებით, რომ გლობალური ბაზრის პოზიციიდან საქართველოს მიერ შეთავაზებული ღვინო რაოდენობრივად ცოტაა, სასტარტო ფასი კი მაღალი, უმჯობესი იქნება მის ადგილობრივ მოხმარებაზე ორიენტაცია, მით უფრო, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა. ამასთან, ქართული ღვინის ადგილზე მოხმარება

1. გადაარჩენს ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის მოხმარების მრავალსაუკუნოვან ტრადიციას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია;
2. ხელს შეუწყობს, ღვინოსთან ერთად, ქართული სამზარეულოს პოპულარიზაციას;
3. გაზრდის მოთხოვნას ტურიზმის გაფართოებასა და განვითარებაზე;
4 ასტიმულირებს ინფრასტრუქტურის (სასტუმროები, რესტორნები, კაფეები, მასტერ კლასები, ღვინოსთან დაკავშირებული აქსესუარებისა და სუვენირების წარმოება და სხვ.) განვითარებას;

5. შესაძლებელს გახდის ქვეყნის შიგნით სოციალური პრობლემების (დასაქმება, შემოსავლების გაზრდა და სხვ.) ნაწილობრივ მოგვარებას;
6. ასტიმულირებს ღვინის ხარისხის გაუმჯობესებასა და წარმოების გაფართიებას, როგორც კომპანიებში ისე გლეხურ მეურნეობებში;
7. მოხსნის ფალსიფიკაციის პრობლემას გლეხური ღვინის წარმოებაში.

ქართული ღვინის ირგვლივ ამ გზით გაერთიანდება მონათესავე დარგების უამრავი ფირმა და ორგანიზაციული თვალსაზრისით შეიქმნება ღვინის კლასტერი. ღვინის სამშობლოში ღვინის კლასტერი ღვინის ექსპორტის საუკეთესო ალტერნატივაა. იგი ქართულ ღვინოს გახდის ცნობადს მის ბუნებრივ გარემოში, ერთმანეთთან დაახლოვებს მომხმარებელთა შესაძლებლობებსა და მწარმოებელთა (მიმ-წოდებელთა) სურვილებს, მოხსნის ერთიანი ბრენდის პრობლემას; შეამცირებს ხარჯებსა და გაზრდის შემოსავლებს.

დასასრულ, კვლავ წმინდა ნინოს ლოცვით მოგმართავთ:

„უფალო, იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, მოიღე წყალობა და მოავლინე კურნების მადლი ჩვენზე“. დაე, უფალმა მოგივლინოთ წყალობა ყველას და მოიღოს წარმატებების, წინსვლის, ეკონომიკური აღ-მავლობის მადლი ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს პარტნიორ ქვეყნებსა და ქვეყნიერებაზე საერთოდ. ამინ!

Iza Natelauri

The Vine Cross and Natural Wine Production of Georgian Grapes: Traditions, Problems and Prospects

Resume

In Georgia the Christian faith, vine and natural wine of Georgian grapes made (fermented and aged) in the pitcher is the holiest. The cult of vine cross is only known in Georgia. Miraculous icon of the holy Virgin and „Iambiko” (poetry) written by Demetre the first and chanting "Shen khar venakhi"(You are the vineyard) belongs to Georgian people.

Georgia is a country of wine. Georgian wine is the oldest in the world. It is dated back to the period of 8000 years before Christ.

Taking into consideration the traditions of the past and the prospects of the future, we analyzed the trends of production - consumption of natural wine of Georgian grapes. In our proposal is given the idea of cluster model of development of this field. We believe that the wine cluster will save the centuries tradition of natural wine consumption of Georgian grapes; it will promote, along with wine, the popularization of Georgian cuisine, will increase the demand for expansion and development of tourism, stimulate the development of infrastructure, will enable to solve the social problems partially inside the country, stimulate improvement of wine quality and expansion of production, as in company as well as in the peasant economies and removing the problem of falsifications in peasant wine industry.

ნინო პაპაჩაშვილი

შრომისადმი ქრისტიანთა დამოკიდებულების ასპექტები

შრომა, როგორც ადამიანის უმთავრესი ქმედება, ეკონომიკური მიზნის მისაღწევად კლასიკური ეკონომიკური თეორიის ამოსავალი პოსტულატია. არაერთი მოსაზრება არსებობს იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებაში განსაკუთრებულად დიდი როლს ასრულებს შრომისადმი ადამიანთა გულმოდგინე დამოკიდებულება, ამ ღირებულებას (ფასეულობას) კი სხვა ფაქტორებთან ერთად აყალიბებს სარწმუნოება და მისგან მომდინარე ეთიკური ნორმები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინტერესს იწვევს ქრისტიანთა დამოკიდებულება შრომისადმი, მისი გამომხატველი სიბრძნე და მაგალითები, რასაც წმინდა წერილი გვთავაზობს. საყურადღებოა ასევე, როგორ აისახება წმინდა წერილით გადმოცემული შრომისადმი დამოკიდებულება ქრისტიანთა თანამედროვე ყოფაში, ან რამდენად სწორად აქვთ გაცნობიერებული შრომისადმი შესაბამისი დამოკიდებულება იმ ადამიანებს, რომლებიც თავს ქრისტიანებად მიიჩნევენ.

წმინდა წერილში მრავალი მინიშნებაა შრომისადმი დამოკიდებულების შესახებ. მაგალითად, „ძე კაცისაი არა მოვიდა, რაითამცა იმსახუროს, არამედ მსახურებად“ (მათ. 20, 28) – მსახურება პირდაპირი მნიშვნელობით ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომაში ვლინდება. უპირველეს ყოვლისა, **ფიზიკური შრომის აუცილებლობაა** ხაზგასმული, როცა წმინდა წერილი გვამცნობს, რომ უფალმა იესო ქრისტემ, როგორც კი ფიზიკური შრომის შეძლების ასაკს მიაღწია, შრომა დაიწყო. თავისი ხელით მუშაობდა – იყო დურგალი, ამუშავებდა ხეს, აკეთებდა კარ-ფანჯრებს და სხვა დანარჩენს, რაც ხისგან კეთდება. ამ საქმით იგი ოცდაათ წლამდე იყო დაკავებული. მას არა მარტო ხურო იოსების ვაჟს ეძახდნენ, როგორც ამას მათე მახარებელი ამბობს: „ანუ არა ესე არსა ხუროისა მის ძე?“ (მათ. 13, 55), არამედ უბრალოდ ხუროსაც, მარკოზის სახარების მიხედვით: „ანუ არა ესე არს ხუროი იგი, ძე მარიამისი?“ (მარკ. 6, 3). ვიდრე მართალი იოსები ცოცხალი იყო, იესო მუშაობდა და მასთან ერთად იღვწოდა, დაკავებული იყო მხოლოდ ხელობით; იგი მამას ყველაფერში ეხმარებოდა. „როგორც ბატონებს, ისე დაემორჩილება თავის მშობლებს“ (ზირ. 3, 7). საყურადღებოა ისიც, რომ **შრომისადმი დამოკიდებულებას იესო ოჯახიდან იღებს** და როგორც მისი მშობლები უდიდესი შრომის ფასად მოიპოვებდნენ ლუკმა-პურს, ასევე მოეთხოვებოდა უფალსაც მათთან ერთად შრომა. წმიდა ბასილი დიდი აღნიშნავს, რომ: „თანახმად სიყრმის ასაკისა, იგი ემორჩილებოდა მშობლებს, სულგრძელებითა და სიმშვიდით იტანდა ყველა დუხჭირ შრომას“. მართალი იოსების სიკვდილის შემდეგ უფალი მარტო აგრძელებდა ამ ხელობას. ეს იყო უხეში, მძიმე საქმე და სიმდიდრე არ მოჰქონდა. „ძე კაცისაი არა მოვიდა, რაითამცა იმსახუროს, არამედ მსახურებად“ (მათ. 20, 28). **შრომის მიზნობრიობაში** პირველ რიგში უნდა გამოვყოთ **მაგალითის მიცემა ყველასთვის**. უფალი მიანიშნებს, რომ უქმად არ მჯდარიყვნენ, და ამასთან, თავისივე მაგალითით ასწავლიდა ადამიანებს, არ ეთაკილათ არანაირი ხელობა, რომელიც შეიძლება, ყველაზე მდაბალი და უღირსი იყოს, მაგრამ ადამიანისათვის ცხონების საქმეში არ შეიძლება დამაბრკოლებლად ჩაითვალოს. შესაძლებელია პარალელი გავავლოთ იმ ადამიანებთან, რომელთაც წინამძღოლის ფუნქცია აკისრიათ. ამასთან, უფალი შრომობდა იმიტომ, რომ მას, **როგორც ადამიანს, ჰქონოდა რაიმე, რითაც შეეძლო ცხოვრება** და ამით **დახმარებოდა დედას**, სხვა **უქონელთ და ღარიბებს**. არსებობისათვის შრომსთან ერთად, რაც გამოიხატება, მაგალითად, „უკუეთუ ვისმე არა ენების საქმის, ნუცა ჭამნ“, საყურადღებოა ისიც, რომ თუ ადამიანს შეუძლია შრომა, არ უნდა იქცეს სხვის ტვირთად - „და არცაღა ცუდად პური ვისგანმე ვჭამეთ, არამედ შრომითა და რუდუნებითა ღამე და დღე ვიქმოდეთ, რაითა არავის თქუენგანსა დაუმძიმოთ“ (2 თეს. 3, 8). ფიზიკური შრომისადმი მიმართება, ცხადია, უდიდესი სიბრძნით დადგენილია, რადგან შრომისადმი მსგავსი დამოკიდებულების შედეგი ზნეობრივი ცხოვრების წესის დამკვიდრებაა. შრომის მაგალითის მიცემა უქნარებს და ზარმაცებს უბიძგებს მუშაობისკენ და ამასთან, არსებობისათვის აუცილებელი სახსრების მოპოვების სწორი გზისკენ მიუთითებს („არ იპარო”).

ფიზიკურ შრომასთან გაიგივებულია ინტელექტუალური შრომის მნიშვნელობა. მაგალითად, როგორც წმ ნიკოდიმოს მთაწმინდელი მიუთითებს, „მაშ, ისწავლე შრომისმოყვარეობა არა ანგელოზებისაგან, არამედ თავად ყველა ანგელოზისა და ადამიანის შემოქმედისაგან.

თუ შენ პატრიარქი ხარ, მაშინ მიბაძე ჭეშმარიტ სამყაროს პატრიარქს ქრისტეს და გახსოვდეს, რომ შენც გარგებს ცოტა წაიმუშაო დ გადაწერე ხელნაწერები, ან თავად წერე რაიმეზე, ან რაიმე სხვა სულიერი საქმე წამოიწყე, რათა შეასრულო შენი ვალი ეკლესიის სწავლებებისადმი, რადგან ამით შეძლებ, დაიცვა შენი ჩანაფიქრი, მისცემ კარგ და სასარგებლო მაგალითს სამწყსოს და აღასრულებ მოციქულის მცნებას, რომელიც გვაუწყებს: იმიტომ, რომ ვისაც მუშაობა არ უნდა, მან არც უნდა ჭამოს, როგორც ამცნო პავლე მოციქულმა თესალონიკელ ქრისტიანებს: ასე იქცეოდნენ ძველი პატრიარქებიც ოქროპირი, გრიგოლი, ათანასე, კირილე, ევლოგი და მათთან ერთად ნექტარიოსი, დოსითეოსი, ქრისანტე, იერემია და ანტიოქიის უწმიდესი პატრიარქი სილიბისტრო, რომელმაც განუჩინა თავის თავს, ყოველ დღე სამი საათის განმავლობაში ხატები ეწერა. თუ შენ მღვდელმთავარი ხარ, მაშ, მიბაძე უდიდესი მღვდელმთავრების მაგალითს, ასევე სხვა უამრავ ძველ მღვდელმთავარს. თუკი შენ მოძღვარი ან ბერი ხარ, მაშინ კიდევ უფრო მეტად გჭირდება მიბაძო იესო ქრისტეს რაიმე ხელობის დაუფლებაში ან ხელსაქმეში. იმიტომ, რომ ხელსაქმე, წმიდა ისააკის სიტყვებით, როგორც ალიკაპი, ისე ეღობება მცონარობის გაჩენას. გამომუშავებული ფულით კი შეგიძლია, გაჭირვებულ ძმებს დაეხმარო.

ამიტომ ყველა მამა, რომელთაც „მოღვაწე“ ეწოდებათ, როგორც მაგალითად, იოანე კიბისაღმწერელი, ეფრემი, ესაია, ევაგრე, განსაკუთრებით კი ბასილი დიდი (ძალიან ხშირად თავის „წესები მონაზვნებისას“ განყოფილებებში) წმიდა წერილიდან უფლის მაგალითით გვიჩვენებენ, რომ ფიზიკური ხელსაქმე სასარგებლო და მშვენიერია. ამაზე ამბა ისააკი ასე წერს: „შვება და მცონარობა სულისთვის დამღუპველია, იგი დემონებს საშუალებას აძლევს, გვავნონ. და როგორც ადამიანია ორბუნებოვანი, ანუ შედგება სხეულისა და სულისაგან, მისი შრომაც ორბუნებოვანი უნდა იყოს. სული გონიერი და განუწყვეტელი ლოცვით უნდა იყოს დაკავებული, ხოლო სხეული - მუშაობითა და ხელსაქმით“. (http://sibrdzne.ge/index.php?tema_id=121&liter_id=53)

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა ქართველ ქრისტიანთა შრომისადმი დამოკიდებულების შესახებ. დღევანდელ ეტაპზე არ მოგვეცა საშუალება ეს საკითხი ფართოდ შეგვესწავლა, მაგრამ სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვებიდან მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელი გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას აღნიშნული დამოკიდებულების შესახებ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირ შემხვევაში ადამიანები თავს რელიგიურად მიიჩნევენ, მაგრამ ქცევასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში როგორ აისახება ეს, ვერ ხსნიან. თუმცა, დამკვიდრებული ცხოვრების წესი და ჩამოყალიბებული ხედვა ზოგადად ასახავს მორწმუნე ადამიანის დამოკიდებულებას ამა თუ იმ ღირებულებისადმი.

2002 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერით გამოვლინდა, რომ მოსახლეობის 88,6%

ქრისტიანია (მოსახლეობის 83,9% – მართლმადიდებელი)(იხ. ცხრილი 1). 2008 წელს World Values Survey-ის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით ამა თუ იმ სარწმუნოებას თავს მიაკუთვნებს საქართველოს მოსახლეობის 93,4% (http://www.wvsevsdb.com/wvs/WVSData.jsp?Idioma=I). მეცნიერ ნ. სუმბაძის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელმაც 1058 რესპონდენტი მოიცვა, გამოკითხულთა უმრავლესობა – 93,4 % მართლმადიდებელია, 1,7 % – კათოლოკე, 0,6 % – გრიგორიანელი, 1,0 % არ არის მორწმუნე, დანარჩენი – სხვა აღმსარებლობას მიეკუთვნება (ნ. სუმბაძე, თაობები და ღირებულებები, თბ., 2012, გვ. 53). ჩანს, რომ ზუსტი რიცხვის დადგენა რთულია, რამდენია დღეისათვის ქრისტიანული, მ. შ. მართლმადიდებლური, აღმსარებლობის, მაგრამ ცხადია, რომ ისინი უმრავლესობას შეადგენენ. აღნიშნულიდან გამოდინარე, შესაძლებლია ზოგადად საქართველოში ქრისტიანთა დამოკიდებულებებზე შეგვიქმნას წარმოდგენა ქვემოთ მოყვანილმა გამოკითხვის შედეგებმა.

მაგალითად, კითხვაზე, თუ რამდენ საათს მუშაობენ დღეში, 245 გამოკითხულიდან 9,8%-მა უპასუხა, რომ მუშაობს 6 საათზე ნაკლებს; 4,08%-მა – 7 საათს; 14,69%-მა – 8 საათს; 37,55%-მა –

9საათს და მეტს; 33,88%-მა – უმუშევარი ვარ (http://forum.ge/?f=29&showtopic=34436405&st=45). როგორც ჩანს, გამოკითხულთაგან უდიდესი ნაწილი 9 საათზე მეტს მუშაობს.

ცხრილი 1.

საქართველოს მოსახლეობის განაწილება სარწმუნოების მიხედვით

(2002 წ.)

		კაცი		%	
მოსახლეობა სულ		4371535		100	
მათ შორის:					
მართლმადიდებლური	ქრისტიანული	3666233	3872099	83,9	88,6
კათოლიკური		34727		0,8	
სომხური-გრიგორიანული		171139		3,9	
იუდეური		3541		0,1	
მაჰმადიანური		433784		9,9	
სხვა		33468		0,8	
არცერთი		28631		0,6	

წყარო: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები ტომი I, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ. 2003, http://www.geostat.ge

ზემოაღნიშნული მსოფლიო ღირებულებების (http://www.wvsevsdb.com/wvs/WVSData.jsp?Idioma=I) კვლევის მასალებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ გამოკითხულთა 24,8%-სთვის (497) „სიცოცხლე ღირს მუშაობისთვის", ნაწილი – 7,2% (145) უპირატესობას დასვენებას ანიჭებს, უდიდესი ნაწილი კი – 36% – უფრო გაწონასწორებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს (5 ბალიანი შეფასებიდან 3 მიანიჭა). გამოკითხულთაგან (1860) 92,6%-მა მიუთითა, რომ კარგი გასამრჯელოა მნიშვნელოვანი მუშაობისას. სამუშაოს პრესტიჟულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა 43,8%-მა (879). საპასუხისმგებლო სამუშაო, როგორც ჩანს, ნაკლებად მიმზიდველია (მხოლოდ 27,8% (559) აღნიშნავს 100%-დან), მაგრამ სამუშაო რომ საინტერესო უნდა იყოს, 64,7% (1300) აუცილებლად მიიჩნევს. ნაშრომის დასაწყისში ოჯახის მნიშვნელობაზე გავამახვილეთ ყურადღება შრომისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში და ხაზგასასმელია, რომ საზოგადოებრივი აზრის თითქმის ყველა კვლევა, სადაც ოჯახია განხილული როგორც ღირებულება, ადასტურებს მის უაღრესად მაღალ მნიშვნელობას და უმაღლეს მაჩვენებელს უახლოვდება. მაგალითად, 18-24 წლის ასაკის ადამიანებისთვის 100-დან 98,4%-ს იკავებს ოჯახი, როგორც ღირებულება, 40-50 წლის ასაკისთვის – 96,9%-ს; 40-50 წლის ასაკისთვის – 96,9%-ს; 60-70 წლის ასაკისთვის – 95,5%-ს; საშუალო მაჩვენებელია – 97,1% (ნ. სუმბაძე, თაობები და ღირებულებები, თბ., 2012, გვ. 57).

თუ შევუდარებთ ქრისტიანულ დამოკიდებულებას შრომისადმი და ღირებულებების კვლევის შედეგებს, შეიძლება გარკვეული პარალელები გავავლოთ. ქართველ ქრისტიანთა დამოკიდებულებას შეიძლება უფრო ვუწოდოთ „სიცოცხლე ღირს მუშაობისა და დასავენებისთვის"; თუმცა, სამუშაოს პრესტიჟულობა არ მიიჩნია მნიშვნელოვნად უდიდესმა ნაწილმა (56,2%), რაც, ერთი მხრივ, სავარაუდოდ უმუშევრობით გამოწვეული მწვავე პრობლემის გამოძახილია, მაგრამ გვაფიქრებინებს

იმასაც, რომ ქრისტიანული ღირებულების გამოვლენაა; ოჯახის, როგორც უმაღლესი ღირებულების აღქმა კი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შრომისადმი (ქრისტიანული) დამოკიდებულება სწორედ აქ უნდა ჩამოყალიბდეს და უმუშევრობის პრობლემა, როგორც ჩანს, მხოლოდ მიმდინარე პრობლემა არ არის.

Papachashvili Nino

Some Aspects of Dependence of Christians towards the Labour

Resume

Some aspects of dependence of Christians towards the labor are discussed in the work. It is noted that the work in the Christian Religion is considered as an unconditional action for life . The article presents the information about Georgians' attitude toward the labor, which is based on a variety of sociological research. For 21,5 % of respondents „it's work that makes life worth for living" vice versa of 8,9 % of respondents - „it's leisure that makes life worth for living". Important in a job is „good pay" for 92,6% of respondents; „respected job" - for 43,8%; „responsible job" – for 27,8%; „job that is interesting" – for 64,7%. If compare Christian attitudes and Georgians values towards the work, we can draw some parallels. The attitude may be called - „both leisure and work make life worth for living". That fact that „Respected job" is not considered as significant value (56.2 %) is likely to be caused by unemployment problem, but, also, may suggests that it is reflection of Christian value. For mostly part of respondents family is a higher value. We can conclude that Christian attitude toward the labor must formed in the family and it seems that the unemployment problem isn't only the current problem.

ნუგზარ სამხარაძე

ეკლესია-მონასტრების სამეურნეო საქმიანობის მართვის ფინანსური ასპექტები

თანამედროვე პირობებში ფრიად აქტუალურია ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ფინანსური ასპექტების კვლევა. ამ მხრივ, საშურ საქმედ მიგვაჩნია, შევისწავლოთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესია-მონასტრებში მიმდინარე სამეურნეო-მმართველობითი პროცესები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავსახოთ ჩვენი საეკლესიო მეურნეობრიობის შემდგომი სრულყოფის გზები.

ყველასათვის ცნობილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების საერთო წარმომავლობა. წმინდა წერილში იკვეთება ეკლესიის წიაღში სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის პრინციპები. ხოლო, როდესაც ეკლესიამ დაიწყო უძრავი ქონების მოპოვება, სამეურნეო საქმიანობა და გარკვეული შემოსავლების მიღება-განაწილება, გაჩნდა ამ პროცესების მართვის წესების განსაზღვრის აუცილებლობა.

საეკლესიო მეურნეობის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ თითქმის ყველა საეკლესიო კრებაზე ღებულობდნენ გადაწყვეტილებებს საეკლესიო მეურნეობის მართვის საკითხებზე. საეკლესიო ქონების ფლობა-განკარგვის პროცესში, განისაზღვრა შემოსავლების და გასავლების შესაბამისი ეკონომიკური კატეგორიები. ჯერ კიდევ მოციქულთა ეპოქაში გაიმიჯნა შესაბამის საეკლესიო და საერო ეკონომიკურ კატეგორიები ერთმანეთისგან[1].

საინტერესოდ ჩავთვალე შემესწავლა დასავლეთის ეკლესიის (გერმანიის მაგალითზე) ფინანსური მართვის სისტემა და მომეხდინა შედარება (საქართველოს მაგალითზე) აღმოსავლეთის ეკლესიაში გავრცელებულ და მოქმედ სისტემებთან.

ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა საქართველოსა და გერმანიაში. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წევრია. ფუნქციონირებს კათოლიკური, მონოფიზიტური, პროტესტანტული ეკლესიები, ებრაული თემები, არიან ისლამის მიმდევრები და სხვა კონფესიების წარმომადგენლები. საქართველოში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას არეგულირებს 2002 წელს მიღებული „კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“[2].

თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ამ ხელშეკრულებაში უმთავრესია მუხლი 1.1, რომელშიც ნათქვამია: „სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ“.

ხელშეკრულებაში ასახულია, აგრეთვე, ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები, როგორიცაა:

– ეკლესიის იურიდიული სტატუსი (მუხლი 1.3);

– საეკლესიო ჯვრისწერის და სამოქალაქო ქორწინების სტატუსი (მუხლი 3);

– მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამების განხორციელების საკითხი (მუხლი 4.3);

– განათლების საკითხები (მუხლი 5);

– საკუთრებითი, ქონებრივი, სამეწარმეო, საფინანსო, საქველმოქმედო, საინვესტიციო, საგრანტო, საშემოსავლო და საგადასახადო ურთიერთობები (მუხლები 6.1 – 6.6);

– საეკლესიო ნაგებობების და საეკლესიო საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობის საკითხები (მუხლები 7.1 – 7.2; 8.1 – 8.2; 9.1 – 9.2);

– XIX-XX საუკუნეებში ეკლესიისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციის საკითხი (მუხლები 11.1 – 11.2).

---

[1] დიდი რჯულის კანონი. თბ., 2004. იხ. მოციქულთა 40-ე და 41-ე კანონები. IV მსოფლიო კრების 22-ე კანონი. ანტიოქიის 24-ე კანონი.

[2] კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2002, №42. გვ. 6.

კონსტიტუციური შეთანხმება უმაღლესი რანგის იურიდიული დოკუმენტია. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად მას უნდა შეესაბამებოდეს, როგორც სახელმწიფოს ყველა კანონი, ასევე საქართველოს უმაღლესი ორგანოების მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. მასზედ მაღლა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუცია დგას. შეთანხმებაში მოცემულია მხოლოდ ზოგადი დებულებები, რომელთა კონკრეტული მოწესრიგებისათვის სახელმწიფომ აუცილებლად უნდა მიიღოს შესაბამისი კანონები.

მთლიანობაში, საკონსტიტუციო შეთანხმება არის ფუძემდებლური დოკუმენტი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მთელი სპექტრის შესახებ (მათ შორის, საეკლესიო ეკონომიკისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში), რომლის გარეშეც, დღეს, წარმოუდგენელია ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება[1].

გერმანიაში დაახლოებით 82,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ფუნქციონირებს ორი, თითქმის თანაბარი სიდიდისა და მნიშვნელობის – კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესია. ისლამს გერმანიაში 3.2 მილიონამდე ადამიანი მისდევს. ებრაული თემი 100 000-ზე მეტი წევრისგან შედგება, მართლმადიდებელი ქრისტიანების რიცხვი კი 1,2 მილიონს აღწევს. გერმანიის 22 მილიონი მცხოვრები თავის თავს აღმსარებლობის გარეშე აცხადებს[2].

გერმანიას ეკლესიასა და სახელმწიფოს ურთიერთობის ევროპულ სისტემაში შუალედური პოზიცია უკავია. ესაა შუალედური მდგომარეობა იმ მოდელებს შორის, რომლებიც, ერთი მხრივ, სახელმწიფო ეკლესიის არსებობას გულისხმობს, ხოლო, მეორე მხრივ, ეკლესიის და სახელმწიფოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობას ითვალისწინებს. ძირითადი კანონი აყალიბებს სისტემას, რომლის მიხედვითაც ეკლესია და სახელმწიფო განცალკევებულია და ამავე დროს, მათ შორის არსებობს კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი თანამშრომლობის ფორმა[3].

რელიგიური სიტუაცია გერმანიაში დღესაც კი 1517 წლის რეფორმაციის ძლიერი გავლენის ქვეშაა. XIX საუკუნის განმავლობაში თანდათან სუსტდება კავშირი სახელმწიფოსა და პროტესტანტულ ეკლესიას შორის. 1919 წლის ვაიმარის კონსტიტუციას შედეგად მოჰყვა სახელმწიფოსა და ეკლესიის გაყოფა, თუმცა ძალაში დარჩა ურთიერთთანამშრომლობა ისეთ საკითხებში როგორიცაა: რელიგიის სწავლება სკოლებში, საეკლესიო გადასახადი და ღვთისმსახურება ჯარში. რაც შეეხება კათოლიკურ ეკლესიას, მასთან ურთიერობის მნიშვნელოვანი საფუძველია საერთაშორისო სამართლით აღიარებული 1933 წლის საიმპერიო კონკორდატი (reichskonkordat). ხელშეკრულებები ან შეთანხმებები ასევე დადებულია არაერთ მცირე რელიგიურ კონგრეგაციასთან.[4]

წმინდა წერილი და ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა. მოციქულთა მოღვაწეობის პერიოდში, ეკლესიის მმართველობითი საქმიანობის და ფინანსური აღრიცხვის მართებულად გააზრების საკითხისადმი დამოკიდებულებამ (საქმე მოც. 4; 35-36), (საქმე მოც. 5; 1-11), (საქმე მოც. 6; 1-7) განსაზღვრა „დიდი რჯულის კანონში" ეკლესია-მონასტრების ფინანსური თუ სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის შესახებ მთელი რიგი დებულებების შექმნა, რაც აადვილებს საეკლესიო-სამეურნეო საქმიანობას და ფინანსურ აღრიცხვას ეკლესია-მონასტრებში.

სამეურნეო საქმიანობის განვითარებასთან ერთად იცვლება აღრიცხვის ობიექტები, მეთოდები და თანამედროვე პირობებში სამეურნეო-საბუღალტრო აღრიცხვა მარტივი ფორმებიდან თანამედროვე, განვითარებულ ფორმად იქცა. აღრიცხვის განვითარებამ დიდი გზა განვლო. სააღრიცხვო ჩანაწერების საწარმოებლად ჩვ. წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეში პერგამენტების გამოყენება დაიწყეს. XV-XVI საუკუნეში ევროპაში ე. წ. „აბაკი", რომელსაც ძველ რომში აღმრიცხველები იყენებდნენ (წარმოადგენდა ხის დაფას 8-10 ვერტიკალურ ტიხარზე განლაგებული მრგვალი ქვებით, ქვების ნაცვლად ძველ რომში

---

[1] მღვდელი ბასილ ახვლედიანი, გ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. თბ., 2009. გვ. 190.

[2] www. destatis.de

[3] რობერსი გერჰარდ. სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. თავი I, გვ. 89.

[4] Cf. Joseph listl (ed), Konkrdate und kirchenvertrage in der Bundesrepublik Deutschland, 2 vols.,1987.

გამოიყენებოდა ბრინჯაო, სპილოს ძვალი, ფერადი მინა) შეცვალა „საანგარიშო ტაბულებმა“, ხოლო მოგვიანებით ცნობილმა ფიზიკოსმა ბლეზ პასკალმა (1623-1662 წ.წ.) გამოიგონა სათვლელი მანქანა. ბუღალტრული აღრიცხვის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა და ვითარდებოდა აღრიცხვის საშუალებები, რომელთა განვითარების გზა პრიმიტიული საგნებით იწყება და თანამედროვე კომპიუტერით მთავრდება[1].

განსაკუთრებით დიდია რომაელების წვლილი ბუღალტრული აღრიცხვის განვითარებაში. მათ ბუღალტრულ აღრიცხვას სამართლებრივი საფუძველი შეუქმნეს. პირველადი დოკუმენტების შემდეგ მათ რეგისტრები და საბუღალტრო წიგნები გამოიყენეს. დროთა განმავლობაში ფულადი საზომების წარმოშობასთან ერთად შემოღებულ იქნა მთავარი წიგნი. სამეურნეო ფაქტების რეგისტრაციისთვის ანგარიშების გამოყენება, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ანგარიშსწორებათა ასახვა, ბუღალტრულ ჩანაწერთა სამართლებრივი რეგლამენტაცია გახდა ე. წ. „მარტივი“ ბუღალტერიის აღრიცხვის წარმოშობის საფუძველი. მარტივმა ბუღალტრულმა აღრიცხვამ კონტროლს დაუქვემდებარა ყველა მატერიალური საშუალებანი, ფული, ანგარიშსწორებანი, მაგრამ მას უამრავი უარყოფითი მომენტები გააჩნდა – აღრიცხვა არ იყო გამჭირვალე, მასში უამრავი პირობითობა და დაშვებები იყო, მას უბრალო რეგისტრაციის ხასიათი ჰქონდა. რომაელთა მიერ შემუშავებული ფორმების სრულყოფა ხდება აღორძინების ეპოქაში. ამ პერიოდში მოხდა ორმაგი ჩაწრის წარმოშობა. ორმაგი ჩაწერის მეცნიერული დამუშავება შუა საუკუნეებით თარიღდება.

დიგრაფიული მეთოდის ანუ ორმაგი ჩაწერის მეთოდის შემოღება ეკუთვნის იტალიელ მეცნიერებს: ბენედიტ კოტრულის (1416-1469) და ლუკა პაჩიოლის (1445-1517). ორმაგი ჩაწერის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა სამეურნეო პროცესის უფრო მოხერხებულად და სრულად ასახვა. ორადი ჩაწერა ბუღალტრული აღრიცხვის განუყოფელი ნაწილი გახდა რამაც სისტემატიზირებულ, მოწესრიგებულ აღრიცხვას ჩაუყარა საფუძველი.

შემოსავალ-გასავლების აღრიცხვა და ფინანსური სისტემა საქართველოსა და გერმანიაში. საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების შესახებ სერიოზული კვლევა ჩაატარა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, დოცენტმა გივი გურგენიძემ. იგი აღნიშნავს, რომ დღევანდელ პერიოდში გამოყენებული ტერმინები „აღრიცხვა“, „აღწერა“, „დავთარი“ და სხვა არაერთხელ გვხვდება შუა საუკუნეების საკანონმდებლო საერო და საეკლესიო ძეგლებში. საქართველოში, მეფის კარზე სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის, ფულად საშუალებათა და სხვა განძეულის შენახვისა და გარკვეული საჭიროების მიხედვით განკარგვისათვის არსებობდა ე. წ. „მეჭურჭლეთუხუცესის“ თანამდებობა, თავისი „საჭურჭლის მწიგნობრობით“, რაც აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, ამჟამინდელ ფინანსთა სამინისტროს ჰგავს[2].

საქართველოს ეკლესია-მონასტრებში სამეურნეო-მმართველობით და საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობას განაგებდნენ ეკონომოსები[3]. ქალკედონის მსოფლიო კრების კანონით, იქ სადაც ეპისკოპოსია აუცილებლად უნდა იყოს ეკონომოსიც, რომელიც აირჩევა საეკლესიო პირთაგან და მას ევალება საეკლესიო ქონების მართვა ეპისკოპოსთან შეთანხმებით. წმინდა მამა თეოფილე ალექსანდრიელი კი თავის მე-9 კანონში აღნიშნავს, რომ ეკონომოსის დანიშვნა შეთანხმებული უნდა იყოს მთელ სამღვდელო დასთან. ეკონომოსი უშუალოდ მონაწილეობს საფინანსო საქმეებში და ანგარიშვალდებულია ეკლესიის მმართველის წინაშე.

კალისტრატე ცინცაძე თავის შრომაში – „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“ საუბრობს წინამძღვრის თანაშემწეებზე, რომლებიც ეკონომოსის სამუშაოს ასრულებდნენ და ჩამოთვლის მათ. სამსახურებრივი პოზიციის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე ამ საქმიანობას სასულიერო პირები ასრულებდნენ[4].

---

1 ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ. ბუღალტრული აღრიცხვა. 2010. გვ.153.

2 ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ. ბუღალტრული აღრიცხვა. 2011. გვ. 157.

3 მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმოსის (მილაში) განმარტებით. ტომი I, თბ,. 2007, მოციქულთა 38-ე კანონი გვ. 83. IV მსოფლიო 26-ე და 26-ე კანონი, გვ. 356-359.

4 ცინცაძე კალისტრატე. ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში. გამომცემლობა „კანდელი“, თბ., 1994, გვ. 80-85.

ქვაშვეთის წმინდა გიორგი სახელობის ეკლესიაში მუშაობისას, მე, როგორც ეკონომოსმა, შევისწავლე ძველი და ახალი სისტემების შესწავლა, რაც არსებობდა საქართველოს ეკლესიაში, საბუღალტრო აღრიცხვის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი აღრიცხვის სისტემა საქართველოს ეკლესიაში განსაკუთრებულია. დასავლური სისტემების გაცნობამ დამარწმუნა იმაში, რომ აუცილებელია თანამედროვე სტანდარტების გამოყენება, აღრიცხვის ერთიანი სივრცის შექმნა და შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული სისტემის ამუშავება. ასევე, ანგარიშთა გეგმის შექმნა ისე, როგორც აპრობირებულია თანამედროვე მსოფლიოში, რათა გაადვილდეს საჯარო მონიტორინგი და გამჭირვალე გახდეს ფინანსური აღირიცხვა ეკლესია-მოსასტრებში.

ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მაგალითზე წარმოვადგენთ შემოსავლების კატეგორიებს (აქტიურ ანგარიშთა გეგმა), რაც განსაზღვრავს ძირითად შემოსავლებს ეკლესიაში:

1. შემოსავალი სანთლის რეალიზაციიდან;
2. შემოსავალი საეკლესიო ნივთების, ლიტერატურის, ჯვრების რეალიზაციიდან;
3. შემოსავალი სეფისკვერის რეალიზაციიდან;
4. შემოსავალი შემოწირულებებიდან;
5. შემოსავალი ტაძართან არსებული სამრევლო საკოლიდან;
6. შემოსავალი სამეურნეო წარმოებიდან.

ასევე მნიშვნელოვანია გასავლების კატეგორია (პასიურ ანგარიშთა გეგმა), რაც არის დღეს არსებული ფინანსური მოდელის თვალსაჩინო მაგალითი:

1. გადასახადები (მიმდინარე ვალდებულებები);
2. შესყიდვები;
3. ხელფასები;
4. დახმარებები და საჩუქრები;
5. სატრაპეზო ხარჯი;
6. საეკლესიო მსახურების ხარჯი;
7. სამეურნეო ხარჯი;
8. ინვენტარის შეძენისთვის გაწეული ხარჯი;
9. მიმდინარე რემონტისთვის გაწეული ხარჯი;
10. სამეურნეო საქმიანობისათვის გაწეული ხარჯი;
11. ეკლესიის სარეზერვო ფონდი[1].

გერმანიაში საეკლესიო გადასახადი XIX საუკუნის დასაწყისში შემოიღეს იმისათვის, რომ ეროვნული ბიუჯეტი ეკლესიის წინაშე ვალდებულებისგან განთავისუფლებულიყო, რაც თავის მხრივ ეკლესიის საკუთრების სეკულარიზაციაზე იყო დამოკიდებული.

გადასახადისგან გათავისუფლება შესაძლებელია ეკლესიის დატოვების შედეგად, მას შემდეგ, რაც პირი სახელმწიფოს შესაბამის ოფიციალურ სტრუქტურაში დარეგისტრირდება. ეს უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო კლასიფიკაციის მიხედვით, ამა თუ იმ პირმა ოფიციალურად შეწყვიტა რომელიმე ეკლესიის წევრობა. საერთო საზოგადოებრივი დაფინანსების სისტემა, რომლის ნაწილია ზოგიერთი საეკლესიო ინსტიტუტი, მათთვის დამატებითი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. გერმანიაში ეკლესიას არ მოეთხოვება გარკვეული გადასახადების გადახდა და ზოგიერთი მოვალეობის შესრულება[2].

დასავლეთის ეკლესიაში დღესდღეობით ფუნქციონირებს ფინანსური მართვის სახელმწიფოსგან კონტროლირებადი მოდელი. გერმანიაში 2010 წელს ერთთვიანი პროგრამის ფარგლებში, რეგენსბურგის

---

[1] სამხარაძე ნ. ეკლესია-მონასტრების სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა. წიგნში: „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, თსუ, 2009, გვ. 94-96.

[2] რობერსი გერჰარდ. სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. 2010 წელი. გვ. 103.

უნივერსიტეტში პროფესორ ბერნარდ ლაუქსის ხელმძღვანელობით მოვახდინე დაკვირვება თანამედროვე გერმანულ ფინანსურ სისტემებზე, ასევე, გერმანიაში სოფელ ბუხჰაგენის მართლმადიდებლური ეკლესიის წმიდა სამების სახელობის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ იოანე ფაიფერის დახმარებით 2011 წელს შევისწავლე გერმანიაში მოქმედი ფინანსური მართვის მოდელი. წმიდა სამების სახელობის მონასტერში ერთთვიანი მუშაობისას მივიღე სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის შესახებ გამოცდილება და ის შევადარე ქვაშვეთის წმინდა გიორგი სახელობის ეკლესიის სამეურნეო საქმიანობას[1].

საქართველოსა და გერმანიის მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის განსხვავებულობა გამოწვეულია, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებულ განსხვავებული ურთიერთობებით. ფინანსური აღრიცხვის გამჭირვალობა და ეკლესიაში შემოსავალ-გასავლის განსაკუთრებული სააღრიცხვო მოდელის არსებობა მისაბაძია. სამომავლოდ აუცილებელია, მიექცეს ყურადღება დასავლეთის ეკლესიის გამოცდილებას, რათა ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობა დაემყაროს სამ მთავარ პრინციპს: ნეიტრალიტეტს, ტოლერანტობას და პარიტეტს.

Nugzar Samkharadze

Financal Aspects of the Management of Economic Activities of Churches and Monasteries

Resume

In modern conditions the research of financial aspects of agricultural-administrative activity of churches and monasteries is highly actual. From this point we think that it is an urgent matter to study the ongoing agricultural-administrative processes of east and west churches and monasteries. On this basis we can identify future ways to improve our church agriculture.

During the activity of apostles, dependence to this issue determined on "Big Testament Law" to create series of regulations about financial and agricultural-administrative activity of churches and monasteries which makes easier church and agricultural activities and financial accounting in churches and monasteries.

Difference between Orthodox churches of Georgia and Germany is caused due to the existing difference between state and church. The transparency of financial accounting and the existence of the special accounting model of income and expense in church is deserving. In future it is unavoidable to pay attention to the experience of the west church in order to have collaboration of church and state established on three basic principles: neutrality, tolerance and parity.

[1]www. dreifaltigkeitskloster-buchhagen.de

რუსუდან სირბილაძე

თავისუფლება მართლმადიდებლობასა და ეკონომიკაში

უფალმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსად და მიანიჭა მას თავისუფლება. ხშირად ადამიანი ამ სიტყვის არსს და მნიშვნელობას ბოლომდე ვერ ითავისებს, თუმცა მისი არჩევანი ხშირად ცვლის მოვლენებს და სხვაგვარად ალაგებს მას.

დავიწყოთ კითხვის დასმით – თავისუფალია თუ არა თითოეული ადამიანი და რა იგულისხმება ამ დიდებულ ტერმინში. მაგალითად, რამდენად თავისუფალია ახალშობილი, რომელსაც ნათლავენ დაბადებისთანავე.

ხშირად ამ კითხვის პასუხზე აზრი ორად იყოფა: მავანნი ამბობენ, რომ ახალშობილი უნდა გაიზარდოს და თვითონ აირჩიოს თავისი სარწმუნოება და ამაში ხედავენ თავისუფლების აზრს, თუმცა მე და ჩემსავით მოაზროვნენი ამ კონკრეტულ საკითხზე სხვაგვარ შეხედულებას ვანიჭებთ უპირატესობას, ეს შეხედულება კი ასეთია: ჩემი აზრით, ახალშობილი უნდა მოინათლოს დაბადებისთანავე, რათა მასზე გადმოვიდეს სულიწმინდის მადლი და პირველი დღეებიდანვე იცხოვროს ყველაზე დიდ მადლთან ერთად. ამაში ვხედავ ნებას თავისუფალ ადამიანად და ჭეშმარიტ მართლმადიდებლად იგრძნოს თავი შობისთანავე.

თუ ეს მოსაზრება ვინმეს არ დააკმაყოფილებს, სხვა წარმოდგენა ექნება თავისუფლებაზე მართლმადიდებლობაში, შემიძლია კონტრშეკითხვა დავუსვა და საინტერესოა, როგორი იქნებოდა პასუხი ამ შეკითხვაზე. კერძოდ, ვასწავლოთ თუ არა ახალშობილს ქართული მშობლიური ენა თუ დაველოდოთ, მის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, როდის გაიზრდება იგი და შემდეგ რომელ ენასაც აირჩევს, ის ენა შეისწავლოს, ანუ რომელი ენაც უფრო მიმზიდველი იქნება მისთვის.

ვფიქრობ, საკითხის ასე დასმა ხელს კი არ შეუწყობს ადამიანს იყოს თავისუფალი, არამედ თავისუფლებას ამ არაჩვეულებრივ ტერმინს აქცევს კერპად, რომლის მსხვრევას მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე ვერ შეძლებს ადამიანი და ძნელი გახდება მარადიული სიყვარულის გზაზე ატარო იგი, არა და მარადიული სიყვარულისკენ მიმავალი გზა უფალთან მიდის. თუ დოსტოევსკის დავესესხებით – "მილიონები და ათეული მილიონები, რომლებიც ვერ შელევიან მიწიერ პურს ზეციურისთვის"[1].

აქ უკვე ეკონომიკაში თავისუფლების თემის განხილვაა აუცილებელი. თუ მიწიერი პური მიწიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უწყობს ხელს, აქაც არჩევანი ადამიანს ანდეს და რამდენი ადამიანია, რომლებმაც ეკონომიკა წარმოიდგინეს უფლის გარეშე, მისი შემწეობისა და მადლის გარეშე და თვლიან, რომ ეკონომიკაში თავისუფლების მიღწევა რაღაც სულიერზე უარის თქმას გულისხმობს, არა და თავისუფლება თავისუფლებაა, როგორც ეკონომიკაში ისე მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში. მთავარია იწამო ქრისტეს ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლება და გააკეთო ისეთი არჩევანი, რომელიც არა თუ შეურაცხყოფს მაცხოვარს, არამედ მისი მცნებების დაცვას შეუწყობს ხელს.

მას შემდეგ, რაც უფალმა შექმნა ადამიანი, იმთავითვე მისცა მადლი, რომ შეექმნა შრომის საშუალებები და დაემუშავებინა მიწა, მიეღო მოსავალი და ეს მოსავალი გამოეყენებინა თავისი შეხედულებისამებრ. თუ ადამიანს მიეცა ეს ყოველივე ამით შეიზღუდა ადამიანის ეკონომიკური თავისუფლება? ამ საკითხზე ჩემი აზრი ასეთია, ადამიანს სწორედ იმისთვის მიეცა გონება, რომ თვითონ აირჩიოს რა აწარმოოს, როგორ აწარმოოს, ვისთვის აწარმოოს. ეკონომიკაც ადამიანის განვითარებასთან ერთად ვითარდება და დღეს საბაზრო ეკონომიკა ადამიანს აძლევს იმის შესაძლებლობას, აირჩიოს, რომელი პროდუქცია აწარმოოს და როგორ მიიღოს მოსავალი და მოგება. ესეც არის დიდი თავისუფლება ეკონომიკაში.

პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ პირველ წერილში წერს:[2] „მარადის ვმადლობ ღმერთს თქვენთვის, ღვთის მადლისათვის, რომელიც გებოძათ ქრისტე იესოში, იმიტომ რომ გამდიდრდით მასში ყოველივეთი, ყოველგვარი სიტყვით და ყოველგვარი შემეცნებით, რადგან ქრისტეს მოწმობა განმტკიცდა

---

1 მამა თეიმურაზი, იესო ქრისტეს სახე მსოფლიო ლიტერატურაში, თბ., 2012.

2 ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1998.

თქვენში“ (1 კორ. 1, 4-6). საინტერესოა საზოგადოების ხედვა ამ წერილის მოკლე ამონარიდზე. ირა-დად ჩემი ხედვა აქაც უკავშირდება თავისუფლებას მათლმადიდებლობასა და ეკონომიკაში. გამდიდრება მართლმადიდებლობაში გულისხმობს თავისუფლებას და თავისუფალ არჩევანს – ისწავლო ის მეცნი-ერებები ან შემეცნებები, რომლებიც მოიღებს ღვთის მადლს იესო ქრისტეში, ანუ სულიერად გაამ-დიდრებს ადამიანს.

გამდიდრება ეკონომიკაში უკავშირდება იმას, რომ ეკონომიკაში აირჩიო ის სწორი გზა, რომელიც დაფუძნებულია შრომაზე. შრომას ყოველთვის მოაქვს შედეგი და მიცემს ადამიანს გამდიდრების საშუა-ლებას. არ შეიძლება ადამიანი ეგუებოდეს სიღატაკეს, რადგან ადამიანი შექმნილია შრომისთვის და არჩევანი მასზეა და სწორედ ადამიანმა უნდა შეარჩიოს ის საუკეთესო გზები, რომლებიც ააცილებს სიღატაკეს და მიიყვანს გამდიდრებისკენ.

პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ პირველ წერილში წერს:[1] „მოვედი თქვენთან ძმებო ღვთის მოწმობის საუწყებლად, არა ამაღლებული სიტყვით ან სიბრძნით, ...რათა თქვენი რწმენა იყოს ღვთის ძალით“ (1 კორ. 2,1,5). დღეს როცა საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილი იბრძვის ლოზუნგით „არა თეოკრატიას”, არც იციან რას ან ვის ებრძვიან. „თეოკრატია“ სხვა არაფერია თუ არა ღვთის ძალა. ამ ადამიანებს მეტი რწმენა და ცოდნა რომ ჰქონოდათ ღვთის ძალის შესახებ, აზრადაც არ მოუვიდოდათ დაეწერათ ის, რაც ცდება თავისუფლებას. სწორედ თავისუფალი მიდგომა და ცოდნა დაფუძნებული ღვთის ძალის შესახებ ადამიანს უბიძგებს დიდი სიყვარულკისკენ და ჭეშმარიტებისკენ.

ისევე როგორც ეკონომიკაში, აუცილებელია თავისუფალი ნება, რომ სახელმწიფო მცირე დოზებით მაგრამ მაინც ერეოდეს დადებითად ეკონომიკაში, რადგან მთლიანად ეკონომიკის განთავისუფლება სახელმწიფო ზედამხედველობისაგან ხშირად ეკონომიკის კრიზისის საფუძველია.

პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ პირველ წერილში ასე ამბობს: „მე დავრგე, აპოლომ მორწყა, მაგრამ ღმერთმა გაზარდა“ (1 კორ. 3,6), ამ თავში მოციქული გვასწავლის, რომ არც დამრგვე-ლია არაფერი, არც მომრწყველი, არამედ გამზრდელი ღმერთი. დამრგველი და მომრწყველი ერთი და იგივეა, ხოლო თითოეული მათგანი მიიღებს საზღაურს თავის შრომისამებრ, ვინაიდან მღვდელმსახურები ღვთის თანამშრომლები არიან, ერისკაცები კი ღვთის ყანა და ღვთის შენობა (1 კორ. 3, 7-9).

ეს თავი მთლიანად ეხება როგორც მართლმადიდებლობას, ისე ეკონომიკას, რომლის დროსაც მოცემულია, რომ შრომა ყოველთვის მოიცავს შედეგს და ყველა იღებს ისეთ გასამრჯელოს, როგორსაც იმსახურებს თავისი შრომის შესაბამისად. დღეს ”თავისუფლების” სახელით შენიღბულია გარყვნილება[2] და მისი ლეგალიზაცია, ბავშვების გახრწნა, უხამსი კინოპროდუქცია, ძალადობის, ყაჩაღობის, მკვლელობის პროპაგანდა, ვითომდა სამართლიანობის აღდგენის მოტივით. არ შეიძლება არ გაგაოცოს ეროვნული და სულიერი ფასეულობების უპატივცემლობამ, რაც ჩვენს დაბალ კულტურასა და პროვინ-ციალიზმზე მეტყველებს. ეს არა თავისუფლება არამედ ცოდვისა და მანკიერების მონობაა. ესაა გზა თვითგანადგურებისა და სულიერი სიკვდილისა.

ეს საკითხი არა მარტო ზნეობრივი პრობლემაა, არამედ სახემწიფოებრივიც. მორალის გარეშე დარჩენილი საზოგადოება ძლიერ ქვეყანას ვერ ააშენებს. ისინი ვინც დიდ ”თავისუფლებას” ქადაგებენ ფიქრობენ, რომ ძველი სტერეოტიპებით იცხოვრებენ თუ თავისუფლებას არ მოიპოვებენ. თუმცა არ ესმით, რომ ახალი ღირებულებების შეცნობისას არ უნდა დაიკარგოს ჩვენი ტრადიციული და ზნეობრივი ფასეულობები.

დიმიტრი უზნაძე, დიდი ქართველი ფილოსოფოსი ამბობს: „ჩვენ გვაკლია დაჟინებითი მისწრაფება ერთხელ დასახული მიზნის განხორციელებისაკენ, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება და სიძნელე ვერ სპობს. მუდმივი დაუღალავი შრომის უნარი, პატარა საქმეების ისეთივე სერიოზულობით კეთება, როგორც დიდი საქმეებისა. ჩვენი არსებობის ნიადაგს ჩვენვე ვანიავებთ და მეტოქესთან ბრძოლაში მუდამ ვმარცხდებით. საკუთარ საქმეს კი გამბედაობა და ინიციატივა სჭირდება, აქტიური ხასიათი და ძლიერი

---

1 ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1998.

2 საადგომო ეპისტოლე, 2004, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

ნება ეს არის ის, რაც ჩვენ არ გვაქვს და გვაკლია. ჩვენი აღზრდის სისტემაც მარტო აქეთ უნდა იყოს მიმართული და მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი იმიტომ ვართ რომ გლახები და მონები ვართ" (დ. უზნაძე, განწყობის თეორია). ამიტომ, ჩემი აზრით ყველა ადამიანმა უნდა ისწავლოს თავისუფლება და ჰქონდეს მისეული სწორი ახსნა თავისუფლებაზე, როგორც მართლმადიდებლობაში, ასევე ეკონომიკაში.

Rusudan Sirbiladze

Freedom in Orthodox Religion and in Economy

Resume

The God created man in his image and gave him freedom. Often people don't think and realize the meaning and importance of this word but his choices often changes the events differently. How free is a newborn, who is baptized immediately after the birth? Often the answer to this question is divided into two, though I don't think so. Some people say that a baby must grow up and then choose Religion for himself and they see the sense of freedom in it. But I have a different idea on it. A newborn child should be baptized at birth, so to live in the grace of the Holy Spirit. In this I see the willing to live as a free person and to feel as a real Orthodox. To teach or not to teach a baby native Georgian language or wait until he grows? To ask the question so, idolizes the term- Liberty and the person, then, will not be able to break it and the rest of his life will not be the way of everlasting love ,which goes to the Lord . As Dostoevsky said millions and tens of millions cannot exchange the earthly bread for heavenly one. There should be discussed the question of Liberty in Economy. If earthly bread satisfies earthly demands it is a personal preference of a man, But how many persons consider the Economy without God's grace and bless ? But freedom is the freedom not only in the Economy but in Orthodox faith as well.

ირმა ტყემალაძე

ქრისტიანული ეთიკის ზეგავლენა დასაქმებაზე

დღეს ეკონომომიკური გარემო ისეთივე დინამიკური და ცვალებადია, როგორიც ჩვენი ცხოვრება. დაძაბულობა და მუდმივი გადარბენა – აი რა მოგვიტანა XXI საუკუნემ. შექმნილ რეალობაში არსებობა მხოლოდ და მხოლოდ უფლის რწმენითაა გასაძლისი. ნებისმიერი ქმედება, რომელიც დაკავშირებული არ იქნება უფალთან, უარყოფით უკუქმედებას გამოიწვევს. ეს ფაქტია, მაგრამ რეალობა თურმე სულ სხვას აჩვენებს. როგორც ახალი კვლევებიდან ჩანს, დასაქმებული ქრისტიანების რიცხვი უკუპროპორციულია მათი რწმენის ხარისხთან. 139 ქვეყნის 15-88 წლის ასაკის გამოკითხული ქრისტიანების 40% ამბობს, რომ ისინი მუდმივად საქმეებში არიან ჩართულნი და ღმერთისთვის დრო აღარ რჩებათ[1].

რწმენის კუთხით დასაქმება ყველაზე დიდი პრობლემა და შემაფერხებელი ფაქტორი გახდა იაპონიის, ფილიპინების, სამხრეთ აფრიკის, დიდი ბრიტანეთის, მექსიკის და ინდონეზიის მოსახლეობისათვის. ქრისტიანები უგანდიდან, ნიგერიიდან, მალაიზიიდან და კენიიდან ყველაზე ნაკლებად იმყოფებიან „გადარბენაში" და ამ ქვეყნებში ღმერთისადმი დამოკიდებულებაც უფრო განსხვავებულია.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე ნაკლებმორწმუნეები ცხოვრობენ ამერიკაში, დიდ ბრიტანეტში, ირლანდიასა და სინგაპურში, რაც თითქოსდა ადასტურებს ქვეყნის განვითარების დონეს, დასაქმებასა და უფლის რწმენისადმი უკუკავშირს.

ეს რაც შეეხება ამ პრობლემის კვლევას ქვეყნების მიხედვით. საინტერესოა, სქესობრივი ჭრილით ამ ურთიერთდამოკიდებულების კვლევა, დასაქმება და მუდმივი „გადარბენები" ზემოქმედებს როგორც ქალების, ისე მამაკაცების რწმენის ხარისხზე, მაგრამ დასაქმებული მამაკაცები ბევრად უფრო მცირედმორწმუნენი ხდებიან, ვიდრე ქალები.

პროფესიული ჭრილით, რაც არ უნდა პარადოქსი იყოს, მღვდლები ყველაზე მეტად დაკავებულები არიან და ყველაზე ნაკლები დრო რჩებათ ღმერთთან ურთიერთობისთვის, ამავე კატეგორიაში ხვდებიან იურისტები, მენეჯერები, ძიძები და დიასახლისები.[2]

საინტერესო ფაქტია მარტივი დაკვირვების პარალელი ასაკობრივი ჭრილით უმუშევრობის დონის სტატისტიკურ მაჩვენებელსა და ტაძარში მოსიარულე აქტიურ მრევლს შორის. ადამიანის ქრისტიანული ცხოვრების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა წირვა-ლოცვებზე დასწრება, აღსარების ჩაბარება, ზიარება და ა.შ. „ვისთვისაც ეკლესია არა არის დედა, მისთვის არც უფალი არის მამა"[3] – ამბობდა წმ. კვიპრიანე კართაგენელი. საქართველოში უმუშევრობის დონის განხილვა ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2012 წელს უმუშევრობის დონემ ყველაზე მაღალ ნიშნულს 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში მიაღწია. უმუშევრობის დონე ასევე გაზრდილია 40-44 და 55-59 წლების ასაკობრივ ჯგუფებში.[4] სწორედ ამ ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები იღებენ აქტიურ მონაწილეობას საეკლესიო ცხოვრებაში.

სად უნდა ვიკვლიოთ პრობლემა? რა ჯობია დასაქმების მაღალი დონე და ბევრი ღვთისმოშიში ადამიანი თუ პირიქით? არსებობს კი ოქროს შუალედი?

საკითხიდან ამოსავალი უნდა ვეძიოთ ისევ და ისევ ქრისტიანული ცხოვრების წესში. ამ შემთხვევაში ქრისტიანული ეთიკა ყველაზე მეტად შეასრულებს მარეგულირებელ როლს, რადგან ყოველი არსების საბოლოო მიზანი სრულქმნილების მიღწევაა, რაც იმას გულისხმობს, რომ ღმერთს დავემსგავსოთ. ასეთი ადამიანებისგან დაკომპლექტებულ საზოგადოებაში პრობლემების მოგვარებაც მარტივი ხდება. უფალი ბრძანებს: „ეძიებდეთ სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ" (ლუკა 12:31).

რწმენა დაეხმარა ამერიკელ ხალხს ინდივიდუალური თავისუფლების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს როლის მინიმუმამდე შეზღუდვაში. „ჩვენ არ გვაქვს სახელმწიფო, აღჭურვილი ძალით, რომელიც

---

[1] www.invictory.org - The Obstacles to Growth Survey

[2] www.invictory.org

[3] სიტყვა ნუგეშისცემისა. მთარგმნელები რ. ბუაჩიძე და სხვები; თბ. 2007, გვ. 235.

[4] www.geostat.ge

შეძლებს ებრძოლოს მორალისა და რელიგიისგან აღვირახსნილ ადამიანურ ვნებებს... ჩვენი კონსტიტუცია შეიქმნა მხოლოდ მორალური და რელიგიური ადამიანებისთვის", წერდა ამერიკული რევოლუციის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, ჯონ ადამსი[1].

ნათელია, რომ საბაზრო ურთიერთობების ცენტრში უნდა იდგეს თავისუფალი და არა „ზღვარ-გადასული" ადამიანი, ადამიანი, რომლისთვისაც უზენაესია ქრისტიანული ცხოვრების წესი. ასეთი კატე-გორიის ადამიანი არასოდეს იფარგლება თავისი პირადი ცხოვრების მოწყობით, მან კარგად იცის, რომ იგი ვალდებულია უფლის წინაშე, ეს ვალდებულება მას აიძულებს ხელი გაუწოდოს თავის გარშემო-მყოფებს. ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი მიუთითებდა, რომ მდიდარი: „დამნაშავეა მათ სიკ-ვდილში, ვინც იმ დროს სიცივითა და შიმშილით კვდებოდა. რადგან მას შეეძლო მათი გამოკვება, მაგრამ არ გამოკვება, არამედ მიწაში დაფლა ის, რაც ღარიბებს ეკუთვნოდათ, მიატოვა რა ისინი სიცივისა და შიმშილისგან მოსაკვდომად". [2]

დახმარებაში არ იგულისხმება მხოლოდ ფინანსური დახმარება, ასეთივე და უფრო მეტად მნიშვნელოვანიც კია ადამიანებს დაეხმარო და ისეთი გარემო შეუქმნა, სადაც შეძლებენ თავიანთი შესაძ-ლებლობების რეალიზებას და შესაბამისად თავიანთი შრომის შედეგით საკუთარი მოთხოვნილებების დაკ-მაყოფილებას, ანუ კატეგორიას, რომელიც ფლობს ფინანსურ სახსრებს, შეუძლია ეს სახსრები გამოი-ყენოს, თუნდაც ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ეს ქრისტიანული ეთიკის ფარგლებში სასურ-ველი კი არა – სავალდებულოა, რადგან ის, რაც ყოველ ჩვენთაგანს ეძლევა ცხოვრებაში, ეძლევა უფ-ლისგან და იმ შემთხვევაში, თუ ეს „საჩუქარი" სათანადოდ არ იქნება გამოყენებული უფლის რისხვას დავიმსახურებთ. ისევე, როგორც სახარებაშია ტალანტების შესახებ იგავში მოთხრობილი, როცა გამგზავრებისას კაცმა თავის მონებს თავიანთი ნიჭის და შესაძლებლობის შესაბამისად დაუტოვა ტალან-ტები, ორმა ის გამოიყენა და გაორმაგა, ერთმა, რომელსაც ყველაზე ნაკლები ტალანტი ერგო, მიწაში ჩაფლა თავისი კუთვნილი ტალანტები. ამ უკანასკნელს „მიუგო უფალმან და ჰრქუა მას: ბოროტო მონაო და მედგარო! უწყოდე, რამეთუ მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიედ. ჯერ-იყო შენდა დადებად ვერცხლი ჩემი სავაჭროსა, და მომცა-ვედ და მოვიღე ჩემი იგი აღნადგინე-ბითურთ. მოუღეთ მაგას ქანქარი ეგე და მიცით მას, რომელსა აქუს ათი ქანქარი. რამეთუ ყოველსა, რო-მელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მისგან. და ამას რაი იტყოდა, ხმა-ყო: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ! და უხმარი ეგე მონაი განხადეთ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაი კბილთა" (მათე 25:14-30).

დასაქმება ეს სწორედ ისეთი კატეგორიაა, რომელიც ერთი მხარის კეთილ ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. დასაქმების მსურველი არსებობს, სამუშაოს მაძიებელს სურვილი აქვს იმუშაოს, მაგრამ თუ არ არსებობს მეორე მხარე – დამსაქმებელი და მათ შორის ეფექტიანი კომუნიკაცია, მხოლოდ ერთი მხარის ძალისხმევა არაფრის მომცემი იქნება.

დღეს საქართველოში შრომის ბაზრის ფუნქციონირება ხდება იმ პირობებში, როცა მის შე-მადგენელ ელემენტებს – სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის აშკარა დისპროპორციაა, რაც ბევრი სხვა უარყოფითი შედეგის წინაპირობად იქცა. აბსოლუტური ხელფასი იზრდება, მაგრამ რეალური ხელფასის დონე კლებულობს. დაბალი შრომის ანაზრაურების პირობებში ხდება რეალურ ხელფასსა და შრომის ანაზრაურებას შორის დისპროპორციის ზრდა შრომის სირთულის და ხარისხის გაუთვალისწინებლად და ა.შ.

სტიქიურად განვითარებადი შრომის ბაზარი ვერ უზრუნველყოფს დასაქმების სფეროში სოციალ-ლური სამართლიანობის დაცვას, სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი პირობების შექმნას, ამიტომ მნიშვნელოვანია მის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევა გარკვეული დოზით. რაც გულისხ-მობს შრომისა და დასაქმების სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას და გა-ტარებას.

---

[1] Maggie Combs., How to Analyze the Works of John Adams. Published by ABDO Publishing Company, Minneapolis, 2011.

[2] სიტყვა ნუგეშისცემისა. მთარგმნელები რ. ბუაჩიძე და სხვები; თბ. 2007, გვ. 127.

ჩვენი აზრით, ამ პოლიტიკის ერთ-ერთ წარმატებულმიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს 2003 წლის პრეზიდენტის ბრძანებულება სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დასაქმების სფეროში თანამშრომლობის 2004-2005 წლების პროგრამის დამტკიცების თაობაზე.

ასევე მნიშვნელოვანი იყო 2006 წლის 1 მარტის შეთანხმება მართლმადიდებლურ ეკლესიასა და იუსტიციის სამინისტროს შორის, რომლის ძალითაც პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით ერთობლივი პროექტების განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო პრობაციონერთა დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას, სურვილის შემთხვევაში მათ შეძლეს ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში დასაქმება.

თუ უფრო პრაქტიკული კუთხით მივუდგებით საკითხს, ეკლესია გვევლინება ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამსაქმებელ ორგანიზაციად მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დიდ ეკლესიებში მილიონზე მეტი ადამიანია დასაქმებული[1].

ბევრ ქვეყანაში რელიგიური კანონმდებლობის გამო სამღვდელო პირებს არ აქვთ დასაქმებულის სტატუსი. მაგალითად, ბელგიაში რელიგიის მსახურები, აღთქმის დადების გამო, არ განიხილებოდნენ თანამშრომლებად, მოგვიანებით საპრეცედენტო სამართალმა უარყო შრომითი ურთიერთობის ეს პრინციპი, მაგრამ დასაქმების კონტრაქტის პრობლემა კვლავ მოუგვარებელი დარჩა. ამჟამად, მაინც განსხვავებული მიდგომა არსებობს იმ კატეგორიის რელიგიის მსახურებს შორის, რომელთა საქმიანობაც უშუალოდ არის დაკავშირებული ეკლესიასთან და რომლებიც სამუშაოდ იგზავნებიან ეკლესიის ხელმძღვანელების მიერ სხვა ორგანიზაციებში, მაგალითად, მასწავლებლად. ბელგიაში ეკლესიის მსახურებთან და სასულიერო პირებთან ერთად საერო პირების სულ უფრო მეტი რაოდენობა მუშაობს დღეს.

დანიაში დამსაქმებელს უფლება აქვს სამსახურიდან გაათავისუფლოს ისეთი პირები, რომლებიც არ არიან რომელიმე აღმსარებლობის მიმდევარნი.

გერმანიაში ეკლესიის მსახურები განსაკუთრებული ანგარიშვალდებულებით არიან დაკავშირებულნი თავიანთ დამქირავებელთან და დამქირავებელს შეუზღუდავი უფლება გაჩნია სამსახურიდან დაითხოვოს ესა თუ ის თანამშრომელი, რომლის ცხოვრების საზოგადოებრივი წესი და შეხედულებები არ ემთხვევა ეკლესიის სწავლებას.

ასევე განსხვავებული მიდგომაა საფრანგეთში ეკლესიებში დასაქმებულ საერო და სასულიერო პირებს შორის. სასულიერო პირებთან ურთიერთობა რეგულირდება შიგა წესებით, ხოლო საერო პირებთან შრომის კანონთა კოდექსით, მაგრამ ეკლესიას შეუძლია დამატებითი პირობების დაკისრება ამ კატეგორიის მუშაკებზე, კერძოდ, საეპარქიოს ეპისკოპოსი მათ გადასცემს ინდივიდუალურ "Lettre de mission"[2]. ეპისკოპოსის მიერ "Lettre de mission"-ის ჩამორთმევა ნიშნავს კონტრაქტის შეწყვეტას.

ასეთი მიდგომაა გავრცელებული ევროკავშირის ქვეყნების თითქმის უმრავლესობაში. შრომითი კონტაქტის არსებობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ სამუშაოს მაძიებელთათვის უფრო მნიშვნელოვანია დასაქმება და მისგან მოტანილი დადებითი შედეგები, ვიდრე ქაღალდზე გაფორმებული ხელშეკრულება.

საქართველოს საპატრიარქოში სასულიერო პირთა აღრიცხვას არ აწარმოებენ, თუმცა პატრიარქის მდივნის, მიქაელ ბოტკოველის მონაცემებით, მათი რაოდენობა 2-3 ათასია, ეს მაშინ, როცა დამოუკიდებლობის მოპოვების წლებში, სასულიერო პირთა რაოდენობა დაახლოებით 40 იყო, ბოლო 25 წლის მანძილზე სამღვდელო დასი დაახლოებით 60-ჯერ გაიზარდა[3]. რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ეკლესიის, როგორც დამსაქმებლის მნიშვნელოვან როლზე.

,,ერთი შეხედვით თითქოსდა არ არის კავშირი ეკლესიასა და ეკონომიკას შორის. სინამდვილეში კი, პირიქით. ეკლესია ეკონომიკის განვითარებისათვის ბევრ რამეს აკეთებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია

---

1 გერჰარდ რობერსი., სახელმწიფო და ეკლესია – ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 100.

2 Lettre de mission - (ფრანგული) სამუშაოთა აღწერა, შესასრულებელი ფუნქციების ჩამონათვალი.

3 http://www.tabula.ge

ხალხის დასაქმება. მე არ მეგულება არც ერთი დაწესებულება საქართველოში, სადაც იმდენი ადამიანი იქნება დასაქმებული, რაც ეკლესიაშია" – აღნიშნავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.[1]

უმუშევრობის პრობლემის მოგვარებაში განსაკუთრებული როლი აკისრია თვით უმუშევარს. ხშირია შემთხვევა, როდესაც სამსახურის ძიების რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, სამუშაოს მაძიებლები „სამუდამო უმუშევრებად" იქცევიან ხოლმე. ძველი აღთქმის მიხედვით „ზარმაცის სული მოწყურებულია, მაგრამ არაფერი აქვს; მუყაითნი კი დანაყრდებიან" (იგავ. 13:14), ამიტომ, პრობლემის წინაშე თავის მოდრეკა არ ღირს, თითოეულ ჩვენგანს უნდა სწამდეს, რომ მუყაითი შრომა, გარჯა აუცილებლად გამოიღებს თავის კეთილ ნაყოფს.

დიდაქეს მიხედვით, შრომის უნარი ერთ-ერთი უმთავრესი ნიჭია, "ნუ იქნება შენი სიტყვა ცრუ და ლიტონი, არამედ საქმით აღსავსე" (დიდ. II, 5). უფალს არ უყვარს ზარმაცი და სხვის კმაყოფაზე მყოფნი "და რამეთუ რაჟამს-იგი ვიყავ თქვენ თანა, ამასვე გამცნებდით თქუენ, ვითარმედ უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის კეთებაი, ნუცა ჭამნ" (II თეს. 3:10). ყველამ, მათ შორის მოციქულებმაც კი, თავისი შრომით და გარჯით უნდა მოიპოვონ თავისი სარჩო-საბადებელი, „არავინ იყოს თქვენს შორის უქმად" (დიდ. XII, 4).

არის ადამიანთა კატეგორია, რომელიც ამა თუ იმ სახეობის სამუშაოს შესრულებაზე უარს აცხადებს, როგორც მისთვის შეუფერებელ სამსახურზე და ურჩევნია უმუშევარი იყოს. რა თქმა უნდა, ამ ქმედების გამართლებაც შეუძლებელია. უფალი ბრძანებს „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა ვიდრე მიქცევადმდე შენდა მიწად" (დაბად. 3:19). ჭეშმარიტი ქრისტიანი თავმდაბალია, შესაბამისად ღვთისთვის მისაღები არც ერთი საქმიანობა არ არის მისთვის დამამცირებელი და მიუღებელი.

უფლის რწმენით გაკეთებულ ყოველ საქმეს უფრო მეტი მადლი და ძალა აქვს. დასაქმებული ადამიანები, რომლებიც ქრისტიანული წესით ცხოვრობენ და ქრისტიანული ეთიკის ნორმებს იცავენ, არ არიან მხოლოდ შემოსავლის მიღებაზე ორიენტირებულნი, შედეგად, საქმე უფრო ხარისხიანად კეთდება, რაც თავის მხრივ დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმატებული ეკონომიკური საქმიანობის საფუძველია. მომგებიანი და ეფექტიანად ფუნქციონირებადი ორგანიზაციები კი დასაქმების ახალ წყაროს წარმოადგენს. ბევრი დასაქმებული ნიშნავს მეტ შემოსავლებს, მეტი შემოსავალი კი ქყვეყნის ეკონომიკური წინსვლის წინაპირობაა.

Irma Tkemaladze

Christian Eethics Impact on Employment

Resume

The article analyzes the connection between Christian ethics and the level of employment. Shown how religion has changed the attitude of Christians with an increase in employment levels. The employment problem in the church by promoting the Gospel definitions and measures.

[1] http://www.epn.ge

ნინო ფარესაშვილი

ეთიკურად ჯანსაღი ორგანიზაციული გარემო პირობების უზრუნველყოფა

თანამედროვე ბიზნეს-სამყაროში საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო ეფექტიანი, და ამდენად უფრო სასურველი, რაციონალური აზროვნებაა. ბევრ მენეჯერს მიაჩნია, რომ გუნდი გაცილებით ეფექტიანად იმუშავებს, თუკი მასში მშვიდი, აუღელვებელი, მტკიცე და გაწონასწორებული ბუნების ადამიანები გაერთიანდებიან. მეორე მხრივ, ნებისმიერ ხელმძღვანელს სურს, რომ მის ორგანიზაციაში მოტივირებული ადამიანები მუშაობდნენ. ეს ნიშნავს ერთგულ და ენთუზიაზმით აღსავსე ადამიანებს, რომლებსაც უყვართ ორგანიზაცია და საკუთარ თავს მის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებენ. სიყვარული და ერთგულება კი ნებისმიერ შემთხვევაში ემოციებთანაა დაკავშირებული.

თვითოეულ ჩვენგანს უნდა, რომ თავი იგრძნოს კომფორტულად მატერიალური და სულიერი თვალსაზრისით. ეს სურვილი გამოიხატება თვითეფექტურობის მისწრაფებაში ან იმის რწმენაში, რომ ჩვენ შევძლებთ, რომ შევასრულოთ დაკისრებული სამუშაო, გავამართლოთ მოლოდინი, შევიტანოთ მნიშვნელოვანი წვლილი საერთო წარმატების მიღწევაში. ბევრი თანამშრომელი აქტიურად ცდილობს, თავისი ნიჭის და იდეების საშუალებით, ხელი შეუწყოს ორგანიზაციის წარმატებას, გაუზიაროს კოლეგებს ის, რაც ისწავლეს და გაიგეს თავისი გამოცდილებით. ორგანიზაციებმა უნდა შეუქმნან მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები ასეთ მუშაკებს იმიტომ, რომ საქმე ეხება ორივე მხარის მოგების პრაქტიკას.

ჩვენ ყველა ვიმსახურებთ, რომ გვეპყრობოდნენ არა როგორც წარმოების ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მიწა, კაპიტალი, ტექნოლოგია, არამედ როგორც უნიკალურ რესურსს. ორგანიზაციის ყოველ თანამშრომელს უნდა, რომ მას ყურადღებით და პატივისცემით მოექცეს ხელმძღვანელი. დღეისათვის უპირობო მოთხოვნაა კვალიფიკაციის და უნარების მაღალი შეფასება, ყოველი მუშაკის თვითგანვითრების შესაძლებლობა.

მენეჯმენტის თეორიის წამყვანი სპეციალისტებისგან სულ უფრო ხშირად გვესმის, რომ ეფექტიანი მენეჯმენტის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, თუნდაც, საბაზისო ფსიქოლოგიური განათლების და ე.წ. „ემოციური მგრძნობელობის" არსებობა. მენეჯმენტის ამოცანაა შექმნას და მართოს ისეთი ემოციური გარემო, სადაც თანამშრომელს არ შეეშინდება საკუთარი გრძნობების გამოვლენისა და შეხედულებების დაფიქსირების. ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ ემოციები ბიზნესში აუცილებელია, ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ბევრ არგუმენტს იშველიებენ: ამტკიცებენ, რომ შესაძლებელია, ბევრად გააუმჯობესო პერფორმანსი, თუკი ერთ მარტივ რამეს გააცნობიერებ - ბიზნესი მთლიანად დამოკიდებულია ადამიანებზე, ადამიანებს კი, ინტელექტუალური რესურსის გარდა, აქვთ გრძნობები და ინდივიდუალური დამოკიდებულებები სხვადასხვა საკითხების მიმართ. ამიტომ, გრძნობები ბიზნესის განუყოფელი ნაწილია.. გამოცდილება აჩვენებს, რომ ემოციებს საუკეთესო მოტივატორის როლის შესრულება შეუძლია. ემოციებით აიგება ნდობა გუნდის წევრებს შორის. ემოციური კავშირების და ნათელი კომუნიკაციის მეშვეობით, ორგანიზაციის ხელმძღვანელობას კონტროლის გაძლიერებაც შეუძლია, რადგან ის თანამშრომლები, რომლებიც საკუთარ უფროსობას ენდობიან, მეტ პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ თავზე და მეტ ერთგულებას იჩენენ საქმის მიმართ.

ემოციური ფაქტორების მნიშვნელობა შესაძლოა განვიხილოთ რამდენიმე მიმართულებით: ყველამ კარგად ვიცით, რომ ბიზნესის წარმატება მჭიდრო კავშირშია კლიენტის კმაყოფილებასთან. უკმაყოფილო და კმაყოფილ კლიენტს შორის განსხვავება – კლიენტის ემოციებია. ლიდერსა და ჩვეულებრივ მენეჯერს შორის განსხვავება იმ ემოციებშია, რომელსაც ისინი თავიანთ ქვეშევრდომებში აღძრავენ. გადაწყვეტილების მიღების პროცესიც ნებისმიერ ეტაპზე გარკვეულწილად პირად განწყობაზეა დამოკიდებული. სტრატეგიული დაგეგმვისასაც კი, როდესაც ადამიანი დათრგუნულია, მომავალი მუქ ფერებში ესახება; ოპტიმისტური განწყობისას მომავლის წარმოდგენაც უფრო ხალისიანი ხდება. მომავლის ნებისმიერ ხედვას, რომელიც შემუშავდა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, ყოველთვის თან ახლავს მასზე მომუშავე გუნდის მიერ დატოვებული ემოციური კვალი. ის ხელს შეუწყობს ჩვენს პოტენციურ კარიერულ წარმატებას ახალ, დინამიკურ, ცვლად, რთულ და პერსპექტიულ სამუშაო ადგილებზე.

გლობალიზაციამ, ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, კორპორატიულმა რესტუქტურიზაციამ და სხვა ცვლილებებმა, პოტენციურად შეარყია ნდობისა და ვალდებულების მაჩვენებლები, რაც აუცილებელია თანამშრომელთა მოტივაციისათვის. იმისათვის, რომ შევქმნათ მეტად მოტივირებული მუშაკი, პირველ რიგში, აუცილებელია მათი მოთხოვნილებებისა და სტიმულების გაგება და იმის გარკვევა, თუ როგორ უკავშირდება ეს ცნებები ინდივიდუალურ მიზნებსა და ქცევას.

XXI საუკუნეში მნიშვნელოვან დევიზად იქცა სამუშაო ძალის მრავალფეროვნება. მაშინ, როდესაც ჩვენ ვაკვირდებით სქესთან, რასობრივ და ეთნიკურ კუთვნილებასთან, ასაკთან, ფიზიკურ შესაძლებლობებთან და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით მრავალ განსხვავებას წარმატება ახალ სამუშაო ადგილზე დამოკიდებულია სხვადასხვა კულტურაში აღზრდილ, სხვადასხვა ასაკისა და სქესის, განსხვავებული რასობრივი და ეთნიკური კუთვნილების მქონე ადამიანებთან მუშაობის უნარზე. იმისათვის, რომ ვმართოთ სხვა ადამიანები და ვიმუშაოთ მათთან, პატივი ვცეთ მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს და შევაფასოთ მრავალფეროვნება, საჭიროა ვფლობდეთ პიროვნებათაშორისი და კულტურული ურთიერთობების თავისებურებებს.

ჩვენ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ პირობებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის როგორც ორგანიზაციების, ისე ცალკეული ადამიანების სწავლებას. მხოლოდ მას, ვინც სწავლობს, ძალუძს ფეხდაფეხ მიჰყვეს უწყვეტად ცვალებად გარემოს. კონსულტანტები და მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ ორგანიზაციულ სწავლებაზე, როგორც ცოდნის შეძენის პროცესზე ინფორმაციის გამოყენებისთვის, რათა მოხდეს წარმატებით ადაპტირება ცვლადი გარემოებებისადმი. ახალი იდეებისა და შესაძლებლობების ძიებაში ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ პოზიტიური ცვლილების უნარი. იგივე ეხება თითოეულ ჩვენგანს. ჩვენ უნდა მივისწრაფვოდეთ მუდმივი სრულყოფისკენ, ვიყოთ მზად სამსახურებრივ კიბეზე დაწინაურებისთვის და იმისთვის, რომ ფეხდაფეხ მივყვეთ დინამიკურ და რთულ გარემოს.

აღნიშნული დიდ დახმარებას გაგვიწევს ინფორმაციის გამოყენების და ცოდნის შეძენის პროცესში, რომელიც, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს წარმატებით შევეგუოთ ცვლად გარემოს. ჩვენ თანაბარზომიერად უნდა გავამახვილოთ ყურადღება ორგანიზაციული ქცევის სამ დონეზე; ინდივიდუალურზე, გუნდურსა და ორგანიზაციულზე. მასში ჰარმონიულად არის შერწყმული თეორია, კვლევა და მართველობითი პრაქტიკა. დაცულია ბალანსი ყველასათვის კარგად ცნობილ თეორიებს, მიდგომებსა და უკანასკნელი წლების სამეცნიერო მიღწევებს შორის.

მენეჯერების ქმედებები ზოგადად საზოგადოების მუდმივ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. მენეჯერს უნდა ახსოვდეს, რომ ორგანიზაციული ქცევა – ესაა ქმედითუნარიანი ღონისძიებები, როგორც ინდივიდების, ასევე ორგანიზაციების ურთიერთმოგების მისაღებად. ორგანიზაცია – ეს რთული სისტემაა. თუ ცდილობთ, რომ იყოთ წარმატებული მუშაკი, შემდეგ კი მენეჯერი, თქვენ აუცილებლად უნდა გაერკვიოთ ორგანიზაციაში მოქმედ მექანიზმებში. თუ გავითვალისწინებთ მეცნიერების სწრაფ განვითარებას, ტექნოლოგიებით მართვა არის საკმაოდ რთული ამოცანა. თუ განვიხილავთ მათ ურთიერთობას ინდივიდებთან, ჩვენ მივიღებთ საკმაოდ რთულ სოციო-ტექნიკურ სისტემას. ამავე დროს საზოგადოების პროგრესი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ასეთი სისტემების და მათი ეფექტური მართვის მექანიზმებით. ადამიანის ქცევა შრომის პროცესში არაპროგნოზირებადია. მისი კოლეგების, ხელმძღვანელებისა და შემკვეთების ქცევები გამომდინარეობს მათში ღრმად გამჯდარი მოთხოვნებიდან, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან და ინდივიდუალური ფასეულობებიდან.

თუ განვიხილავთ მენეჯმენტის მეცნიერულ ინსტრუმენტებს, სოციალურ ფსიქოლოგიას და სხვა დისციპლინებს, გვაქვს შესაძლებლობა, გამოვიკვლიოთ ადამიანის ქცევა ორგანიზაციებში, მისი განსხვავებული საზღვრების გათვალისწინებით. ორგანიზაციული პრობლემების იდეალური გადაწყვეტა არ არსებობს, მაგრამ ნებისმიერი კომპანიის მუშაკებს აქვთ შესაძლებლობა, გააუმჯობესონ შრომითი ურთიერთობა. ეს პროცესი საკმაოდ რთულია, მაგრამ მიღებული შედეგი ამართლებს მათ მიერ გაწეულ ძალისხმევას.

შესაძლებელია ნებისმიერმა მენეჯერმა ვერ დაძლიოს ორგანიზაციაში წარმოქმნილი სიძნელეები და მას გაუჩნდეს სამსახურიდან წასვლის სურვილი. მიუხედავად იმისა, მენეჯერს მოსწონს თუ არა

დაქვემდებარებული პირების ან სხვა მენეჯერების ქცევები, მას არ აქვს უფლება არ ჰქონდეს ურთიერთობა ამ ადამიანებთან. ამიტომ იგი უნდა შეეცადოს გაიგოს, რაც შეიძლება მეტი ადამიანების ქცევებზე, გამოიკვლიოს მათი შესაძლებლობები და გაუმჯობესოს პიროვნებათშორისი ურთიერთობები. ამ სფეროში ორგანიზაციული ქცევის ცოდნა ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს მენეჯერებს, რათა მათ გაზარდონ საკუთარი და სხვათა საქმიანობის ეფექტიანობა.

იმის ცოდნა, თუ რატომ იქცევიან ადამიანები ასე და არა სხვაგვარად, შესაძლოა პოზიტიური ხელმძღვანელობის საფუძველი გახდეს, ანუ ხელმძღვანელობის, რომელიც დადებით შედეგამდე მიგვიყვანს. მენეჯერებს ასევე შეუძლიათ ე.წ. *ორგანიზაციული მოქალაქეობის* სტიმულირება – ესაა სამსახურებრივი ქცევა, რომელიც ცდება სამსახურებრივი მოთხოვნის ფარგლებს და უზრუნველყოფს ორგანიზაციის წარმატებას. ორგანიზაციული მოქალაქეობის გამოვლინება შესაძლოა იყოს, მაგალითად, კოლეგების დახმარება, ზენორმატიული სამუშაო, გარემოებებიდან გამომდინარე, პროდუქციისა და პროცედურების სრულყოფის გზების ძიება. ორგანიზაციული მოქალაქეობის გასავითარებლად მენეჯერებმა სხვადასხვა გზით უნდა გამოიყენონ თავისი ცოდნა ორგანიზაციაში ადამიანების შესახებ. ამაში მოიზარება თანამშრომლების შერჩევა პოზიტიური პიროვნული ხასიათის მიხედვით, ასევე იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მოახდენენ ისინი სხვა თანამშრომლების დახმარებას, პრობლემების გადაწყვეტას და სხვისი პრობლემების გაზიარებას.

ორგანიზაციის ბუნება ფორმულირდება სხვადასხვა ძალის ურთიერთქმედების პროცესში, რომლის მრავალი სახეობა კლასიფიცირდება ოთხი მიმართულებით: პერსონალი, ორგანიზაციული სტრუქტურა, ტექნოლოგია და გარემო, სადაც ფუნქციონირებს მოცემული ორგანიზაცია. დავალებების შესასრულებლად კომპანიაში იყენებენ ძალების კოორდინაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიაში უნდა შეიქმნას ფორმალური ურთიერთობის სტრუქტურა. ნებისმიერი შრომის პროცესში გამოიყენება წარმოების საშუალებები, სამუშაო პროცესში ინდივიდებს შორის მყარდება გარკვეული ურთიერთობები, ყალიბდება ორგანიზაციული სტრუქტურები და ადგილი აქვს სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებას. ყოველივე ამის პარალელურად განხილულ ელემენტებზე ზემოქმედებას ახდენს გარე სამყარო.

ორგანიზაციის თანამშრომლები ქმნიან მის შიგა სოციალურ სისტემას, რომელიც შეიცავს ინდივიდებს და ჯგუფებს (მცირე და დიდი, ფორმალური და არაფორმალური). ჯგუფის ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისებაა ჯგუფური დინამიკა. თანამშრომლების საქმიანობა მიმართულია ორგანიზაციის წინაშე არსებული მიზნების მისაღწევად. მენეჯერებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ორგანიზაციები არსებობენ იმისათვის, რომ ემსახურონ ხალხს და არა პირიქით.

ორგანიზაციული „ცხოვრება“ მიმდინარეობს შიგა პირობებსა და გარემოს საზღვრებში. თითოეული ორგანიზაცია წარმოადგენს როგორც ერთიანი დიდი სისტემის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მოიცავს მრავალ ელემენტს. გარემოში მიმდინარე მრავალრიცხოვანი ცვლილებაი თანამედროვე ორგანიზაციების წინაშე წარმოქმნის ახალ-ახალ მოთხოვნებს.

მოქალაქეები სულ უფრო ხშირად მოითხოვენ მენეჯერებისგან სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის გატარებას. ამასთან, პროფკავშირების პირდაპირი ზეგავლენის შესუსტებასთან ერთად იზრდება პერსონალის თვითშეგნებისა და განათლების დონე. ყველა ეს და სხვა ბევრი ფაქტორი გაუთვალისწინებელ ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ვერცერთი ორგანიზაცია თავიდან ვერ აიცილებს გარემოს ზეგავლენას, რომელიც ზემოქმედებს ინდივიდების მდგომარეობაზე, შრომის პირობებზე, მაღალი კონკურენციის პირობებში რესურსებსა და ენერგიის წყაროების წვდომაზე. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინებით ორგანიზაციები განიცდიან გარემოს მრავალრიცხოვანი ფაქტორის ზეგავლენას.

ადამიანები განიცდიან სხვადასხვა სახეობის ემოციას და ასევე არსებობს ამ სახეობათა ბევრი კომბინაცია. თუმცა, ყველა მათგანს აქვს ორი საერთო თვისება - მახასიათებელი. პირველი - ემოციები ახდენს გლობალური შეფასების გენერირებას (რასაც ცენტრალური, „გულის ეფექტი“ ეწოდება), ანუ არის თუ არა ესა თუ ის ქმედება ან საგანი კარგი, ცუდი, სასარგებლო, საზიანო სასურველი, თუ პირიქით – თავის ასარიდებელი. მეორე – ყველა ემოცია აწარმოებს რაღაცა დონის აქტივაციას. მისი ცვლილება აქ-

ტივაციის სხვადასხვა ვარიანტებს შორის დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოითხოვს ჩვენგან ყურადღებას და რამდენად გვიმაღლებს მოტივაციას.

ადამიანებს აქვთ უნიკალური პიროვნული მახასიათებლები – მოთხოვნილება, განვლილი წლებით მიღებული გამოცდილება ან ისინი იმყოფებიან განსხვავებულ ფიზიკურ მდგომარეობაში დროის კონკრეტულ პერიოდებში და ამავდროულად შესაძლებელია წარმოადგენდნენ სხვადასხვა სოციალური წრის წევრებს. კონკრეტული მიზეზების დამოუკიდებლად ინდივიდების ქმედება განპირობებულია რეალობის აღქმით. სელექციური აღქმა არცთუ იშვიათად ხდება შრომის პროცესის ცალკეული ელემენტის არასწორი განსჯის საგანი, მაგრამ, მომავალში მან შეიძლება უზრუნველყოს ახალი შთაბეჭდილებების ჩამოყალიბება. ხელმძღვანელებმა უნდა გაითავისონ თანამშრომლების განსაკუთრებულობა და ჩაატარონ აღქმის ანალიზი. ასევე ყურადსაღებია პერსონალის ემოციონალურობა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა მოიძებნოს ინდივიდუალური მიდგომა თითოეული მუშაკისათვის.

რეალურად კომპანიას უწევს დაიქირავოს არა მარტო ინდივიდი, არამედ პიროვნება მთელი მისი მახასიათებლებით. ადამიანის სხვადასხვა მახასიათებელი შეიძლება შევისწავლოთ ცალ-ცალკე, მაგრამ საბოლოოდ გამოკვლევის დასკვნითი ფაზაა – სინთეზი, რომელიც გვთავაზობს პიროვნების, როგორც ერთიანი სისტემის კომპლექსურ ანალიზს. პროფესიონალური ოსტატობა არ არსებობს გამოცდილებისა და ცოდნის გარეშე, ადამიანის პირადი ცხოვრება არ შეიძლება მთლიანად იყოს განცალკევებული შრომის პროცესისგან, მორალური პირობები განუყოფელია ფიზიკური პირობებისგან. ჩვენი შრომითი საქმიანობა ბევრ რაღაცაში განსაზღვრავს ჩვენს ინდივიდუალურ თვისებებს, მაშასადამე, მენეჯერებმა უნდა იფიქრონ თუ როგორ ზემოქმედებს სამსახური მთლიანად პიროვნებებზე. თანამშრომლები გვევლინებიან არა მარტო ორგანიზაციის წევრებად იქ, სადაც მიმდინარეობს მათი შრომითი საქმიანობა, არამედ სხვადასხვა საზოგადოების წევრებად ორგანიზაციის გარეთ. ამიტომ თანამშრომლების პიროვნული განვითარება დადებითად აისახება არამარტო მის შრომით საქმიანობაზე, არამედ ის ვრცელდება ფირმის საზღვრებს გარეთაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფარესაშვილი ნ., ქეშელაშვილი გ. ორგანიზაციული ქცევა. I ნაწილი. თბ., 2010;
2. ფარესაშვილი ნ., ორგანიზაციული ქცევა. II ნაწილი. თბ., 2010;
3. Жоунс Г. Р., Джорджи Дж. М. Организационное поведение: основы управления. М., 2003;
4. Мардас А. Н., Мардас О. А. Организационный менеджмент. СПб., 2003;
5. Маллинз Л. Менеджмент и организационное поведение. М., 2003;
6. Ньюстром Дж. В., Дэвис К. Организационное поведение., СПб.,2000.
7. Панфилова, А. П. Громова, Л. А. Богачек, М. А. Основы Менеджмента, М., 2004;
8. Steven W. Flannes, PhD; Ginger Levin, DPA. 2004;
9. J.C. Rode et al. “Emotional Intelligence and Individual Performance: Evidence of Direct and Moderated Effects,” - 2007;
10. J . P . Forgas , Affective Intelligence: Towards Understanding the Role of Affect in Social Thinking and Behavior, 2001;
11. Organizational Behavior-McShane | Von Glinow (fifth edition).
12. Barry M Staw, Robert I. Suttoon, Research in Organizational Behavior, 2000.

Nino Paresashvili

Ensuring Ethically Sound Organizational Environment

Resume

The present paper focuses on individual characteristics of a person. People have the unique personal features, demands, experience received from passed period or they are staying in different physical state in specified period of times and may represent members of different social societies simultaneously. Independently of concrete reasons the individuals actions are due to reality perception. The selective perception not rarely becomes the subject of incorrect judgment by individual elements of the labor process but in future this may provide creation of new imaginations. The leaders should mind specific features of the employees and to carry out perception analysis. Emotionality of employees also should be taken into account. Taking into consideration all the above mentioned, individual approach must be developed for each employee.

If we discuss scientific instruments of the management, social psychology and other disciplines we will have opportunity to study a person behavior in organizations with consideration of different limits. The perfect solution of organizational problems doesn't exist, however the employees of any company have opportunity to improve labor relations. This process is rather difficult although the received outcome justify the efforts of the management.

გიორგი შიხაშვილი

თეოლოგიური ეკონომიკის არსი, მიზანი და ამოცანები

თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებულ და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ოფიციალურად მიღებულ ეკონომიკურ თეორიებსა და პრაქტიკულ სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში თითქმის სრულიად არის უგულებელყოფილი უფალი ღმერთი, ქრისტიანული სარწმუნოების პრინციპები და ზნეობრივი ნორმები. ამის გამო დღევანდელი საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო მიზანს უმეტესად ამქვეყნიური სიამოვნების (ჰედონიზმი), ბედნიერების (ევდემონიზმი), მატერიალური დოვლათისა და მაქსიმალური ფულადი მოგების ნებისმიერი საშუალებით მიღება წარმოადგენს. ასეთ საფუძველზე დამყარებული ეკონომიკის ფუნქციონირება კი სიმდიდრის გაღმერთებას, ცოდვების საყოველთაო გაბატონებას და საზოგადოების სულიერ დაცემას იწვევს, რაც იმქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანთა საბოლოო წარწყმედას განაპირობებს.

დღის წესრიგში დგება ქრისტიანული სარწმუნოების და ეკონომიკის ღვთივდადგენილი კავშირურთიერთობების შესწავლა-გამოყენების აქტუალური საკითხი. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში თავისი წვლილის შეტანა ქრისტიან ეკონომისტებთან ერთად ყველა დაინტერესებულ და კომპეტენტურ ადამიანს შეუძლია.

ეკონომიკა ამქვეყნიური ცხოვრების მატერიალური საფუძველი და უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის უფლისათვის სათნოდ წარმართვა უზრუნველყოფს ჩვენთვის მიწიერ სიხარულს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ზეციური ნეტარების მოპოვებას.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, ყოველი ადამიანისათვის ღმერთს დადგენილი აქვს ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრების ეტაპები. ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის, აქედან გამომდინარეობს ადამიანის დანიშნულება და მისი მიწიერი ცხოვრების მიზანი. მართმადიდებლური კატეხიზმო გვასწავლის: "კაცის დანიშნულება ის არის, რომ განავითაროს ღვთისაგან მონიჭებული ძალი და ნიჭი და, რაოდენადაც შესაძლებელია შეზღუდულის არსებისათვის, მიაღწიოს სისრულეს და ღვთის მსგავსებას, მიიღოს რაოდენადაც შეიძლება, მეტი მონაწილეობა საუკუნო საღმრთო ნეტარებაში. სულ უკანასკნელი მისწრაფება კაცისა არის ღმერთი, ერთობა ანუ ცხოველი კავშირი ღმერთთან. მაგრამ კაცი შესდგება არა მარტო სულისაგან, არამედ ხორცისაგანაც. აქედან ცხადია, რომ თავის დანიშნულებას კაცმა უნდა მიაღწიოს მიწის და ქვეყნის დახმარებით. ხილული ქვეყანა ასწავლის კაცს სულის ამაღლებას ღვთისადმი".[1]

ყოველი ქრისტიანის მიწიერი ცხოვრების უმაღლესი მიზანია საკუთარი ცხოველქმედების პროცესში ზნეობრივი კანონის განხორციელება, რაც მისი სულის ნეტარებას უზრუნველყოფს.

ადამიანის დანიშნულების და ცხოვრების მიზნის ამგვარი განმარტება განაპირობებს მისივე სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის საბოლოო მიზნის შესაბამისი განსაზღვრის აუცილებლობას, რაც თეორიული და პრაქტიკული ეკონომიკის უმთავრეს კრიტერიუმად უნდა იქცეს.

ბიბლიის მიხედვით, სამყარო და მასში მიმდინარე პროცესები, მათ შორის, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობაც, ესქატოლოგიურია.[2] ცათა სასუფეველში ეკონომიკა, ბიზნესი, ფული და მიწიერი სიმდიდრე არ იარსებებს, ყოველივე ამქვეყნიური გარდახდება, ხოლო ღირსეულებს უფალი ნეტარ საუკუნო ცხოვრებას განუმზადებს, "რადგანაც ვიცით, რომ თუ ეს ჩვენი მიწიერი სახლი, თუ ეს კარავი დაინგრევა, ღმერთის მიერ გვაქვს სასახლე ცაში, ხელთუქმნელი და მარადიული" (2 კორ. 5,1) – **წერს პავლე მოციქული.**

---

1 სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1989, გვ. 123.

2 ესქატოლოგია (ბერძნ.: eschatos – დასასრული დროსა და სივრცეში, ზღვარი, საბოლოო მიზანი და logos – მოძღვრება) – ქრისტიანული სწავლება სამყაროს დასასრულის, მიწიერი ისტორიის არსის, ადამიანისა და კაცობრიობის ხვედრის შესახებ.

მართლმადიდებლური სარწმუნოების მიხედვით, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის საბოლოო მიზანს ადამიანის ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნა უნდა წარმოადგენდეს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც გამუდმებული სულიერი სრულყოფის მეშვეობით ცათა სასუფეველში ადამიანის შესვლას უზრუნველყოფს.

იციან რა ანგარებისა და ვერცხლისმოყვარეობისათვის დამახასიათებელი ყოვლისწამბილწველობის უნარი, გლობალიზაციის პროცესების წარმმართველი ზოგიერთი ანტიქრისტიანული და ანტიჰუმანური ძალები თავის არაკეთილსინდისიერ საქმეებში სწორედ ეკონომიკურ მეთოდებს და ფულს იყენებენ მათსავე მიერ გეგმაზომიერად გაღატაკებული მასების დასათრგუნავად. შედეგად, დღევანდელ ცივილიზებულ თუ არაცივილიზებულ მსოფლიოში თითქმის სრულიად გამეფდა მამონას, ანუ ფულისა და სიმდიდრის წარმართული ღვთაების კერპი, რომლის თაყვანისცემის გამოც მრავალი ადამიანი, როგორც ღარიბი, ასევე მდიდარი, ცოდვის მონად და შურიან, ბოროტ არსებად გადაიქცა.

ამასთან დაკავშირებით პავლე მოციქული გვეუბნება, რომ უკეთური გზით "გამდიდრების მოსურნენი საცდურის მახეში ებმებიან, და მრავალი შლეგური, მავნე და კაცთა დამღუპველი და წარმწყმედი გულისთქმის ტყვენი ხდებიან" (1 ტიმ. 6, 9). ამასთან, ცოდვილთა გონს მოყვანის მიზნით იგივე მოციქული ადამიანებს აფრთხილებს, რომ ყველანი უნდა წარვსდგეთ უფლის სამსჯავროს წინაშე, რათა უზენაესმა "თვითეულს მიაგოს კუთვნილი იმის მიხედვით, თუ რას იქმოდა, სხეულში მყოფი, კეთილს თუ ბოროტს" (2 კორ. 5, 10). სამსჯავროს შემდეგ კი უფლის განგებით წავლენ ცოდვილნი "საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი – საუკუნო სიცოცხლეში" (მათ. 25, 46).

ყოველივე ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ საქართველოს ჭეშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისაკენ შემობრუნება. საჭიროა ეკონომიკის ფუნქციონირების ამქვეყნიურად აუცილებელი, მართლმადიდებლური ზნეობით დასაშვები ფორმების, მიმართულებების და მასშტაბების განსაზღვრა, ამ სფეროში ცოდვა-დანაშაულთა აღკვეთის გზების დადგენა და ამით ადამიანთა და ერის სულიერი გადარჩენის პერსპექტივების გააზრება.

დღის წესრიგში დგება სხვადასხვა ათეისტური, მამონას კერპზე და ფულზე ორიენტირებული ეკონომიკური თეორიების ღვთივსულიერი, ადამიანის სიყვარულზე ორიენტირებული ქრისტიანული ეკონომიკური თეორიით კანონზომიერი და აუცილებელი შეცვლის აქტუალური საკითხი.

დღის წესრიგში დგას წართმეულ-მივიწყებული ქრისტიანული აზროვნების აღდგენა-განვითარების, ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ჭეშმარიტ, ღვთიურ გზაზე დაყენების უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც თეოლოგებთან ერთად მეცნიერ-ეკონომისტებმა და ბიზნესმენებმაც უნდა გადაწყვიტონ.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის, რომელშიც ეკონომიკა აღარ იარსებებს. ამიტომ ქრისტეს მოძღვრება სამეურნეო საქმიანობას განიხილავს როგორც დროებით, **ესქატოლოგიურ პროცესს,** რომლის მიზანს ადამიანის ამქვეყნიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათი უნდა შეიქმნას ღვთივდადგენილი ზნეობრივი მოთხოვნების იმ ჩარჩოებში, რომელთა დარღვევა ადამიანის სულის წარწყმედას გამოიწვევს. ასეთ საფუძველს ეყრდნობა ბიბლიური, და კერძოდ, იესო ქრისტეს სწავლება, **რომლის უმთავრესი მიზანია ცათა სასუფეველის მიღწევა.**

ქრისტიანული მოძღვრება გვასწავლის, რომ მიწიერი ცხოვრება არის დაუცხრომელი შრომის, სულიერი სრულყოფის და ზნეობრივი გმირობის დრო, მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის ადამიანის თვითშემზადების პერიოდი.

აქედან გამომდინარე, ადამიანმა ამქვეყნად უნდა მოახდინოს სხეულის, სამშვინველის და სულის მოთხოვნილებათა ღმერთისათვის მოსაწონი ურთიერთშეხამება მოციქულისეული დევიზით: "სხეული – უფლისათვის, ხოლო უფალი – სხეულისათვის" (1 კორ. 6,13), ხოლო ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელების მიზნით **ადამიანმა, მისთვის ღვთივბოძებული თავისუფალი ნებისა და გონიერების მეშვეობით უნდა ამოირჩიოს აზროვნებისა და მოქმედების, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობის ისეთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს მის მოხვედრას ცათა სასუფეველში.**

ასეთი საზოგადოებრივი წარმოებისათვის უმთავრესია ღვთის სასუფევლის ძიება, ხოლო დანარჩენი მიეცემათ ადამიანებს (შდრ. ლუკ. 12,13). ამავე დროს, მორწმუნე და ღვთისათვის სათნო ადამიანი წუთისოფელში გადატანილი ყველა გაჭირვებისათვის "სამოცდაათჯერ და მეტად დაჯილდოვდება ამქვეყნიური ცხოვრების დროსაც".[1]

თეოლოგიურ საფუძველზე დამყარებული ქრისტიანული საზოგადოებრივი წარმოების პროცესში სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა და ტექნიკა-ტექნოლოგიის მეშვეობით უნდა შეიქმნას ისეთი ნივთიერი და არანივთიერი დოვლათი (ქრისტიანული ფასეულობა), რომელიც მოემსახურება სულის ნეტარების უზრუნველმყოფი ზნეობრივი კანონის განხორციელებას და არ გამოიწვევს ღმერთის გმობას, მამონას გაკერპებას და მომაკვდინებელ ცოდვათა წარმოშობა-გაბატონებას.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე წარმოების პრინციპები და მეთოდები ძირითადად ქრისტიანობის საფუძველზე და მის წიაღში არის ჩასახულ-განვითარებული და მხოლოდ უღვთო საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემების პირობებში მოხდა მათი ღვთივსულიერების უარყოფა. ქრისტიანული მეურნეობრიობა თავიდანვე ეფუძნებოდა საკუთრების ნებისმიერ ფორმას, მართვის სხვადასხვა მეთოდებს, გეგმურ თუ საბაზრო ურთიერთობებს, პრიორიტეტულობას და გათანაბრებას მოტივაციაში და სხვ. ამიტომ ქრისტიანული წარმოებისათვის საჭიროა არა რაიმე ახალი ეკონომიკურ-მმართველობითი პარადიგმების, პრინციპებისა და ფორმების აღმოჩენა-შემოღება, არამედ დიდი ხნის აპრობირებულის ღვთივსულიერ შინაარსობრივ საფუძველზე აღორძინება და საყოველთაო გამოყენება.

ამავე დროს, აუცილებლად უნდა ითქვას იმ დიამეტრული თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული განსხვავების შესახებ, რომელიც არსებობს თანამედროვე წარმოებასა და ქრისტიანულ მეურნეობრიობას შორის: თანამედროვე ათეისტური ეკონომიკა მხოლოდ მიწიერი ცხოვრების გააზრებით შემოიფარგლება და ამიტომაც შეზღუდულია და ცოდვიანი, ქრისტიანული წარმოება კი ზეციური, საუკუნო ნეტარი ცხოვრების პერსპექტივაზეა დამყარებული და ამიტომაც ყოვლისმომცველია და უფლისათვის სათნო.

ქრისტიანული ეკონომიკური საქმიანობის აღდგენა-დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი გზა იმ ღვთივდადგენილი ზნეობრივი ნორმების დაცვაა, რომელთა უარყოფა ყოველთვის წარმოშობდა და კვლავაც გამოიწვევს უმწვავეს სულიერ, სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებს.

***თეოლოგიური ეკონომიკა* ღვთისმეტყველურ-ეკონომიკური ხასიათის სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინაა. იგი იკვლევს სამეურნეო-მმართველობით პროცესებში ადამიანის და საზოგადოების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნისა და გამოყენების სინერგიულ გზებს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც ადამიანის და ერის საუკუნო ნეტარებას უზრუნველყოფს.**

თეოლოგიური ეკონომიკა არის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ღვთივდადგენილი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს ცალკეული ადამიანის, საზოგადოების, ერის, სახელმწიფოს და კაცობრიობის ღვთივსულიერ ჰარმონიულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას

ქრისტიანული ეკონომიკის უმთავრესი პრინციპია – ფასეულობათა (მათ შორის – ფულის, ქონების, სიმდიდრის) სიმართლით (ღვთივდადგენილი ზნეობით) მოპოვება და სიკეთეში გამოყენება.

თეოლოგიური ეკონომიკის ამოცანები მეცნიერული კვლევის სფეროში შემდეგია:

- ეკონომიკური თეორიის მართლმადიდებლური გააზრება;
- ადამიანის დანიშნულება და ცხოვრების მიზანი;
- საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო მიზანი;
- ეკონომიკური, მმართველობითი და სასოფლო-სამეურნეო თემატიკა წმინდა წერილში;
- მართლმადიდებელი წმინდანები და ღვთისმეტყველები ეკონომიკისა და მართვის შესახებ;

---

[1] მიტროპოლიტი ინოკენტი. გზა ცათა სასუფევლისა. თბილისი, 1994, გვ. 33.

- თეოლოგიური ეკონომიკა, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა;
- საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ;
- ეკლესიის ადგილი და როლი საზოგადოებაში;
- ორგანიზაციულ-სამართლებრივი დოკუმენტები საეკლესიო ეკონომიკისა და მართვის სფეროში;
- განათლებისა და მეცნიერების ორგანიზაცია საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის სფეროში;
- საქართველოს ეკლესიის სამეურნეო საქმიანობის აღორძინება-განმტკიცების ძირითადი მიმართულებები;
- ქრისტიანული პრინციპების ასახვის აუცილებლობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციაში;
- საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკისა და საერო ბიზნესის თეოლოგიურ-სინერგიული განვითარების საფუძვლები და სხვ.

ბიბლიის ზნეობრივი სწავლებისა და თეოლოგიური ეკონომიკის პრინციპების მიხედვით, ყოველმა ადამიანმა და ცალკეულმა ორგანიზაციამ შემდეგი მოვალეობები და საქმეები უნდა აღასრულოს შეძლებისამებრ:

1. პატივი მიაგოს ღმერთს და სახსარი შესწიროს ეკლესიის განვითარებას;
2. გაწიოს ქველმოქმდება, დაეხმაროს გაჭირვებულებს;
3. მოიხადოს მოვალეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე;
4. იზრუნოს ღმერთის ქმნილების – ბუნების დაცვა-შენარჩუნებისათვის;
5. დაიკმაყოფილოს პირადი და საოჯახო მოთხოვნილებები;
6. გამონახოს, შეინარჩუნოს და განავითაროს შემოსავლის წყარო;
7. იზრუნოს განსვენებულთა სულების საოხად.

ეს ღვთაებრივი სიბრძნე უნდა დაედოს საფუძვლად ყოველი ადამიანის, საზოგადოებისა და ერის საქმიანობას ცხოველქმედების ყველა სფეროში, მათ შორის, უპირველესად, სამეურნეო-მმართველობით პრაქტიკაში.

აღნიშნული მოვალეობები უფლისმიერად აკისრია ყველას – ცალკეულ ადამიანს, ოჯახს, სამთავრობო, სამეწარმეო თუ არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაციებს, პარლამენტს, სასამართლოს, მასმედიას, მთლიანად სახელმწიფოს, მის ლიდერებს, მეფეებს, პრეზიდენტებს, პრემიერ-მინისტრებს და თვით ეკლესიასაც.

სახელმწიფომ, მისმა ორგანიზაციებმა, მმართველებმა და მეწარმეებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი ღმერთის ნების, დაშვების და განჩინებების საფუძველზე არსებობენ და მისგანვე მოწოდებული არიან იზრუნონ ადამიანის, ერის, საზოგადოების, ქვეყნის და ეკლესიის კეთილდღეობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში დუხჭირი და სულიერად დაცლილი საზოგადოება არც და ვერც უზრუნველყოფს სახელმწიფოს არსებობას, ხოლო უფალი სხვა, ხალხისათვის მზრუნველ მმართველობას და მეწარმეებს მოუვლენს ქვეყანას.

ებრაელთა მეფე, ბიბლიური წინასწარმეტყველი, მეფსალმუნე დავითი, მაშინდელი სახელმწიფო მოხელეები, სამხედროები, მეწარმეები, მთელი ერი მადლიერებით და სიყვარულით სწირავდნენ ღმერთის წყალობით მიღებულ ქონებას იმავე ღმერთს და მის ეკლესიას. **წმ. დავითი ასე მიმართავს ქვეყნის შემოქმედს და გამგებელს:** "შენია, უფალო, დიდება, ძლიერება, ქება, ძლევა და დიდებულება, ისევე როგორც ყოველივე ცაზე და ქვეყანაზე. შენია უფალო, მეფობა, ყველაზე აღმატებული ხარ მთავრად. სიმდიდრე და დიდება შენგან მოდის, შენ განაგებ ყოველივეს, შენს ხელშია ძალა და ძლიერება, შენს ხელშია ყოველივეს განდიდება და განმტკიცება. ...ვინა ვარ მე, ან ვინ არის ჩემი ერი, ამდენის შემოწირვა

რომ შევიძელით? რადგან ყოველივე ეს შენგან არის, ეს ყოველივე შენი ხელით მოცემული შემოგწირეთ. ვინაიდან მდგმურნი და ხიზანნი ვართ შენს წინაშე, ჩვენი მამა-პაპის მსგავსად. ...ახლა კი გახარებულს ვხედავ აქ მყოფ შენს ერს, რომელიც შესაწირავს გიძღვნის. ...სამარადისოდ დაიცავი ეს, შენი ერის გულის ფიქრები და ზრახვანი და შენსკენ წარმართე მათი გულები“ (1 ნეშტ. 29, 11-18).

სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების უპირველესი მოვალეობა სწორედ ღმერთისადმი პატივის მიგება და სულიერების აღმშენებლობაა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ანგია წინასწარმეტყველის წიგნი, რომლის შინაარსი უაღრესად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის. მასში, სახელდობრ, გატარებულია აზრი, რომ თუ ერი განუდგა უფალს, სარწმუნოებრივად დაკნინდა და არ სურს შრომა და სახსარი შესწიროს ტაძრის (როგორც კონკრეტულის, ასევე ზოგადის – ეროვნულ-სულიერი ტაძრის) შენებას და მხოლოდ პირად კეთილდღეობა-გამდიდრებაზე ზრუნავს, იგი სასტიკად ისჯება. ხოლო, თუ აღადგენს დანგრეულ ტაძარს და დაუბრუნდება მამა-პაპათა სარწმუნოებას, მაშინ უფალი მასთან იქნება და ყველაფერში გაამარჯვებინებს.

ანგია წინასწარმეტყველის პირით ღმერთი საყვედურობს მდიდრებს, რომ ისინი კეთილმოწყობილ სახლებში ცხოვრობენ, ხოლო უფლის სახლი და საქმე კი მიგდებული აქვთ. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: „დაუკვირდით თქვენს საქციელს. ბევრს თესავთ, მაგრამ ცოტასა მკით; ჭამთ, მაგრამ ვერ ძღებით; სვამთ, მაგრამ ვერ იკლავთ წყურვილს; იცვამთ, მაგრამ ვერ თბებით; გახვრეტილი ქისისთვის იღებს მშრომელი შრომის საზღაურს. ...ბევრის მოლოდინი გაქვთ, მაგრამ მცირედი გისრულდებათ; რაც სახლში მიგაქვთ, იმასაც ვანიავებ, ...იმიტომ, რომ მიგდებულია ჩემი სახლი, თქვენ კი ყველანი თქვენ სახლებზე ზრუნავთ. ამიტომ არის, რომ დაგიკავათ ცამ ცვარი და მიწამ დაგიკავათ მოსავალი. გამოვიხმე გვალვა მიწაზე, მთებზე, პურზე, ღვინოზე, ზეთისხილზე და ყველაფერზე, რასაც მიწა აღმოაცენებს; ადამიანზე, პირუტყვზე და ყოველივე ნაჭირნახულევზე“ (ანგ. 1, 5-11).

ისმინა ხალხმა ღმერთის ხმა და დაიწყო ტაძრის მშენებლობა, ხოლო უფალი ამხნევებს მას: „გამაგრდი, მთელო ქვეყნის ერო! ამბობს უფალი, და იშრომეთ, რადგან თქვენთანა ვარ, ამბობს ცაბაოთ უფალი. ...ჩემი სული იმყოფებს თქვენს შორის. ნუ გეშინიათ. ...კიდევ ცოტაც და შევარყევ ცას და მიწას, ზღვასა და ხმელეთს. შევარყევ ყველა ხალხს, და ასრულდება ყოველი ხალხის საწადელი: დიდებით ავავსებ ამ სახლს, ამბობს ცაბაოთ უფალი. ჩემია ვერცხლი და ჩემია ოქრო, ამბობს ცაბაოთ უფალი. პირვანდელზე უფრო დიდი იქნება ამ უკანასკნელი სახლის დიდება, ამბობს ცაბაოთ უფალი. ამ ადგილზე მოვაფენ მშვიდობას, ამბობს ცაბაოთ უფალი“ (ანგ. 2, 4-9).

ამ მცირე მოცულობის წიგნის დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს, რომ მასში გადმოცემულია ფუნდამენტური თეოლოგიური მიდგომა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი, როგორიც არის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფცია, რაც ესოდენ აქტუალურია თანამედროვე საქართველოსათვის.

საქართველოში დღეს მიმდინარე სულიერი აღორძინების პროცესი, ხალხის (განსაკუთრებით – ახალგაზრდობის) მობრუნება სარწმუნოებისაკენ, ტაძარ-მონასტრების განსაცვიფრებელი მომრავლება, სასულიერო ლიტერატურის ნაკადის, მათ შორის, თეოლოგიურ-ეკონომიკური ხასიათის ნაშრომების საოცარი ზრდა, ჩვენი დროის სასწაული – წმიდა სამების გრანდიოზული ტაძრის აშენება, ყოველივე ნათლად გვიჩვენებს, რომ ვისმინეთ უფლისა და კვლავ დავადექით მის გზას, რაც ჩვენი გადარჩენის, გამარჯვების და ღვთივსულიერი ჰარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საწინდარს წარმოადგენს.

Giorgi Shikhashvili

The Essence, Goal and Objectives of Theological Economics

Resume

The supreme goal of each Christian's earthly life is realization of moral law in his/her own activities that shall ensure his /her spiritual beatitude.

In accordance with the Orthodox faith final goal of economic activity is the production of material and immaterial wealth to satisfy requirements of humankind based on the moral foundation designated by the Lord, that through constant spiritual perfection shall ensure a human's entering the heavens.

Such material and immaterial wealth should be created in the process of Christian public production based on theological foundations through social-economic relations and technology that shall serve spiritual beatitude ensuring moral laws realization.

Theological economics is economic-managerial activity God-designated theoretical-methodological basis the practical realization of which shall ensure every human's, society, nation, state and humanity God-spiritual harmonic social-economic development.

გიორგი შიხაშვილი
ირაკლი სვანიძე

სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა ახალ აღთქმაში

ახალი აღთქმის სიბრძნე გვასწავლის:

- „თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“ (2 თეს. 3, 10)
- „ღირსია მაშვრალი თავისი საზღაურისა“ (ლუკ. 10, 7)
- „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან“ (მათ. 5, 7)
- „უმჯობესია გასცე, ვიდრე მიიღო“ (საქმე. 20, 34-35)

საქართველოს ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია ფუნდამენტური კონცეფციის გარეშე, რომლის შემუშავებისათვის აუცილებელია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა გათვალისწინება და მათი ოპტიმალური შეთანაწყობა ეკონომიკური საქმიანობის პროცესში.

ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობათა შორის ზეაღმატებული ადგილი ბიბლიას, თეოლოგიურ ზნეობას და მასზე დაფუძნებულ სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობას უკავია.

ბიბლიაში ასახულია მთელი სამყაროს და მისი ყოველი შემადგენელი ნაწილის, მათ შორის ეკონომიკისა და მართვის საწყისი, ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზოგადესი საფუძვლების გააზრებისათვის აუცილებელია ბიბლიაში, კერძოდ, ახალ აღთქმაში ასახული სამეურნეო თემატიკის სათანადო შესწავლა.

საზოგადოებაში გავრცელებულია დილეტანტური აზრი, თითქოს ქრისტიანული სარწმუნოება განიკითხავს ადამიანთა ამქვეყნიურ მოთხოვნილებებს, მიწიერ სიხარულს, შრომას, ეკონომიკურ საქმიანობას, სიმდიდრეს. ასეთი შეხედულების უსაფუძვლობას გვიდასტურებს ახალი აღთქმა, რომლის სწავლების მიხედვით ყოველივე ამქვეყნიური დასაშვებია, თუკი იგი სიმართლეს, სიკეთეს, ზნეობასა და სიყვარულს ეფუძნება და ემსახურება.

ყოველივე ადამიანურისადმი პატივისცემას გამოხატავს იესო ქრისტეს მიერ მოხდენილი პირველი სასწაული გალილეის ქალაქ კანაში, სადაც მაცხოვარი, მარიამ ღვთისმშობელი და მოწაფეები ქორწილში იყვნენ მიწვეულნი. ხელმოკლე მასპინძლებს ღვინო შემოაკლდათ. იესომ დედამისის თხოვნით თვრამეტ საწყაულამდე წყალი გარდაქმნა საუკეთესო ღვინოდ. იგი მიართვეს სუფრის თამადას, რითაც მას ლხინის გაგრძელების საშუალება მიეცა; “ასე დაუდო დასაბამი იესომ სასწაულებს გალილეის კანაში, და გამოავლინა დიდება თვისი. და იწამეს იგი მისმა მოწაფეებმა“ (იოან. 2, 11). ეს მოვლენა გამოხატავს მაცხოვრის კეთილმოსურნე დამოკიდებულებას ადამიანთა ამქვეყნიური მოთხოვნილებებისადმი, რომელთა დაკმაყოფილების აუცილებლობა წარმოების, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის და ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს.

შრომა უფლის მიერ დადგენილია ადამიანის მოვალეობად და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებად. ადამის და ევას კურთხევისას ღმერთმა უთხრა მათ: “ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს“ (დაბ. 1, 28). ჯერ კიდევ ევას შექმნამდე “აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2, 15). პირველი ცოდვისათვის დასჯილ ადამს უფალი ეუბნება: „ ...მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ...პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი“ (დაბ. 3, 17, 19).

აქედან ჩანს, რომ უკვე პირველ ადამიანებს ამქვეყნიური საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად ღმერთმა შრომა, სამეურნეო საქმიანობა დაუწესა. ამასთანავე, განსაკუთრებულად არის აღნიშნული ადამიანის მხრიდან დედამიწის და ცოცხალი სამყაროს მართვა-გამგეობის, პატრონობის, დამუშავების და დაცვის აუცილებლობა.

უაღრესად მრავალფეროვანია ახალი აღთქმის სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა. ეკონომიკური საქმიანობის საფუძვლები ასახულია მიმდინარე ამბებსა და მოვლენებში, იესო ქრისტეს სასწაულებში, ქადაგებებში, საუბრებში და იგავებში, აგრეთვე ქრისტეს მოციქულთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

სამეურნეო საქმიანობის უფლისმიერი კურთხევა არის ასახული სასწაულებრივ თევზჭერაში, რომელიც მაცხოვარმა მოახდინა გენესარეთის (გალილეის) ტბაში. მთელი ღამის უნაყოფო შრომით დამაშვრალმა სიმონ პეტრემ და მისმა ამხანაგებმა "...დაიჭირეს იმდენი თევზი, რომ ბადე ეხეოდათ" (ლუკ. 5, 6). ეს მოვლენა გამოხატავს შრომის პროცესის ქრისტესმიერ წახალისებას.

ტიბერიადეს ზღვის გადაღმა იესომ სასწაულებრივად დააპურა ხუთი ათასი მშიერი ადამიანი. ეს შემთხვევა განსაკუთრებით იმით არის აღსანიშნავი, რომ დაპურების შემდეგ იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: "აკრიფეთ ნარჩენები, რომ არაფერი დაიკარგოს" (იოან. 6, 12). მოწაფეებმა აკრიფეს და გაავსეს თორმეტი კალათი ქერის პურის ნატეხებით, რაც ჭამის შემდეგ დარჩა. **მაცხოვრის მოწოდებასა და მოწაფეთა ქმედებაში ასახულია თეორიული დებულება და პრაქტიკული გზა შრომის პროდუქტების დაფასება-გაფრთხილების, უნარჩენო წარმოება-მოხმარებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობისათვის.** ეს კი, თანამედროვე გაგებით, მდგრადი განვითარების ფუნდამენტურ პარადიგმას წარმოადგენს. დღემდე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში პრაქტიკლად უგულებელყოფილია ეს ღვთაებრივი სწავლება, რის გამოც უაღრესად არის გამწვავებული გლობალური ეკონომიკურ-ეკოლოგიური კრიზისი, რომლის დაძლევა მხოლოდ ბიბლიური სამეურნეო-ეკოლოგიური მოძღვრების გააზრება-გამოყენების მეშვეობით არის შესაძლებელი.

სამეურნეო საქმიანობაში, კერძოდ, მშენებლობაში ეკონომიკურ-ეკოლოგიური კომპეტენტურობის აუცილებლობაზე მიგვითითებს იესო ქრისტეს იგავი გონიერი და უგონო მშენებლების შესახებ (მათ. 7, 24-27; ლუკ. 6, 47-49). აქ მაცხოვარი გვასწავლის: "ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ გონიერ კაცს, რომელმაც კლდეზე დააშენა თავისი სახლი. და მოვიდა წვიმა, მოვარდნენ მდინარენი, დაქროლეს ქარებმა და ეკვეთნენ ამ სახლს, მაგრამ ვერ დასცეს, ვინაიდან კლდეზე იყო დაფუძნებული. და ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს, მაგრამ არ ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ უგუნურ კაცს, რომელმაც ქვიშაზე ააშენა თავისი სახლი. და მოვიდა წვიმა, მოვარდნენ მდინარენი, დაქროლეს ქარებმა და ეკვეთნენ ამ სახლს და დასცეს; და დიდი იყო დაცემა მისი" (მათ. 7, 24-27).

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამ სიბრძნის უგულებელყოფის გამო დღეს ჩვენშიც და მთელ მსოფლიოშიც მრავალი ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემა არის გამწვავებული.

ნებისმიერი საქმის წარმატება უშუალოდ არის დამოკიდებული გულმოდგინე გააზრების, დაგეგმვის, სათანადო შესაძლებლობების გამოვლენისა და შესაბამისი სახსრებით უზრუნველყოფის სიავკარგეზე. აქ მოვიხმოთ სახარებისეული სიბრძნე, რომლითაც გვმოძღვრავს და გვაფრთხილებს უფალი იესო ქრისტე: ,, ...თუ რომელიმე თქვენგანი კოშკის აგებას მოისურვებს, განა თავდაპირველად არ დაჯდება და არ გამოთვლის ხარჯს, რაც დასჭირდება მის დასრულებას? რათა, საძირკველს თუ ჩაყრის, მაგრამ ვერ შესძლებს დაასრულოს, მნახველებმა დაცინვა არ დაუწყონ მას, და არა თქვან: აი, კაცი, რომელმაც დაიწყო შენება და დასრულება კი ვერ შესძლოო" (ლუკ. 14, 28-30).

დღეს, ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში, ჩვენ სწორედ ასეთ საჩოთირო მდგომარეობაში აღმოვნდით, რაც მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზით არის გამოწვეული. ამ მიზეზთა შორის უპირველესად აღსანიშნავია ეკონომიკური რეფორმის არაყოველმხრივი მეცნიერული და თეორიულ- მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა, რაც ფუნდამენტური კონცეფციის არქონასა და იდეა-მოდელების უცხოთაგან კალკირებითაა გამოხატული.

უნდა აღინიშნოს, რომ იგავები იესო ქრისტეს ქადაგების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს. იგავებით განსჯა გვხვდება ძველ აღთქმაშიც, მაგრამ საოცარ სილამაზეს, სიბრძნეს და სრულყოფილებას მან მაცხოვრის მეტყველებაში მიაღწია. სწავლების ასეთი ფორმა იმისათვის იყო საჭირო, რომ ადამიანებს ადვილად გაეგოთ ახალი აღთქმის სიბრძნე. თავისი იგავების ცხოვრებისეული და სამეურნეო-მმართველობითი მაგალითების მეშვეობით იესო ქრისტე გვიჩვენებს სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის ღვთივსულიერ საფუძვლებს და ცათა სასუფეველში ადამიანის დამკვიდრების გზებს.

იგავში ხორბლისა და ღვარძლის შესახებ მაცხოვარი გვასწავლის: "ცათა სასუფეველი მსგავსია კაცისა, რომელმაც დათესა კეთილი თესლი თავის ყანაში. ხოლო როდესაც ეძინა ხალხს, მოვიდა მისი მტერი, ღვარძლი ჩათესა ყანაში და წავიდა. და როდესაც აღმოცენდა ჯეჯილი და თავთავი დაისხა, მაშინ გამოჩნდა ღვარძლიც. მივიდნენ მონები ყანის პატრონთან და უთხრეს: ბატონო, შენ ხომ კეთილი თესლი დათესე ყანაში; საიდანა აქვს ღვარძლი? ხოლო მან უთხრა მათ: მტერმა ქნა ეს. მონებმა კი უთხრეს: თუ გნებავს, მივალთ და გავმარგლავთ ყანას. ხოლო მან თქვა: არა, რათა მარგვლისას ღვარძლს ჯეჯილიც არ მიაყოლოთ. აცადეთ, ერთად იზარდონ მკამდე; ხოლო მკისას ვუბრძანებ მომკალთ: თავდაპირველად შეკრიბეთ ღვარძლი, ძნებად შეკარით და ცეცხლი წაუკიდეთ, ხორბალი კი შეინახეთ ჩემს ბეღელში" (მათ. 13, 24-30). **ამ იგავში გადმოცემულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სრული პროცესი; აღწერილია ხორბლის დათესვა, გარე ფაქტორების მავნე ზეგავლენა ყანის მდგომარეობაზე, ჯეჯილის მოვლა-გაფრთხილება, მოსავლის აღება-დაბინავება, ხელმძღვანელის და ხელქვეითების ურთიერთობა**.

ვაჭრობა-მოგების უფლისმიერ წახალისებას ასახავს იგავი ტალანტებზე (მათ. 25, 14-30). მასში გადმოცემულია შემდეგი სამეურნეო სიტუაცია. ერთმა კაცმა შორს გამგზავრებისას თავისი ქონება მსახურებს ჩააბარა, „ ... მისცა ერთს ხუთი ტალანტი,[1] მეორეს – ორი, მესამეს – ერთი, თვითეულს მისი შეძლებისამებრ, და გაემგზავრა. ხოლო ხუთი ტალანტის მიმღები წავიდა, საქმეში დააბანდა ისინი, და ხუთი სხვა ტალანტიც მოიგო. ასევე ორი ტალანტის მიმღებმა მოიგო ორი სხვაც. ხოლო ერთი ტალანტის მიმღები წავიდა, მიწაში დაფლა ის, და დამალა თავისი პატრონის ვერცხლი" (მათ. 25, 15-18). დიდი ხნის შემდეგ ქონების პატრონი დაბრუნდა და ანგარიში მოსთხოვა მსახურებს. მან შეაქო საქმიანი მსახურები და სხვა, უფრო დიდ საქმეში აღუთქვა ნდობა. შემდეგ იგი კიცხავს უკეთურ და მცონარა მსახურს და ეუბნება მას: ...გმართებდა ვაჭრებისათვის მიგეცა ჩემი ვერცხლი, რათა დაბრუნებულს მიმეღო ჩემი სესხი მონაგებითურთ" (მათ. 25, 27). პატრონმა დაითხოვა ეს მსახური და მისთვის მიცემული ვერცხლი გადასცა ათი ტალანტის მქონე, საქმიან მსახურს. **ამ იგავში ბიზნესის წახალისებასთან ერთად კარგად არის გამოკვეთილი მართვის ისეთი ფუნქციები, როგორიც არის მოტივაცია და კონტროლი**.

სამეურნეო საქმიანობიდან ნამეტის მიღება უფლისმიერი კურთხევით თვით ბუნებრივ პროცესებში არის ჩადებული. მაგალითად, მთესავზე იგავში ნათქვამია, რომ „ ...გამოვიდა მთესავი თესვად. ხოლო თესვისას ზოგი მარცვალი გზის პირას დავარდა, და მოფრინდნენ ფრინველები და აკენკეს ისინი. ზოგიც ქვიან ადგილას დავარდა, სადაც ბლომად არ იყო მიწა, და მალე აღმოცენდა, ვინაიდან ნიადაგი არ იყო ღრმა. მაგრამ ამოვიდა თუ არა მზე, დაჭკნა, და რადგან ფესვი არ ჰქონდა, გახმა. ზოგი კიდევ ეკალბარდებში ჩაცვივდა, და ამოვიდა ეკალი და ერთიანად მოაშთო ყველა. ხოლო ზოგი პოხიერ ნიადაგზე დაეცა და ნაყოფიც გამოიღო: ზოგმა ასი, ზოგმა სამოცი და ზოგმაც ოცდაათი" (მათ. 13, 3-8).

იგავში დათესვასა და აღმოცენებაზე მაცხოვარი გვეუბნება: „ ...ღმრთის სასუფეველი იმასა ჰგავს, კაცი რომ თესლს ჩათესავს მიწაში, და სძინავს, და დგება დღისით თუ ღამით, და არკი იცის, როგორ აღმოცენდება და იზრდება თესლი. რადგანაც მიწას თავისთავად გამოაქვს ნაყოფი: ჯერ ღერო, შემდეგ თავთავი, ბოლოს, სავსე მარცვალი თავთავში. და როცა დამწიფდება თავთავი, მაშინვე გაგზავნის ნამგალს, ვინაიდან დამდგარა მკა" (მარკ. 4, 26-29).

აღსანიშნავია, აგრეთვე იგავი მდოგვის მარცვალზე, რომელშიც ნათქვამია: „ ...ცათა სასუფეველი მსგავსია მდოგვის მარცვლისა, რომელიც აიღო კაცმა და დათესა თავის ყანაში; ეს მარცვალი ყოველნაირ თესლზე მცირეა, მაგრამ როცა ამოვა, ყველა მწვანილზე დიდი ხდება და ხედ იქცევა, ისე რომ მოფრინავენ ცის ფრინველები და მის ტოტებზე იბუდებენ" (მათ. 13, 31-32).

ეკონომიკური საქმიანობის პროცესში ზოგიერთ ადამიანს დიდძალი ქონება უგროვდება. ბიბლიაში უხვად არის მაგალითები მდიდარი და ამასთან, მართალი, კეთილი და ღმერთისათვის სათნო ადამიანებისა. ასეთები არიან: აბრაამი, ისააკი, იაკობი, იოსები, დავითი, სოლომონი, იოსაფატი, იობი, იოსებ არიმა-

---

[1] ერთი ტალანტი (ქანქარი) უდრის 49,116 კგ ოქროს. ძველად საქონლის ფასს ძვირფასი ლითონების წონით განსაზღვრავდნენ. აღებ-მიცემობაში იყენებდნენ ოქრო-ვერცხლის ნივთებს, ზოდებს, სხმულებს, რომელთა წონაც ქისაში გამოკრული სპეციალური საწონი ქვების წონას შეესაბამებოდა (რჯლ. 25, 13).

თიელი, ზაქე და სხვ. **მაცხოვარი გვეუბნება:** "ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულნი იქნებიან" (მათ. 5, 7).

სიმდიდრის კეთილად გამოყენებით ადამიანს შეუძლია ცათა სასუფეველს მიაღწიოს, უკეთური მდიდარი კი ჯოჯოხეთში ხვდება. მაგალითად, იგავში მდიდარი კაცისა და ლაზარეს შესახებ (ლუკ. 16, 19-31) მოთხრობილია თუ როგორ დაიმონა ადამიანი მოხვეჭილმა ქონებამ და ფულმა. ამ მდიდარს არ ებრალებოდა მის ჭიშკართან მწოლიარე გლახაკი და ავადმყოფი ლაზარე. სიკვდილის შემდეგ ლაზარე ხვდება სამოთხეში, ხოლო მდიდარი – ჯოჯოხეთში. **ამ იგავის მიხედვით მდიდარი ისჯება არა სიმდიდრის, არამედ გაუმაძღრობის, უკეთურობისა და გლახაკთა შეუბრალებლობის გამო.**

მმართველობითი, კერძოდ კი – მოტივაციის თვალსაზრისით საინტერესოა იგავი ერთგულ სახლმმართველზე (ლუკ. 12, 36-48). ამ იგავში მაცხოვარი გვასწავლის, რომ უნდა ვიყოთ იმ კაცთა მსგავსნი, რომელნიც მოელიან თავიანთ ბატონს, როდის დაბრუნდება სახლში, რათა დარეკვისთანავე გავუღოთ კარი. ასეთი მსახურები სიფხიზლისათვის ფრიად დაფასდებიან პატრონის მიერ, იგი "სარტყელს მოირტყამს, დასხამს, მივა და ემსახურება მათ", ამასთან ერთგულ და გონიერ მნეს „მთელს თავის სარჩო-საბადებელს მეთვალყურედ მიუჩენს", ხოლო ზარმაცი მსახურები მკაცრად დაისჯებიან.

ერთხელ გზად მიმავალი იესო სოფელში შევიდა და მართამ, თავის სახლში შეიპატიჟა იგი (ლუკ. 10, 38-42). მართას და მარიამი იესოს ფერხთით ჩამოჯდა და ისმენდა მის სიტყვას. "მართა კი დაფუსფუსებდა, ვინაიდან ბევრი საზრუნავი ჰქონდა სამასპინძლოდ; მივიდა და უთხრა მას: უფალო, ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჩემმა დამ მარტო მე მომანდო მასპინძლობა? უთხარი, ხელი შემაშველოს. მიუგო იესომ და უთხრა მას: მართა, მართა, ბევრ რამეზე ზრუნავ და შფოთავ; მაგრამ საჭიროა მხოლოდ ერთი რამ. მარიამმა კი უკეთესი წილი ირჩია, რომელიც არ წაერთმევა მას" (ლუკ. 10, 40-42).

ერთხელ ქალაქ იერიხონში მებაჟეთა უფროს ზაქეს იესო სტუმრად ეწვია (ლუკ. 19, 1-10). მონანულმა ზაქემ უთხრა უფალს: "აჰა, უფალო, ჩემი ქონების ნახევარს მივცემ გლახაკთ, და თუ ვინმეს ცილი ვწამე, ოთხმაგად ვუზღავ. უთხრა მას იესომ: დღეს მოევლინა ხსნა ამ სახლს, ვინაიდან ესეც ძეა აბრაამისა. რადგან ძე კაცისა მოვიდა დაკარგულთა საძებნად და დასახსნელად" (ლუკ. 19, 8-10).

ზემოაღწერილ ორივე შემთხვევაში სახარებისეული სიბრძნე გვასწავლის, რომ ზეციური და მიწიერი საზრუნავები მეორადია და ადამიანმა უნდა ეძიოს ზეციური სასუფეველი და ყოველივე დანარჩენი მას უფლისგან მიეცემა (ლუკ. 12, 31).

ახალი აღთქმის მიხედვით შრომა აუცილებელია როგორც ჩვენი საკუთარი, ასევე სხვა ადამიანების საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. პავლე მოციქული გვასწავლის: "გულმოდგინედ ეცადეთ, რომ იცხოვროთ მშვიდად, აკეთოთ თქვენი საქმე, და იშრომოთ თქვენი ხელით, როგორც გამცნო თქვენ, რათა ღირსეულად იქცეოდეთ გარეშეთა მიმართ, და არაფერი გაკლდეთ" (1 თეს. 4, 11-12). ადამიანი ვალდებულია მიატოვოს უკეთური საქმე, "იშრომოს და კეთილი საქმე აკეთოს თავისი ხელით, რათა შეეძლოს გაიკითხოს გაჭირვებული" (ეფეს. 4, 28). **პავლე მოციქული თავად იძლეოდა ასეთ მაგალითს და ეუბნებოდა მოწაფეებს:** „თქვენ თვითონ იცით, რომ აი, ეს ხელები შველოდნენ ჩემს გასაჭირს და მათსასაც ვინც იყვნენ ჩემთან. ყოველნაირად გიჩვენეთ თქვენ, რომ ამნაირი შრომით უნდა შეეწიოთ სნეულთ, და გახსოვდეთ უფლის იესოს სიტყვები, რადგანაც თავად თქვა: უმჯობესია გასცე, ვიდრე მიიღო" (საქმე 20, 34-35).

გაჭირვებულ ადამიანთაგან, ალბათ, ყველაზე მეტად ავადმყოფები იტანჯებიან და ამიტომაც დიდ დახმარებას საჭიროებენ. ახალ აღთქმაში სნეულთა მკურნალობას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი.

იესო ქრისტე დიდი სიყვარულით და სრულიად უანგაროდ კურნავდა ავადმყოფებს. მოციქულებმაც ქრისტესგან მიიღეს სნეულთა მკურნალობის უნარი: „და მოუხმო თავის თორმეტ მოწაფეს, და მისცა მათ ხელმწიფება უწმინდურ სულთა განდევნისა და ყოველგვარი სენისა თუ ყოველგვარი უძლურების განკურნებისა" (მათ. 10, 1). წარგზავნა მოწაფეები იესო ქრისტემ ღმრთის სასუფევლის საქადაგებლად და სნეულთა განსაკურნავად და უთხრა მათ: "მიაკითხეთ და უქადაგეთ, რომ მოახლოვდა ცათა სასუფე-

ველი. განკურნეთ სნეულნი, განწმინდეთ კეთროვანნი, აღადგინეთ მკვდარნი, განდევნეთ ეშმაკნი; უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოდვე გაეცით" (მათ. 10, 7-8).

ცალკეული ადამიანის და საზოგადოების ჯანმრთელობა არ უნდა იყოს კომერციის მიზანი და საგანი. კომერციის მორევში ნებით თუ უნებურად ჩაფლული, ფულს გამოდევნებული, ანგარებით დაავადებული მკურნალი ვერც საკუთარ თავს განიკურნავს უზნეობის სენისაგან ["მკურნალო, განიკურნე შენი თავი" (ლუკ. 4, 23)] და ვერც სხვას უშველის რამეს.

ამავე დროს, ექიმის შრომა, მისი უდიდესი ჰუმანური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებლად მაღალანაზღაურებადი უნდა იყოს. იესო ქრისტე აქაც გვასწავლის, რომ ღირსია მუშაკი თავისი საგზლისა და საზღაურისა (მათ. 10, 10; ლუკ. 10, 7). მკურნალს სათანადო გარანტირებულ ხელფასს უნდა აძლევდეს სახელმწიფო, ან რომელიმე ორგანიზაცია, ხოლო პაციენტი, წინასწარი იძულების გარეშე, ნებაყოფლობითი გასამრჯელოთი, შეძლებისამებრ მადლობდეს ექიმს. მისაღებია, აგრეთვე ალტერნატიული, კერძო კომერციული სამედიცინო საქმიანობაც, განსაკუთრებით მაშინ თუ ქვეყანაში იმოქმედებს მაღალორგანიზებული, უსასყიდლო, სადაზღვევო და ზნეობრივ პრინციპებზე დამყარებული ჯანდაცვის სისტემა. ასეთი სისტემა უნდა ეყრდნობოდეს სახელმწიფოებრივი, საეკლესიო-სამონასტრო, კერძო სადაზღვევო და მესამე სექტორის (არასამეწარმეო, არაკომერციული) სამკურნალო ორგანიზაციების ჰარმონიულ არსებობა-განვითარებას.

თავდადებული, უანგარო შრომის და მკურნალობის უამრავ მაგალითს თვით იესო ქრისტე გვაძლევს ახალ აღთქმაში. ამასვე აკეთებდნენ მისი მოციქულები და მოწაფეები. მაგალითად, პავლე მოციქული კარვების კეთებით იყო დაკავებული (საქმე 18, 3). მისივე თქმით – „თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს" (2 თეს. 3, 10). ამასთანავე, ვინაიდან შრომა, მისი ღვთაებრივი დანიშნულებისამებრ, ცათა სასუფევლის მოპოვებაში უნდა გვეხმარებოდეს, მაცხოვარი გვასწავლის: "ხრწნადი საზრდოსათვის ნუკი ზრუნავთ, არამედ იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ, და რომელსაც მოგცემთ ძე კაცისა; ვინაიდან მამა ღმერთმა აღბეჭდა იგი" (იოან. 6, 27).

მეურნეობრიობის შედეგად მიღებული დოვლათის განაწილება-გადანაწილებისა და, კერძოდ, საგადასახადო-საფინანსო საქმისათვის ფუძემდებლურს და სავალდებულოს უნდა წარმოადგენდეს იესო ქრისტეს სწავლება: "მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა" (მათ. 22, 21). მასში ასახულია სამეურნეო საქმიანობის უმთავრესი ფუნქცია და ზნეობრივი ნორმაც. კეისრის (ხელისუფლების) მსახურება ხელს არ უნდა უშლიდეს ღმერთის ჭეშმარიტ მსახურებას და ზნეობრიობის აღსრულებას.

ახალი აღთქმიდან ნათლად სჩანს, რომ სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა თვით ღმერთის მიერ არის დადგენილ-წახალისებული და გვევლინება როგორც ქრისტიანული სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. აქედან გამომდინარე, სავსებით მართებულად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თეოლოგიური გააზრების შესაძლებლობასა და აუცილებლობაზე. მით უფრო, რომ უცხოეთში უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბდა ისეთი სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინები როგორიცაა: თეოლოგიური ეკონომიკა, თეოლოგიური სამეურნეო ეთიკა, ქრისტიანული ეკონომიკა, ქრისტიანული ბიზნესი და სხვ.

გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების წარმატებისა და საქართველოს შემდგომი წინსვლისათვის აუცილებელია ბიბლიური და რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გავიაზროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები.

დღის წესრიგში დგას ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან ჰარმონიულად შეხამებული თეოლოგიური ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო საქმიანობის განვითარება. სწორედ ასეთ საძირკველს ეფუძნებოდა საუკუნეების მანძილზე ჩვენი საზოგადოებრივი და სამეურნეო ყოფა, რამაც ისტორიულ ქარტეხილებში ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად, თავის დროზე, მსოფლიოში მოწინავე და თვითმყოფადი ეკონომიკური კულტურის ერადაც წარმოგვაჩინა.

ამის შესახებ წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) წერდა: "უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია

ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალ-წინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელ მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმე, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა",[1] "...წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ...ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი. ...აღდგენა ისტორიისა – ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან",[2] "ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს – სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, – გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა სჩივის და ჰღაღადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღწვოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი".[3]

ჩვენი ღრმა რწმენით, სწორედ ასეთ გააზრებას უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფცია, რომლის ბაზაზეც წარიმართება მიზანდასახული და მაღალზნეობრივი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა ქვეყნის ჭეშმარიტი პროგრესისათვის.

Giorgi Shikhashvili
Irakli Svanidze

Economic and Management Issues in the New Testament

Resume

Social – economic development of Georgia must be deeply connected to such fundamental conception which takes into consideration the national and global values and will be optimal and compatible with economic process.

Among the global and national values, the superiority is given to Bible, theological moral and social economic activity based on these principles.

In order to fully comprehend general principles of social-economic development, it is important to search economic themes in the Bible, namely, in New Testament.

We can understand from the Bible that the Most High God Himself created and facilitaded economic activities and represents as an integral part of the Christian studies.

In our opinion, the national conception of social-economic development of the country should be modeled on such principles that will pave the way to put Georgia among the progressive countries.

[1] ჭავჭავაძე ი. ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ. თხზ., ტ.4, თბ., 1955, გვ. 176.
[2] ჭავჭავაძე ი. ერი და ისტორია. თხზ., ტ. 4, თბ., 1955, გვ. 200, 204.
[3] ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა 1895 წლისა. თხზ., ტ. 5, თბ., 1955, გვ. 342.

მალხაზ ჩიქობავა

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ფუნდამენტური მიზეზები და მისი დაძლევის ალტერნატიული გზები

ანტიკური საბერძნეთიდან მოყოლებული დღემდე მრავალი ფილოსოფოსი და მოაზროვნე დაინტერესებულა ისეთი უმნიშვნელოვანესი და იდუმალებით მოსილი ფენომენით, როგორიცაა ფული. რა არის ფული? როგორია მისი როლი სახელმწიფოში? გავრცელებული შეხედულებით ფული "საყოველთაო ექვივალენტია", რაც, ვფიქრობთ, წინააღმდეგობრივია. ფული რადგანაც განკუთვნილია გაცვლისათვის, ის, რასაკვირველია საქონელია. მაგრამ მას, რაც გაცვლისთვისაა განკუთვნილი, სხვადასხვა ღირებულება გააჩნია გამყიდველისა და მყიდველისათვის. მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ფული არის საქონელი, რომელსაც აქვს "საცვლელი" და არა "სახმარი" ღირებულება.

ფულის მსგავს გაგებაზე მაცხოვარი ბრძანებს:

"მიჩვენეთ ფული, რომლითაც იხდით ხარკს. და მიართვეს მას დინარი. და უთხრა მათ: ვისია ეს ხატი და ეს წარწერა? მიუგეს მას: კეისრისა. მაშინ უთხრა მათ: მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთის" (მათე. 22:19-21).

ცხადია, რომ აქ მაცხოვარი ფულს უწოდებს სახელმწიფოს - "კეისრის" საკუთრებას. ამ შემთხვევაში ფულს გააჩნია სახმარი ღირებულება, მაგრამ მხოლოდ სახელმწიფოსათვის, ვინაიდან ის მისია. ხოლო მოქალაქეთათვის ფულს მხოლოდ საცვლელი ღირებულება შეიძლება ჰქონდეს. როდესაც სახელმწიფო ფულს აძლევს მოქალაქეს, მას გადასცემს არა "საკუთრებაში", არამედ "მართვა-გამგებლობაში".

მაშასადამე, "იდეალური ფული" არის საქონელი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას და მოქალაქისათვის მას გააჩნია მხოლოდ საცვლელი ღირებულება. მაგრამ რეალურ ცხოვრებაში კერძო პირისათვის ფული იძენს სახმარ ღირებულებასაც. მისი ფლობა ადამიანს ანიჭებს ძალაუფლებას თავის სასარგებლოდ განკარგოს და საკუთრებადაც კი აქციოს სხვისი ქონება.

ფულადი სისტემის სფეროში პრობლემები უკანასკნელ წლებში მთელ მსოფლიოში უდიდესი სისწრაფით გროვდება. ჩვენს დროში ყველამ იცის, რომ ე.წ. მესამე მსოფლიოს ქვეყნები ვერასოდეს შეძლებენ ვალების დაფარვას, განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის უღარიბესი ფენების მდგომარეობა მუდმივად უარესდება, ხოლო მარტო შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა მდგომარეობას მხოლოდ აუარესებს. რაში გამოიხატება ფულის ღირებულების რყევის მიზეზები, რომელსაც უკავშირდება დამანგრეველი ეკონომიკური კრიზისები? მსოფლიო ეკონომიკის ისტორია და განსაკუთრებით მისი ბოლო ათწლეულის განვითარების ტენდენცია მეტყველებს იმაზე, რომ რაც დრო გადის, სულ უფრო მძაფრდება არა მარტო მესამე მსოფლიოს, არამედ ზესახელმწიფოების კოლოსალური ვალის, უმუშევრობისა და გარემოს ტოტალური დაბინძურების პრობლემები, რაც პირდაპირ კავშირშია თანამედროვე მონეტარული სისტემის მექანიზმთან, რომელიც უზრუნველყოფს ფულის მიმოქცევას.

მიუხედავად იმისა, რომ ფული ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ძალზე მცირე მათგანმა თუ იცის მონეტარული სისტემის ფუნქციონირებისა და ჩვენს ცხოვრებაზე ფულის პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენის შესახებ. ფული ძალზე აიოლებს საზოგადოებაში საქონელგაცვლას, რომელიც ეფუძნება შრომის დანაწილებას და მას კაცობრიობის ყველაზე გენიალურ გამოგონებად აქცევს. ფული შესაძლებელს ხდის სპეციალიზაციას და ემსახურება ჩვენი ცივილიზაციის საფუძველს. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ფული არა მარტო ემსახურება საქონელგაცვლას, არამედ მას ამუხრუჭებს, თუ ის უგროვდება მათ, რომელთაც საჭიროზე მეტი ფული აქვთ და მიმოქცევაში არ ხვდება. ამგვარად, იქმნება თავისებური კერძო "საბაჟო პუნქტი", სადაც მათ, რომელთაც საჭიროზე ნაკლები ფული აქვთ, უწევთ გადაუხადონ ერთგვარი "ბაჟი" იმათ, რომელთაც საჭიროზე მეტი ფული გააჩნიათ.

ამასთან, თანამედროვე მონეტარული სისტემა განუყოფელია ინფლაციის მოვლენისაგან. ხალხის უმრავლესობა ინფლაციას ბუნებრივ მოვლენად თვლის. მათი აზრით მსოფლიოში არ არსებულა, არ არსებობს და მომავალშიც არ იარსებებს ქვეყანა ინფლაციის გარეშე. თუ დავაკვირდებით გლობალური

ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკას, ვნახავთ, რომ ეროვნული ვალი და პროცენტები კრედიტებზე უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე რეალური შემოსავლები, რაც ადრე თუ გვიან მიგვიყვანს კოლაფსთან თვით მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. პრობლემა ისაა, რომ მხოლოდ მცირედმა გამოიცნეს ფულადი სისტემის ავადმყოფობის ნიშნები და უფრო ნაკლებმა თუ იცის განკურნების რეცეპტი. აკი დღემდე ვერავინ შეძლო შეექმნა ჯანსაღი მდგრადი ფულადი სისტემა.

ცნობილია, რომ ინფლაცია მოქმედებს როგორც გადასახადებით დაბეგვრის ერთგვარი ფორმა, რომლის გამოყენებით მთავრობას მხოლოდ დროებით ძალუძს წინააღმდეგობა გაუწიოს ზრდადი დავალიანების ურთულეს პრობლემას. ინფლაციის აუცილებელი დონე მით უფრო მეტი ხდება, რაც მეტია ეროვნული შემოსავლის ჩამორჩენა ვალის საერთო მოცულობის მიმართ. მთავრობები იძულებულნი ხდებიან კოლოსალური სახელმწიფო ვალი დროდადრო ვალის მონეტიზაციით შეამცირონ, მაგრამ ამით ყველაზე დიდი ზიანი ადგება მათ, რომლებმაც ვერ შეძლეს თავიანთი ფულის დაბანდება "ინფლაციამდგრად" აქტივებში.

ეკონომიკის ისტორიის სპეციალისტი ჯონ კინგი პარალელს ავლებს ინფლაციასა და პროცენტების გადახდას შორის აშშ-ის საკრედიტო საპნის ბუშტის მაგალითზე. მისი აზრით, პროცენტები, როგორც ფასების ზრდის უმთავრესი მიზეზი, ფარული ფორმით არსებობს ყველა საქონლის ფასში. „ამ აზრმა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მართალია, ჯერაც ვერ მოიპოვა ნამდვილი აღიარება... მე ყოველთვის განვიხილავდი პროცენტებს და რთულ პროცენტებს, როგორც ნგრევის უხილავ მანქანას, რომელიც სწორედ ახლა მოქმედებს განსაკუთრებით გულმოდგინედ. ჩვენ უნდა ვეცადოთ განვთავისუფლდეთ ამ უაზრო ფინანსური შეშლილობისგან".[1]

თანამედროვე პირობებში ემისიის ყველა ეროვნული ცენტრი კვლავაც უძველესი სქემით მოქმედებს. თუ რომელიმე ცენტრალური საემისიო ბანკი გასცემს კრედიტს, ვთქვათ, 100 დოლარის ოდენობით, ის შემდგომ იბრუნებს სესხის მიმღებისგან, ანუ ეკონომიკისგან თავის ფულს, თანაც, პროცენტებთან ერთად! ელემენტარული არითმეტიკიდან გამომდინარეობს ლოგიკური კითხვა: "საიდან უნდა გაჩნდეს ეკონომიკაში საკმარისი თანხა კრედიტებისა და პროცენტების დასაბრუნებლად, თუ ყველა საემისიო ცენტრი ეკონომიკაში ახდენს მხოლოდ კრედიტების ტოლი თანხის ემისიას? პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერი ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება ასეთი მოდელით შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური საემისიო ბანკების მიერ სულ უფრო მზარდი საკრედიტო "საპნის ბუშტების" წინმსწრები "გაბერვით". თუ ასეთი საკრედიტო-საემისიო პროცესის მათემატიკურ მოდელს ავაგებთ ხცელ-ის ცხრილის დახმარებით, თვალნათლივ ვნახავთ, რომ ვალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მიმოქცევაში ფულადი მასის ნაზრდი. კრედიტებზე ვალის დაბრუნება პროცენტებთან ერთად ურთიერთობათა ამ სისტემის დროს ფიზიკურად შეუძლებელია მიმოქცევაში არსებული ფულის უკმარისობის გამო როგორც ცალკეული ქვეყნის, ისე მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბით."[2]

კრიზისი, რომელიც დაიწყო აშშ-ში და გავრცელდა მსოფლიოში, სწორედ ზემოთაღნიშნული ბუნების მატარებელია. მსოფლიოში დაგროვებულია გონებისთვის მიუწვდომელი დავალიანება, რომლის სიდიდე სპეციალისტთა შეფასებით ბევრად აღემატება მთელი პლანეტის წარმოების მთლიან მოცულობას. „2008 წლისათვის აშშ-ში მიმოქცევაში არსებულ ყოველ დოლარზე მოდიოდა დაახლოებით ორი დოლარის ოდენობის კრედიტი. დოლარებში გაცემული ახალი კრედიტების ემისია, მაშინ როცა ადრე ემიტირებული დოლარების დაბრუნება ყოვნდება, იწვევს მათი არაუზრუნველყოფილი მასის მოცულობის ზრდას აშშ-სა და მსოფლიოში. იმისათვის, რომ პლანეტის მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებდეს დანაზოგების დოლარებში შენახვას, თანამედროვე გლობალური პოლიტიკა მიმართულია დოლარის მიმართ ეროვნული ვალუტების დევალვაციისა და ინფლაციისაკენ".[3]

---

[1] John L. King, On The Brink of Great Depression II, Future Economic Trends, Goleta, Ca., 1987, p. 36.

[2] ჩიქობავა მ. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური სისტემის მდგრადობა გლობალური კრიზისის ფონზე. „გლობალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები", მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 23 მარტი 2012 წ. საკონფერენციო მასალების კრებული, გვ. 233.

[3] იქვე, გვ. 233.

უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში აშშ-ში კერძო და საზოგადოებრივი დავალიანება წარმოუდგენელი მასშტაბებით გაიზარდა, მისმა სიდიდემ 16 ტრლნ დოლარს გადააჭარბა, რაც აშშ-ის მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობაზე მეტია. თანაც, ის სულ უფრო მზარდი ტემპებით იზრდება. მთავრობა სარგებლობს ყველა საშუალებით, რათა მუდმივად შოლტი გადაუჭიროს ამ ზრდას: გარანტიები სესხის მიღებაზე, დოტაციები იპოთეკურ სესხებზე, უძრავი ქონებისა და სამომხმარებლო საქონლის შეძენისას დაბალი პირველადი შენატანები, კრედიტების შეთავაზების პირობების შემსუბუქება, შეღავათიანი დაბეგვრა, დაბალი სადაზღვევო პრემიები და ა.შ. სწრაფი ეკონომიკური ზრდის შედეგად, რომელიც ფულის ექსპონენციალური ზრდითაა განპირობებული, სოციალური შედეგები გარკვეული დროით შეუმჩნეველი რჩება. მანკიერი წრე, რომელიც სულ უფრო სწრაფად იკვრება, ასეთია: მეტი ინფლაცია, მეტი სოციალური უსამართლობა და გარემოზე დამანგრეველი ზემოქმედება.

პროცენტები ინფლაციის ერთადერთი ფაქტორი როდია. ნედლი რესურსების ამოწურვა, უზომო ხარჯები შეიარაღებაზე და ომებზე, ინფლაციურ ტენდენციებს აძლიერებს. თუმცა, ჩვეულებრივ, საემისიო ბანკების მიერ გონივრული პოლიტიკის გატარება ფულადი სისტემის სფეროში, პროცენტებზე, როგორც ფულადი მიმოქცევის უზრუნველყოფის საშუალებაზე უარის თქმა მუდმივი ინფლაციის უმთავრესი ფაქტორის აღმოფხვრის ერთადერთი გზაა.

XIX საუკუნის ბოლოს სილვიო ჰეზელმა, წარმატებულმა კომერსანტმა, რომელიც მუშაობდა გერმანიასა და არგენტინაში, შენიშნა, რომ მისი საქონელი ზოგჯერ იყიდებოდა სწრაფად და კარგ ფასად, ხოლო ზოგჯერ იყიდებოდა ნელა ფასების შემცირების ტენდენციით. მან დაიწყო ამ გარემოების მიზეზების ძებნა და გაიგო, რომ აღმავლობა და რეცესია ნაკლებად იყო დაკავშირებული მის საქონელზე არსებულ მოთხოვნასა და ხარისხზე და ძირითადად, განპირობებული იყო ფულად ბაზარზე არსებული ფულის ფასით.

ჰეზელმა გადაწყვიტა თვალყური ედევნებინა ამგვარ რყევებზე და მალე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხალხი ყიდულობდა მაშინ, როცა საპროცენტო განაკვეთი იყო დაბალი და არ ყიდულობდნენ მაშინ, როცა ის იყო მაღალი. მიზეზი იმისა, რომ ფული იყო ხან მეტი, ხან ნაკლები, მდგომარეობდა ფულის მფლობელთა სურვილში გაეცათ ის პროცენტებით. თუ ისინი შეძლებდნენ 2.5%-ზე ნაკლების მიღებას, გაბატონდებოდა ფულის თავისთან დატოვების ტენდენცია, რაც იწვევდა კაპიტალდაბანდების შემცირებას და ეს უკანსკნელი კი - ფირმების ბანკროტობას და სამუშაო ადგილების შემცირებას. გარკვეული პერიოდის შემდეგ თუ ხალხი კვლავ გამოხატავდა მზადყოფნას გადაეხადათ მეტი პროცენტები მისაღებ ფულზე, ის კვლავ სიამოვნებით გაიცემოდა. ამგვარად, იწყებოდა ახალი ეკონომიკური ციკლი, რომლის - საწყის ეტაპზე საპროცენტო განაკვეთი და საქონელზე ფასები მაღალი იყო. შემდგომ, თანდათანობით, საქონლის რაოდენობისა და ფულადი მასის სწრაფი ზრდის შედეგად საპროცენტო განაკვეთი ისევ მცირდებოდა და საბოლოოდ, კვლავაც თავს იჩენდა კაპიტალის „გაფიცვის“ პროცესი.

სილვიო ჰეზელმა ეს ფენომენი ახსნა იმით, რომ ნებისმიერი საქონლისგან განსხვავებით ფული შეიძლება შეინახო პრაქტიკულად ყოველგვარი დანახარჯის გარეშე. თუ ერთ ადამიანს გააჩნია კალათა ვაშლი, ხოლო მეორეს - ფული, ვაშლის მფლობელმა დროის მცირე მონაკვეთში დანაკარგის თავიდან ასაცილებლად უნდა გაყიდოს ის, ხოლო ფულის მფლობელს შეუძლია დაელოდოს ხელსაყრელ დროს. მისი ფული არ საჭიროებს „სასაწყობო ხარჯებს“, პირიქით, იძლევა „ლიკვიდურობის სარფიანობას“, ე.ი. მოცემულ პირს ფული ჯიბეში აქვს თუ საბანკო ანგარიშზე, შეუძლია დაელოდოს ფასების იმ დონემდე შემცირებას, როდესაც სარფიანი იქნება საქონლის ყიდვა.

სილვიო ჰეზელი ასკვნის: „თუ ჩვენ შევძლებთ ისეთი ფულადი სისტემის შექმნას, სადაც ფული, როგორც სხვა საქონელი და მომსახურება ითხოვს თავისებურ „სასაწყობო ხარჯებს“, ეკონომიკა განთავისუფლდება ფულით სპეკულაციით გამოწვეული აღმავლობებისა და ვარდნისაგან“.[1] მან შემოგვთავაზა ამ ფულადი სისტემის ფარგლებში ისეთი პირობების შექმნა, სადაც ფული „იჟანგება“, ე.ი. იბეგრება სარგებლობისათვის გადასახდელით.

---

[1] Гезель С., "Естественный экономический порядок", www.biz-spros.ru/gesell.html, გვ. 153.

1890 წელს სილვიო ჰეზელმა ჩამოაყალიბა იდეა „ბუნებრივი ეკონომიკური წესრიგის“ შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ფულის მიმოქცევას, სადაც ფული იქცევა სახელმწიფო მომსახურებად და რომლისთვისაც ხალხი გადარიცხავს სარგებლობისათვის გადასახდელს. ნაცვლად იმისა, რომ გადახდილ იქნეს პროცენტები მათ სასარგებლოდ, რომელთაც საჭიროზე მეტი ფული აქვთ, ხალხმა უნდა გადაიხადოს მცირეოდენი თანხა ცირკულაციიდან ფულის ამოღებისათვის, რათა ფული დაბრუნდეს მიმოქცევაში. გადასახდელი წარიმართება არა ცალკეული პირების, არამედ ყველას სასარგებლოდ. იმისათვის, რომ ეს აზრი უფრო გასაგები გახდეს, ფული შეიძლება შევადაროთ სარკინიგზო ვაგონებს, რომლებიც ფულის მსგავსად აიოლებენ საქონელგაცვლას. თავისთავად ცხადია, რომ სარკინიგზო კომპანია არ უხდის პრემიას (პროცენტებს) იმას, ვინც სარგებლობს ვაგონებით ტვირთის დასაცლელად, არამედ მსარგებელი იხდის მცირეოდენ „საფასურს ვაგონების მოცდენისათვის“, თუ არ უზრუნველყო ვაგონების დროულად დაცლა. ეს პრინციპში ყველაფერია, რაც უნდა გაკეთდეს ფულთან მიმართებაში, რათა გამოვრიცხოთ პროცენტების ნეგატიური ზემოქმედება. ყოველი მსარგებელი გადარიცხავს მცირეოდენ „გადასახდელს გაჩერების ადგილას დაყენებისათვის“, თუ ფულს მოაცდენს უფრო მეტად, ვიდრე აუცილებელია გაცვლის მიზნისათვის.

თუ დღეს პროცენტები წარმოადგენს კერძო მოგების ნაწილს, ფულით სარგებლობაზე გადასახდელი გახდება საზოგადოების მოგების გამომხატველი. გადასახდელი კვლავ უნდა ჩავუშვათ ფულად მიმოქცევაში, რათა შენარჩუნდეს წონასწორობა ფულადი მიმოქცევის მოცულობასა და ეკონომიკურ აქტივობის მოცულობას შორის. ის გახდება საზოგადოებრივი შემოსავლის წყარო, რომლის დანიშნულება იქნება საემისიო ბანკისა და ფულის გაცვლის ხარჯების დაფარვა. ნამეტი წარიმართება სახელმწიფო ხაზინაში, როგორც დღეს ხდება და შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება ვალების მიზნობრივი დაფარვისათვის. ასეთი ცვლილება, რაოდენ მარტივად არ უნდა მოგვეჩვენოს, საშუალებას მოგვცემს გადავწყვიტოთ მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, რომლებიც წარსულშიც და ახლაც პროცენტებითა და რთული პროცენტებითაა გამოწვეული.

სილვიო ჰეზელმა პროცენტებისაგან თავისუფალ ფულს უწოდა „თავისუფალი ფული“. დიტერ ზურმა შემოიღო „ნეიტრალური ფულის“[1] აღნიშვნა, ვინაიდან ის ემსახურება ყველას და არავის აძლევს შედარებით უპირატესობას, როგორც ეს თანამედროვე ფულად სისტემაში ხდება.

XX საუკუნის 30-იან წლებში ჰეზელის თეორიის მიმდევრებმა განახორციელეს უპროცენტო ფულით რამდენიმე ექსპერიმენტი, რამაც დაადასტურა ამ აზრის სისწორე. ავსტრიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში, შვეიცარიასა და აშშ-ში მიმართეს ცდებს დაენერგათ თავისუფალი ფული უმუშევრობის აღმოსაფხვრელად. ყველაზე წარმატებული გამოდგა ექსპერიმენტი ავსტრიის ქალაქ ვიორგლში.

ვიორგლში, სადაც 3000 კაცი ცხოვრობდა, ფულადი რეფორმის იდეამ ხალხთა გონება დაიპყრო 1932-1933 წლებში. ქალაქის ბურგომისტრმა დაარწმუნა კომერსანტები და მმართველობითი პერსონალი იმაში, რომ არავინ არაფერს დაჰკარგავდა, არამედ პირიქით, ბევრსაც შეიძენდა ფულის ექსპერიმენტის ხარჯზე, როგორც ეს წარმოდგენილია სილვიო ჰეზელის წიგნში „ბუნებრივი ეკონომიკური წესრიგი“. მოქალაქეებმა თანხმობა განაცხადეს, მაგისტრატმა გამოუშვა 5000 „თავისუფალი შილინგები“ (ე.ი. უპროცენტო შილინგები), რომელიც ბანკში ამავე თანხის ჩვეულებრივი ავსტრიული შილინგებით იქნა დაფარული. ქალაქში აშენდა ხიდი, გაუმჯობესდა გზების მდგომარეობა, გაიზარდა კაპიტალდაბანდებები საზოგადოებრივ სფეროებში. ამ ფულით ანაზღაურდა ხელფასები და მასალები, ვაჭრები და მეწარმეები მას საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ ღებულობდნენ.

აღნიშნული ფულით სარგებლობისათვის გადასახდელი შეადგენდა თვეში 1%-ს, ე.ი. 12% წელიწადში. ის უნდა შეეტანა მას, ვისაც აღმოაჩნდებოდა ბანკნოტა თვის ბოლოს. გადახდა წარმოებდა მარკის ფორმით, რომლის ნომინალი ბანკნოტის 1% იყო და ეკვრებოდა ბანკნოტას მეორე მხარეზე. ამგვარი მარკის გარეშე ბანკნოტა ჩაითვლებოდა ძალადაკარგულად. ასეთმა მცირედმა გადასახდელმა გამოიწვია ის, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელმაც მიიღო თავისუფალი შილინგი ანაზღაურების სახით, ცდილობ-

[1] Margrit Kennedy: Interest and Inflation Free Money. Published by Seva International, გვ. 12.

და რაც შეიძლება სწრაფად დაეხარჯა ის, ვიდრე გადავიდოდა თავისი ჩვეულებრივი ფულით გადახდაზე. ვიორგლის მცხოვრებნი თვით თავიანთ გადასახადსაც იხდიდნენ ადრე, რათა თავი დაეღწიათ ფულით სარგებლობაზე გადასახდელისაგან. 1 წლის განმავლობაში 5000 თავისუფალი შილინგი მიმოქცევაში იყო 463-ჯერ, წარმოებული იქნა საქონელი და მომსახურება 2300000 შილინგის ოდენობით (5000 × 463). ჩვეულებრივი შილინგი ამ დროისათვის სულ 213-ჯერ იყო მიმოქცევაში.[1]

სწორედ ამ დროს, როდესაც ევროპის მრავალი ქვეყანა უშედეგოდ ებრძოდა ზრდად უმუშევრობას, ვიორგლში წელიწადში უმუშევრობის დონე 25%-ით შემცირდა. მაგისტრატის მიერ მიღებულმა ანაზღაურებამ 5000 შილინგის 12%, ე.ი. 600 თავისუფალი შილინგი შეადგინა, რაც არა რომელიმე კონკრეტული პირის, არამედ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ანუ თემის სასარგებლოდ დაიხარჯა.

როდესაც ავსტრიის 300 თემზე მეტი დაინტერესდა ამ მოდელით, ავსტრიის ეროვნულმა ბანკმა ამაში დაინახა საკუთარი მონოპოლიისადმი საფრთხე. ის ჩაერია მაგისტრატის საქმეში და აკრძალა თავისუფალი ადგილობრივი ფულის დაბეჭდვა. მიუხედავად იმისა, რომ კამათი მიმდინარეობდა ძალიან დიდხანს და განიხილებოდა ავსტრიის უმაღლეს სასამართლო ინსტანციაშიც, ვერც ვიორგლმა და ევროპის ვერცერთმა თემმა ვერ შეძლო გაემეორებინა აღნიშნული ექსპერიმენტი.

დიტერ ზურის წიგნში "Capitalism at its best" („კაპიტალიზმი თავისი საუკეთესო გამოვლინებებით“) მოყვანილია კორსენის მოგონებები ჰეზელის კონცეფციის განხორციელების ცდებზე "Stampscrip Movement"-ის („მოძრაობა მარკა-ფულისაკენ“) ფარგლებში აშშ-ში 1933 წელს. ამ დროს 100-ზე მეტმა თემმა აშშ-ში, მათ შორის რამდენიმე მსხვილმა ქალაქმა, დაიწყო ფულის შემოღება, რომელსაც უნდა ემოქმედა ვიორგლის „თავისუფალი ფულის“ ანალოგიურად. შრომის, შინაგან საქმეთა და ეკონომიკის სამინისტროები ვაშინგტონში დაკავებული იყო ამ საკითხით და თუმცა არცერთი მათგანი ამის წინააღმდეგი არ ყოფილა, მათ ვერ შეძლეს აუცილებელი ნებართვის გაცემა. საბოლოოდ, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა დინ აჩესონმა მთავრობის მრჩეველს ეკონომიკის საკითხებში, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორს რასელ სპრაგას სთხოვა გამოეთქვა აზრი მოცემული საკითხისადმი. პროფესორმა სპრაგამ განაცხადა, რომ მას პრინციპში არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით ფული-მარკების გამოშვების მიმართ. მაგრამ მან განაცხადა, რომ წინადადება ძლიერ სცილდებოდა დასაშვებ ფარგლებს: ეს იქნებოდა ღონისძიება მიმართული ამერიკის ფულადი სისტემის სრულად შეცვლისაკენ და მას არ ჰქონდა უფლებამოსილება თანხმობა განეცხადებინა ასეთი გლობალური ცვლილებების განხორციელებაზე. მაშასადამე, „ფული-მარკების“ დანერგვამ, რომელსაც სავსებით შესაძლებელია გამოეწვია ფულის რეფორმა, მარცხი განიცადა.[2]

პრეზიდენტმა რუზველტმა 1933 წლის 4 მარტს გასცა განკარგულება ბანკების მუშაობის დროებით შეწყვეტისა და დამხმარე ვალუტის შემდგომი გამოშვების აკრძალვის შესახებ. ბოლოს კორსენი ასკვნის: „მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ფულის სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში ტექნიკური სირთულე ძალზე უმნიშვნელოა თვით პრობლემის გაგების არარსებობასთან შედარებით. მანამდე, ვიდრე არ გადაილახება ილუზია ფულის როლზე, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება საჭირო პოლიტიკური ნების თავმოყრა სტაბილურობის უზრუნველსაყოფად“.[3]

იოშიტო ოტანის წინადადებით პრობლემის ტექნიკური მხარე, ე.ი. „ცირკულაციიდან ამოღებისათვის საფასურის გადახდა“, შეიძლება უფრო მარტივად გადაწყდეს: 90% იმისა, რასაც ჩვენ დღეს „ფულს“ ვუწოდებთ, სინამდვილეში წარმოადგენს ციფრებს კომპიუტერებში. ამიტომ, თანამედროვე პირობებში საყოველთაოდ მიღებული ანგარიშსწორების სისტემის ფარგლებში ნეიტრალური ფულის შემოღების შემდეგ *სარგებლობისათვის გადასახდელი* შეიძლება ამოღებულ იქნეს საკმაოდ მარტივად. ანგარიშებზე ფულადი ანაბრები, რომლებიც მფლობელების განკარგულებაშია ნებისმიერ დროს, შეიძლება დაიბეგ-

---

[1] Margrit Kennedy: Interest and Inflation Free Money. Published by Seva International, გვ. 13.

[2] Dieter Suhr, Capitalism at its Best, unpublished manuscript), 1988, გვ. 98.

[3] Margrit Kennedy: Interest and Inflation Free Money. Published by Seva International, გვ. 15.

როს ყოველთვიურად, მაგალითად, 0.5%-ის ოდენობით, ე.ი. 6%-ით წელიწადში.[1] ყოველი ადამიანი, რომელსაც ექნება საკუთარ ანგარიშზე მეტი ნეიტრალური ფული, ვიდრე მას ჭირდება მიმდინარე თვეს გარკვეული ხარჯების გასაწევად, დანაკარგის თავიდან აცილების მიზნით გადაიყვანს შემნახველ სალაროში საკუთარ ანგარიშზე, სადაც ის არ იბეგრება.

მართალია, ნეიტრალური ფული ვერ მოუტანს მის მფლობელს პროცენტებს, მაგრამ ის შეინარჩუნებს თავის სტაბილურ ღირებულებას. როგორც კი ფულზე პროცენტები გაქრება, ინფლაციის უპირველესი მიზეზი აღარ იარსებებს. ვინც მიიღებს კრედიტებს, პროცენტებს არ გადაიხდის, მხოლოდ პრემიას რისკისათვის და კრედიტის ადმინისტრაციისათვის, რომელიც ახლაც ჩართულია ნებისმიერ საბანკო კრედიტში. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივი კრედიტის 1.5-2.5%-ს შეადგენს. ამგვარად, პრაქტიკულად ამ თვალსაზრისით ბევრი არაფერი შეიცვლება.

ბანკები გააგრძელებდნენ ფუნქციონირებას ისევე, როგორც ადრე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ისინი უფრო მეტად დაინტერესდებიან კრედიტების გაცემით, რამდენადაც ისინიც დაექვემდებარებიან ცირკულაციიდან ამოღებული ფულისთვის საფასურის გადახდის მექანიზმის მოქმედებას.

კრედიტებსა და დანაზოგებს შორის წონასწორობის უზრუნველსაყოფად ბანკში, შესაძლებელია, წარმოიშვას კორექტირებადი პროცენტის შემოღების აუცილებლობა 1%-ის ოდენობით. ამრიგად, თუ ბანკში შემნახველ ანგარიშებზე არსებობს უფრო მეტი ფული, ვიდრე მას ჭირდება, მაშინ მან უნდა გადაუხადოს სახელმწიფოს 1%. თუ ბანკს შეექმნება სირთულე გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით, მაშინ ის მიიღებს შესაბამის თანხას. ამ შემთხვევაში, ფულით სარგებლობისათვის საფასური იქნებდა რეგულირების დროებითი მექანიზმი დღევანდელი პროცენტებისაგან განსხვავებით, რომელიც სიმდიდრის გადანაწილების შენიღბული მექანიზმია.

ამ რეფორმის საფუძვლად უნდა იქცეს საკმაოდ ზუსტი შეხამება ცირკულირებადი ფულის რაოდენობისა იმ თანხასთან, რომელიც აუცილებელია ყველა კომერციული გარიგების განსახორციელებლად. როდესაც წარმოებული ფულის რაოდენობა გაუტოლდება ყველა ტრანსაქციის ღირებულებას, მაშინ მეტი ფულის ემისია საჭირო არ იქნება. ეს ნიშნავს, რომ ახალი ფული უკვე შესაბამისობაში მოვა „ბუნებრივი“ ზრდის მოდელთან და არა ექსპონენციალურთან. ახალი ფულის ნაღდი კუპიურების დაგროვება შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული უფრო ელეგანტური საშუალებით, ვიდრე მარკების დაწებებით ბანკნოტის მეორე მხარეს. შეიძლება მაგალითად, დაიბეჭდოს ბანკნოტები სხვადასხვა ფერითა და ზომით; სერიიდან ერთი წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეიძლება ამოღებულ იქნეს მიმოქცევიდან. სახელმწიფოსათვის ეს ხარჯები არ გადააჭარბებს გაცვეთილი ძველი ბანკნოტების ახლით შეცვლასთან დაკავშირებულ ხარჯებს. როგორც ავსტრიისა და ამერიკის გამოცდილება გვიჩვენებს, რეფორმის პოლიტიკური ასპექტი გადამწყვეტია ტექნიკურთან შედარებით. ზემოთაღწერილი ფულადი რეფორმა, რომელიც გატარდება ფართო მასშტაბით, თანდაყოლილი უნდა იყოს მიწისა და საგადასახადო რეფორმით. მიწის რეფორმის გარეშე ზედმეტი ფული მიიპყრობს მიწის სპეკულიანტების ყურადღებას. საგადასახადო რეფორმა აუცილებელია სერიოზული ეკოლოგიური პრობლემების განასკონტროლებლად, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკურ ბუმს პროცენტებისაგან თავისუფალი ფულის შემოღების შემთხვევაში.

ისტორიული გამოცდილება მეტყველებს იმაზე, რომ სხვადასხვა დროის რელიგიური ლიდერები, როგორიცაა მაგალითად მოსე, არისტოტელე, მუჰამედი, ლუთერი, ცვინგლი და განდი, ცდილობდნენ აღმოეფხვრათ სოციალური უსამართლობა, რომელიც გამოწვეული იყო პროცენტების მუდმივი გადახდევინებით და ამასთან დაკავშირებით იძლეოდნენ რჩევებს, რითაც აკრძალეს პროცენტების მიღება. მათ ესმოდათ პრობლემის არსი.

მაგალითად, მოსეს წიგნში წერია: „თუ ფულს სესხად აძლევ შენს ძმას, ღარიბს, არასოდეს მოეპყრა მას, როგორც მევახშე. შენ არ გაქვს უფლება ის დაბეგრო პროცენტებით“. არისტოტელე თავის „პოლიტიკაში“ წერს: „მევახშეს ვერ იტანენ სრულიად სამართლიანად, რადგან მისთვის თვით ფული

[1] Margrit Kennedy: Interest and Inflation Free Money. Published by Seva International, გვ. 15.

გამხდარა შემოსავლის წყაროდ და არ გამოიყენება იმისათვის, რისთვისაც ის იქნა გამოგონებული. ფული წარმოიშვა საქონელგაცვლისათვის, ხოლო პროცენტები ფულისგან ქმნის მეტ ფულს, საიდანაც მომდინარეობს მისი სახელწოდებაც... პროცენტები - ეს არის ფული ფულისგან, ამიტომ ის ყველა სახის საქმიანობის ბუნების საწინააღმდეგოა".

მარტინ ლუთერმა (1483-1546) მრავალჯერ საშინლად ამხილა მევახშეები: „და ამიტომ მევახშე და კრიჟანგი - სინამდვილეში ადამიანი არ არის; ის სცოდავს არაადამიანურად. მას ყველაზე საშინელ ტირანზე, მკვლელზე და მძარცველზე უარესად უნდა მოვეპყრათ, თითქმის ისეთივე ბილწია, როგორ თვით ეშმაკი. გვევლინება არა როგორც მტერი, არამედ როგორც მეგობარი და თანამოქალაქე თემის მფარველობისა და დაცვის ქვეშ მყოფი, მაგრამ საზიზღარია ნებისმიერ მტერზე და მკვლელ-წამქეზებელზე. ამიტომ თუ ქუჩის მძარცველებს, მკვლელებსა და დამნაშავეებს ბორბალზე აწამებენ და თავს კვეთენ, მაშინ რაოდენ საჭიროა დაბორბვლა, წამება ყველა მევახშისა, დევნა, წყევლა და თავის მოკვეთა ყველა კრიჟანგისა..."[1]

რეფორმატორი ულრიხ ცვინგლი (1484-1531) კიდევ უფრო შორს წავიდა სეკულარიზაციის გზით. ერთი მხრივ მან გამოაცხადა პროცენტები უღმერთოდ და ანტიქრისტიანულად, მეორე მხრივ აღიარა სახელმწიფოს უფლება საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრაში.

საინტერესოა, რა ხდებოდა ამ მხრივ საქართველოში. ვახტანგ VI-ის სამართალი ადგენდა: „მხოლოდ თავის სულის მოძულეს შეუძლია გაასესხოს ფული 30%-ად, ოდნავ ვისაც უყვარს სული თავისი - 24%-ად, ვისაც კიდევ უფრო უყვარს - 18%, ხოლო ვისაც ნამდვილად უყვარს სული - 12%-ად უნდა ასესხოს, მაგრამ ყველაზე უმჯობესია სულის ცხონებისათვის, სავსებით რომ არ აიღებოდეს სარგებელი. ვახტანგ VI, აკანონებს რა ვალზე სარგებლის ნორმას, წერს: თუ მოვალე ისე გაღარიბდა, რომ ვალის გადახდა არ ძალუძს, მაშინ მას არამც თუ სარგებელი, არამედ თავნიც არ მოეთხოვება. თუ საკმაო შეძლება აქვს, გადახდება მხოლოდ თავნი. თუ მოვალე ტყვეობაშია, მისი ცოლი და მცირეწლოვანი შვილები ვალდებულნი არიან მხოლოდ შეძლებისამებრ გადაიხადონ ვალი. ხოლო თუ ისინი უსახსროა, მაშინ კრედიტორი იძულებული ხდება დაუცადოს მოვალეს, რომელმაც ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ უნდა დაფაროს ვალი. თუ მოვალე მოკვდა, მაშინ მევალეს არ აქვს უფლება ვალი მოითხოვოს მის მცირეწლოვან შვილთა მომწიფებამდე.[2]

თუ სიტყვასიტყვით ვთარგმნით ბერძნული ორიგინალის ტექსტს, მაშინ ლუკას სახარებაში ვკითხულობთ: „ხოლო თქვენ გიყვარდეთ თქვენი მტრები, კეთილი უყავით და სესხი მიეცით მათ, ისე, რომ არაფერს მოელოდეთ სანაცვლოდ...". ნიკეის კრებამ, რომელიც ქრისტეს დაბადებიდან 325 წელს შედგა, ყველა სასულიერო პირს აუკრძალა პროცენტის გადახდევინება. დამნაშავის დასჯა შეადგენდა ღირსების დაუყოვნებლივ აყრას. 1139 წელს მეორე ლათერანულმა კრებამ დაადგინა: „ვინც იღებს პროცენტებს, უნდა განიკვეთოს ეკლესიიდან და მისი უკან დაბრუნება შესაძლებელია უმკაცრესი მონანიების შემდეგ და უდიდესი სიფრთხილით. პროცენტების გადამხდევინებლები, რომლებიც სიკვდილის წინ თუ არ დაადგებიან ჭეშმარიტების გზას, არ უნდა დაიკრძალონ ქრისტიანული წესით".

აკრძალვებმა, რომელიც დაედო პროცენტებს რომის პაპების მიერ ევროპული შუასაუკუნეების დროს, რომლის თანახმადაც პროცენტების ამღები ქრისტიანები იკვეთებოდნენ ეკლესიიდან, პრობლემათა მთელი სიმძიმე დააკისრა ებრაელებს, რომელთაც უფლება ეძლეოდათ აეღოთ პროცენტები სხვა აღმსარებლობის ხალხისგან. ეს უკანასკნელნი იმ დროიდან მოყოლებული სულ უფრო გადაიქცნენ მსოფლიოს წამყვან ბანკირებად. თვით ძველი აღთქმიდან ებრაულმა თემმა იცოდა იმის შესახებ, რომ პროცენტები გრძელვადიანი პერიოდისათვის არღვევენ ნებისმიერ სოციალურ ორგანიზმს. ამიტომ ძველ დროს აღიარებული იყო „წმინდა წელი", ყველა პროცენტისა და ვალის პატიება 7 წელიწადში ერთხელ: „ყოველი მეშვიდე წლის თავზე გამოაცხადე პატიება. აი, პატიების რაობა: აპატიოს ყოველმა მევალემ, ვისაც რამე უსესხებია თავისი მოყვასისათვის, და ნურაფერს მოთხოვს თავის მოყვასს ან მოძმეს, რადგან პატიება

---

[1] Margrit Kennedy: Interest and Inflation Free Money. Published by Seva International, p. 16.

[2] კაკულია რ., ხელაია გ. ფულის მიმოქცევა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბილისი 2000 წ., გვ. 165.

იქნება გამოცხადებული უფლის სახელზე. უცხოელს მოსთხოვე, მაგრამ აპატიე შენს მოძმეს, თუ შენი ვალი ექნა“ (რჯლ. 15:1-3).

ამგვარად, არსებობდა იმ ზიანის შეზღუდვის შესაძლებლობა, რომელიც გამოწვეული იყო პროცენტებით, თუმცა ხანგრძლივი გადაწყვეტა მაინც ვერ იქნა მოძებნილი.

ბიბლიის თანახმად, დაახლოებით 2000 წლის წინათ მაცხოვარმა ზარაფები (მეკერმეები) ტაძრიდან გააძევა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების ერთადერთი შემთხვევა, როცა მან ძალას მიმართა. ებრაელები, რომლებიც მიდიოდნენ იერუსალიმში, იხდიდნენ ტაძრის შესაწირს, სადაც ღებულობდნენ მხოლოდ სპეციალურ, იმ დროისათვის მიმოქცევაში არსებულ სუფთა ვერცხლის მონეტას - ნახევარშეკელს და სხვა მონეტებისაგან განსხვავებით მასზე არ იყო გამოსახული რომის იმპერატორი. ამიტომ ებრაელებისათვის ეს მონეტა იყო ერთადერთი, რომელიც ტაძრის შესაწირად გამოდგებოდა. მაგრამ მიმოქცევაში მისი რაოდენობა ძალიან მცირე იყო, რის გამოც საჭირო ხდებოდა მეკერმეების მომსახურება. მათ დაიპყრეს ეს ბაზარი, მნიშვნელოვნად გაზარდეს პოპულარული მონეტის ფასი და საბოლოოდ, დაამყარეს მის მიწოდებაზე სრული მონოპოლია. რასაკვირველია, ამით მეკერმეებმა თავიანთვის უზრუნველყვეს ფანტასტიკური სარგებელი, ხოლო ებრაელები კი იძულებულნი იყვნენ მეკერმეებისთვის გადაეხადათ ამ უკანასკნელთა მიერ დაწესებული ნებისმიერი ფასი. მაცხოვრისათვის ყოველივე ეს იყო ღვთის სახლის სიწმინდის უხეში ხელყოფა.

თუმცა მეკერმეთა ჯგუფი ქრისტეს დაბადებამდე ბევრად ადრე აღმოცენდა. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 200 წელს რომის იმპერიაში სერიოზული პრობლემები შეიქმნა მეკერმეთა გამო. რომის ორმა ადრეულმა იმპერატორმა სცადა მოესპო მეკერმეთა ძალაუფლება მევახშეობის ამკრძალავი კანონების შემოღებით. მათ ასევე აკრძალეს 500 აკრამდე მიწის გირავნობა. აღსანიშნავია, რომ ორივე იმპერატორი მოკლულ იქნა.

ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 48 წელს იულიუს კეისარმა მეკერმეებს ჩამოართვა ფულის გამოშვების უფლება და თავათ გამოუშვა ფული, რომელიც მთლიანად საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდა. ფულადი მასის მნიშვნელოვან ზრდას გრანდიოზული საზოგადოებრივი პროექტების განხორციელება მოჰყვა. აიგო მრავალი საერთო დანიშნულების შენობა. ხალხმა კეისარი შეიყვარა, მაგრამ მეკერმეებმა ის შეიძულეს. მკვლევართა მტკიცებით სწორედ ეს გახდა მისი მკვლელობის მთავარი მიზეზი. ერთი რამ ნამდვილად ცნობილია - იულიუს კეისრის სიკვდილის შემდეგ რომში ფულის სიუხვე დასრულდა. გაიზარდა გადასახადები. კორუფცია და ყალბი ფულის დამზადება ცხოვრების წესად იქცა. საბოლოოდ, რომში ფულადი მასა 90%-ით შემცირდა. უბრალო ხალხი გაკოტრდა. მევახშეობის აყვავებასთან ერთად მათ სრულად ჩამოერთვათ მიწები და სახლები. ფულის მიწოდების შემცირებასთან ერთად რომის მოსახლეობამ დაკარგა ნდობა ხელისუფლებისადმი და უარი თქვა მის მხარდაჭერაზე. აყვავებული რომის იმპერია საბოლოოდ წყვდიადმა მოიცვა. იგივე შეიძლება დაემართოს ნებისმიერ ქვეყანას, როგორი ძლევამოსილიც არ უნდა იყოს, თუ მონეტარული სისტემა კაცობრიობის ისტორიაში არსებულ ყველაზე დიდ უსამართლობაზე - მევახშეობაზე იქნება დაფუძნებული.

ქრისტეს ჯვარცმიდან დაახლოებით ათასი წლის შემდეგ ინგლისში გააქტიურდნენ მეკერმეები, რომლებიც ახდენდნენ ფულის სესხად გაცემას და განსაზღვრავდნენ მიმოქცევაში მათ რაოდენობას. ისინი ისე გაძლიერდნენ, რომ ბრიტანეთის ეკონომიკით მანიპულირებაც კი შეეძლოთ, თუმცა ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ ბანკირებს ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. მეტწილად ესენი იყვნენ იუველირები, რომლებიც ადრეულ ბანკირებად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგანაც სხვებისგან იღებდნენ ძვირფასეულობას შესანახად.

პირველი ქაღალდის ფული წარმოადგენდა ხელწერილს იმ ოქროზე, რომელიც მიბარებული ჰქონდა იუველირს შესანახად. ამგვარად ჩაისახა ქაღალდის ფული. ის უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე დიდი რაოდენობის მძიმე ოქროსა და ვერცხლის მონეტების ტარება. ბოლოს და ბოლოს, იუველირებმა შეამჩნიეს, რომ მეანაბრეთა მხოლოდ მცირედი რაოდენობა თუ მოდიოდა მათთან ვადაზე ადრე და მოითხოვდა საკუთარ ძვირფასეულობას. სწორედ მაშინ დაიწყეს მათ თაღლითობა, როცა აღმოაჩინეს, რომ შეეძლოთ გამოეშვათ მეტი ოდენობის ქაღალდის ფული, რაც მათდამი მიბარებული ოქროს რაოდენობას აღემატებოდა

და გაეცათ ეს არაუზრუნველყოფილი ფული სესხად მასზე პროცენტების გადახდევინების აუცილებლობით. ყველაზე მთავარი იყოს ის, რომ არავის შეეძლო მათი გამოჭერა სიცრუეში.

ასე გაჩნდა საბანკო ოპერაციები ნაწილობრივი უზრუნველყოფით, ე.ი. ფულადი თანხის სესხად გაცემა, რომელიც ბევრად აღემატება დეპოზიტზე არსებული აქტივების რაოდენობას. ამგვარად, თუ იუველირებს მიაბარებდნენ 1000 უნცია ოქროს შესანახად, ისინი ამ თანხის უზრუნველყოფით გასცემდნენ, ვთქვათ, 10-ჯერ მეტ, ანუ 10000 უნცია ოქროს ეკვივალენტურ კრედიტს ქაღალდის ფულით და ძირითად თანხასთან ერთად დამატებით იღებდნენ პროცენტებს. ამგვარად, იუველირები თავს უყრიდნენ სულ უფრო მეტ ქაღალდის ფულს, რომლითაც ისაკუთრებდნენ სულ უფრო მეტ ოქროს და სხვა რეალურ აქტივებს.

დღეისათვის რეზერვების სახით არსებულ ფულზე მეტი ოდენობით ფულის გაცემის პრაქტიკას ეწოდება საბანკო ოპერაციები ნაწილობრივი დარეზერვებით. თითოეულ ბანკს შეუძლია გასცეს კრედიტი რეზერვებზე, ვთქვათ, 10-ჯერ მეტი ოდენობით. ამიტომ ბანკები მდიდრდებიან, ვთქვათ, 8%-იანი წლიური განაკვეთით კრედიტების გაცემის შემთხვევაში სინამდვილეში არა წლიური 8, არამედ 80%-იანი შემოსავლით.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საბანკო საქმე იმთავითვე კრიმინალურია? რა თქმა უნდა, არა. შუა საუკუნეებში ევროპაში აკრძალული იყო კრედიტებით სარგებლობისთვის პროცენტების გადახდა. ეს კონცეფცია ეფუძნებოდა თომა აქვინელის სწავლებას, რომლის მიხედვითაც ფულის მიზანი საზოგადოების წევრებს შორის საქონლის მიმოქცევის გამარტივებაა, რაც აუცილებელია ღვთისმოსაობისათვის. პროცენტების აღება, მათი აზრით, ხელს უშლის ამ მიზნის მიღწევას, რადგანაც ფულით სარგებლობას ზედმეტად ამძიმებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბანკო პროცენტი ეწინააღმდეგება საღ აზრსა და სამართლიანობას. ამ პოსტულატის თანახმად შუა საუკუნეების ევროპაში სპეციალური საეკლესიო კანონი კრძალავდა კრედიტებზე პროცენტების გადახდევინებას და მას დანაშაულის შემადგენლად განიხილავდა. მოგვიანებით, ვაჭრობის განვითარების კვალდაკვალ და ახალი საინვესტიციო შესაძლებლობების გაჩენასთან ერთად აღიარებულ იქნა, რომ კრედიტორს უწევდა გარკვეული ხარჯების გაღება, რომელიც უკავშირდებოდა როგორც რისკს, ისე ხელიდან გაშვებულ საქმიან შესაძლებლობებს. ამიტომ, დაშვებულ იქნა გარკვეული დაქვითვები, მაგრამ არა პროცენტები კრედიტზე. საერთოდ, ყველა მორალისტი, რომელი რელიგიის მიმდევარიც არ უნდა ყოფილიყო, ყოველთვის გმობდა თაღლითობას, ღარიბთა ჩაგვრას და უსამართლობას, როგორც მორალთან სრულიად შეუსაბამო მოვლენას. თანამედროვე საბანკო ოპერაციები ნაწილობრივი დარეზერვებით ემყარება თაღლითობას და სწორედ ამიტომ იწვევს სიღარიბის ზრდას და ამცირებს ფულის ღირებულებას.

ძველმა იუველირებმა აღმოაჩინეს, რომ შესაძლებელი იყო ზემოგების მიღება ფულის რაოდენობის მანიპულირებით. როდესაც ფულადი მასა იზრდებოდა, დაკრედიტება სულ უფრო მარტივდებოდა. ადამიანები ფულს სესხულობდნენ ბიზნესის გაფართოების მიზნით. როდესაც ფულის მიწოდება მცირდებოდა, კრედიტის ღირებულება იზრდებოდა და დაკრედიტება რთულდება. მსესხებელთა გარკვეული რაოდენობა უუნარო იყო გაენაღდებინა აღებული კრედიტები ან დაეფარა ძველი კრედიტები ახლად აღებული კრედიტებით. ისინი კოტრდებოდნენ და მათი ქონება იუველირთა ხელში გადადიოდა. იგივე ხდება დღესაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენს დროში ეკონომიკის ამ რყევებს „საქმიან ციკლებს“ უწოდებენ.

როგორც თავის დროზე იულიუს კეისარმა, ისე ინგლისის მეფემ ჰენრიხ პირველმა დაახლოებით 1100 წელს გადაწყვიტა იუველირებისათვის ფულის გამოშვების უფლების ჩამორთმევა. მან მიმოქცევიდან ამოიღო ნომინალური ღირებულების ყველა ნიმუში, რომელიც კი გამოიყენებოდა მიმოქცევაში ღარიბ პროვინციებში, კერძოდ, ზღვის ნიჟარები, ბუმბულის კალმები და ა.შ. მან გამოიგონა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო ფულადი სისტემა, რომელსაც ეწოდება „საზომი ლარტყის“ სისტემა, რამაც დაახლოებით 725 წელი იარსება და მხოლოდ 1826 წელს იქნა გაუქმებული. ეს სისტემა მიღებულ იქნა იმისათვის, რათა თავი დაეღწიათ იუველირთა მანიპულაციებისაგან.

ჰენრიხ პირველის ფული წარმოადგენდა ხის გაპრიალებულ ლარტყას, რომელსაც ერთ მხარეს ჰქონდა ჭდეები ნომინალის აღსანიშნავად. შემდგომ ლარტყა იხლიჩებოდა მთელ სიგრძეზე ისე, რომ

ჭდეები შენარჩუნებულიყო. ლარტყის ერთი ნახევარი რჩებოდა მეფესთან და სიყალბისგან დაცვას ემსახურებოდა, ხოლო მეორე ნაწილი გაიშვებოდა მიმოქცევაში. არ უნდა იყოს უცნაური ის, რომ 1694 წელს თავისი დაარსებიდან ინგლისის ბანკი (ინგლისის ცენტრალური ბანკი) თავს დაესხა ამ სისტემას, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა. რისი მიღწევა სურდა მეფე ჰენრიხ პირველს? რატომ აღიარა ხალხმა თავის დროზე ფულად ხის ნაჭერი?

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ადამიანები საქონელგაცვლით ოპერაციებში იყენებდნენ ყველაფერს, რომლის შეფასებასა და ფულის სახით გამოყენებაში თანხმდებოდნენ. რას წარმოადგენს ფული ჩვენს დროში? მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯს. მიუხედავად ამისა, აქ არსებობს თავისებური სიბრძნე - იმავე მეფე ჰენრიხმა ბრძანა გამოყენებულიყო საზომი ლარტყა სამეფო გადასახადების გადასახდელად, რამაც იმთავითვე განაპირობა მისი მიმოქცევაში არსებობა და ფულად აღიარება.

სინამდვილეში არცერთი ფულადი სისტემა ისე კარგად და ხანგრძლივად არ ფუნქციონირებდა, როგორც მეფე ჰენრიხ პირველისეული. შევნიშნოთ, რომ ბრიტანეთის იმპერია შეიქმნა საზომი ლარტყების სისტემის საფუძველზე, რომელიც ინარჩუნებდა სიმყარეს, მიუხედავად მეკერმეთა მხრიდან მუდმივი ცდისა ძირი გამოეთხარათ მისთვის თავიანთი ლითონის ფულით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლითონის მონეტები არასოდეს გასულა მიმოქცევიდან სრულად ისევე, როგორც საზომი ლარტყები, რომლებიც გამოიყენებოდა გადასახადების გადასახდელად. საბოლოოდ, XV საუკუნეში მეფე ჰენრიხ მერვემ შეარბილა კანონები, რომლებიც ეხებოდა მევახშეობას და მეკერმეებმა სწრაფად აღადგინეს თავიანთი ადრინდელი გავლენა. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მათ მნიშვნელოვნად გაზარდეს ოქროსა და ვერცხლის მონეტების მიწოდება.

მოვიდა რა ხელისუფლებაში, დედოფალმა მარიამ კვლავ გაამკაცრა კანონები მევახშეობაზე. მეკერმეებმა დაიწყეს ოქროსა და ვერცხლის მონეტების გადამალვა, რაც მაშინვე აისახა ეკონომიკაზე მკვეთრი ვარდნით. მარიას მემკვიდრემ და მისმა დამ ელიზაბეტ პირველმა გამეფების შემდეგ მტკიცე ნაბიჯი გადადგა და საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა ინგლისური ფულის გამოშვება. პირველი გადაწყვეტილება ეხებოდა ოქროსა და ვერცხლის მონეტების გამოჭედვას სამეფო ხაზინაში, რითაც ფულადი მასის მართვის უფლება მთავრობას გადაეცა.

ამ პოლიტიკამ მოგვიანებით რევოლუცია გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ფულზე კონტროლის უფლების მოპოვება ინგლისის რევოლუციის ერთადერთი მიზეზი არ ყოფილა, რელიგიურმა და სხვა სახის წინააღმდეგობებმა ცეცხლზე ნავთი დაასხა, ხოლო ფულზე კონტროლი ამ რევოლუციის უპირველესი მიზეზი გახდა. მეკერმეების მხრიდან მძლავრი ფულადი დახმარების ხარჯზე ოლივერ კრომველმა შეძლო ინგლისის მეფე ჩარლზის ტახტიდან ჩამოგდება, პარლამენტის დაშლა და მონარქის სიკვდილით დასჯა.

მეკერმეებს მაშინვე ნება დაერთოდ მოეხდინათ საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდაცია, რის შედეგად მომდევნო 50 წლის განმავლობაში დიდი ბრიტანეთი ჩაფლულ იქნა მორიგ სერიოზულ ძვირადღირებულ ომებში. მეკერმეებმა ხელში ჩაიგდეს ერთი კვადრატული მილი ფართობი უძრავი ქონება ლონდონის ცენტრში, რომელიც ლონდონ-სიტის სახელითაა ცნობილი. ეს რაიონი დღემდე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი ფინანსური ცენტრია. სტიუარტების დინასტიასთან კონფლიქტის გამო ინგლისელმა მეკერმეებმა ჰოლანდიელ მეკერმეებთან ერთად დააფინანსეს ინგლისში ვილჰელმ ორანელის შემოსევა, რომელმაც 1688 წელს ხელში ჩაიგდო ინგლისის სამეფო ტახტი.

XVI საუკუნის ბოლოსათვის ინგლისი აღმოჩნდა ფინანსური კრახის მიჯნაზე. საფრანგეთთან თითქმის 50 წლიანმა უწყვეტმა ომმა ძლიერ დაასუსტა ქვეყნის ეკონომიკა. მთავრობის ჩინოვნიკები იძულებულნი გახდნენ მოლაპარაკებაზე წასულიყვნენ მეკერმეებთან კრედიტების მისაღებად, რაც აუცილებელი იყო პოლიტიკური კურსის შესანარჩუნებლად. მეკერმეებმა საამისოდ ძალიან დიდი ფასი მოითხოვეს: მთავრობის ნებართვით, თითქოს არსაიდან გაჩნდა პირველი კერძო ბანკი, რომელიც უფლებამოსილი იყო დაებეჭდა ფული.

დღეის მდგომარეობით თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს კერძო პირების მიერ კონტროლირებადი ცენტრალური ბანკები, რომლებიც „ინგლისის ბანკის“ ნიმუშებია. კერძო ცენტრალური ბანკების

სიძლიერე იმდენად დიდია, რომ ისინი სრულად აკონტროლებენ ქვეყნების ეკონომიკას. რასაკვირველია, ქვეყანას ჭირდება ცენტრალური ბანკი. მაგრამ ისინი არ უნდა იმყოფებოდეს კერძო მფლობელობაში. სინამდვილეში კერძო ცენტრალური ბანკების დაჯგუფება სხვა არაფერია, თუ არა ფარული გადასახადების დაწესება საზოგადოებისათვის. სახელმწიფოები (ქვეყნის მთავრობები) სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების დასაფინანსებლად უშვებენ სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს, რომლებიც გადადის ცენტრალური ბანკის ხელში. ობლიგაციები შეისყიდება ფულით, რომლებიც იბეჭდება ცენტრალური ბანკების მიერ. რაც უფრო მეტია ფულადი მასა მიმოქცევაში, მით უფრო ნაკლები ღირს ჩვენს ხელთ არსებული ფული. მთავრობა ღებულობს იმდენ ფულს, რამდენიც სურს თავისი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად, ხოლო ხალხი ამას ანაზღაურებს ინფლაციით. ობივატელთათვის ამ უსამართლო სისტემაში გარკვევა რთულდება იმით, რომ ჭეშმარიტება იმალება ფსევდოეკონომიკური გალიმათიების მიღმა.

ინგლისის ბანკის დაარსებიდან ქვეყანაში დაიწყო ქაღალდის ფულის მასშტაბური ემისია. ფასები სწრაფად იზრდებოდა. უზარმაზარი ოდენობის კრედიტები გაიცემოდა ნებისმიერი გიჟური იდეის სარეალიზაციოდ. მაგალითად, ერთი საწარმო ვარაუდობდა წითელი ზღვის დაშრობას, რათა ამოეღოთ ჩაძირული ეგვიპტის არმიის მიერ სავარაუდოთ დაკარგული ოქრო, რომელიც კვალდაკვალ მიჰყვებოდა ეგვიპტიდან გასულ ებრაელებს მოსეს წინამძღოლობით. 1698 წელს ინგლისის მთავრობის ვალი 1,25 მლნ ფუნტი სტერლინგიდან 16 მლნ ფუნტ სტერლინგამდე გაიზარდა. ამ ვალის დაფარვის მიზნით სახელმწიფო უფრო და უფრო ზრდიდა გადასახადებს. რამდენადაც ფულადი მიმოქცევა იმყოფებოდა მეკერმეთა მკაცრი კონტროლის ქვეშ, ბრიტანეთის ეკონომიკა მუდმივად ირყეოდა კრიზისებსა და დეპრესიებს შორის.

ბიბლიაში ვკითხულობთ:

„არ მისცე სარგებელში შენს მოძმეს არც ვერცხლი, არც საჭმელი და არც რამე ნივთი, რაც სარგებელში შეიძლება გაიცეს. უცხოელს მიეცი სარგებელში, შენს მოძმეს კი ნუ მისცემ სარგებელში, რომ გიკურთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, მთელი შენი ნაამაგარი იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ“ (რჯლ. 23:19-20).

„გაგიღებს უფალი თავის მადლიან საუნჯეს – ცას, რომ მოსცეს მიწას წვიმა თავის დროზე და ეკურთხოს შენი ხელის ყოველი ნამუშაკევი. ბევრ ხალხებს მისცემ სესხს, თავად კი არავისგან ისესხებ“ (რჯლ. 28:12).

„ააშენებენ უცხოთა ძენი შენს კედლებს და მათი მეფენი დაგიწყებენ სამსახურს...; მუდამ ღია იქნება შენი კარიბჭენი, არ ჩაიკეტება დღითა და ღამით, რათა მოგიტანონ ხალხთა დოვლათი და მათი მეფეები მოგიყვანონ. რადგან ხალხი და სამეფო, რომელიც არ დაგემორჩილება, დაიღუპება და ეს ხალხები განადგურდებიან“ (ეს. 60:10-12).

პროცენტის გადახდის პრობლემა ყველა დროსა და ერში იპყრობდა ადამიანთა გონებას და მასთან დაკავშირებული ყველა საშიშროება სწორად იქნა გაცნობიერებული.

ჩვენს ერამდე 594 წელს სოლონმა გააუქმა პირადი დავალიანებები. ამ კანონს უწოდებდნენ „ვალებისაგან განთავისუფლებას“.

ძველ რომში Lex Gemicia-მ ჩვენს ერამდე 332 წელს, მცირედი ფიქრის შემდეგ საერთოდ აკრძალა პროცენტების ამოღება.

იმპერატორ იუსტინიანეს დროს გამოიცა აკრძალვა რთულ პროცენტებზე, რომელსაც დაერთო განმარტება, რომ არ შეიძლებოდა პროცენტების იმაზე მეტად მოთხოვნა, თუ გადაუხდელი პროცენტები გაიზრდებოდა სესხად გაცემული კაპიტალის სიდიდემდე.

რომის პაპმა ლეო I-მა 443 წელს გამოსცა საყოველთაო აკრძალვა პროცენტების აკრეფაზე, თუმცა აქამდე მხოლოდ კლერიკალებს ეკრძალებოდათ სესხებზე პროცენტების აღება. მაშინ პროცენტებზე აკრძალვა იქცა კანონიკური წესის ნაწილად, ხოლო დილეტანტებისათვის სავალდებულო წესად. დასავლური კანონმდებლობა თანდათანობით უახლოვდებოდა კანონიკურ თვალსაზრისს და სჯიდა კიდევაც პროცენტების ამოღებას ჯარიმებით. რა თქმა უნდა, ამგვარი კანონებით წარმოებდა ბრძოლა

პროცენტების წინააღმდეგ, ზოგიერთები ცდილობდნენ მათთვის გვერდის ავლას, მაგრამ მოდით, ამ მოკლე ისტორიული ექსკურსის დროს ვახსენოთ ერთი საოცარი ისტორიული ფაქტი: მაშინ, როცა XI-XVII საუკუნეების კანონიკური სამართალი ქრისტიანებს უკრძალავდა პროცენტების გადახდევინებას, ებრაელებისთვის ეს ნებადართული იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მხოლოდ XIX საუკუნის შუა პერიოდში იქნა გაუქმებული პროცენტების გადახდევინების ყოველგვარი შეზღუდვა და პროცენტებზე ნებისმიერი აკრძალვები. მაგალითად: ინგლისში ეს განხორციელდა 1854 წელს, დანიაში - 1856 წელს, ბელგიაში - 1865 წელს, ხოლო ავსტრიაში - 1868 წელს.

მაშასადამე, ცნება „პროცენტი", რომელიც დღეს განიხილება „ფულადი ქონების" ცნებასთან განუყრელად, დაახლოებით საუკუნე ნახევრისაა. მაგრამ სწორედ პროცენტის ცნებამ დემონური ძალაუფლების ხარკი თავიდანვე ისეთ საყოველთაო ძალის მქონედ აქცია, როგორსაც დღეს მას ვიცნობთ. მხოლოდ მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება მსხვილი ბანკირებისა და ფინანსური ელიტების მიმართ სახელმწიფოს დავალიანება, რომელიც სულ უფრო ძლიერდება. მხოლოდ ამ პერიოდიდან დაწყებული ვაკვირდებით სახელმწიფოს ფუნქციის დაკნინებას. სახელმწიფოებრივი განვითარების ასეთი მიმართულება მხოლოდ და მხოლოდ მამონისტურ ინტერესებს ემსახურება, რომელსაც ჩვენივე ინტერესების საწინააღმდეგოდ გადავცემთ მსოფლიო მეფობის გვირგვინს.

Malkhaz Chikobava

The Fundamental Causes of Global Financial-Economic Crises and the Way to Overcome it

Resume

The given work analyses main factors of a modern financial-economic crisis. Every day almost everyone uses money. Yet, few people understand how money works and affects their lives directly and indirectly. Money is one of the most ingenious inventions of humankind, as it helps the exchange of goods and services and overcomes the limits of barter, that is, the direct exchange of goods and services. Thus, money creates the possibility for specialization, which is the basis of civilization. Then why do we have a "money problem"? Money does not only help the exchange of goods and services but can also hinder the exchange of goods and services by being kept in the hands of those who have more than they need. Thus it creates a private toll gate where those who have less than they need pay a fee to those who have more money than they need. To overcome crisis it is necessary fundamental changes of modern monetary system.

ნიკო ჩიხლაძე

წყალობის და მადლის „გაზომვის“ ეკონომიკური და მართლმადიდებლური ასპექტები

უფლისაგან მიღებული წყალობა და მადლი, ანუ “ხელთუქმნელი ენერგია“ (წმ. გრიგოლ პალამა) უდიდესი ბედნიერებაა მართლმადიდებლისათვის. დასაბამიდან, უფლის განუზომებელ მოწყალებაზე მეტყველებს ორი ფაქტი: ჯერ ერთი უფალმა ადამიანი სამოთხეში დაადგინა, სადაც სრული ნეტარება სუფევდა და მეორეც, როდესაც ადამიანმა არ აღასრულა ღვთის მცნება და ცოდვით დაეცა, ღმერთმა იგი მაშინვე კი არ გამოაძევა სამოთხიდან, არამედ წამოდგომის, ანუ სინანულის, გამოსწორების, მართალ გზაზე შედგომის საშუალება მისცა. სამწუხაროდ, ადამი და ევა კი ამპარტავნებამ და უმადურობამ მოიცვა, რაც გახდა წინაპირობა მათი სამოთხიდან გამოდევნისა. უფლის განხორციელების მიუხედავად, ადამიანს სამოთხიდან გამოდევნის შემდეგაც არ მოჰკლებია მისი წყალობა.

საინტერესოა საკითხი, არის თუ არა ჩვენი ღვაწლი, ღვთივსათნო შრომა და საქმიანობა მადლისა და წყალობის წინაპირობა. მიწიერი მოთხოვნილებებისა და სულიერი საზრდოს მოპოვების ალტერნატივის საკითხი შეიძლება მართლაც წინააღმდეგობრივად მოგვეჩვენოს.

“ესრეთ იტყვის უფალი: წყეულ იყავნ კაცი, რომელსა სასოება აქუს კაცისა მიმართ, და განიმტკიცოს ხორცი მკლავისა თვისისაი, და უფლისაგან განდგეს გული მისი... და კურთხეულ არს კაცი, რომელი ესვიდა უფლისა მიმართ. და იყოს უფალი სასო მისსა“ (იერ. 17:5-7).

ბუნებრივია, მოყვასის იმედი კაცს ყოველთვის უნდა ჰქონდეს, მაგრამ აქ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მხოლოდ კაცის, მოკვდავის მოიმედე ადამიანია გასაკიცხი, რომელსაც უფლის იმედი არ აქვს და სასოებას მხოლოდ მისნაირი მოკვდავისაგან ელის. ამდენად, კაცი განსაცდელისა და გაჭირვების დროს მოვლენილი, ასევე ღვთის დამსახურებად უნდა ჩავთვალოთ. არანაკლებ მნიშვნელოვანია წმინდა წერილის შეგონებაც იმის შესახებ, რომ „არა არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს“. ამდენად, ადამიანს ყოველთვის აქვს შანსი ცოდვის შემდეგაც წამოდგეს, სათნო-ეყოს უფალს და თავისი საქმიანობით, გულშემუსვრილებით, სიმდაბლით, მორჩილებით სასუფევლის გზას დაადგეს.

უფლის წყალობის გარეშე ადამიანი არარაობაა, მტვრისგან შექმნილი არსებაა (დაბ. 2:7), რომელსაც ერთი თმის ჩამოგდებაც არ ძალუძს საკუთარი თავიდან. ამიტომაა, რომ დიდი მონანულნი საკუთარ თავს არარაობად მიიჩნევენ: „ხოლო მე მატლ ვარ და არა კაც, საყუედრელ კაცთა და შეურაცხ ერისა“- ამბობს დავითი მეფსალმუნე (ფსალმ.21:7).

ძველ აღთქმაში მრავლადაა მაგალითი იმისა, რომ უფლისგან განშორებული კაცობრიობა ადექვატურ სასჯელს იღებდა უზენაესისაგან (სოდომი და გომორი, შიმშილი, მოუსავლიანობა, მონობა, შვილთა ამხედრება, სამეფოს დანაწევრება და ა.შ.).

უფალმა მოსეს შუამდგომლობით ხალხს აუწყა მათი მოვალეობისა და უფლის მცნებების შესრულების აუცილებლობის შესახებ. თუკი ადამიანები, რომელთაც თავისუფალი არჩევანის საშუალება ჰქონდათ ღვთის მორჩილებაში იქნებოდნენ და უფლის მცნებებს შეასრულებდნენ, კურთხევას მიიღებდნენ უზენაესისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შეჩვენებისათვის იყვნენ განწირული: „უყურეთ, ასარჩევად გაძლევთ დღეს კურთხევას და შეჩვენებას: კურთხევას - თუ შეიგონებთ უფლის, თქვენი ღმერთის მცნებებს, რომელთაც გიცხადებთ დღეს, შეჩვენებას - თუ არ შეიგონებთ, უფლის, თქვენი ღმერთის მცნებებს და გადაუხვევთ გზას, რომელსაც გიცხადებთ დღეს, და გაჰყვებით უცხო ღმერთებს, რომელთაც არ იცნობთ... ეცადეთ, რომ შეასრულოთ წესი და სამართალი, რომელსაც დღეს ვიძლევი თქვენს წინაშე“ (რჯლ. 11:26-32). თუმცა, ხშირ შემთხვევაში ღვთისაგან განდგომილი ხალხი უზენაესის სამართლიან რისხვას იმსახურებდა: „დამწუხრდა, დაღონდა ქვეყანა; დაჭკნა, დაღონდა სოფელი, დაჭკნენ ქვეყნიერთა დიდებულნი. წაიბილწა მიწა მის მკვიდრთა ქვეშ, რადგან გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატეხეს საუკუნო აღთქმა. ამიტომ წყევლა ჭამს მიწას და ისჯებიან მისი მკვიდრნი; ამიტომ გადაიბუგნენ მიწიერნი და მცირენიღა გადარჩნენ“ (ეს. 24:4-6).

ნოეს პირით ასი წლის მანძილზე აფრთხილებდა ღმერთი ადამიანებს მოქცეულიყვნენ და უღმერთოდ არ ეცხოვრათ. საუკუნე საკმარისი უნდა ყოფილიყო დაფიქრებისა და სინანულისათვის, მაგრამ სანაცვლოდ ნოე შეურაცხადადაც მიიჩნიეს, იხილეს რა მის მიერ გორაკზე აგებული ხომალდი.

ძველი აღთქმის მიხედვით „ზარმაცის სული მოწყურებულია, მაგრამ არაფერი აქვს; მუყაითნი კი დანაყრდებიან“ (იგავ. 13:4). ამრიგად, მუყაითი (შრომაში, ლოცვაში, ღვთივსათნო საქმეების კეთებაში) ზეციურ მადლს მიიღებს და „დანაყრდება“ (როგორც ხორციელად, ისე სულიერად). ამდენად, ღვთის მოსაწონი მოძრაობა, მოქმედება, გარჯა არის უფლისაგან სანაცვლოს მიღების ერთგვარი გარანტია: „ისიამოვნე უფლის მიერ და ის აგისრულებს გულის წადილს“ (ფსალმ. 36:4).

წმინდა წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული ხვალინდელი დღის ამაო ზრუნვის შესახებ, რომელსაც შფოთი და ვაება მოჰყვება. „ნუ ჰზრუნავთ და იტყვით, რა ვჭამოთ, ანუ რა ვსუათ, ანუ რა შევიმოსოთ?” (მათ. 6:31). სასუფევლის ძიება, ანუ ღვთივსათნო ცხოვრება ერისკაცისათვის უფლისაგან „ყოველივეს“, ანუ საქონლისა და მომსახურების საკმარისი ნაკრების მიღების ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს. ადამიანს ამქვეყნიური, მიწიერი გზაც აქვს გასავლელი და მიწიერისათვის ზრუნვა და გარჯაც არ არის დასაძრახი, თუკი ეს ქმედება სულის გადარჩენისკენ არის მიმართული. მოციქულებმა სასუფევლის ძიება, ღმერთთან თანაზიარება მარადიული ქება-დიდება უფლისა არჩიეს მეთევზეობას, ანუ მიწიერ საზრუნავებს. მათ არაფერი გააჩნდათ, მაგრამ ყველაფერი ჰქონდათ (პავლე მოციქული) და უბრალო მებადურები ადამიანთა სულების მებადურებად იქცნენ.

საგულისხმოა დავით მეფსალმუნის შეგონება იმის შესახებ, რომ ღვთის მადიდებელი და უფლისთვის სათნო, ანუ მართალი კაცი და მისი შთამომავალი არ უხილავს შეჭირვებულ მდგომარეობაში. ამით დიდი დავითი აღნიშნავს, რომ ასეთი მართალი და უფლის ერთგული ადამიანები, უფლისგანაც ჯილდოვდებიან, როგორც სულიერად, ისე ხორციელი საზრდოთიც: „ყრმა ვიყავ და დავბერდიცა და არა ვიხილე მართალი დაგდებულ, არცა თესლი მისი მთხოველ პურისა“ (ფსალ. 36:25).

არ არსებობს ჭკუათმყოფელი ადამიანი, რომელსაც შვილი პურს სთხოვდეს და ქვა მისცეს, თევზს სთხოვდეს და გველი უბოძოს. მიწიერი მამის ეს მოწყალება, მით უმეტეს, ვერ შეედრება ზეციური მამის მოწყალებას: “უკუეთუ თქუენ, უკეთურთა, იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ უფრო სღა მამამან თქუენმან ზეცათამან მოსცეს კეთილი, რომელნი სთხოვდენ მას!“ (მათ. 7:11).

უფლისათვის მთავარია ღვთივსათნო საქმეების კეთება და არა მხოლოდ “უქმი ბაასი“ (წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი). სახარებისეულ განმარტებაში სიყვარულისა და სამსჯავროს შესახებ, უფალი გულისწყრომას გამოხატავს მათ მიმართ, ვინც მხოლოდ სიტყვით არის უფლის მიმდევარი, საქმით კი არ აღასრულებს ღვთის მცნებებს. ამიტომ მადლის მიმღები ვერ გახდება მორწმუნე, რომელიც მხოლოდ გაიძახის “უფალო, უფალო“ და საქმით კი არ აღასრულებს (ლუკ. 6:46).

ღირს ვიფიქროთ, რომ ღვთივსათნო შრომა, გარჯა, ბრძოლა უძღვის წინ საზღაურს, წყალობას და მადლს, რითაც უფრო მდგრადი ხდება იგი. წმ. დავით მეფსალმუნე ამბობს: “იხილე სიმდაბლე ჩემი და შრომა ჩემი და მომიტევენ მე ყოველნი ცოდვანი ჩემნი“ (ფსალმ. 24:17). ამრიგად, შრომა, გარჯა აუცილებელი პირობაა ცხონებისა, მაგრამ ალბათ, არასაკმარისი.

წმინდა წერილი მადლს სხვადასხვა განზომილებაში გვთავაზობს: “მოწყალებით მიხედვა, სიყვარული“ (დაბ. 39:3; გამ. 3:21; საქმ. 7:46), მშვენიერება, შნო (ფსალმ 44;2; იგავ. 4;9), სათნოება, ქველმოქმედება, კეთილი საქმე (ზირ. 7:36). სახარებისეული თეზა “მშრომელი თავისი საზრდოს ღირსია“ (მათ. 10:10) კიდევ ერთხელ ადასტურებს უფლის სამართლიანობას. იგი შეიძლება გავიგოთ, როგორც ღვთივსათნო საქმეების ღირსეული საზღაური, ანუ სულიერი საზრდოს, სასუფევლის, როგორც მისი მაქსიმალური გამოვლინების ღირსი. უფალი ერთგვარ მზადყოფნას აცხადებს სასყიდლის (შეიძლება ითქვას, როგორც მატერიალურის, ისე სულიერის) გასაცემად მათთვის, ვინც ღირსია. მეტიც, შეიძლება ითქვას, დადებითი კორელაცია არსებობს გაწეულ მიწიერ ღვაწლსა და ზეციურ დაფასებას შორის.

უბედურება (ღვთის რისხვა) დროის რაღაც მონაკვეთში შეიძლება იყოს ასევე ღვთის განგებულება, ღვთის ნება, მომავალში უკეთესის მისაღებად. ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ მართალი იობი, რომელმაც ღვთის სიყვარულით და სიმშვიდით უამრავი ჭირი დაითმინა და უფლისგანაც დიდი წყალობა

მიიღო. ასევე, შეუძლებელია ყოველთვის ვამტკიცოთ, რომ ამქვეყნიური სიკეთეები, „დროებითი“ ხასიათისა, ნებისმიერ შემთხვევაში ღვთისაგან ბოძებულია - მხედველობაში გვაქვს შემოსავალი (აქტივები), რომელიც ავი, ღვთისმოუწონარი საქმიდან არის მიღებული. უფალი ზოგჯერ უშვებს მავანთათვის ასეთი შემოსავლის მიღებას, თუმცა იგი მაინც ცუდ საქმეში იხარჯება ან მფლობელისათვის არასასიკეთოდ იფლანგება. მართებულად ბრძანებდა ამის შესახებ მთავარეპისკოპოსი ინოკენტი ხერსონელი: „ბოროტებით მოპოვებული ბოროტებაში იხარჯება. თუ ცუდი საქმით მოგებას იღებ, ეს უბედურების საწინდრად ჩათვალე“.[1]

საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, რომ უბედურება ერთგვარად დადებით კორელაციაშია ჩადენილ ცოდვებთან და მადლის დეფიციტთან. როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II განმარტავს „მადლი არ იყიდება და არც სხვა საშუალებით გადაეცემა; ნებისმიერმა ჩვენგანმა თვითონ უნდა იღვაწოს, იმდენი მადლი მოიპოვოს, რომ ცხონდეს... ჩვენი პრობლემების უმეტესობაც მადლის ნაკლებობიდან გამომდინარეობს... მადლიერება ქრისტიანული სათნოებათაგანია და მასთან დაკავშირებით ჩვენი დამახინჯებული დამოკიდებულება აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ“.[2]

ღირსი მამა იოანე კიბისაღმწერელი სამართლიანად მიჯნავს ღვთის განჭვრეტას, შეწევნასა და წყალობას: „სხვა არის ღვთის განჭვრეტა, სხვა - მისი შეწევნა, კიდევ სხვა - დაცვა, წყალობა, ნუგეში. პირველი ყველა არსებაზე ვრცელდება, შეწევნა ღვთის ერთგულებთან გვხვდება, დაცვა კი ისეთ ერთგულებთან, რომლებიც ჭეშმარიტად ასეთნი არიან. წყალობას უფლისათვის მუშაკნი მოიმკიან, ხოლო ნუგეშს - მისი მოყვარულნი“.[3]

თავის მხრივ, ღვთის რისხვა შეიძლება განიზომოს ადამიანის, ინდივიდის მიმართ და მთელი საზოგადოების მიმართაც. ბიბლიური, ასევე საქართველოს სისხლით მორწყული ისტორიის ბევრი მონაკვეთი, თუნდაც ჩვენი უახლესი ისტორიაც მოწმობს, ქვეყანაში აპოკალიფსური ჟამიანობისას, გამოჩნდებიან წმინდანები, მოციქულები, მოწამენი, რომლებიც ამსუბუქებენ „ბნელეთის მოციქულთა“ ქმედებებს და უფლისადმი რწმენას განამტკიცებენ.

წყალობისა და ღვთივსათნო საქმიანობის ანლიზისას უთუოდ გასათვალისწინებელია ის უდიდესი ღვთიური ნიჭი, რასაც მორჩილება წარმოადგენს. სწორედ მორჩილებასთან ერთად აღსრულებულ საქმიანობას „მიითვლის“ და აღიარებს უფალი. გავიხსენოთ თუნდაც აბრამი, რომელიც დაემორჩილა ღვთის ნებას და გამოეყო კერპთაყვანისმცემლებს (საკუთარ ოჯახს). ასეთი მორჩილების შედეგად მას დაერქვა აბრაამი და აღივსო ქვეყანა მისი შთამომავლით. მან მიიღო სამარადჟამო კეთილდღეობა, დიდება და უკვდავება შთამომავლობაში. მოციქულთა თავი პავლე გვაუწყებს: „ვინც რწმენისაგან არის, მორწმუნე აბრაამთან ერთად იკურთხება“ (გალ. 3:8-9).

ცოდვისადმი მისწრაფებას პროტოპრესვიტერი ალ. შმემანი შემდეგი სახით გადმოგვცემს: “ადამიანი დაემონა ცოდვას, იგი მონაა - და მას უკვე აღარ შეუძლია საკუთარი ძალებით გათავისუფლდეს ამ მონობისაგან. და თუ სჯული, ესე იგი სჯულის ნორმის ცოდნა, საკმარისი იქნებოდა ცოდვის დასაძლევად, საჭირო აღარ იქნებოდა ხსნა ქრისტესი. მაგრამ მისცა რა სჯული, ღმერთმა, ერთი მხრივ, ადამიანს გამოუცხადა, რომ ბოროტება „არანორმალურობაა“ - არის ცოდვა, ადამიანისა და სამყაროს შესახებ ღმრთის ნების დარღვევა, მეორე მხრივ, მსჯავრი დასდო ადამიანს, რამდენადაც არის რა ცოდვილი, მაგრამ არ აქვს ცოდვის დაძლევის ძალმოსილება, ადამიანი უიმედოდ განწირულია”.[4]

ცოდვა-მადლისა და სოცოცხლის ხანგრძლივობის კორელაციის შესახებ საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს პროფ. აკ. ბაკურაძე. იგი მიიჩნევს, რომ მარხვა, თავშეკავება და ქრისტიანული ღვაწლი ჭეშმარიტად ამარცხებს ამ წუთისოფელს და ახანგრძლივებს სიცოცხლეს. თუკი ღვთისნიერად ვიცხოვრებთ, უფალიც დღეგრძელობით დაგვლოცავს. მეცნიერი იმ თამამ დასკვნამდეც მიდის, რომ სიკვდილის მიზეზთა გამომწვევი ყველა ფაქტორი ცოდვის ნაყოფად შეიძლება ჩაითვალოს.[5]

ცოდვა მადლისა და მატერიალურზე გამოკიდებული საზოგადოების შესახებ მეტად საინტერესო და სამართლიან მოსაზრებებს გვთავაზობენ თანამედროვე ქართველი მამები და მღვდელმთავრები (იღუმენი

---

1 დაწვრ. იხ. ჟურნ. “კარიბჭე”, №2(167), 2011. გვ. 18.

2 2012 წლის საშობაო ეპისტოლე.

3 ჟურნ. “კარიბჭე”, №4, 2011. გვ. 16.

4 შმემანი ალ., მართლმადიდებლობის ისტორიული გზა. თბ., „წიგნის სახელოსნო”, 2011. გვ. 43.

5 ბაკურაძე აკ., სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის ერთი საკითხისათვის. ჟურნ. “ეკონომიკური პროფილი”, №3, 2007. გვ. 37-41.

იოანე კავსაძე, იღუმენი დიონისე გვიმრაძე, დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, მიტროპოლიტი ზოსიმე შიოშვილი).

ზემოთ მოტანილი მსჯელობისა და დასახელებული ფაქტორების გათვალისწინებით, შევეცადოთ ავაგოთ ჰიპოთეზური მოდელი, რომელიც გრაფიკულად გამოსახავს უფლისაგან მიღებულ წყალობას, „ცოდვიან საქმეთა ქმნას“ და “უფლის სასიკეთოდ აღსრულებულ საქმეთა ფასს„ შორის დამოკიდებულებას (დავძენთ, რომ ამ საკითხის განხილვისას შეიძლება ზედმეტად მიწიერნიც აღმოვჩნდეთ, რამეთუ „ღვთის რჯული ხორციელად აღმოვიკითხნეთ“ (I ტიმ. 1:7). უპრიანი იქნება მსჯელობა წარვმართოთ დაშვებით „სხვა თანაბარ პირობებში“ (Ceteris Paribus), ანუ უფრო მართებული და ზუსტი იქნება მსჯელობა, რომ სხვა თანაბარ პირობებში არსებობს უკუდამოკიდებულება ცოდვასა და წყალობას შორის).

თუ ამ უკანასკნელს ჩავთვლით მთავარ არგუმენტად, მივიღებთ ლოგიკურ მსჯელობას: რაც მაღალია აქტივობა უფლის სასიკეთოდ აღსრულებულ საქმეთა (მაგ., ღვთივსათნო საქმიანობა, მცნებების დაცვა, უფლისა და მოყვასის სიყვარული და ა.შ.) მით მეტ წყალობას უნდა ველოდეთ უფლისაგან, ანუ მით მეტია საზღაურის მიღების ალბათობა. შეიძლება ითქვას პირიქითაც: რაც მეტად არაღვთივსათნოა ჩვენი ცხოვრება, და არაკეთილსინდისიერ, არაღვთისმოსაწონ საქმიანობას ვეწევით (მცნებების დარღვევა, ფარისევლობა, სიბილწე, უკეთურებანი, საზოგადოდ უფლის ღალატი, “მტერობა უფლისა”), მით მეტია ჩვენი „ცოდვიანობის კოეფიციენტი“.

შევეცადოთ ეს მოკრძალებული იდეები ავსახოთ გრაფიკულად (იხ. ნახ. 1): წარმოდგენილი (MM) მრუდი ვიზუალურად უკეთ გვიჩვენებს ამ სიდიდეთა პირდაპირი დამოკიდებულების ჰიპოთეზურ ვარიანტს. (მაგ., A წერტილში „წყალობის სიდიდე“ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე B წერტილში $P_1<P_2$) ანალოგიური მსჯელობით შეიძლება გამოვსახოთ უკუდამოკიდებულების ამსახველი მრუდი (ნახ. 2). რაც უფრო მცირდება უფლის სასიკეთოდ აღსრულებული საქმეები ($P_2^I<P_1^I$), მით მეტია „ცოდვიანობის სიდიდე“ ($a_1^I<b_1^I$). ამ დამოკიდებულებას NN მრუდი გამოსახავს.



ნახ. 1„წყალობის მრუდი“



ნახ. 2. „ცოდვიანობის მრუდი“

ამდენად, მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრება ცოდვა-მადლის შესაყარზეა. აქედან გამომდინარე, მისი ცხოვრების კონკრეტულ მომენტში რაღაც “მიწიერი წონასწორობა“ მყარდება ცოდვასა და წყალობას შორის, სანამ მისი სული იმიერში, უფლის სამსჯავროზე მოხვდება. ამ წონასწორობის გამოსახვა შესაძლებელია გრაფიკულად, თუკი პირველ მეოთხედში ავსახავთ დასახელებულ პროცესებს (იხ. ნახ. 3).

წარმოდგენილ მოდელში K წონასწორობის წერტილია, რაც ნიშნავს “წყალობისა“ და “ცოდვიანობის“ გაწონასწორებას, „ტოლობას“ დროის გარკვეულ მომენტში. თუმცა, შეიძლება მართლმადიდებელმა ქრისტიანმა ეს წონასწორობა მის სასიკეთოდ, ან საზიანოდ დაარღვიოს. ამით მრუდები სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილებიან. ამ წონასწორობაში სასურველი არე არის K წერტილის ზედა არე. აქ ვერტიკალური ღერძის შესაბამის ნებისმიერ პირობით წერტილში, ანუ უფლის სასიკეთოდ აღსრულებულ

„საქმეთა ფასის“ D წერტილის ზემოთ „წყალობის მნიშვნელობები“ მეტია „ცოდვის მნიშვნელობებზე“. ამიტომ ამ არეს ვუწოდოთ „ჭარბი წყალობის არე“. შესაბამისად K წერტილის ქვედა არე იქნება „წყალობის დეფიციტის“ (ან კიდევ, „ცოდვიანობის სიჭარბის“ არე).



ნახ. 3.



ნახ. 4. „წყალობის“ მრუდის გადაადგილება

ცხადია, წყალობის მიღების ძირითადი ფაქტორი უფლის სასიკეთოდ აღსრულებული საქმეებია, მაგრამ არსებობს რიგი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია წონასწორობის რღვევა მართლმადიდებელი ქრისტიანის სასიკეთოდ ან საზიანოდ. მაგალითად, ასეთი ფაქტორები „წყალობის გაზრდის“ მიმართულებით შეიძლება იყოს:

1) „ზეციური საზღაურის“ მისაღებად დახარჯული ძალისხმევის ცვლილება (გაზრდა ან შემცირება);
2) „საზღაურის“ მიღების მსურველთა რაოდენობის ცვლილება (გაზრდა ან შემცირება);
3) სხვა ფაქტორები.

დასახელებული ფაქტორების ზეგავლენით, „წყალობის მრუდი“ გადაინაცვლებს ზემოთ ან ქვემოთ. შესაბამისად, წყალობაც გაიზრდება ან შემცირდება (იხ. ნახ. 4.).

მაგალითად, თუკი მართლმადიდებელი გაზრდის “ზეციური საზღაურის” მისაღებად დახარჯულ ძალისხმევას, M_0M_0 გადაინაცვლებს ქვემოთ, M_1M_1-კენ, ანუ წყალობის სიდიდე გაიზრდება, ხოლო თუ ეს ძალისხმევა შემცირდება, მაშინ მრუდი ზემოთ, M_2M_2-ში გადაინაცვლებს და წყალობის სიდიდეც შემცირდება ($OA_3 < OA_1$). ანალოგიურად შეიძლება აღვწეროთ „ცოდვიანობის“ ცვლილებებიც (ნახ. 5.)



ნახ. 5. ცოდვიანობის ცვლილებები

ცოდვიანობის გაზრდა შეუძლია მაგალითად, მსოფლმხედველობის შეცვლას მართლმადიდებლობის სასიკეთოდ ან საზიანოდ (მწვალებლური კონფესიები, სექტები, სხვა სარწმუნოების მიღება და სხვა), საზოგადოების სიბილწისა და ავისქმედებისაკენ სწრაფვას და ა.შ.). თუ ასეთი ინდივიდების რაოდენობა გაიზარდა N_0N_0 მრუდი მარჯვნივ (ზემოთ) გადაადგილდება და ცოდვიანობა გაიზრდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შემცირდება ($OA_3^I > OA_1^I$).

უფლისმიერი განსაცდელის მოვლინებაც, რომლის შესახებ ნაწილობრივ ზემოთაც აღვნიშნეთ, ერთგვარი წანამძღვარია, წინაპირობაა ღვთის გზის შედგომისა, უფალთან მისვლა-მიახლოებისა, რწმენის განმტკიცებისა, უფლის მცნებებით ცხოვრებისა, კარგ მართლმადიდებლად ჩამოყალიბებისა. დაბრკოლებათა გადალახვა ექსტრასენსებით, შელოცვებით, იოგას ვარჯიშებით, სექტებში სიარულით და ეშმაკის მანქანებით კი არ ხდება, არამედ ლოცვით, მარხვითა და შრომით. ეშმაკი მოწოდებულია დაიპყროს „ღვთის ხატი და მსგავსი“, ცდილობს ათასგვარი მახეებისა და ბადეების დაგებას, რათა ადამიანთა სულები მაცდურ ბადეში გაახვიოს, იმ ბადეში, რომელიც მეოთხე საუკუნეში აღსრულებულმა ნეტარმა ანტონი დიდმა იხილა. ეშმაკი დღენიადაგ დაძრწის მართალ სულთა ხელში ჩასაგდებად. ამიტომ მოგვიწოდებს პეტრე მოციქული: “მღვიძარე იყვენით, რამეთუ წინა-მოსაჯული თქუენი ეშმაკი ვითარცა ლომი მყვირალი მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა“ (I პეტრე, 5:8).

ჭეშმარიტ ქრისტიანს ყოველთვის შეუძლია წამოდგეს დაცემის შემდეგ და უფლის გზით იაროს. ღადარინელთა ქვეყანაში ეშმაკეულის განკურნებისას და მისგან გამოსული ეშმაკის ღორების კოლტში დანთქმის შემდეგ ამ სასწაულის მხილველნი სინანულით კი არ აღივსენ, არამედ “ევედრებოდეს მას ყოველი იგი სიმრავლე გარემო სოფლებისა მის გადარინელთასა, რათა წარვიდეს მათგან, რამეთუ შიშითა დიდითა შეპყრობილ იყვნეს“ (ლუკ. 8:37). სწორედ თავიანთი ცოდვების მხილების შიშმა და ცოდვების მონანიების მზაობის არქონამ შეაძრწუნა ისინი.

ზოგიერთი ადამიანი, ვარდება რა ხიბლში ამპარტავნებით, მხოლოდ საკუთარ სიძლიერეს მიაწერს გარკვეულ წარმატებებს, მიღწევებს ან “კეთილ საქმეთა ქმნას“. რეალურად, კაცთაგან ქმნილი სიკეთე, მადლი, რა თქმა უნდა უფლისგანაა. ადამიანს მინიჭებული აქვს თავისუფალი ნება სიკეთის საკეთებლად: “რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულიაო“ - ბრძანებს რუსთაველი. რაოდენ დიდი ბედნიერებაა, როცა უფალი გვიბოძებს საშუალებას, სახსარს კეთილ საქმეთა საქმნელად - მთავარია ჩვენი კეთილი ნება და ეს საქმეები აღვასრულოთ. მიუხედავად ამისა, გაღებული ძალისხმევა და მადლი ჩვენვე შეგვერაცხება, არ გვეკარგება “ჩვენგან მიეთვლება“ შემოქმედს.

უფლისათვის მიუღებელია, ვინც არ ამრავლებს ტალანტებს (ლუკ. 19:11-27), არ იქმს კეთილ და ღვთივსათნო საქმეებს. თანაც დიდს დიდობით, პატარას კი პატარობით მოეკითხება. ვინც ტალანტების გამამრავლებელია მოიპოვებს ცათა სასუფეველს („ბატონის სიხარულს“), ვინც ფლავს მას (მტერნი უფლისანი), საშინელი სამსჯავრო ელის.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ვასრულებთ უფლის მცნებებს, რა ძალისხმევას მივმართავთ მისკენ - სულიერებით აღვსებულს, თუ გარეგნულს. მართლმადიდებელთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საკმარისია უფლის მცნებების შესრულება განსაკუთრებით საზოგადოებისათვის შესამჩნევად. ასეთი ადამიანი, რომელიც მოკლებულია სიმართლეს, ფარისევლის მსგავსია: "უკუეთუ არ აღემატოს სიმართლე თქუენი უფროის მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა" (მათ. 5:20). ასეთი ქრისტიანი ფარისევლის მსგავსად კიდევ უფრო შორდება უფალს.[1]

წარმატებული სულიერი ცხოვრება ერთგვარი საწინდარია მომავალი წარმატებისა. ღვთივსათნო ცხოვრების ჯილდოდ უფალი ცხრა ნეტარებას აწესებს. ადამიანის გულწრფელ და მონანულ თხოვნას უფალი ყოველთვის შეისმენს და იმდენს მიანიჭებს, რამდენსაც დაიტევს: "ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკდით და განგეღოს თქუნ. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს, და რომელი ეძიებდეს, პოოს, და რომელი ირეკდეს, განეღოს" (ლუკ. 11:9-10). თუმცა, ადამიანი ყოველთვის ვალშია უფალთან და მისი ცოდვები ვერასოდეს გადაწონის უფლის წყალობის იმედს.

ღვთის უზომო წყალობაა წმინდა ევქარისტიაც, როცა უფალი თავის სისხლსა და ხორცს გვიზიარებს. მართლმადიდებელმა უნდა იღვაწოს, ღვთივსათნოდ იცხოვროს და უფლის მოსაწონი საქმეები აკეთოს, რათა უსასყიდლოდ იქნას შეწყალებული.

უფალი ჩვენგან ყოველთვის ელის სიყვარულის გამოვლენას, რადგან ღმერთი თავად არის სიყვარული. ყველა ღვთივსათნო საქმე სიყვარულში გამოიხატება. ამიტომ, უფალი ჩვენი, რომელსაც არაფერი უნდა ჩვენგან, რადგან მიწიერი გაგებით, ყველაფერი გააჩნია, ჩვენი ცოდვილი სულებისაგან მხოლოდ სიყვარულის გამოვლინებას მოელის და სანაცვლოდ უზომო მოწყალებას გაიღებს.

Niko Chikhladze

Economic and Orthodox Aspects of "Measuring" the Grace and Mercy

Resume

Receiving the grace and mercy from the God is a great happiness for orthodox Christian. It always has been interesting question about whether our merit, virtuous works and activities are the preconditions for receiving the grace and mercy from the God. The problem of alternative between striving for the earthly comfort or spiritual food may really seem controversial to us.

The most important to the God is to do virtuous works. In his explanations to gospel about love and law-court, the Lord expresses his anger to those, who only with words follow him, but in reality do not observe the commandments of God. It's worth considering that virtuous works, efforts and striving precede the reward, grace and mercy that make them much more stable. The labor and efforts constitute a necessary condition of salvation, but not enough probably.

The paper dwells on the reflections and analysis, and there are studied some factors. Based on this, there is constructed the hypothesize model, which graphically shows the grace received from God, and interdependency between "doing sinful things" and "value of virtuous works". The reflection is conducted with an assumption "for equal other conditions" (Ceteris Paribus). There are constructed the creature models of the grace and mercy by means of diagrams that result in revealing the main economic parallel and making the relevant conclusions.

There is shown that life of orthodox Christian flows on the borderline between sin and mercy. Therefore, at a certain time in his life there is established a certain "creature equilibrium point" between sin and mercy, until his sole will attend Judgment Day. This equilibrium is shown graphically. The major factor of receiving the grace consists in virtuous works done in the name of God, but there are existed some factors, which can disturb this balance helpful or harmful to orthodox Christian.

God always expects a display of love from us, since God is love itself. All the virtuous works are expressed by love. Thus, our Lord, who wants nothing of us since in the conception we have on the Earth he has everything, expects only a display of love from our sinful souls, and then in return for this he will give us the boundless grace.

[1] ჩიხლაძე ნ., მებაჟის კონცეპტი წმინდა წერილში. ქუთაისის უნივერსიტეტი, 2011. გვ. 23-24.

მურმან ცეცხლაძე
ჟუჟუნა შაინიძე

რელიგიის, ეთიკისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი ასპექტი

დღეისათვის საკმაოდ ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ბაზრის უხილავი ხელი არ არის საკმარისი ეკონომიკური ცხოვრების მოსაწყობად. სამეცნიერო წრეებში საკმაოდ აქტუალურია საკითხი იმის შესახებ, რომ სამეურნეო სფეროში აუცილებელია დავუბრუნდეთ ეთიკურ საწყისებს.

ეთიკური ნორმების გარეშე იკარგება ნდობა სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში. მეტისმეტად იზრდება ტრანსაქციური ხარჯები. დღეისათვის საკმაოდ ბევრმა ეკონომიკურმა სუბიექტმა გადაწყვიტა ააგოს ეგრეთწოდებული "ნდობის ქსელი", რაც ასე მნიშვნელოვანია წარმატებული კონკურენციული ბრძოლისათვის.

ეთიკურ ასპექტებზე ყურადღება ეკონომიკის სფეროში განსაკუთრებით გამახვილდა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან. 1973 წელს მენეჯმენტისადმი მიძღვნილ დავოსის მესამე ფორუმზე განიხილეს **"ზნეობრივი პრინციპების კოდექსი საწარმოს ხელმძღვანელთათვის"** დოკუმენტი დაგვირგვინებულია თეზისით: **"თუმცა საწარმოს მოგება მნიშვნელოვანი რამ არის, მაგრამ იგი არ წარმოადგენს საბოლოო მიზანს საწარმოს ხელმძღვანელობისათვის"**[1].

1986 წელს ფრედერიკ ფილიპსის (ფილიპს ელექტრონიკის ყოფილი პრეზიდენტი) და ოლივიე ჟისკარ დ'ესტენის (ინსაიდის ვიცე-პრეზიდენტი) მიერ დაარსებულმა **კოქსის მრგვალი მაგიდის წევრებმა** მოამზადეს ბიზნესის პრინციპები. კოქსის დეკლარაცია აღიარებს **"მორალურ ღირებულებათა საჭიროებას ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისას, მათ გარეშე შეუძლებელია სტაბილური ეკონომიკური ურთიერთობანი და სიცოცხლისუნარიანი საერთაშორისო საზოგადოებრიობა"**[2].

1993 წელს მიღებულ იქნა **რელიგიათაშორისი დეკლარაცია, საერთაშორისო სამეწარმეო ეთიკის კოდექსი ქრისტიანთა, მუსლიმანთა და ებრაელთათვის**. დეკლარაციის ტექსტი შემუშავებულ იქნა ედინბურგის ჰერცოგ პრინც ფილიპის, იორდანიის ტახტის მემკვიდრე უფლისწულის ჰასან ბილ ტალალისა და სერ ეველინ დე როტშილდის პატრონაჟით[3].

ბოლო ორი დეკლარაციის თანახმად საწარმოს ამოცანაა არა მარტო მეპაიეთა მოგება, არამედ პასუხისმგებლობა აქციონერთა და ყველა აქტიორისათვის, ვისაც საკუთარი წვლილი შეაქვს წარმოებაში. ორივე დეკლარაციაში საკმაოდ ნათლადაა ჩამოყალიბებული საწარმოთა ვალდებულებანი თითოეული აქტიორის – **დასაქმებულთა, კლიენტების, მომმარაგებელთა, ფინანსისტთა, აგრეთვე, ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობებისა და ბოლოს საწარმოს მფლობელთა** მიმართ.

საგულისხმოა, რომ ეს ორი დეკლარაცია – საერო და სასულიერო, ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს.

აქ შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე უნივერსალური ღირებულება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება იუდაიზმში, ქრისტიანობასა და ისლამში:

– **სამართლიანობა: ქმნა მართლისა, წესიერება, ავტორიტეტის რეალიზაცია კანონის პატივისცემით;**
– **პატივის მიგება: ადამიანის მიერ სხვათა პატივისცემა;**
– **სანდოობა;**
– **წესიერება: სანდოობა ყოველ ადამიანურ ურთიერთობაში.**

მეორე მხრივ, ზოგიერთი მკვლევარი ეკონომიკაში ეთიკურ საწყისებზე დაბრუნების აუცილებლობას ხსნის იმით, რომ მსოფლიოში დადგა პოსტმოდერნული ეპოქა, და ამ ფაზას უნდა შეესაბამებოდეს თავისი ტიპის ეკონომიკა. ცნობილი დასავლეთევროპელი მკვლევარის **პ. კოზლოვსკის** აზრით, პოსტმოდერნის ეკონომიკური მეცნიერება – ეს ეთიკური ეკონომიკაა.

---

[1] იხ. კიუნგი ჰანს, მსოფლიო ზნეობა მსოფლიო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკისათვის, თბ., 2000.

[2] The Caux Round Table - Principles for Business, The Hague, 1994.

[3] An Interfaith Declaration: A Code of Ethics on International Business for Christians, Muslims and Jews, London. 1993.

სოციოლოგები დანიელ ბელი, ენტონი გიდენსი, ზიგმუნდ ბაუმანი მიაჩნევენ, რომ თანამედროვე მსოფლიო ჯერ კიდევ მაღალი მოდერნიზმის ეპოქაში ცხოვრობს. კერძოდ, **ე. გიდენსის** შეხედულებით, კაცობრიობა **"პოსტმოდერნის ეპოქაში შევა მხოლოდ მაშინ, როცა ფორმალურ რაციონალიზმს დაამარცხებს და ყოველდღიურობაში დააბრუნებს არამატერიალურ ღირებულებებს"**[1], ანუ აუცილებელია მორალურ-ეთიკური ფასეულობების წინა პლანზე წამოწევა.

ამერიკელი სოციოლოგი **პიტირინ სოროკინი** გამოყოფს სამი ტიპის კულტურულ ზესისტემას[2]:

1. **იდეაციურს** – ზეგონიერს და ზეგრძნობადს, რომლის მიხედვითაც ერთადერთი ჭეშმარიტება ღმერთია. ცხოვრების უმაღლესი მიზანია ღმერთთან ერთიანობისაკენ მისწრაფება; დამოკიდებულება გრძნობადი სამყაროს, მისი მრავალფეროვნების მიმართ უარყოფითი ან გულგრილია. ამ ტიპის კულტურას მიაკუთვნებს შუა საუკუნეების ევროპულ, ბრაჰმანულ, ბუდისტურ, დაოისტურ, ძვ.წ. VIII-VII სს-ის ბერძნულ კულტურებს.

2. **იდეალისტურს** – შუალედურს იდეაციურსა და გრძნობადს სისტემებს შორის. იგი ორიენტირებულია როგორც ზეცაზე, ასევე მიწაზე. ამოსავალია ის, რომ ობიექტური რეალობა ნაწილობრივ ზეგრძნობადია, ნაწილობრივ – გრძნობადი. ამ ტიპს მკვლევარი მიაკუთვნებს ძვ.წ. V-IV სს-ის ბერძნულ და XIII-XIV სს-ის დასავლეთევროპულ კულტურებს.

3. **გრძნობადს** – ეს უკვე თანამედროვე კულტურაა. მისთვის ამოსავალია ის, რომ ობიექტური რეალობა გრძნობადია. მხოლოდ მას აქვს აზრი, რასაც ჩვენი გრძნობათა ორგანოებით ვხედავთ, ვისმენთ, შევიგრძნობთ და აღვიქვამთ. ეს კულტურა ცდილობს გათავისუფლდეს რელიგიის, მორალის და იდეაციური კულტურის სხვა ფასეულობებისაგან. იგი ორიენტირებულია ამქვეყნიურ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. გრძნობადი კულტურის ფორმირება იწყება XVI ს-ში და აპოგეას აღწევს XX ს-ის შუა წლებში.

პ. სოროკინის აზრით, XX ს-ში გრძნობადმა კულტურამ ამოწურა თავისი პოტენციალი. მისი გადარჩენა აღარაფერს შეუძლია.პ უკვე ისახება **ახალი, დიდი იდეაციური** კულტურა, რომელიც ემყარება ალტრუისტული სიყვარულისა და სოლიდარობის ეთიკურ ფასეულობებს.

თუ გავითვალისწინებთ სამყაროს განვითარების სპირალისებურ მოდელს, შეუძლებელია არ დავეთანხმოთ პ. სოროკინს.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური საქმიანობის და მთლიანად ეკონომიკის სტრუქტურის რელიგიური თვალთახედვით განხილვისას, რელიგიური ტექსტები და რელიგიურ მოღვაწეთა რეკომენდაციები უნდა გამოვიყენოთ როგორც ეთიკური ნორმების კრებული და სწორედ ამ კუთხით უნდა აისახოს იგი ეკონომიკურ თეორიაში.

უფრო დეტალურ ანალიზს ამ საკითხის შესახებ გვაძლევს ინდოელი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი **ამარტია სენი**. ის ამბობს, რომ დებულება ადამიანის ეგოისტური ქცევის შესახებ საკმაოდ დიდხანს იყო პოპულარული, რამაც დაამუხრუჭა მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირების გამოკვლევა. სენის აზრით რაციონალური ეგოიზმი ვერ გვაახლოებს ადამიანის რეალურ ქცევასთან და არც ეკონომიკა მიჰყავს ოპტიმალურ მდგომარეობამდე. თავის შეხედულებას იგი ამყარებს იაპონიის მაგალითით, სადაც მოვალეობაზე, ლოიალობასა და თავისუფალ ნებაზე დაფუძნებულმა ქცევამ მოგვცა ინდივიდუალური და ჯგუფური ეფექტურობის მაღალი დონე[3].

ეკონომიკაზე ეთიკურად ორიენტირებული შეხედულებების ტრადიცია, ადამიანის მოტივაციის ფაქტორთა გაფართოებული ანალიზი, მისი მიზნების განხილვა, სათავეს **არისტოტელეს** (ძვ.წ.აღ-ით 384-322 წწ.) მოძღვრებიდან იღებს. ნორმატიული ეკონომიკა, რომელიც რეალურ მოდელს კი არ აღწერს, არამედ აღწერს თუ როგორი უნდა იყოს რეალობა, უარყოფილ იქნა, როგორც არაპროდუქტიული. წინ წამოიწია "ინჟინრული" და "ტექნიკაზე ორიენტირებული" მიდგომა. ადამიანი გამოდის როგორც აბსოლუტურად "რაციონალური ეგოისტი", რომელიც ესწრაფვის სარგებლიანობის მათემატიკურ მაქსიმიზაციას და

---

[1] Giddens, Anthony (1982) Sociology: a Brief but Critical Introduction. 1990, London : Macmillan el. bibl. 1990; mis. http://www.amazon.co.uk/Sociology-AnthonyGiddens/dp/074563379X. p. 65

[2] Сорокин П.А. Человек. Цивилизасия. Обшество. – М.: Политиздат. 1992. Ст. 251-262.

[3] Сен А. Об этике и экономике. М.: Наука, 1996.

შეუძლია ეფექტური მუშაობა შეზღუდული რესურსების, ინფორმაციისა და ყურადღების პირობებში. სხვა ყველა ფაქტორი განიხილება, როგორც ექსტერნალია (ცალკე მდგომი) ან უცნობი ეგზოგენური ცვლილებები, რომლებიც უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენენ მოდელების შედეგიანობაზე.

თანამედროვე ეტაპზე კი მეცნიერება, რომელიც თავს აცხადებს როგორც ეთიკურად ნეიტრალურს, ეკონომიკური ანალიზისას უფრო მეტად და მეტად იხრება ეთიკური ფაქტორების მნიშვნელობის აღიარებისაკენ. ძირითადი აზრი თეორეტიკოსებისა, რომლებიც ეთიკას მიმართავენ. ის არის, რომ პასუხი გასცენ კითხვას: ეგოისტური ქცევა, როგორც ეკონომიკური ანალიზის წინაპირობა, მართლა იძლევა ეფექტური მოდელის აგების საშუალებას? ასეთი გამოკვლევა აუცილებელია მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია სხვა, არაეკონომიკური ფაქტორებიც. თუკი კეთილდღეობის თეორიაში ანტიეთიკურ მიდგომას მივყავართ სარგებლიანობის პიროვნებათაშორისი შედარების უარყოფისაკენ, მაშინ შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად რჩება პარეტოსეული ოპტიმალურობის კრიტერიუმი. მაგრამ, ა.სენი ამას სოციალური მიღწევების შეფასებისათვის არასაკმარისად მიიჩნევს.

ეკონომიკური მეცნიერების სოციოეკონომიკური (ჰუმანიტარული) მიმართულება გამოდის ადამიანის ეკონომიკური მოდელის გაფართოებისა და მორალური, ფსიქოლოგიური, სოციალური ფაქტორების გათვალისწინების მომხრედ. ამ მიმართულების ფუძემდებელი ამერიკელი თეორეტიკოსი **ამიტაი ეტციონი**[1], ახასიათებს სუბიექტის მოტივაციას მინიმუმ ორი მიზნისათვის: პირველი – **პირადი სიამოვნება,** მეორე – **მორალური ვალი**. ასე რომ, მიზნები შეიძლება ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ მორწმუნე ადამიანს სწორედ მორალური ვალის აღსრულება ანიჭებს უდიდეს სიამოვნებას, **"ვინაიდან სიხარულით გამცემი უყვარს ღმერთს"**[2].

ეკონომიკური თეორიის განვითარების ტენდენციამ მიგვიყვანა მოვლენასთან, რომელმაც მიიღო "ეკონომიკური იმპერიალიზმის" სახელწოდება, რადგან ეკონომიკური მეთოდები ნოვატორული აღმოჩნდა აგრეთვე სოციალური მოვლენების კვლევისას.

"ეკონომიკური იმპერიალიზმის" სკოლის დამაარსებელი **გ. ს. ბეიკერი** სტატიაში **"ეკონომიკური მიდგომა და ადამიანთა ქცევები"**[3], გვთავაზობს თამამ ჰიპოთეზას. მისი აზრით, თითქმის ყოველი ადამიანის სიკვდილი თვითმკვლელობას წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ იგი შეიძლება გადავადებულიყო, თუ მოხდებოდა უფრო მეტი რესურსების ინვესტირება სიცოცხლის გასახანგრძლივებლად. ესე იგი, ზოგჯერ ადამიანები სწირავენ სიცოცხლის ხანგრძლივობას სხვადასხვა მიზანს, რომელთა მიღწევაც მათ სურთ. ადამიანი ხდება ნარკომანი, მწეველი, ალკოჰოლიკი იმ შემთხვევაში, თუ სიცოცხლის ის ნაწილი, რომელსაც სწირავს, მისთვის არასაკმარისად ფასეულია. ამის გამო იგი უარს არ ამბობს მავნე პროდუქტების მიღებაზე ან არ მისდევს სპორტს და ა.შ. ამ კონტექსტში იკარგება განსხვავება "თვითმკვლელობასა" და "ბუნებრივ სიკვდილს შორის". ასე რომ, რელიგიის მხრიდან თვითმკვლელებისადმი მორალური გაკიცხვა ფართო გაგებით თითქმის ყველა ადამიანს ეხება.

გ. ს. ბეიკერმა უარყო ამჟამინდელი არჩევანის წარსულში მიღებულ არჩევანზე დამოუკიდებლობის ნეოკლასიკური წინაპირობა, რითაც გარდატეხა მოახდინა ადრე არარაციონალურად მიჩნეულ (თუ არ ჩავთვლით ავსტრიულ რაციონალურობის თეორიას) ტრადიციულ-ჩვეულებითი ქმედების შეფასებაში.

გ. ს. ბეიკერის მიხედვით ჩვეულებითი ქცევა – ისეთი ქცევაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია დადებითი დამოკიდებულება წარსულ და მიმდინარე მოხმარებას შორის. ასეთ "სიკეთეებს" ეკონომიკურ თეორიაში უწოდებენ ურთიერთშემავსებლებს. ტრადიციული ქცევაა – ჩვევები, მგრძნობიარობა მოხმარებით არჩევანზე, რომელიც გაკეთებულია შორეულ წარსულში.

მავნე ჩვევებისათვის დამახასიათებელია ის, რომ კეთილდღეობის მიმდინარე მოხმარების ზრდა უარყოფითად მოქმედებს მომავალ სარგებლიანობაზე (ლოთობა – ჯანმრთელობაზე). ასე რომ, ადამიანები, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ მავნე ჩვევებისადმი, ნაკლებად ფიქრობენ მომავალზე. შესაბამისად, სასარგებლო ჩვევები დადებითად მოქმედებს მომავალ სარგებლიანობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ

---

[1] Этциони Амитаи. От империи к сообществу: новый подход к международным отношениям. Ладомир, 2004.

[2] ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბ., 2009. (II კორ. 9, 7).

[3] Becker G.S. The Economic Approach to Human Behavior. Chicago: The University of Chicago Press, 1976.

ადამიანები თავიანთ დღევანდელ საქმიანობაში აფასებენ მომავლის ეფექტს. ასეთ „სასარგებლო ჩვევას“ მიაკუთვნებს ბეიკერი რელიგიურობასაც.

ემპირიული მონაცემებით ირკვევა, რომ მავნე ჩვევებს აყოლილი ადამიანები უფრო დანაშაულისაკენ არიან მიდრეკილი (ეს შეიძლება განვავრცოთ ეკონომიკის სფეროზეც: კონკურენტების არაკეთილსინდისიერი გზით ბაზრიდან განდევნა, აღრიცხვა-ანგარიშგების გაყალბება, გადასახადებზე თავის არიდება და ა.შ.), ხოლო რელიგიური ადამიანები — კანონმორჩილებისაკენ.

რელიგიური ცხოვრების წესი ეკონომიკური წარმატების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია. ეს ბევრადაა დაკავშირებული საიქიო ცხოვრების რწმენასთან, რაც აიძულებს ადამიანებს უფრო ზომიერად და მკაცრად აღასრულონ თავიანთი სააქაო არჩევანი. ეთიკური ორიენტაციის თვალსაზრისით ეკონომიკურ საქმიანობაში ეკონომიკური სუბიექტების რელიგიურობა ხელს უწყობს ბიზნესის გამჭვირვალობას, პატიოსან პარტნიორობას და ა.შ.

გ. ს. ბეიკერი რელიგიაზე მსჯელობისას განხილავს ალტრუისტულ და ეგოისტურ ქცევებთან დაკავშირებულ საკითხებს ოჯახური ეკონომიკის თეორიის კონტექსტით, თუმცა, შეიძლება იგი განვავრცოთ ყველა ეკონომიკურ აგენტზე. მისი აზრით, ალტრუისტები მაქსიმალურს ხდიან საკუთარ სარგებლიანობას სხვა ადამიანების სარგებლიანობის მაქსიმიზაციით. ურწმუნო მშობლებსაც შეიძლება დაჰყავდეთ შვილები ეკლესიაში, თუკი ისინი დარწმუნებული არიან, რომ ეს მათზე კეთილისმყოფელ ზეგავლენას მოახდენს. სტატისტიკის მიხედვით ბევრი მშობელი წყვეტს ეკლესიაში სიარულს მას შემდეგ, როცა შვილები იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას.

ეგოისტი მშობლები ფიქრობენ, რომ მოხუცებულობისას მათ დასჭირდებათ შვილების დახმარება. ისინი შვილებს ზრდიან ალტრუისტებად ან მათში აყალიბებენ სათნოებას. აქ გ. ს. ბეიკერი აკეთებს სახელმწიფო პოლიტიკისათვის მნიშვნელოვან დასკვნას: თუკი სახელმწიფო თავისთავზე აიღებს მოხუცების უზრუნველყოფის ხარჯების დიდ ნაწილს, ეგოისტი მშობლები შვილებისადმი უფრო ნაკლებკეთილმოსურნეები გახდებიან, რადგან მათ აღარ ექნებათ სტიმული სიბერეში დასაყრდენის სახით.

ოჯახის წევრთა სიყვარული და ალტრუიზმი საფრთხეებისაგან დაცვის საუკეთესო გარანტიაა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამ დროს ოჯახის წევრები უძლიერებენ სათნოებას იმათ, რომლებიც სხვების დახმარებაზე უარს ამბობენ. როცა ალტრუიზმი არასაკმარისია, რაც ხშირად გვხვდება, მის შემცვლელად გამოდის ის, რასაც ჩვენ სოციალურ ნორმებს ვუწოდებთ. ეს აიძულებს ყველას, დაეხმარონ ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც ამას საჭიროებენ. სოციალურ ნორმებს, სათნოებასა და სხვა მექანიზმებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეამსუბუქონ დაცვისა და ინვესტიციების ნაკლებობა. მათ შეუძლიათ ეგოისტ მშობლებს აიძულონ ინვესტირება, ხოლო ეგოისტ შვილებს — მზრუნველობა.

ეს ოჯახური პრინციპები რელიგიურ საზოგადოებებში რეგულირდება რელიგიური კანონებით. ანუ გარკვეული რელიგიის ჩარჩოებში ჩამოყალიბებული მორალური მოვალეობა ეკონომიკური აგენტის მოტივაციისა და ქცევის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

დღეისათვის ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეკონომიკის საფუძველია კაპიტალი. ამიტომ კაპიტალის ტიპი განსაზღვრავს ეკონომიკის ტიპსაც. ამასთან, მთელი ეკონომიკური განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ყოველი ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელია კაპიტალის თავისი, განსაკუთრებული ტიპი, რომელიც გარკვეულწილად დამოკიდებულია რომელიმე კულტურულ-რელიგიურ ტრადიციაზე. მაგალითად, ვაჭრობის განვითარებისათვის ფინანსური ოპერაციების აუცილებლობის გამო იუდეური ეთიკა ნებას იძლეოდა, აეღოთ სესხზე პროცენტი სხვა რელიგიის მიმდევრებისაგან, რამაც განაპირობა იუდეური საპროცენტო კაპიტალის წარმოშობა.

ინდუსტრიულმა ეპოქამ მოითხოვა ახალი ტიპის კაპიტალი. პროტესტანტულმა ეთიკამ მისცა ამ ტიპს გარკვეული რელიგიური დასაბუთება. შედეგად წარმოიქმნა სამრეწველო პროტესტანტული კაპიტალი. ამასთან, ახალი ტიპის კაპიტალმა გადაჭრით კი არ უკუაგდო ძველი, არამედ შეძლო თავისებურად გარდაექმნა ის და საბანკო ინსტიტუტის დახმარებით ჩაერთო ინდუსტრიულ ეკონომიკაში.

დღეისათვის ჩვენ მოწმე ვართ ახალი, პოსტინდუსტრიული კაპიტალის დაბადებისა, რომელიც ასევე უნდა განსხვავდებოდეს ინდუსტრიულისაგან ფორმითაც და შინაარსითაც.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რა უნდა დაედოს საფუძვლად ასეთ კაპიტალს? იქნება ეს რაიმე რელიგიურ-კულტურული ტრადიცია, თუ ეს იქნება რაიმე იდეოლოგია, მარქსიზმის მსგავსი თავისი კომუნიზმის მშენელობის ეთიკით?

ამჟამად დასავლეთში განვითარებადი ეთიკური ეკონომიკის მომხრეები იხრებიან იქეთკენ, რომ ეკონომიკა უნდა დაუბრუნდეს ქრისტიანულ ეთიკას, უფრო სწორად, პროტესტანტიზმს.

მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებებიც. მაგალითად, ისლამის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ სწორედ ამ რელიგიის ეთიკური პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად კაპიტალის გამოყენების ახალ წესებს. კერძოდ, ყურანი კრძალავს სესხზე პროცენტს. ამ აკრძალვაზე შესაბამისი თეორიაც კია შექმნილი.

მაგალითად, მუსლიმანი სწავლულები იმოწმებენ რა იმ ფაქტს, რომ ქრისტეს დაბადების დღეს ბანკში ერთი პენის წლიური 4 პროცენტით დაბანდების შემთხვევაში 1750 წელს შესაძლებელი იყო დედამიწის წონის ოქროს ბურთის ყიდვა, აკეთებენ დასკვნას, რომ ხანგრძლივ პერსპექტივაში პროცენტის გადახდა, როგორც მათემატიკურად, ისე პრაქტიკულად შეუძლებელია, რაც ამტკიცებს სასესხო პროცენტის ბიწიერებას.

მაგრამ ისლამი კრძალავს კაპიტალის უსიცოცხლობასაც. სიმდიდრის მფლობელმა სიმდიდრე უნდა გამოიყენოს გულმოდგინედ საერთო კეთილდღეობის ასამაღლებლად. ამიტომ ისლამური ბანკები ორიენტირებულია არა ფინანსური ოპერაციების რეფორმირებაზე დასავლური გაგებით, არამედ საქმიან მონაწილეობაზე.

გარდა ამისა, ისლამურ ქვეყნებში ბიზნესის გადასახადები მინიმალურია. მაგალითად, ძირითადი გადასახადი – "ზაქათი" – შეადგენს არაუმეტეს 5 პროცენტს. თანამედროვე პირობებში კი სახელმწიფოებს შორის ძირითადი კონკურენცია სწორედ გადასახადების სფეროშია. ამიტომ გლობალური ეკონომიკის პირობებში უპირატესობით სარგებლობენ ის ქვეყნები, რომლებიც ისლამური წარმოების წესს მისდევენ.

ასე რომ, როგორი რელიგიურ-ეთიკური საყრდენი დაედება საფუძვლად პოსტინდუსტრიულ კაპიტალიზმს – ეს საკითხი დღეისათვის საკამათოა.

რაც შეეხება მეურნეობრიობის მართლმადიდებლურ ეთიკას, მაზე სოციალური მოთხოვნა, ზოგიერთ ქვეყანაში კი პოლიტიკური შეკვეთაც არსებობს. მაგალითად, რუსი ხალხის მერვე მსოფლიო კრებამ ამის თაობაზე 2004 წელს სპეციალური დოკუმენტიც კი მიიღო - **"ზნეობრივი წესებისა და ნორმების კრებული მეურნეობრიობაში"**, მაგრამ ეს პრაქტიკაში ძნელად ხორციელდება. ზოგიერთი მოაზროვნე ამას იმით ხსნის, რომ მართლმადიდებლობა არ არის ორიენტირებული მსოფლიოს ეკონომიკურ ათვისებაზე. რადგან ძველ დროში, როცა არსებობდა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სიმფონიის პრინციპი, ამ სიმფონიურ ერთიანობაში ეკლესია პასუხისმგებელი იყო მეწარმის ეთიკური ნორმების შემუშავებაზე, ხოლო ხელისუფლება თვალყურს ადევნებდა ამ ეთიკური ნორმების რეალიზაციას.

ზოგიერთი მართლმადიდებელი ავტორის აზრით თანამდეროვე ეტაპზე ეკლესიამ არა მხოლოდ უნდა აღზარდოს მართლმადიდებელი მეწარმეები, არამედ იგი სახელმწიფოსთან ერთად უნდა მონაწილეობდეს შესაბამისი "ნდობის ქსელის" შექმნაში (ისტორიულად ასეთი "ნდობის ქსელი" არსებობდა ვაჭრის პატიოსანი სიტყვის ინსტრუმენტის სახით). სახელმწიფომაც თავის მხრივ უფრო კონკრეტულად უნდა იზრუნოს ქვეყნის ბიზნესაზოგადოების ეთიკურ ნორმებზე და რეალური დახმარება აღმოუჩინოს კლეთილსინდისიერ მეწარმეებს.

საქართველოში ბატონყმობის გადავარდნისა და კაპიტალიზმის ჩასახვის საწყისი ეტაპიდანვე ქართველმა მამულიშვილებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ქართული ეკონომიკის განვითარების მომავალს. როგორც ცნობილია, წმ. ილია მართალმა (ჭავჭავაძე) სიცოცხლის ბოლო ოცი წლის განმავლობაში მთელი თავისი ენერგია ქართულ ეკონომიკაზე ფიქრსა და ზრუნვას შეალია.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურნიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეკონომიკურ პრობლემებს. ამ მხრივ აღსანიშნავია წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) პიროვნება, რომელიც წმ. ილია მართლის სიტყვებით **"სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა"**[1]. მას მნიშვნელოვანი

[1] ჩიხლაძე ნ. ეკონომიკა და მართლმადიდებლური სწავლება. თბ., 2009. გვ. 112.

შეხედულებები აქვს ჩამოყალიბებული შრომის, მომჭირნეობის, ქველმოქმედების, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ.

როგორც ცნობილია, წმინდა გაბრიელი თავადაც კარგი მეურნე იყო. იგი ბევრს ფიქრობდა იმდროინდელი საქართველოს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე და გულისტკივილით აღნიშნავდა: **„ჩვენ ცუდად ვცხოვრობთ იმისათვის, რომ ცუდად ვლოცულობთ; გარნა მეორე მხრით, ცუდად ვლოცულობთ მისთვის, რომ ცუდი ცხოვრება გვაქვს“.**[1]

ქართველი ერის სულიერი მამა, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, თავის ეპისტოლეებსა და ქადაგებებში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ეკონომიკას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას (2003 წლის 27 მაისს) პატრიარქმა ხაზგასმით აღნიშნა: **“საზოგადოების განვითარების პროცესში აუცილებლად უნდა ვიფიქროთ ეკონომიკაზე“.**[2]

ამასთან, უწმინდესი გვმოძღვრავს, რომ უმთავრესი მაინც სულია: **“ეკლესია და რწმენა, როგორც ამას წერენ და ზოგჯერ ხმამაღლა აცხადებენ, სრულიადაც არ კრძალავს ზრუნვას ეკონომიკურსა და მატერიალურ საკითხებზე, მაგრამ იგი გვასწავლის, რომ მთავარი სულია... სანამ ადამიანი სხეულით ცოცხლობს, მისთვის ორივე საზრდო საჭირო და აუცილებელია – ხორციელიც და სულიერიც, ოღონდ უპირველეს ყოვლისა სულიერი“**[3].

და ეს იმიტომ, რომ: **“ადამიანები... უფრო ხშირად მხოლოდ მიწიერი სიბრძნით ცხოვრობენ და ამიტომაც ვერ აღწევენ ჭეშმარიტ ბედნიერებას. ისინი ეძებენ ბედნიერებას მოჩვენებითს, ფუჭს, წარმავალს, რომელსაც მუდამ თან სდევს უბედურება“**[4].

Murman Tsetskhladze
Jujuna Shainidze

Some Aspects of Interdependence of Religion, Ethics and Economy

Resume

The model of “rational egoist”, predominated until today, does not fully reflect current processes in economics. New, postindustrial era is coming, which demands comprehending fundamental theses of economics in a new manner. Interdisciplinary method of approach towards economics becomes necessary, in the implementation of which ethic and religious initials play important role or the epoch of ethical economics is coming. On the necessity of it talk not only economists, but also sociologists, undertakers, psychologists and representatives of other fields, directly or indirectly connected with economics.

In the conditions of ethical economics motivation of human behavior should be based on in-depth truth, which is expressed in divine intention of human’s destination and essence. For this to happen, it is necessary for economic theory to break narrow branch frames even more boldly and involve in its research process other human related fields even more actively. Fundamental theses of ethical economics should be based on religious roots, eternal initials of human’s destination. In our opinion, such theses reflect truth even more and economics based on them also will be more stable and successful.

On which religion’s ethical principles must be based a new rule of capital usage, it is proceeding to be the subject of discussion, but one is clear: evolutional model of development does not imply total denial of the old. It is, in fact, new stage of developing the old.

Roots of fundamental principles of Georgian economic development model should be searched in Georgian traditions, orthodox confession and rule of life. Also we should successfully use achievements of representatives of other peoples and confessions, if they do not contradict fundamental orthodox principles. As St. Augustine teaches us – “We should not detest good, even if it is said by pagans**”.**

---

1 ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსისა გაბრიელისა. ტ.II. ქუთაისი. 1989.

2 „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ“. შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი. თბ., 2004, გვ. 265.

3 „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ“ შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი. თბ., 2004, გვ. 56.

4 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საახალწლო ეპისტოლე. 1987.

ზაქარია წითლაური

მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოს საპატრიარქოს სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიაში

დღეისათვის, ქვეყნის წინსვლისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარების გზების დასახვა და პრაქტიკული რეალიზაცია.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პერსპექტივების შესახებ ფუნდამენტური მოსაზრებები გადმოცემულია პატრიარქის 2008/2009 წლის საშობაო ეპისტოლეში, რომელშიც ნათქვამია შემდეგი: "სისტემური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით დასავლეთმა კურსი ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო სექტორის შედარებით გაძლიერებაზე აიღო, რაც თავისუფალი ბაზრიდან უფრო რეგულირებად ბაზარზე გადასვლას გულისხმობს და, ბუნებრივია, ცალკეული სახელმწიფო ეფექტური მართვის საკუთარი მექანიზმის ძიებას დაიწყებს. **ჩვენც უნდა გამოვნახოთ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზები. როგორც ამ დარგის სპეციალისტები ამბობენ, აუცილებელია, საშუალო და მცირე საწარმოთა დონეზე, მართვის სწორ სისტემაზე დაყრდნობით, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგის სწრაფი განვითარება".**[1]

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით ყაზბეგის რაიონი გამოცხადდა ცალკე საეპისკოპოსოდ და ეწოდა მას სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია. **იმავე წლის 20 ოქტომბერს ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისადმი მიმართვაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღნიშნავდა:** "სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსმა სამღვდელოებასთან და მთელ მოსახლეობასთან ერთად ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ კვლავაც საიმედოდ იყოს დაცული ჩვენი საზღვრები და მიწა-წყალი, ჩვენი კულტურა, ჩვენი ენა, ეკლესია, ჩვენი სულიერი და მატერიალური ფასეულობანი. სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსმა უნდა იზრუნოს არა მარტო იმისათვის, რომ ყოველ სოფელში აღესრულოს წირვა-ლოცვა და ამაღლდეს განათლების დონე, არამედ იმისთვისაც, რომ ამუშავდეს წარმოებები, მოსახლეობას ჰქონდეს სამუშაო ადგილები, ხელი შეეწყოს მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით მრავალშვილიანი ოჯახებისა, რომ მოსახლეობა მტკიცედ დამკვიდრდეს ხევში. გამოვთქვამ იმედს, რომ ხევის ხელმძღვანელობა და ადგილობრივი მკვიდრნი მხარში ამოუდგებიან სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსს, რათა ეს რაიონი იქცეს საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ და ძლიერ კუთხედ".[2]

აქედან მოყოლებული, სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ყოფილი და ახლანდელი მმართველების მიტროპოლიტ პეტრეს (ცაავა) და მთავარეპისკოპოს იეგუდიელის (ტაბატაძე) მიერ პატრიარქის ლოცვა-კურთხევის გულმოდგინე შესრულების შედეგად რეგიონში დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის განვითარებას.

მეურნეობის განვითარებაში მონაწილეობას ღებულობენ ეპარქიაში მოქმედი სხვადასხვა მონასტრის მამები, დედები, მორჩილები, მრევლი.

მეცხოველეობა (მსხვილფეხარქოსანი პირუტყვი და მეცხვარეობა) მთაში უმნიშვნელოვანესი ტრადიციული დარგია, რომელსაც აქვს მთის მოსახლეობისათვის სოციალურ-ეკონომიკური პირობების შენარჩუნება-გაუმჯობესების დანიშნულება.

ხევში ძირითადად განვითარებული იყო მეცხვარეობა, რომელსაც მოხევეთა 70%-სათვის მნიშვნელოვანი შემოსავალი მოჰქონდა. ყველა ოჯახს ჰყავდა საშუალოდ 2 სული მსხვილფეხარქოსანი პირუტ-

---

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2008/2009 წლის საშობაო ეპისტოლე. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი". 2009, №1, გვ. 5-6.

[2] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მიმართვა ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისადმი. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი". 2002, №44, გვ. 2-3.

ყვი და 30-50 სული ცხვარი. XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მთაში შეაღწია მესათბურეობამ, რომელმაც შეასუსტა მეცხვარეობის და მესაქონლეობის პოზიციები.[1]

ამასთან, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მეცხვარეობამ დაკარგა განვითარების ძირითადი წყარო – რუსეთის ტერიტორიის, დაღესტნის (ყიზლარის) ზამთრის საძოვრები, სადაც ყაზბეგის რაიონს ჰქონდა 103,0 ათ. ჰა. ყიზლარში გამოსაზამთრებლად ყოველწლიურად გადადიოდა ყაზბეგის რაიონის 200-250 ათასი სული ცხვარი. სულ საქართველოდან ყიზლარში იზამთრებდა 600-700 ათასი სული ცხვარი.

1992 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობის მიერ ზამთრის საძოვარი ყაზბეგის რაიონს მიეცა მხოლოდ 19,0 ათასი ჰა, ანუ მანამდე მის მფლობელობაში არსებული საძოვრის 19%. ამავე წელს გამოსაზამთრებლად კახეთისა და იაღლუჯის ზამთრის საზოვრებზე ხევიდან წამოვიდა 125,0 ათასამდე სული ცხვარი. ყიზლარის საზოვრებზე თუ 1 ჰა-ზე ზამთრობდა 2-2,5 სული ცხვარი, ქვეყანაში გამოყოფილ საძოვრებზე 1 ჰა-ზე უნდა გამოეზამთრებინა 6-7 სულ ცხვარს.

მეცხვარეობისადმი ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობის გულგრილმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ამ მნიშვნელოვანი დარგის განადგურება და ყაზბეგის რაიონში მეცხვარეობა თითქმის მოისპო.

ბოლო პერიოდში ბუნებრივ აირზე შეღავათების გაუქმების კვალობაზე ხევში მოისპო სათბურები. მოხევეებმა დაიწყეს დაბრუნება ცხვრისა და მსხვილფეხა პირუტყვის მოშენების ტრადიციის აღდგენა. **ხელისუფლება შეპირდა ხევის მოსახლეობას მეცხოველეობის განვითარებისათვის დამატებითი ზამთრის საძოვრების გადაცემას კახეთის და იაღლუჯის მასივებზე, რაც, სამწუხაროდ, არ განხორციელებულა.**

ზამთრის საძოვრების შემცირების უმთავრესი მიზეზი არის ის კორუფციული და განუკითხაობის ფონი, რომელიც არსებობდა ქვეყანაში. ადგილობრივ რეგიონებში ზამთრის საძოვრების უკანონოდ მთხოვნელთა ასევე უკანონო დაკმაყოფილება ხდებოდა ყაზბეგის რაიონისათვის გადაცემული საძოვრების ხარჯზე. საძოვრებს ართმევდენ ყაზბეგის რაიონს მისთვის მეცხვარეობისათვის გამოყოფილი ფართობებიდან და გადასცემდნენ სხვადასხვა თანამდებობის პირებს.

2009 წლის მონაცემებით სტეფანწმიდის (ყაზბეგის) მუნიციპალიტეტს ჰქონდა მთავრობის მიერ გამოყოფილი ზამთრის საძოვრები 3,0 ათასამდე ჰა, რომელზეც იზამთრებდა 10,0 ათასამდე სული ცხვარი.

დღეისათვის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ქვეყნის ხელისუფლებისათვის უნდა იყოს მეცხოველეობის ტრადიციული დარგის, მეცხვარეობის აღდგენა-განვითარების ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, რეგიონის კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას დაუდებს საფუძველს.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, ისინი თანამშრომლობენ ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ და ახორციელებენ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივ პროგრამებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, რომ ხელისუფლების მიერ ხევის რეგიონისათვის ადრე გამოყოფილი, აგრეთვე უახლოეს მომავალში საჭირო, დამატებით გამოძებნილი ზამთრის საძოვრები (სულ 20 ათასი ჰა) გადაეცეს საქართველოს საპატრიარქოს (სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიისათვის), რითაც, ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობის საფუძველზე, ხელი შეეწყობა სოფლის მეურნეობის და, კერძოდ, მეცხვარეობის, განვითარებას.

საქართველოში ზამთრის საძოვრები საკმარისადაა, საჭიროა მხოლოდ მათი დადგენა-გამოვლენა, რისთვისაც აუცილებელია სათანადო ინვენტარიზაციის ჩატარება, რაც გასული საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ ქვეყანაში არ მომხდარა.

მთლიანობაში, საჭიროდ და შესაძლებლად მიგვაჩნია საქართველოს საპატრიარქოს სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიისათვის გადაეცეს ზამთრის საძოვარი 20,0 ათასი ჰა, სადაც ნორმალურად გამოიზამთრებს 60-70 ათასი სული ცხვარი, რაც საშუალებას მისცემს მოხევეთა თითოეულ ოჯახს იყოლიოს

---

[1] ამ სტატიაში ჩვენ მიერ გამოყენებულია სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს საპტრიარქოს სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის შესაბამისი მასალები.

30-50 სული ცხვარი.[1] **ეს კი ხელს შეუწყობს მეცხოველეობის განვითარების კვალობაზე შექმნილ და მომიჯნავე დარგების საწარმოებში მოსახლეობის დასაქმებას და ხევის სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას.**

მთაში მეცხოველეობის განვითარებას და ამით მოსახლეობის დასაქმება-შენარჩუნებას მიზანმიმართულად უნდა შეუწყოს ხელი ქვეყნის ხელისუფლებამ, ადგილობრივმა თვითმმართველობამ და საქართველოს ეკლესიამ.

ხევში მეცხოველეობის განვითარების ერთობლივ პროგრამას საფუძვლად უნდა დაედოს:

- ხევის რეგიონის კუთვნილი ზამთრის საძოვრების და დამატებითი ფართობების გადაცემა საქართველოს საპატრიარქოსათვის;
- სახელმწიფოს დახმარების საფუძველზე პირუტყვის გამოსაკვებად საკვები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა-განმტკიცება, როგორც ადგილობრივად, ხევში, ისე ზამთრის საძოვრებზე;
- მეცხოველეობაში მთავრობის სუბსიდიებისა და მიზნობრივი, უპროცენტო ან შეღავათიანი საბანკო სესხების გამოყოფა ხევის მოსახლეობისა და მეწარმეებისათვის;
- მოსახლეობის დასაქმება მეცხოველეობის განვითარების კვალობაზე შექმნილ და მომიჯნავე დარგების საწარმოებში;
- ერთობლივი მუშაობა ხევის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამის შემუშავება-განხორციელებისათვის.

საქართველოს საპატრიარქოს სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიისათვის გადაცემული ზამთრის საძოვრებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ისარგებლებს ადგილობრივი მოსახლეობა, რითაც ხელი შეეწყობა მეცხვარეობის განვითარებას, მცირე ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებას, შესაბამისი და მომიჯნავე დარგების საწარმოების შექმნას, მოსახლეობის დასაქმება-შენარჩუნებასა და, მთლიანობაში, ხევის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ძირეულ გაუმჯობესებას.

ბიბლიაში ფართოდ არის ასახული მეცხოველეობა.[2] **ისრაელში ცხვარი წმინდა ცხოველად ითვლებოდა და მისი ხორცი იჭმებოდა** – "ეს ცხოველებია, რომელთა ჭამა შეგიძლია: ხარი, ცხვარი და თხა" (რჯლ. 14,4).

ცხვარს დიდი სარგებლობა მოაქვს და იგი ოდითგან ემსახურება ადამიანს. ამასთან, ცხვარი პატრიარქების სიმდიდრე იყო – "აბელმაც მიართვა თავისი ფარის ნათავარი და რჩეული პირუტყვი. მოჰხედა უფალმა აბელს და მის ძღვენს" (დაბ. 4,4); "ლოტსაც, რომელიც აბრამთან ერთად მგზავრობდა, ჰყავდა ცხვარ-ძროხა და ჰქონდა კარვები. ვერ იტევდა მათ ის ქვეყანა ერთად საცხოვრებლად, რადგან დიდძალი ქონება ჰქონდათ და არ შეეძლოთ ერთად ცხოვრება. პდიდად აკურთხა უფალმა ჩემი პატრონი და განდიდდა იგი, მისცა მას ცხვარ-ძროხა, ოქრო-ვერცხლი, ყმები და მხევლები, აქლემები და სახედრები; პჰყავდა ცხვრის ფარა, ნახირი და ჰქონდა უამრავი სახნავ-სათესი, და შეშურდათ მისი ფილისტიმელებს" (დაბ. 13,5-6; 24,35; 26,14).

შინაური პირუტყვი ბევრი იყო კედარში და ნაბეოთში – "არაბები და კედარის ყველა მთავარი შენთან ვაჭრობდნენ; სანაცვლოდ ბატკნებს, ცხვრებსა და თხებს გიგზავნიდნენ" (ეზეკ. 27,21); **მისი ხორცი და რძე საკვებად გამოიყენებოდა** – "მაგრამ, აჰა, ლხინი და სიხარულია, ხარების ჟლეტა და ცხვრების ხოცვა, ხორცის ჭამა და ღვინის სმა. ვჭამოთ და ვსვათო, ხვალ მაინც დავიხოცებითო" (ეს. 22,13); „არ დააყოვნა აბიგაილმა, აიღო ორასი პური, ორი ტიკი ღვინო, ხუთი გამზადებული ცხვარი, ხუთი სეა ქუმელი, ასი მტევანი ჩამიჩი, ორასი ტყლაპი და აჰკიდა ვირებს" (1 მეფ. 25,18). **მისი ტყავისაგან დამზადდა კარვის სახურავი** – "გაუკეთა გადასაფარებელს გადასახურავი დათრიმლული ტყავების-

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლის დეკემბერში საქართველოს საპატრიარქომ თხოვნით მიმართა ხელისუფლებას, სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიისათვის 20 ათასი ჰა ზამთრის საძოვრების გადაცემის შესახებ, რაც, დაპირების მიუხედავად, არ დაკმაყოფილებულა.

[2] სოფლის მეურნეობის ბიბლიური საფუძვლების შესახებ გაშლილად იხილეთ წიგნში: მღვდელი ბასილი (ახვლედიანი), გ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. თბილისი, 2009, გვ. 108-152.

გან და ზემოდან გადასახურავი თახაშის ტყავებისგან“ (გამ. 36,19). **მატყლისაგან ამზადებდნენ ქსოვილს** – „ქონს ჭამთ, მატყლით იმოსებით, ნასუქალს ხოცავთ, ცხვარს კი არ მწყემსავთ!“ (ეზეკ. 34,3).

ცხვარს პატრონის ოჯახის წევრები და მსახურები მწყემსავდნენ. მცველებად კი ძაღლები ჰყავდათ. მათ ბაკებში კვებავდნენ, ასევე აძოვებდნენ ნოყიერ საძოვრებზე მთებში და მინდვრებში. ფარა ხშირ შემთხვევაში მთელ საძოვარს ავსებდა. შუადღეზე ცხვარს ასვენებდნენ. – “უთხრა: ხომ მშვიდობითაა? მიუგეს: მშვიდობითაა. აგერ, რახელიც, მისი ასული, ცხვარს მოჰყვება. უთხრა: ჯერ ხომ არ გასულა დღე, ადრეა საქონლის თავმოყრა; დაარწყულეთ ცხვარი, წაასხით და აძოვეთ. უთხრეს: ვერ წავალთ, ვიდრე მთლიანად არ შეიყრება ფარა და ამ ლოდს არ გადმოაგორებენ ჭის პირიდან. მხოლოდ მაშინ დავარწყულებთ ცხვარს“ (დაბ. 29,6-8). **პირველნაშობს არ კრეჭდნენ. პირველნაშობთა მეათედი ნაწილი ლევიტელთათვის უნდა მიეცათ, ხოლო პირველი ნაპარსი – მღვდელთათვის.**

სოფლის მეურნეობას, და კერძოდ, მეცხოველეობას დიდ ყურადღებას აქცევს ახალი აღთქმის მოძღვრება და მართლმადიდებელი ეკლესია.

ცნობილია, რომ წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელი მწყემსი იყო. იგი მთელ თავის სახსრებს შეჭირვებულ ახლობლებსა და მწირებს ახმარდა, რისთვისაც უფალმა სასწაულთქმედების ნიჭი მიმადლა.[1]

მღვდელმთავარი სიყვარულით ზრუნავდა თავის სამწყსოზე. მისი ლოცვებით გვალვას განმაცხოველებელი წვიმა ცვლიდა, გადაუღებელი წვიმების შემდეგ კი ცა იწმინდებოდა, სნეულები იკურნებოდნენ, ეშმაკები განიდევნებოდნენ.

ნეტარს ჩვევად ჰქონდა, რომ აღებული მოსავლის ნაწილი გლახაკებისთვის დაერიგებინა, ნაწილი კი - სესხად გაეცა. მღვდელმთავარი პირადად არაფერს იძლეოდა, მხოლოდ მიანიშნებდა ხოლმე ბეღლისაკენ, სადაც ყველას შეეძლო აეღო, რამდენიც სურდა, შემდეგ კი, ამგვარადვე, ზედამხედველობის გარეშე, დაებრუნებინა.

ერთხელ ქურდებს წმიდა სპირიდონის ცხვრების მოპარვა განუზრახავთ და ბნელ ღამეში ფარეხში გადაპარულან, მაგრამ უჩინარ ძალას ისინი იქვე შეუბოჭავს. დილით მეუფე ფარასთან მისულა, ავაზაკები გაუთავისუფლებია და დაურწმუნებია დაეგდოთ უსჯულო ცხოვრება და საზრდელი პატიოსანი შრომით მოეპოვებინათ. ბოლოს კი ორივესთვის თითო ცხვარი უჩუქნია.

მეუფის ასეთი ქმედება ნათლად მიგვანიშნებს, რომ იგი თვით უფლის მიერ არის დადგენილი ზეციური და მიწიერი საწყისების სინერგიული განვითარებისათვის, ერის სულიერი და მატერიალური სიძლიერის აღორძინება-განმტკიცებისათვის: “ცნობაი საღმრთოი გაქუნდა შენ, რაჟამს მწყემსი უსიტყურთა ცხოვართა ნებითა მწყემსთმთავრისა მის ქრისტესითა გამორჩეულ იქმენ მწყსად პირმეტყველთა მათ ცხოვართა და მართალნი ყოველნი, გულისხმისმყოფელნი შენნი, ვითარცა მწყემსისა სახიერისანი, დაუძინებელად მოღუაწისა ცხოვართათვის მინდობილთა მას ზედა, გიგალობენ შენ“.[2]

აქედან გამომდინარე, ჩვენი ცხოვრების სულიერ-ხორციელი სიჯანსაღისათვის, მატერიალური სიდუხჭირის დაძლევისათვის, მთელ საქართველოსა და მ.შ. ხევში სოფლის მეურნეობისა და მეცხვარეობის აღორძინებისათვის თხოვნით მივმართოთ წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელს: „ჰოი ყოვლადნეტარო მღუდელთმთავარო სპირიდონ, სათნო ქრისტესო და უდიდებულესო სასწაულთმოქმედო; ანგელოსთა თანა წარდგომილ ხარ წინაშე საყდრისა ღმრთისა, გარდამოიხილე მოწყალითა თუალითა ერსა შენსა ზედა, მვედრებელისა ყოვლადძლიერისა შეწევნისა შენისაგთა; ევედრე კეთილნაწლეობასა მოწყალისა ღმრთისასა, რაგთა არა დაგვსაჯოს ჩუენ უსჯულოებათაებრ ჩუენთა, არამედ მოგუაგოს ჩუენ მოწყალებისაებრ თვისისა, ითხოვე ჩუენთვის ქრისტესაგან ღმრთისა ჩუენისა ცხოვრებაგ მშვიდობითი და უშფოთველი, სიმრთელეგ სულთა და ხორცთა ჩუენთა, კეთილნაყოფიერებაგ ქუეყანისა და უხუებითა და კეთილდღეობითა აცხოვნენ ყოველნი, მოგუმადლენ ჩუენ ძალი, რაგთა არა ბოროტად გარდავაქციოთ ყოველი კეთილად მოვლინებული ჩუენდა ღმრთისა მიერ, არამედ ვყოთ იგინი დიდებად მისა და სიქადულად მეოხებისა შენისა“.[3]

---

[1] წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელის ცხოვრებისა და მის მიმართ ლოცვების შესახებ იხ.: http://www.orthodoxy.ge/tveni/dekemberi/12-spiridon.htm

[2] დაუჯდომელი საგალობელი წმიდისა მღუდელმთავრისა სპირიდონისა-ტრიმიფუნტელი საკვირველთმოქმედისა. იკოსი 2.

[3] იქვე, ლოცვა 2

Zakaria Tsitlauri

Perspectives Cattle-Breeding Development in the Stepantsminda and Khevi Eparchy of the Patriarchate of Georgia

Resume

As a result of accomplishing Patriarch's blessings by the former and current rulers of Stepantsminda and Khevi eparchy Metropolitan Petre (Tsaava) and Archibishop Jegudiel (Tabatadze) development of agriculture has been given great attention.

Today, one of the primary goals of the country's government should be the contribution to the renewal and development of sheep breeeding which is the traditional branch of cattle breeding. This will in turn underline the improvement of the complex social and economic conditions of the region.

It will be expedient if the winter pastures as already allocated for the Khevi region by the government as well as additional ones (20 000 hectares as a whole) are given to the Patriarchate of Georgia. This will contribute to the development of agriculture and sheep breeding in particular on the base of cooperation with the local people.

Winter pastures given to the Stepantsminda and Khevi eparchy of the Patriarchate of Georgia will be used by the local farmers according to the agreement that will contribute to the development of sheep breeding, formation of small farms, creation of enterprises of corresponding and adjacent fields, employment and preservation of population and sound improvement of overal social and economic conditions in Khevi.

იზოლდა ჯილაძე

რწმენის გავლენა აღრიცხვის ობიექტურობის ხარისხზე

ეკონომიკაში დასაქმებული ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი ყოველდღიურად მრავალ გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც მათ ხელთ არსებული მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების უკეთ გამოყენების საკითხებს შეეხება. კომპანიები თავიანთი მიზნების მისაღწევად იზოლირებულად ვერასოდეს ვარაფერს აღწევენ. მათ სჭირდებათ მრავალი ტიპის ურთიერთობა დაამყარონ ერთმანეთთან. იმისათვის, რომ კომპანიის ხელმძღვანელობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღოს, თუ რომელ სუბიექტთან დაიწყოს საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობები, მან სათანადო ინფორმაციის ანალიზი უნდა ჩაატაროს, რათა შეაფასოს, რამდენად სარისკო იქნება ამ ურთიერთობების დაწყება.

საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკური ინფორმაციით გარე მომხმარებლების უზრუნველყოფის მიზნით, ყველა იურიდიული პირი ვალდებულია გამოაქვეყნოს ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოცემული საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მომგებიანობის სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ სურათს წარმოადგენს.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია შეფასდეს, რამდენად შეუძლია საწარმოს დაფაროს მისი ვალდებულებები, რამდენად აქტიურია მისი ბიზნესი, მომგებიანად იყენებს თუ არა ხელმძღვანელობა მასზე მინდობილ რესურსებს, დროულად იხდის თუ არა იგი სავალდებულო გადასახადებს, რამდენად რისკიანია ბიზნესი და როგორ მონაწილეობს საწარმო სოციალური პროგრამების განხორციელებაში. ამ შეფასებების სისწორე ცხადია მოითხოვს ობიექტურ ინფორმაციას საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შესახებ.

ამდენად, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საიმედოობის შესახებ მეტად მაღალი მოთხოვნა არსებობს და მისი მომზადება მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. ამიტომ, ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით, ფინანსურ ანგარიშგებაში გადმოცემული ინფორმაცია უნდა იყოს არსებითი ხასიათის, ობიექტური, სრული, სამართლიანი და ადვილად აღქმადი.

ფინანსური ანგარიშგება, როგორც წესი, წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურების დამამთავრებელ ეტაპს, მისი მუშაობის გვირგვინს. ამდენად, ფინანსური ანგარიშგების ობიექტურობის ხარისხი, შეიძლება ითქვას, აღრიცხვის მუშაკების ხელშია. დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ ბუღალტრების, აუდიტორების და ხელმძღვანელობის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული საწარმოთა სააღრიცხვო ინფორმაციის ობიექტურობის ხარისხი და შესაბამისად, ამ ინფორმაციის საფუძვლეზე მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე. ეს უკანასკნელი კი ჯაჭვური რექციით, მთელი ეკონომიკის მასშტაბით ვრცელდება.

გარდა გარეთ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციისა, საწარმოს მენეჯმენტს შიგა მართვისათვის სჭირდება უამრავი ტიპის შიგა სააღრიცხვო ინფორმაცია, რათა ეფექტიანად მართოს ბიზნესი. კერძოდ, ბუღალტრის ხელში იმყოფება პირველადი მონაცემები მასალების შესყიდვისა და ხარჯვის მიმართულებების, შრომითი ხარჯების, მმართველობითი ხარჯების, ფულადი და საანგარიშსწორებო ურთიერთობების, ძირითადი საშუალებების მდგომარეობის, საქონლის შესყიდვებისა და სხვათა შესახებ. საკმარისია მან, რომელიმე რიცხობრივი მონაცემი გააყალბოს, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგებზე და მის იმიჯზე. მართალია საწარმოებში არსებობს შიდა კონტროლის სისტემები, მაგრამ, აღრიცხვის მუშაკის წინაშე ძალიან დიდია ცდუნება იმისა, რომ პირადი გამორჩენის მიზნით ან ხელმძღვანელობისა და მესაკუთრეების ზეწოლის შედეგად, ფაქტები დაამახინჯოს. სამწუხაროდ, საწარმოში ინფორმაციის გაყალბების ყველაზე მაღალი რისკები ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებაში არსებობს.ნებისმიერი **კომპანიის მართვის სიტემაში, პირველი რგოლი, რომელზეც დგას ინფორმაციის ობიექტურობის დაცვის მაღალი ზნეობრივი პასუხისმგებლობის სიმძიმის ცენტრი, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტია**.

სწორედ ასეთი მაღალი პასუხისმგებლობების არსებობის გამო, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში ძირითადი აქცენტი ეთიკის ნორმების დაცვაზეა გაკეთებული. აგრეთვე, შემუშავებულია ბუღალტრის ეთიკის კოდექსი. საწარმოს ეფექტური მართვის სისტემაში ბუღალტრის პროფესიონალიზმს მისი კეთილსინდისიერების გარეშე თითქმის ნულოვანი მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტიც, **არაკეთილსინდისიერი ბუღალტერი მით უფრო საშიშია, რაც უფრო მაღალი დონის პროფესიონალია იგი**. მიუხედავად მრავალი საკანონმდებლო სანქციებისა, ადამიანები სამწუხაროდ მაინც არღვევენ კანონებსა და ეთიკის ნორმებს.

აღრიცხვის მუშაკების საქმიანობაში მთელი ძალით დგას ადამიანისა და სინდისის მიმართების საკითხი. როგორიცაა ეს მიმართება ადამიანში, შესაბამისად იქცევა იგი. **აღრიცხვის მუშაკს უნდა გააჩნდეს დიდი შინაგანი ძალა, რომ სძლიოს ცდუნებებს და წინააღმდეგობა გაუწიოს ხელმძღვანელობისა და მესაკუთრეების ზეწოლას, გააყალბოს "ზოგი რამ"**.

ადამიანის ქცევის წესებსა და ნორმებს მისი მორალი ანუ ზნეობა აყალიბებს. მორალი განსაზღვრავს პიროვნების დამოკიდებულებას სხვა ადამიანებთან: ოჯახთან, სახელმწიფოსთან, საზოგადოებასთან, თანამშრომლებთან. **ქცევები სამსახურებრივი მოვალეობების დროს, არის ადამიანის მორალური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი, მით უფრო, რომ დასაქმებული პირი მისი დროის ნახევარზე მეტს სამსახურში ატარებს**.

ზნეობის საფუძველია სიკეთე ადამიანში და ბოროტების გამორიცხვა. ბოროტების მიზეზი არის ადამიანის ეგოცენტრული მისწრაფებები. ზნეობრივ ქცევას ადამიანს კარნახობს შინაგანი ხმა – სინდისი. სინდისის ხმა არის ღმერთის ხმა ადამიანში – აცხადებენ წმიდა მამები. ამიტომ, ადამიანის კეთილსინდისიერების ხარისხს ღმერთთან სიახლოვე განსაზღვრავს. **ღმერთი არის ადამიანის ყველაზნეობრივი სწრაფვის იდეალი. ეს უზენაესი ძალა უდევს საფუძვლად ადამიანის მთელ მორალურ ცხოვრებას. სწორედ ღვთის რწმენა აძლევს ადამიანს შინაგან ძალას, სძლიოს ყოველგვარ ცდუნებას**.

აღრიცხვის მუშაკმა (და არა მხოლოდ აღრიცხვის მუშაკმა), რომელიც რწმენაშია, იცის, რომ ღმერთვისთის სულ ერთი არაა, როგორ იშრომებს იგი. წმიდა წიგნში ვკითხულობთ: **"ყველაფერს რასაც აკეთებთ, აკეთეთ როგორც ღვთისათვის და არა როგორც კაცთათვის"** (კოლ. 3.23).

მაგრამ, თანამედროვე მსოფლიოსა და მათ შორის საქართველოში, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც არა მხოლოდ ღმერთის არსებობას აყენებენ ეჭვქვეშ, უფრო მეტიც, შემდეგ კითხვებს სვამენ: რატომ უნდა ვიბრძოდე სიმართლისათვის? რატომ უნდა ვდარდობდე სხვაზე? საიდან უნდა ვიცოდე, რა სურს ღმერთს? ხოლო ზოგიერთი ფიქრობს: დიახ, ღმერთი არსებობს, მაგრამ ეს მე არ მეხება. შემიძლია ღმერთის გარეშეც თავისუფლად ვცხოვრობდე და ა.შ.

მსგავსი კითხვები და სხვადასხვა უკანონო ქცევები ადასტურებს იმის აუცილებლობას, რომ თანამედროვე ტექნიკის ეპოქაში ადამიანებს სჭირდებათ უფრო მეტი ცოდნა ღმერთის შესახებ. წინამდებარე სტატიაში ჩვენი მიზანია, მოკლედ გადმოვცეთ, თუ რა ძირითადი მტკიცებულებები არსებობს ღმერთის შესახებ, რომელიც ადამიანებს მტკიცე რწმენის საფუძვლებს უქმნის და ზნეობრივ ცხოვრებას ავალდებულებს.

ღმერთისთვის, რომელმაც საოცარი სიყვარულით და სიბრძნით შექმნა სამყარო, მეტად მნიშვნელოვანია, როგორ იცხოვრებს ადამიანი. ეს რომ მართლაც ასეა, დასტურდება იმ მრავალი შეგონებებით, რომელიც უხვადაა ძველ და ახალ აღთქმაში და წმიდა მამების ცხოვრებაში. ამას აგრეთვე ნათლად ადასტურებს თვით ღმერთის განკაცება ქრისტეს სახით და ყოველწლიურად, აღდგომის წინა შაბათს, ღვთიური ცეცხლის ნათება ქრისტეს საფლავზე.

მოვიყვანთ რამდენიმე შეგონებას წმიდა წიგნიდან: ცოდნით იყოლიეთ ღმერთი (რომ. 1.28); ათი მცნება (გამ. 20.1-17); ყველა საქმეში შენი აღსასრული გაიხსენე და არასოდეს ჩაიდენ ცოდვას (ზირ. 7.36); აზრთა სხვადასხვაობაც უნდა იყოს თქვენში, რათა გამოჩნდეს მოსაწონი თქვენს შორის (1 კორ. 11.19) და ა.შ..

ცოდნით იყოლიეთ ღმერთი – აი ის მთავარი გასაღები, რაც ჰაერივით სჭირდება თანამედროვე კოსმოსური ეპოქის ადამიანებს. შემოქმედი მთელ ხილულ სამყაროში ამჟღავნებს თავის თავს. დღეისათვის უკვე დიდი მეცნიერული ცოდნაა დაგროვილი ღმერთის შესახებ. დღეს მეცნიერებისათვის უკვე საეჭვო აღარაა ის ფაქტი, რომ სამყარო საგნების მექანიკური ერთობლიობა კი არა, დიადი ნააზრევია. **ნიუტონი წერდა:** მხოლოდ მცირე ცოდნა გვაშორებს ღვთისაგნ, დიდ ცოდნას კი კვლავ ღვთისაკენ მივყავართ.

ჰეგელი ღმერთს აბსოლუტურ გონს უწოდებს. გონის სუბსტანცია არის თავისუფლება, მაგრამ **ბუნებაში თავისუფლება კი არ ბატონობს, არამედ აუცილებლობა** – წერს იგი. მისი აზრით, ღმერთის უპირველესი, სავსებით მარტივი განსაზღვრება არის „მე“. გონის ანუ ღმერთის გარკვეულობა არის მისი მანიფესტაცია (გამოცხადება) უამრავ „მე-დ“. გონი არ კარგავს თავის თავს ამ სხვაში. პირიქით, თავისთავს ინახავს და ანამდვილებს ამ სხვაში. გონი სხვაში აცხადებს თავისთავს, თავის საკუთარ ბუნებას. ქრისტიანობა თვალსაჩინო მაგალითია ამისა, აღნიშნავს ჰეგელი. ღმერთმა თავისთავი ძის, ქრისტეს სახეში გამოაცხადა. ღმერთმა ამით თავისთავში განსხვავებულობა წარმოშვა, თავი გაისასრულა.მაგრამ თვით ამ განსხვავებულობაში თავისთავთანვე რჩება, ძეში თავისთავს ჭვრეტს და აბსოლუტურ გონად რჩება. ამრიგად, ძე მხოლოდ გამოცხადების ორგანო კი არაა, არამედ, ამ გამოცხადების შინაარსია[1]. ეს შინაარსი კი უმაღლესი სიკეთე, წესრიგი და სიყვარულია.

პითაგორა წერს (ძვ.წ. VI საუკუნე): ღმერთი არის სამყაროს სული. ღმერთი ერთია, მაგრამ სამყაროს გარეთ როდი იმყოფება. იგი სამყაროშია. მართავს ყოველივეს. იგი არის გონი, სული და მოძრაობა. ხოლო **სპინოზა** წერს: ყველა იდეა იმდენადაა ჭეშმარიტი, რამდენადაც იგი დაკავშირებულია ღმერთთან.

ფ. ფრანკი (XX საუკუნის ამერიკელი ფილოსოფოსი) წერს: ყოველგვარი მეცნიერული პროგრესი ეს არის პროგრესი იმის შემეცნებაში, თუ როგორ მართავს სამყაროს ღმერთი.

ჯ. ჯინსი (XX საუკუნის ინგლისელი ფიზიკოსი) წერს: ჩვენს დროში შეინიშნება ფართო თანხმობა ფიზიკოსებში იმასთან დაკავშირებით, რომ შემეცნების ნაკადი მიემართება არამექანიკური რეალობის შეცნობისაკენ. სამყარო დღეს უფრო დიად ნააზრევს ჩამოჰგავს, ვიდრე უზარმაზარ მანქანას. სული აღარ არის შემთხვევითი სტუმარი მატერიის საუფლოში. პირიქით, უნდა მივესალმოთ მას, როგორც შემქნელს და განმგებელს მატერიის საუფლოისას.

ფრანგი ფილოსოფოსი **ს. უსიტა წერს**: მალე მოხდება საზეიმო შერიგება ორი დამდურებული დისა: რწმენისა და მეცნიერებისა.

XX საუკუნის სამოციან წლებში ფიზიკოსმა **პიტერ ჰიგსმა** წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ უნდა არსებობდეს რაღაც იდუმალი ნაწილაკი, რომელიც წარმოშობს მატერიას და სამყაროში ქმნის წესრიგს. რამდენიმე ათეული წლების კვლევების შემდეგ, 2012 წელს, მეცნიერებმა მართლაც აღმოაჩინეს ეს ნაწილაკი, რომელსაც "ღვთიური ნაწილაკი" შეარქვეს. აღსანიშანვია ის ფაქტი, რომ ამ აღმოჩენაში ქართველმა მეცნიერებმაც დიდი წვლილი შეიტანეს.

"ღვთიური ნაწილაკი" წამის უმცირეს დროში წარმოიშობა და ქრება. მას თავად მასა არ გააჩნია, მაგრამ სხვა "რაღაც უსხეულოს" - აძლევს მასას ე.ი. ქმნის მატერიას. მეცნიერები თვლიან, რომ იგი არის სამყაროს მოწყობის ბოლო კომპონენტი. რომ არა ეს "ღვთიური ნაწილაკი", არ იარსებებდა მთელი ხილული სამყარო და თვით ადამიანი. ხოლო, - დნმ – არ არის მიწიერი წარმონაქმნი[2]. მაშასადამე, "ღვთიური ნაწილაკი" არამატერიალურია ანუ სულია, ანუ წმინდა აზროვნებაა, ანუ ჰეგელის სიტყვით, "აბსოლუტური გონია". რადგან იგი მასას ქმნის, მას ძალაც გააჩნია და მართლმადიდებლური მრწამსით, შეიძლება ვთქვათ, რომ იგი "წმიდა სამებაა". **შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს მეცნიერული აღმოჩენა აგრეთვე, ღვთის რწმენის აუცილებლობას ადასტურებს**.

ამრიგად, სკეპტიკოსების დრო თანდათან მიდის. ღმერთმა თავისი არსებობის შესახებ მრავალი ნიშანი მისცა ადამიანებს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. დღეიდან კი, კაცობრიობის "მოქცევას" უფლის

---

[1] ჰეგელი, გონის ფილოსოფია, თარგმანი გერმანულიდან, თბ., 1984, გვ: 32-33.

[2] google.ge: „ღვთიური ნაწილაკი".

მოციქულების სახარებასთან ერთად, მეცნიერული აღმოჩენებიც დაეხმარება, რომელიც მომავალში მრავალ სასწაულებრივ აღმოჩენებს მოახდენს. ბიბლიაში ვკითხულობთ: **„რაც მეტს გამოიძიებ, ხშირად გაოცდები“** (3 ეზრ. 4.26).

ახალი მეცნიერული კვლევები თანამედროვე ადამიანებს დაეხმარება გაძლიერდეს რწმენაში და ყოველგვარი ცდუნებების დაძლევა რთული აღარ იქნება მისთვის. სამყარო უუსრულყოფილესი წესრიგია და ეს ადამაინებს ზნეობრივ ცხოვრებას და შრომას ავალდებულებს. ადამიანი უნდა იყოს შეურიგებელი ბოროტების ყოველი გამოვლინების: სიცრუის, ძალადობის და უზნეობის მიმართ.

ღვთის მოშიში ადამიანი მუდამ გრძნობს უფლის არსებობას და ახლა, ამ უახლესი აღმოჩენების შემდეგ, ჩემში კიდევ უფრო ცხადად გაისმის იმ "ღვთიური ნაწილაკის" ხმა: **„თქვენ თავისუფლებისათვის ხართ მოწოდებულნი, ოღონდ ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად** (გალ. 5.16); **გახსოვდეთ, თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით“** (1 კორ. 6.19). ეს შეგონებანი, ერთი შეხედვით უწყინარი, მაგრამ, ძალიან მკაცრი გაფრთხილებებია. ყოველი ადამიანი ღმერთის ნაწილია და, როცა ადამიანი ივიწყებს მისი მომავლინებლის ნებას და ემონება არა სულიწმიდას, არამედ საკუთარ ეგოისტურ მისწრაფებებსა და ხორციელ ვნებებს, იგი ამით ამსხვრევს ღვთიურ წესრიგს თავისთავში, თვით იმზადებს სასჯელს და სამუდამოდ კვდება ღმერთისთვის.

ამრიგად, მომავლის ადამიანი, შეიარაღებული უახლესი ცოდნით ღმერთის შესახებ, გარდუვალად მორწმუნე უნდა იყოს, ოღონდ, ფანატიზმის გარეშე. ადამიანი მთელი თავისი ცხოვრებით და შრომით უნდა აღიარებდეს ღვთიურ ზნეობას, რათა თავიდან აიცილოს მარადიული სასჯელი. "რწმენა **საქმის გარეშე მკვდარია“ - გვასწავლის უზენაესი** (იაკ. 2.17). ამ შეგონების თანახმად, ადამიანი ყოველ მის საქმიანობაში უფლის მოსაწონად უნდა იქცეოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანს ხშირად ავიწყდება სხვებზე ზრუნავდეს, განგების მიერ ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ როცა ადამიანი თავისი მიზნების მისაღწევად შრომობს, იმავდროულად სხვისთვისაც შრომობს, სურს თუ არა ეს მას. მაგალითად, პურის მცხობელი პურს აცხობს იმიტომ, რომ მისი გაყიდვით შემოსავალი მიიღოს და ამით, მისდაუნებურად აკმაყოფილებს სხვების მოთხოვნას პურზე. ერთი პირის შრომის შედეგი, მეორე პირის მოხმარების საგანი ხდება. ამ ხილულკავშირს უხილავი ღვთიური კავშირის ძალაც თან დაჰყვება. ამიტომ გვაფრთხილებს სამყაროს შემოქმედი: **"რასაც აკეთებთ, აკეთეთ როგორც ღმერთისთვის და არა როგორც კაცთათვის“** (კოლ. 3.23).

გვჯერა, რომ უახლესი მეცნიერული აღმოჩენები სულ უფრო დაეხმარება კაცობრიობას მეტად მტკიცე გახდეს რწმენაში. ადამიანი შეძლებს უფრო სრულად და რეალურად გაიაზროს ღმერთის არსი, მიუახლოვდეს მას. როცა თანამედროვე ადამიანები, რომელი რელიგიური მიმართულების მიმდევარნიც არ უნდა იყვნენ ისინი, სამყაროს შემქნელისა და მისი პრინციპების შესახებ მეცნიერული ცოდნით აღიჭურვებიან, მაშინ ისინი ვერასოდეს იცრუებენ და არ დაარღვევენ ეთიკურ ნორმებს.

ღმერთის შესახებ ცოდნით აღჭურვილი მორწმუნე მუშაკი, რომელმაც იცის რომ მასში იმყოფება იდუმალი "ღვთიური ნაწილაკი", რომელიც მუდამ „თვალს ადევნებს" მისი ცხოვრების წესს, მუდამ თან დაჰყვება და იმახსოვრებს მის ყველა ნაბიჯს და რომ, ღვთიური სამსჯავრო გარდაუვალია, იგი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდება მასზე მინდობილ ყველა საქმეს. არასოდეს არ გააყალბებს არანაირ ინფორმაციას. არასოდეს ხელს არ მოაწერს ყალბ ფინანსურ ანგარიშგებას, არ მიითვისებს სხვის ქონებას. ასეთი მუშაკის მიერ მომზადებული სააღრიცხვო ინფორმაცია იქნება ჭეშმარიტად ობიექტური, სრული და დროული. მასზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებები კი რეალურ სიკეთეს მოუტანს ცალკეულ მოქალაქეს, საზოგადოებას და მთელ სახელმწიფოს.ამდენად, უფლის რწმენა ადამიანში, არსებით გავლენას ახდენს სააღრიცხვო ინფორმაციის ობიექტურობის ხარისხზე.

ამრიგად, რაც უფრო სრულქმნილი ხდება ადამიანის გონება, მით უფრო უახლოვდება ღმერთს. ხოლო, ღმერთისკენ მიმავალი ადამიანი იმავდროულად აქტიურად მუშაობს სამყაროს ხსნისთვის და სამყაროს მხსნელია. ჩვენი აზრით, მართებული იქნება, თუკი საქართველოს შრომის კოდექსს წინ წაემძღვარება უფლის შეგონება: **რასაც აკეთებთ, აკეთეთ როგორც ღმერთისთვის და არა როგორც კაცთათვის**.

Izolda Chiladze

Influence of Belief on the Level of Objectivity in Accounting

Resume

Effective management of a company is impossible without objective registration of economic operations. Also the companies must make their Financial Statements public and available outsider users. That is why the accounting information must be objective, perfect and timely. Achieving one`s aim depends on the morals of bookkeepers.

An employee, who is believer always keeps to ethical normal because he/she realizes the essence and strength of the god. He/she knows that the god governs the world and always keeps the commandments of the Lord, is honest and rightly accounts economic operations in the companies.

დამატებითი ინფორმაცია კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა - 2013“ მონაწილეთა შესახებ

1. **დეკანოზი ბასილი (ახვლედიანი),** ბოლნისის აკურთას სიონის ტაძრის წინამძღვარი, ეკონომიკის დოქტორი mamabasili@gmail.com; mamabasili@googlemail.com
2. **არღუთაშვილი ვალერი,** თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, valeri.arghutashvili@tsu.ge
3. **ბაბუნაშვილი ეკატერინე,** ეად, ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
4. **გაგნიძე ინეზა,** ეად, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ineza.gagnidze@tsu.ge
5. **გოგორიშვილი ირინა,** ეად, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, irinagogorisi@yahoo.com
6. **გრძელიშვილი ნოდარი,** თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, regioni.ge@yahoo.com
7. **გულუა ეკატერინე,** ეად, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, ekaterinegulua@gmail.com
8. **კაკულია ნაზირა,** ეად, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, nazira.kakulia@tsu.ge
9. **კოღუაშვილი პაატა,** ემდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, paata_koguashvili@hotmail.com
10. **ლობჟანიძე მანანა,** ეად, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, manana.lobzhanidze@tsu.ge
11. **მიქელაშვილი მერაბი,** ეად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, mmikela50@yahoo.com
12. **მღებრიშვილი ბაბულია (დოდო),** ეად, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი, dmghebrishvili@yahoo.com
13. **ნათელაური იზა,** ეად, თსუ-ის პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო ეკონომიკის განყოფილების გამგე izanatelauri@yandex.ru
14. **პაპაჩაშვილი ნინო,** აედ, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ninopapachashvili@yahoo.com; nino.papachashvili@tsu.ge
15. **სამხარაძე ნუგზარი,** თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლექტორი, თბილისის ქვაშვეთის ტაძრის ეკონომოსი, nugzar.samkharadze@yahoo.de
16. **სვანიძე ირაკლი,** თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“-ს წევრი, III კურსის სტუდენტი, iraklisvanidze10@gmail.com
17. **სირბილაძე რუსუდანი,** ეად, თსუ-ის ტურიზმის საერთაშორისო სკოლა, rsirbiladze@yahoo.com
18. **ტყემალაძე ირმა,** თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი, irma.tkemaladze@tsu.ge

19. **ფარესაშვილი ნინო,** ეად, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, niniparesashvili@mail.ru

20. **შაინიძე ჟუჟუნა,** ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

21. **შიხაშვილი გიორგი,** ეად, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა"-ს დირექტორი, geokeria@yahoo.com

22. **ჩიქობავა მალხაზი,** ეად, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, malkhaz.chikobava@tsu.ge

23. **ჩიხლაძე ნიკო,** ემდ, თეოლოგიის დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ქუთაისის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, chixi@mail.ru

24. **ცეცხლაძე მურმანი,** ეად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, murmani_57@mail.ru

25. **წითლაური ზაქარია,** საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი, zakariaiveria@hotmail.com

26. **ჭილაძე იზოლდა,** ეად, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, izolda_tsu@mail.ru

შინაარსი
Contents (Resumes)

ორგანიზატორებისაგან 5
From Organizers 7

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ,,პურთათვის სიუხვის მომნიჭებელი“ 9

სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა)
მისალმება 11

დეკანოზი ბასილი (ახვლედიანი)
პერსონალური ინფორმაციის ხელშეუხებლობა, როგორც ბიზნესის განვითარების
ფუნდამენტური პირობა 13
Archpriest Akhvlediani Basili
Security of Personal Information as a Fundamental Precondition for Business
Development 18

ვალერი არღუთაშვილი
რელიგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები
შიდა ქართლში 19
Valeri Argutashvili
Perspectives of Religious Tourism Development in Shida Kartli Region 22

ეკატერინე ბაბუნაშვილი
კაცობრიობის კეთილდღეობის აქსიომა კაცობრიობის ხსნაშია 23
Ekaterine Babunashvili
The Axiom of Human Well-being is in Deliverance of Humanity 30

ინეზა გაგნიძე
განათლებისა და რწმენის ურთიერთკავშირის სინერგიული ეფექტის შესახებ 31
Ineza Gagnidze
Perspectives of Religious Tourism Development in Shida Kartli Region 34

ირინა გოგორიშვილი
მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოს სახელმწიფოს
მშენებლობის იდეა 35
Irina Gogorishvili
Orthodox Church and the Idea of Construction of the Georgian State 40

ნოდარ გრძელიშვილი
რელიგიური ტურიზმი, როგორც მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაში
საქართველოს ინტეგრაციის ფაქტორი 41
Nodar Grdzelishvili
Religious Tourism - as factor for Georgia's integration into the World and
Regional Economy 48

ეკატერინე გულუა
ადამიანის პოტენციალის მართვის საფუძვლები ბიბლიაში 49
Ekaterine Gulua
Biblical Basics of Human Potential Management 53

ნაზირა კაკულია
გადასახადებისადმი დამოკიდებულება ქრისტიანულ რელიგიაში 54
Nazira Kakulia
Relation to taxes in Christian religion.....57

პაატა კოღუაშვილი, ნიკო ჩიხლაძე
აგროპროდუქცია, როგორც ძღვენი, საზრდელი და გადასახადი წმინდა წერილში 58
Paata Koguashvili, Niko Chikhladze
Agricultural Products as Gifts, Food and Taxes in Holly Letter 63

მანანა ლობჟანიძე
რელიგია და ახალგაზრდობა: კომუნიკაციის ახალი ფორმების ძიებაში.....64
Manana Lobzhanidze
Religion and Youth: Searching for New Forms of Communication.....67

მერაბ მიქელაშვილი
სამეურნეო საქმიანობის პრინციპები ძველი აღთქმის მიხედვით.....69
Merab Mikelashvili
The Principles of Economic Activity according to Old Testament 75

ბაბულია (დოდო) მღებრიშვილი
ვაზი, საქართველოს ეკონომიკა და ქრისტიანული კულტურა 76
Babulia (Dodo) Mgebrishvili
Vine, Georgian Economy and Christian Culture 79

იზა ნათელაური
ვაზის ჯვარი და ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის წარმოება:
ტრადიციები, პრობლემები, პერსპექტივები.....80
Iza Natelauri
The Vine Cross and Natural Wine Production of Georgian Grapes:
Traditions, Problems and Prospects 85

ნინო პაპაჩაშვილი
შრომისადმი ქრისტიანთა დამოკიდებულების ასპექტები 86
Nino Papachashvili
Some Aspects of Dependence of Christians towards the Labour.....89

ნუგზარ სამხარაძე
ეკლესია-მონასტრების სამეურნეო საქმიანობის მართვის ფინანსური
ასპექტები 90
Nugzar Samkharadze
Financal Aspects of the Management of Economic Activities
of Churches and Monasteries.....94

რუსუდან სირბილაძე
თავისუფლება მართლმადიდებლობასა და ეკონომიკაში 95
Rusudan Sirbiladze
Freedom in Orthodox Religion and in Economy.....97

ირმა ტყემალაძე
ქრისტიანული ეთიკის ზეგავლენა დასაქმებაზე.....98
Irma Tkemaladze
Christian Eethics Impact on Employment 101

ნინო ფარესაშვილი
ეთიკურად ჯანსაღი ორგანიზაციული გარემო პირობების უზრუნველყოფა 102
Nino Paresashvili
Ensuring Ethically Sound Organizational Environment 106

გიორგი შიხაშვილი
თეოლოგიური ეკონომიკის არსი, მიზანი და ამოცანები 107
Giorgi Shikhashvili
The Essence, Goal and Objectives of Theological Economics 112

გიორგი შიხაშვილი, ირაკლი სვანიძე
სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა ახალ აღთქმაში 113
Giorgi Shikhashvili, Irakli Svanidze
Perspectives of Religious Tourism Development in Shida Kartli Region 118

მალხაზ ჩიქობავა
გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ფუნდამენტური მიზეზები
და მისი დაძლევის ალტერნატიული გზები 119
Malkhaz Chikobava
The Fundamental Causes of Global Financial-Economic Crises and the
Way to Overcome it 130

ნიკო ჩიხლაძე
წყალობის და მადლის „გაზომვის“ ეკონომიკური და მართლმადიდებლური
ასპექტები 131
Niko Chikhladze
Economic and Orthodox Aspects of “Measuring” the Grace and Mercy 137

მურმან ცეცხლაძე, ჟუჟუნა შაინიძე
რელიგიის, ეთიკისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი
ასპექტი 138
Murman Tsetskhladze, Jujuna Shainidze
Some Aspects of Interdependence of Religion, Ethics and Economy 143

ზაქარია წითლაური
მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოს საპატრიარქოს სტეფანწმინდისა
და ხევის ეპარქიაში 144
Zakaria Tsitlauri
Perspectives Cattle-Breeding Development in the Stepantsminda and Khevi
Eparchy of the Patriarchate of Georgia 148

იზოლდა ჭილაძე
რწმენის გავლენა აღრიცხვის ობიექტურობის ხარისხზე 149
Izolda Chiladze
Influence of Belief on the Level of Objectivity in Accounting 153

დამატებითი ინფორმაცია კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა - 2013“
მონაწილეთა შესახებ 154